საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675/ფ
1977/2

ფილოსოფიის,
ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

3 · 1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია

# СЕРИЯ ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ, ЭКОНОМИКИ И ПРАВА

I 5820

თბილისი

ТБИЛИСИ

3 · 1977

ა. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (*редактор*),
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (*зам. редактора*), Гугушвили П. В.,
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოჭორაძე
*Ответственный секретарь* **Г. Г. Бочорадзе**

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-46 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/II-78; შეკვ. № 3684; ანაწყობის ზომა $7 \times 11^1/_2$;
ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_{16}$; ნაბეჭდი თაბახი 16.80; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 14.25; უე 08079; ტირაჟი 800;
**ფასი 1 მან.**

❊

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

❊

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებანი — მე-10 ხუთწლედს . . . 3
ზ. ტაბლიაშვილი, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევის გზები . . . 5
გ. ცინცაძე, რ. დარენდორფის ზოგადსოციოლოგიური შეხედულების კრიტიკა . . . 19
ვ. კაკაბაძე, მოთხოვნილების ფსიქოლოგიური პრობლემა . . . 24
მ. კვარაცხელია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სტრუქტურული ძვრები ქუთაისის მრეწველობაში . . . 36
მ. გალდავა, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენების ზოგიერთი საკითხი რკინიგზის ტრანსპორტზე . . . 46

## ფილოსოფია

ა. ციმინტია, მარქსისტული ფილოსოფია ადამიანის არსების შესახებ . . . 54
ნ. კილაძე, არაბული და ქართული სქოლასტიკის პოზიტიურობის საკითხის შესახებ . . . 67
ალ. ასლანიკაშვილი, გეოგრაფიის ლიდერობის თეორიული საზრისი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემის — „ადამიანი და ბუნება“ — გამოკვლევაში . . . 70

## ფსიქოლოგია

ი. იმედაძე, ექვსი წლის ბავშვების სწავლის მოტივების საკითხისათვის . . . 84
ნ. ქოჩიაშვილი, განწყობის შეცვლის კვლევის ერთ-ერთი ექსპერიმენტული მეთოდის შესახებ (სიმძიმეების კუნთურ აღქმაში) . . . 93

## ეკონომიკა

ნ. იაშვილი, ე. კაკულია, რ. სარჩიმელია, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში . . . 96
ა. ბრეგვაძე, ლ. მინდორაშვილი, საქართველოს ნავთობის მრეწველობა მეცხრე ხუთწლედში (1971—1975) . . . 117
რ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი კვების განვითარება დიდ სამამულო ომამდე . . . 131
გ. ბუკია, საცალო ვაჭრობის არანაღდი ანგარიშსწორების საერთო-სახელმწიფოებრივი ავტომატიზებული სისტემის რენტაბელობის შესახებ . . . 145

## სამართალი

ი. დოლიძე, ექვთიმე თაყაიშვილი ძველი საქართველოს სამოხელეო წესწყობილების შესახებ . . . 150
ევკ. თაყაიშვილი, სამეფო კარის გარიგება ძველ საქართველოში . . . 155

## ტერმინოლოგიური მსჯელობა

ბ. ბუბუშვილი, ზოგიერთი ძირითადი ინგლისური მეცნიერული ეკონომიკური ტერმინის რუსული და ქართული შესატყვისების თაობაზე . . . 173

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. ფათემი, ირანის თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა . . . 187

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## СОДЕРЖАНИЕ

Общественные науки Советской Грузии — 10-ой пятилетке
З. А ТАБЛИАШВИЛИ. Пути преодоления существенного различия между городом и деревней . . . . . . . . . . . . 5
Г. Ш. ЦИНЦАДЗЕ. К критике общесоциологической буржуазной теории Р. Дарендорфа . . . . . . . . . . . . 19
В. Л. КАКАБАДЗЕ. Психологическая проблема потребности . . . . 24
М. КВАРАЦХЕЛИЯ. Научно-технический прогресс и структурные сдвиги промышленности Кутаиси . . . . . . . . . 36
М. Е. ГАЛДАВА. Некоторые вопросы применения экономико-математических методов и ЭВМ в железнодорожном транспорте . . . . . . 46

ФИЛОСОФИЯ

А. Б. ЦИМИНТИЯ. Марксистская философия о сущности человека . . . 54
Н. Г. КИЛАДЗЕ. К вопросу позитивности арабской и грузинской схоластики 67
А. Ф. АСЛАНИКАШВИЛИ. Теоретический смысл лидерства географии в исследованиях наиважнейшей проблемы современности — «человек и природа» . . . . . . . . . . . . . . 70

ПСИХОЛОГИЯ

И. В. ИМЕДАДЗЕ. К вопросу мотивов учений шестилетних детей . . 84
Н. Р. КОЧИАШВИЛИ. Об одном из экспериментальных методов исследования смены установки (в мышечном восприятии тяжестей) . . . . . 93

*ЭКОНОМИКА*

Н. С. ЯШВИЛИ, Е. А. КАКУЛИА, Р. А. САРЧИМЕЛИЯ. К определению потребности в специалистах с высшим и средним специальным образованием в сельском хозяйстве ГССР . . . . . . . . . 96
А. И. БРЕГВАДЗЕ, Л. А. МИНДОРАШВИЛИ. Нефтяная промышленность Грузии в девятой пятилетке (1971—1975) . . . . . . 117
Р. Г. ДЖАВАХИШВИЛИ. Развитие общественного питания в Грузинской ССР до Великой Отечественной войны . . . . . . . . . 131
Г. Б. БУКИЯ. О рентабельности общегосударственной автоматизированной системы безналичного расчета в сети розничной торговли . . . . 145

ПРАВО

И. С. ДОЛИДЗЕ. Е. Такайшвили о распорядке царского двора в древней Грузии 150
Е. С. ТАКАЙШВИЛИ. Распорядок царского двора в древней Грузии . . 155

ТЕРМИНОЛОГИЧЕСКИЕ РАССУЖДЕНИЯ

В. Г. ГУГУШВИЛИ. О русских и грузинских эквивалентах некоторых основных английских научных экономических терминов . . . . . 173

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

М. М. ФАТЕМИ. Краткий обзор современной экономической литературы Ирана 187

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებანი — მე-10 ხუთწლედს

ზურაბ ტაბლიაშვილი

## ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევის გზები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას, როგორიცაა არსებითი განსხვავების დაძლევა ქალაქსა და სოფელს შორის. სოფლის მეურნეობის დარგში „პარტია სახავს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ მიზანს, — ნათქვამია სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში, — პირველი: მივაღწიოთ ქვეყნის საიმედო მომარაგებას სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, ამისათვის ყოველთვის გვქონდეს საკმაო რეზერვები და მეორე: სულ უფრო წინ ვწიოთ ქალაქისა და სოფლის ცხოვრების მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების დაახლოების გზით, რაც ჩვენი საპროგრამო მოთხოვნაა“[1]. მეათე ხუთწლედში გამიზნულია დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა კეთილდღეობისა და კულტურის დონის, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების დაახლოებისათვის.

ქალაქი და სოფელი საზოგადოებრივი დასახლების სხვადასხვა სოციალური ფორმებია, თუმცა ორივე წარმოგვიდგება სოციალურ-რეგიონალურ ერთობად. ამ შემთხვევაში, განსხვავების საფუძველია შრომის საზოგადოებრივი დანაწილება მრეწველობად და სოფლის მეურნეობად. სახალხო მეურნეობის ამ ორი დარგის განვითარების თავისებური შესაძლებლობების ძალით, მანქანურმა ინდუსტრიამ ზედიზედ ჩამოაშორა სოფლის მეურნეობას ნედლეულის დამუშავების ესა თუ ის სახე, განუხრელად გაზარდა ინდუსტრიული (ქალაქის) მოსახლეობის რიცხვი სოფლის მოსახლეობის ხარჯზე.

ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ქალაქი ანტაგონისტურად უპირისპირდება სოფელს. ამ წინააღმდეგობის ლიკვიდაცია ხორციელდება სოციალისტური რევოლუციის შედეგად. მაგრამ ანტაგონიზმის მოსპობა როდი ნიშნავს ქალაქსა და სოფელს შორის ყველა ეკონომიკური, სოციალურ-კლასობრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავების წაშლას. სოციალიზმის დროს ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავებაა, რომლის საფუძველიც საწარმოო ძალთა განვითარების არათანაბარი დონეა.

სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები ქალაქსა და სოფელს შორის შემდეგნაირად გამოიხატება:

1. ქალაქში თავმოყრილია ეკონომიკის ფუნდამენტი — მძიმე მრეწველობა და სხვა სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა; სოფლად — სოფლის მეურნეობა. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების ხასიათის მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესების სპეციფიკით და ა. შ;

2. განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის საწარმოო ძალთა განვითარების დონე, შრომის ხასიათი და მისი ნაყოფიერება; ამასთან, სოფლის მეურნე-

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის მუშაკთა შრომა ტექნიკური შეიარაღებით, მექანიზაციით, ენერგოშეიარაღებით, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩება სამრეწველო წარმოების მუშაკთა შრომას;

3. სოციალისტური საკუთრების სხვადასხვა ფორმების არსებობა განაპირობებს განსხვავებას ქალაქისა და საკოლმეურნეო სოფლის მოსახლეობას შორის განაწილების ფორმებისა და შემოსავლის ოდენობის მიხედვით. სოფლის მოსახლეობას, ქალაქის მოსახლეობისაგან განსხვავებით, აქვს პირადი დამხმარე მეურნეობა;

4. ქალაქის მოსახლეობაში უფრო მაღალია გონებრივი შრომის მუშაკთა, ინტელიგენციის ხვედრითი წონა, — რითაც იქმნება უთანაბრობა პროფესიულ-კვალიფიციურ ჯგუფებს შორის გონებრივი და ფიზიკური შრომის მიხედვით.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის უმთავრესად განპირობებულია ორი ფაქტორით:

1. ქალაქი საერთო კულტურის დონით გაცილებით მაღლა დგას სოფელთან შედარებით. ქალაქი წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა უპირატესი თავმოყრის ადგილს, ხოლო სოფლის მოსახლეობას ქალაქში უხდება თეორიული კვალიფიკაციის ამაღლება;

2. საყოფაცხოვრებო მომსახურების დონითაც სოფელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქს, იშვიათი როდია სოფლები, რომლებიც მოკლებულია ელემენტარულ კეთილმოწყობას (წყალგაყვანილობას, გაზს...), ქალაქთან შედარებით აქ ნაკლებია კულტურულ ღირებულებათა მოხმარების შესაძლებლობაც.

აღნიშნულის მიუხედავად, სოფელსაც გარკვეული უპირატესობა აქვს ქალაქთან: სოფლად ადამიანი უშუალოდ უკავშირდება ცოცხალ ბუნებას, აქვს მასთან აქტიური ურთიერთობის მეტი შესაძლებლობა, ამასთან, ცხოვრების რიტმი აქ უფრო წყნარია და სოფელი შედარებით თავისუფალია ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის უარყოფითი შედეგებისაგან.

არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის არ დაიყვანება განსხვავებაზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის ან საკუთრების ორ ფორმას შორის არსებულ განსხვავებაზე. ეს არის განსხვავება, რომელიც გულისხმობს არაერთგვაროვნებას ადამიანთა დასახლების ორი სხვადასხვა ფორმის — ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის — ცხოვრების წესებს შორის. სხვა საქმეა, თუ სად უნდა ვეძებოთ ამისი წარმოშობის ისტორიული ძირები; რა თქმა უნდა, ეს არის შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგი. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება სხვადასხვა ტემპებით, სხვადასხვა პირობებში წარიმართა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკურმა თავისებურებებმა განაპირობეს სოფლის მეურნეობის განვითარების ჩამორჩენილობა მრეწველობასთან შედარებით. წარმოების გაფართოების რეზერვები აქ შეზღუდულია როგორც მიწების ფართობით, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოხმარების განსაზღვრული ოდენობით, შედარებითი შეზღუდულობით. ამას დაერთო საწარმოო პროცესების მართვის სირთულე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ტექნოლოგიური პროცესი სოფლის მეურნეობაში მუდმივად გადაეჯაჭვება მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების ბუნებრივ კვლავწარმოებას, რაც განაპირობებს შრომის სეზონურობას.

სამრეწველო წარმოების ინტენსიურმა განვითარებამ ქალაქებში მოსახლეობის კონცენტრაცია გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, საერთო განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რების უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნა. ქალაქებში ჩამოყალიბდა ადამიანთა ურთიერთობის სოფლისაგან განსხვავებული ფორმები. ჩამოთვლილი მიზეზების გამო, არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის ინტეგრალური, კომპლექსური ხასიათისაა.

ქალაქისა და სოფლის დაახლოების მთავარი მიმართულებაა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების ტემპების დაჩქარება, რაც განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო შრომის ხასიათის, შინაარსისა და პირობების შეცვლას, მის გადაქცევას ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საწარმოო ძალთა გეგმაზომიერ განლაგებას, სამრეწველო დანიშნულების საწარმოების განვითარებას სოფლად.

არსებითი განსხვავების დაძლევა ქალაქსა და სოფელს შორის ორმხრივი პროცესია, რომლის მსვლელობაში ცვლილებებს განიცდის ქალაქიც. აქ არაერთი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პრობლემაა გადასაწყვეტი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ქალაქს ეკუთვნის გადამწყვეტი როლი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების დანერგვაში სოფლად, სოფლის მეურნეობის გადაყვანაში ინდუსტრიულ საფუძველზე. დიდ მუშაობას მოითხოვს საკვანძო პრობლემების გადაწყვეტა: ოპტიმალური ქალაქის საკითხი; საცხოვრებელი ბინათმოწყობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზება და ბევრი სხვა გადასაჭრელი საკითხი.

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი განსხვავების დაძლევა ქალაქსა და სოფელს შორის, უპირველეს ყოვლისა, სოფლის შემდგომ აღმავლობას, ცხოვრების ქალაქური სტანდარტების დანერგვას გულისხმობს. ამიტომაც წინამდებარე წერილში უმთავრესად სოფლის შემდგომი განვითარების საკითხებზე გვექნება მსჯელობა.

საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის მთელი გამოცდილებისა და სკკპ პროგრამაში დასახული პერსპექტივების ანალიზი მოწმობს, რომ საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევა.

სოციალური განსხვავების დაძლევა მოითხოვს სოფლის ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას საწარმოო ძალთა განვითარების დონეში, შრომის ტექნიკური შეიარაღების, მშრომელთა შემოსავლის დონესა და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობის მთელი ცხოვრების წესში. ამ ამოცანის განხორციელების აუცილებელი პირობაა სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ტემპებით ზრდა, ვიდრე მრეწველობაში. სწორედ შრომის ნაყოფიერების ამაღლება არის წარმოების განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გადამწყვეტი პირობა. 1971—1973 წლებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მრეწველობაში. 1965 წელთან შედარებით, 1973 წელს მრეწველობაში დასაქმებულ ერთ მუშაკზე იგი გაიზარდა 157%-ით, სოფლის მეურნეობაში —160%-ით[2]. მეათე ხუთწლედში ნავარაუდევია სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდება 27—30%-ით. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ასეთი მაღალი ტემპები განპირობებულია მნიშვნელოვანწილად მისი ტექნიკური შეიარაღების სწრაფი მატებით.

[2] Народное хозяйство СССР в 1973 г., М., 1974, стр. 63, 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რევოლუციამდელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში ერთადერთ გამწევ ძალად მუშა პირუტყვი ითვლებოდა, ახლა მისი ადგილი თითქმის მთლიანად მექანიკურმა ძრავამ დაიკავა. 1913—1974 წლებში სოფლის მეურნეობის მუშაკის ენერგოშეიარაღება ბევრად გაიზარდა და მიაღწია 4,2 ცხ. ძალას. 1975 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა 20,7 ათასი ცალი ტრაქტორი, 1,4 ათასი კომბაინი, 19,1 ათასი სატვირთო ავტომობილი. მარტო 1975 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო 3,2 ათასი ტრაქტორი, 0,6 ათასი კომბაინი და 3,1 ათასი სატვირთო ავტომობილი[3]. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკა სასოფლო-სამეურნეო შრომის ენერგოშეიარაღების მიხედვით ჯერ კიდევ გაცილებით ჩამორჩება საშუალო-საკავშირო დონეს. 1974 წ. შრომის ენერგოშეიარაღება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ერთ მუშაკზე საბჭოთა კავშირში 15,3 ცხ. ძალას შეადგენდა, საქართველოს სსრ-ში — 4,2 ცხ. ძალას. ჩვენი რესპუბლიკა ინტენსიური, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა — რთული საწარმო და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, სადაც შედარებით გაძნელებულია სამუშაო პროცესების მექანიზაცია, ამიტომ ჩვენთან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მცირე მექანიზაციის განვითარება. აუცილებელია ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ენერგოშეიარაღების მკვეთრი ამაღლება. ძალზე სუსტადაა განვითარებული მექანიზაცია ჩვენს მეცხოველეობაში, რაზედაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ.

მეცხრე ხუთწლედში, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მკაფიოდ გამოიყოფა ორი ეტაპი: პირველი — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცნობილი დადგენილების მიღებამდე (1972 წლის 22 თებერვალი) და, მეორე — ამ დადგენილების მიღების შემდეგ. პირველ ეტაპზე სერიოზული გადახვევები იყო საზოგადოების მართვის ლენინური პრინციპებიდან, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია რესპუბლიკის ეკონომიკაზე, ხალხის სულიერ ცხოვრებაზე. მეორე ეტაპზე საქართველოს კომუნისტური პარტია გადაჭრით განამტკიცებდა პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, სოციალისტურ დემოკრატიას, კომუნისტთა რიგების მონოლითურობას, ყოველმხრივ იღვწოდა რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის. ეკონომიკის დარგში ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია წარმოების ტემპის მნიშვნელოვანი ზრდა, საერთო-საკავშიროსაგან ზოგიერთი რესპუბლიკური მაჩვენებლის ჩამორჩენის შემცირება, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ხარისხობრივი ფაქტორების გაუმჯობესება. თუ პირველ პერიოდში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა, 1973—1975 წლებში იგი მკვეთრად გაიზარდა, რამაც საშუალება მოგვცა 19,2 პროცენტით გადაგვეჭარბებინა მერვე ხუთწლედის დონისათვის და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის 220 მლნ. მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიგვეყიდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა. 38 პროცენტით შემცირდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ მეურნეობაში. მაგრამ სოფლის მეურნეო-

[3] Грузинскя ССР в цифрах в 1975 году, Тб., 1976, стр. 120—122.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბის დარგში განვლილი ხუთწლედის მანძილზე დაძლეულ იქნა მხოლოდ ხუთწლედის პირველი ორი წლის ჩამორჩენა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენმა რესპუბლიკამ მეცხოველეობის ფონდუკუგების ტემპით გაუსწრო საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლები შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებზე და, მით უფრო, მოწინავე მოძმე რესპუბლიკების მაჩვენებლებზე გაცილებით ნაკლებია. კაპიტალდაბანდების ზრდა სოფლის მეურნეობაში უზრუნველყოფს მის გადაქცევას სახალხო მეურნეობის მაღალგანვითარებულ დარგად, მეშვიდე ხუთწლედში მან შეადგინა 48,6 მილიარდი მანეთი (მთელი მოცულობის 20%), მერვეში — 82,2 მილიარდი (23%), ხოლო მეცხრეში — 131 მილიარდი მანეთი (დაახლ. 27%).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებებით განსაზღვრულია, რომ მეათე ხუთწლედში სოფლის მეურნეობას მოხმარდეს 171,7 მილიარდი მანეთი ანუ კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობის მეოთხედზე მეტი. ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ 1900 ათას ტრაქტორს, 1350 ათას სატვირთო ავტომობილს, 538 ათას მარცვალასაღებ კომბაინს, დიდძალ სხვა მანქანა-იარაღებს, მინერალურ სასუქებს, ქიმიურ საკვებდანამატებსა და მცენარეთა დაცვის საშუალებებს. შრომის ენერგოაღჭურვა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, 1975 წლის 17 ცხ. ძალიდან — 1980 წელს 28 ცხ. ძალამდე გაიზრდება.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „მსხვილი მანქანური მრეწველობა და მისი გადატანა მიწათმოქმედებაში ერთადერთი ეკონომიური ბაზაა სოციალიზმისა“[4]. სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ერთმანეთთან დიალექტიკურ კავშირში არიან. რაც უფრო სწრაფად ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მრეწველობაში, სოციალიზმის პირობებში, მით უფრო მეტად მარაგდება სოფლის მეურნეობა საჭირო ტექნიკით, მით უფრო ძლიერია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სოფლის მეურნეობის აღმავლობა დამოკიდებულია არა მარტო თვით სოფლის მშრომელებზე, არამედ, აგრეთვე, მრეწველობის მუშაკებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებზე.

თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ღრმად იჭრება სოფლის მეურნეობაში, რის შედეგადაც ფართოვდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია, იზრდება მეცნიერების როლი სახალხო მეურნეობის ამ დარგის შემდგომ პროგრესში; პრაქტიკულ გამოყენებას პოულობს გენეტიკის, ბიოქიმიის, ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგიის მიღწევები. ყოველივე ეს იწვევს სოფლის მეურნეობაში შრომის სეზონურობის შემცირებას. განსაკუთრებით ფართოდ ვითარდება ბიოლოგია. მიკრობიოლოგიისა და ბიოქიმიის მიღწევებით შესაძლებელი გახდება, რომ მივიღოთ სინთეზური საკვები, რაც რევოლუციას მოახდენს მთელს სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში. ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების მეორე მიმართულებაა უკვე არსებული რეალობის შემდგომი კვლევა, მხედველობაში გვაქვს მსოფლიო ოკეანის სიმდიდრე და მისი ექსპლოატაცია.

---

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა



როდესაც ვლაპარაკობთ ბიოლოგიის, ქიმიისა და სხვა მეცნიერებათა განვითარების დიდ მნიშვნელობაზე მცენარეული და ცხოველური პროდუქციის ზრდის საქმეში, არ უნდა გამოგვრჩეს საკითხის მეორე მხარე, — სახელდობრ ის, რომ მეცნიერების განვითარების შედეგად მნიშვნელოვნად იცვლება ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა. ტექნიკის სწრაფი განვითარება ბადებს ადამიანისა და ბუნების დაპირისპირების შესაძლებლობას. ტექნიკის დონე ბუნებაზე ადამიანის ბატონობის საზომია. მაგრამ დღეს მთავარი საკითხი ის კი არ არის, რომ ბუნებაზე გავბატონდეთ, ჩვენს მონად ვაქციოთ იგი, არამედ მისი კანონზომიერების შეცნობაა საჭირო და ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების ხელშეწყობა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი სწორი თანაფარდობის დამყარება ადამიანსა და ბუნებას შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. ბიოლოგიის ზოგიერთი მიღწევა უარყოფით შედეგებს იწვევს, მაგალითად: ჰერბიციდებისა და პესტიციდების ფართო გამოყენება, მართალია, ამაღლებს სოფლის მეურნეობის მოსავლიანობას, მაგრამ მათ შეიძლება გამოიწვიონ ბიოსფეროს ბუნებრივი წონასწორობის დარღვევა; ამასთან, მათი გამოყენების შორეული შედეგები, მათი ზემოქმედება ბუნებაზე ყოველთვის როდია გასაგები.

ამრიგად, ბუნებაში ადამიანის ფართოდ შეჭრა შეიძლება გახდეს ორგვარი შედეგის მომტანი: ერთი მხრივ, იგი იწვევს ბუნების ძალების, ბუნებრივი სიმდიდრის ინტენსიურ ათვისებასა და გამოყენებას ადამიანის სასარგებლოდ და, მეორე მხრივ, ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ბიოსფეროს ბუნებრივი წონასწორობის დარღვევა და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციაზე, მხედველობაში უნდა გვქონდეს მისი მთლიანი შედეგები — როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სოფლის მეურნეობას სჭირდება ახალ-ახალი აღმოჩენები, მცენარეთა და ცხოველთა ბუნების მეცნიერული კვლევა-ძიება ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზების განსაზღვრაში, სოფლად კულტურისა და ყოფაცხოვრების პრობლემათა დამუშავებაში. ამ საქმეში, ბუნებრივია, განსაკუთრებული როლი საზოგადოებრივ მეცნიერებებს — მათ შორის ფილოსოფიას, სოციოლოგიას, მეცნიერულ კომუნიზმს — მიეკუთვნება.

სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი მიმართულებებია: მექანიზაცია, ელექტროფიკაცია, ქიმიზაცია, მიწების მელიორაცია. 1950 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში მოხმარებული იყო 41,7 მლნ. კვ. სთ. ელექტროენერგია. 1960 წ. — 174,5, 1970 წ. — 237,1 და 1973 წ. — 538,4 მლნ[5]. დღის წესრიგში დგება ინდუსტრიულის ნაირსახეობად სასოფლო-სამეურნეო შრომის პრაქტიკული გადაქცევის საკითხი.

როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, მიუხედავად ამ ბოლო წლებში განხორციელებული პოზიტიური ძვრებისა, მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მიღწეული დონე სრულიადაც არ აკმაყოფილებს საკოლმეურნეო და საბჭოთამეურნეობრივი წარმოების გაზრდილ მოთხოვნებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პროცესში მიმდინარეობს, ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობის ამაღლება მრეწველო-

[5] Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 г., Тб., 1974, стр. 126.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამდე ტექნიკური შეიარაღების დონის მიხედვით და, მეორე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერული ხელმძღვანელობის ამაღლება მრეწველობის შესაბამის მაჩვენებლებამდე. ეს ორი ფაქტორი ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-ეკონომიკური განსხვავების დაძლევის მთავარი ფაქტორებია, რადგან ისინი უზრუნველყოფენ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დაახლოებას ადამიანთა მოღვაწეობის მთავარ სფეროში — შრომის სფეროში, რაც ყველა სხვა სფეროებში მათი დაახლოების საფუძველია.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ქიმიზაციისა და მელიორაციის განვითარებასთან ერთად სწრაფად იცვლება თანაფარდობა ცოცხალ და განივთებულ შრომას შორის, რის შედეგადაც იზრდება შრომის ნაყოფიერება. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1973 წელს, 1950 წელთან შედარებით, გაიზარდა 214%-ით, შრომის ნაყოფიერება — 166%-ით; ეს მაშინ, როცა სულ უფრო მცირდებოდა სახალხო მეურნეობის ამ დარგში დასაქმებულთა ხვედრითი წონა, 1960—1973 წლებში იგი შემცირდა 12%-ით. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ფონდ-აღჭურვილობა გაცილებით ჩამორჩება საშუალო-საკავშირო დონეს, კერძოდ, ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის თვითღირებულება ჩვენთან ორჯერ და მეტად მაღალია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში.

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის პროცესში ხორციელდება საკუთრებით ურთიერთობათა სრულყოფა, საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ამაღლება საერთო-სახალხომდე განსაზოგადოების დონის მიხედვით. სოციალური განსხვავების დაძლევა ქალაქსა და სოფელს შორის განუყრელად არის დაკავშირებული სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დაახლოებასა და მათს შერწყმასთან. მაგრამ ეს ორი პროცესი და, შესაბამისად, ეს ორი თეორიული პრობლემა არ არის იგივეობრივი. კოლმეურნეების ხვედრითი წონა დასაქმებულ სოფლის მოსახლეობაში 1959—1970 წლებში შემცირდა 60,8%-იდან — 39,3%-მდე, — ეს მაშინ, როცა მუშების ხვედრითი წონა ამაღლდა 29,4-დან 46,1%-მდე, ხოლო მოსამსახურეებისა — 9,4-დან 14,1%-მდე[6]. საქართველოს სსრ სოფლისა და სატყეო მეურნეობაში, 1970 წლის აღწერის მონაცემებით, დასაქმებული იყო 224140 მუშა, 26519 მოსამსახურე და 516729 კოლმეურნე, ე. ი. სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 47% არის მუშა-მოსამსახურე. საკუთრებით ურთიერთობათა დარგში განსხვავების დაძლევაზე უნდა ვილაპარაკოთ მაშინ, როცა საქმე ეხება სოციალურ-ეკონომიური განსხვავების დაძლევას ქალაქსა და საკოლმეურნეო სოფელს შორის.

საკოლმეურნეო საკუთრების საერთო სახალხომდე ამაღლების გზებია: ა) კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდა; ბ) წარმოების კონცენტრაცია, ცენტრალიზაცია და სპეციალიზაცია; გ) კოლმეურნეობათაშორისი და სახელმწიფო-საკოლმეურნეო კავშირებისა და გაერთიანებების განვითარება; დ) აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებების შექმნა და განვითარება.

განუყოფელი ფონდები საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკური საფუძველია. მათზე მოდის საკოლმეურნეო საკუთრების 99%. თავიანთი არსებით და დანიშნულებით ისინი ძალზე ახლოს არიან საერთო-სახალხო საკუთრებასთან. განუყოფელი ფონდების ზრდა განსაკუთრებით ბოლო პერიოდში აღინიშ-

[6] Итоги Всесоюзной переписи населения 1970 года, т. V., М., 1973, стр. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა: წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდები 1969 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 32 899 ათას მანეთს, ხოლო 1973 წლის 1 იანვრისათვის 46675 ათას მანეთს (3 წლის განმავლობაში ნამატმა შეადგინა 13776 ათასი მან.). ძირითადი საწარმოო ფონდები, რაოდენობრივთან ერთად, ღრმა თვისებრივი ცვლილებებითაც ხასიათდება. განსაკუთრებით მატულობს მასში თანამედროვე ტექნიკური საშუალებების წილი, როგორიცაა: შენობა-ნაგებობანი და გადამცემი მოწყობილობა, ძალოვანი მანქანები და გაწყობილობა.

მეათე ხუთწლედში გათვალისწინებული კაპიტალდაბანდებების დიდი ნაწილი სწორედ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას მოხმარდება. განუყოფელი ფონდების ზრდის აუცილებლობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება კოლმეურნეთა სოციალურ, კულტურულ და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ასეთი კურსი სოფლად დიდ ზემოქმედებას ახდენს იმ პრობლემათა მთელ ერთობლიობაზე, რაც უკავშირდება სოფლის მეურნეობის მუშაკის პიროვნების განვითარებას, მისი შრომისა და ყოფა-ცხოვრების, მისი მოთხოვნილებების, საზოგადოებასა და კოლექტივთან ურთიერთობის ფორმირებას.

საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების განვითარების, მისი საერთო სახალხომდე ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობათაშორისი კავშირების გაფართოებას, რომლის შექმნას ხელს უწყობს თითოეული კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება, ხოლო ისინი, თავის მხრივ, ხელსაყრელ ზემოქმედებას ახდენენ კავშირებში შემავალი მეურნეობების განვითარებაზე. მეურნეობათაშორისი კავშირების სოციალური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ებრძვიან კოლმეურნეობათა ეკონომიკურ განცალკევებულობას. მაშასადამე აქ უფრო დიდია განსაზოგადოების მასშტაბები. უკანასკნელ წლებში მეურნეობათაშორისი კავშირები სწრაფად ვრცელდება და, თუ 1965 წელს ჩვენს ქვეყანაში მათი რიცხვი აღწევდა 3355-ს, 1975 წლის ბოლოს უკვე 6327 ასეთი კავშირი ითვლებოდა. მეურნეობათაშორისი კავშირების ჩამოყალიბების მიზანია სხვადასხვა მსხვილი სამეურნეო ამოცანების ერთობლივად გადაწყვეტა, რომელთა შესრულებაც ცალკეული კოლმეურნეობების ძალღონეს აღემატება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — *„სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“* — აღნიშნულია, რომ *„ფართო კოოპერირების ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, მისი გადაყვანა თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მაგისტრალური მიმართულება, განვითარებული სოციალიზმის პირობებში ლენინური კოოპერაციული გეგმის იდეების პრაქტიკული განხორციელების ახალი ეტაპია“.*

მეურნეობათაშორისმა კავშირებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს მოლდავეთის, უკრაინის, ბელორუსიის რესპუბლიკებში, რუსეთის სფსრ რაიონებში. მათი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება მოწმობს ასეთი კავშირების დიდ მნიშვნელობაზე საბჭოთა სოფლის აღმავალი განვითარების საქმეში. მათში პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომის დანახარჯები 2,5—3-ჯერ, ხოლო თვითღირებულება 1,5—2-ჯერ დაბალია, ვიდრე არასპეციალიზებულ მეურნეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებში. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში სკკპ ცკ-ის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, როცა სკკპ XXV ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ „შრომის ნაყოფიერების სერიოზული ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების დიდ შესაძლებლობებს შეიცავს წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო კოოპერირების ბაზაზე“. საქართველოს სსრ-ში მეურნეობათაშორისი კავშირები ფუნქციონირებენ გორის, თელავის, თიანეთისა და სხვა რაიონებში. მათი მოღვაწეობის დადებითი შედეგები მოწმობს, რომ ჩვენში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შეიძლება ამ კავშირებს მეტი გაქანება მიეცეს. ამისი საფუძველია სერიოზული მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მიმართულებით, რათა შესაძლებელი გახდეს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანა. მეურნეობათაშორისი კოოპერაცია და აგროსამრეწველო ინტეგრაცია. ამასთანავე, საჭიროა ამ პროცესს რომელიც დიდად განსაზღვრავს ჩვენი სოფლის მეურნეობის მომავალს, გეგმაზომიერი ხასიათი მიეცეს. იგი მოითხოვს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყოველმხრივ ხელშეწყობას, სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე მრეწველობაში საწარმოთა სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და კოოპერირებას, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების ორგანიზაციის შეძენილი გამოცდილების უფრო სრულად გამოყენებას.

საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების საერთო-სახალხომდე ამაღლების დიდმნიშვნელოვანი გზაა უშუალო საწარმოო კავშირების გაფართოება სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს შორის. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ურთიერთობის გაძლიერება არა მარტო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის, არამედ, აგრეთვე, კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებს შორის. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განვითარების პროცესში — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — გაძლიერდება მათი საწარმოო კავშირი ერთმანეთს შორის და ადგილობრივ სამრეწველო საწარმოებთან, გაფართოვდება სხვადასხვა წარმოების ერთობლივად ორგანიზაციის პრაქტიკა“[7]. სახელმწიფო-საკოლმეურნეო საკუთრება თავისი ხასიათით მეტად ახლოა საერთო-სახალხო საკუთრებასთან. სახელმწიფო და საკოლმეურნეო საშუალებების გაერთიანების შედეგად ჩნდება საერთო, შერეული საკუთრების ობიექტები, რომელთა დანიშნულებაა საერთო-სახალხო ინტერესების სამსახური. სახელმწიფო-საკოლმეურნეო კავშირებისა და გაერთიანებების შექმნა უზრუნველყოფს კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების გამოსვლას კოლმეურნეობების უწყებრივი ჩარჩოებიდან და მის უშუალო შეერთებას საერთო-სახალხო საკუთრებასთან. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების კვალობაზე — მათი ეკონომიკური სიძლიერის ამაღლებისა და სახელმწიფოებრივ საწარმოებთან მჭიდროდ დაკავშირების მეოხებით — შესაძლებელი ხდება სამრეწველო საწარმოების აგება საკუთრივ ნედლეულის წყაროებთან — სოფელ ადგილებში. იქმნება აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებები, რომლებშიც ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო შრომის ორგანული შეერთება.

ასეთია სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დაახლოების გზები და ტენდენციები, რისი პრაქტიკული განხორციელების საფუძველზე ქალაქი და

---

7 სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბ., 1962, გვ. 474.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკოლმეურნეო სოფელი ერთმანეთთან ახლოვდებიან წარმოებითი ურთიერთობის ყველა სფეროში.

საბჭოთა სოფლის საერთო პროგრესის შესაბამისად ერთმანეთს უახლოვდება მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა განაწილების წესისა და ოდენობის მიხედვით. 1965 წლიდან კოლმეურნეობებში შემოღებულია შრომის გარანტირებული ფულადი ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობებში არსებული ტარიფების მიხედვით. სოფლის მოსახლეობის რეალური შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე — ქალაქისა: 1940—1972 წწ., მუშებისა და მოსამსახურეების ერთ სულზე გაანგარიშებით, იგი გაიზარდა 3,1-ჯერ, ხოლო კოლმეურნეებისა — 5,1ჯერ. მეცხრე ხუთწლედში მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი გამომუშავება 20%-ით გადიდდა, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 25%-ით. მიმდინარე ხუთწლედში სოფლის ერთი სული მოსახლის რეალური შემოსავალი 20—22%-ით გაიზრდება, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი — 16—18%-ით და ხუთწლედის დამლევისათვის ყოველთვიური ხელფასი შეადგენს სულ ცოტა 170 მანეთს; კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობიდან საშუალოდ 24—27%-ით — ამაღლდება. მცირდება სხვაობა კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს შორის შრომის ანაზღაურების მიხედვით: 1960 წ. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება შეადგენდა საბჭოთა მეურნეობებში შრომის ანაზღაურების 38%-ს, 1965 წ. — 69%-ს, ხოლო 1970 წ. — 74%-ს[8].

როგორც აღვნიშნეთ, ქალაქსა და სოფელს შორის სოციალური განსხვავების დაძლევის მთავარი ფაქტორია საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარება. მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიულის ნაირსახეობად გადაქცევით, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებების შექმნით არის შესაძლებელი თანამედროვე სოფლების გარდაქმნა ქალაქის ტიპის დასახლებებად, ხოლო ამისი პირობაა სასოფლო-სამეურნეო შრომის ტექნიკური აღჭურვილობის გადიდება უმაღლეს დონემდე; ამასთან, აუცილებელია საწარმოო ძალთა სწორი გაადგილება, თვისებრივად ახალი კავშირების დამყარება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, რაც ხორციელდება რამდენიმე გზით: სამრეწველო საწარმოთა ორგანული დაკავშირებით მათთვის ნედლეულის მიმწოდებელ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან, უშუალოდ ცალკეულ მეურნეობებში, კოლმეურნეობათაშორის და სახელმწიფო-საკოლმეურნეო ორგანიზაციებთან ადგილობრივი ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა შექმნით. ასე ყალიბდება აგრარულ-სამრეწველო კომპლექსები და გაერთიანებები, რომლებიც ცვლიან სოფლის სტრუქტურასა და სახეს, მშრომელთა სოციალურ-პროფესიულ შედგენილობას. ამ ორგანიზაციებში მიიღწევა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შრომის გონივრული მონაცვლეობა. ასეთ გაერთიანებებში, ბუნებრივია, მოსახლეობის უფრო დიდი კონცენტრაცია იქნება და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობაც მეტია; აგრეთვე, ნაკლები დანახარჯებით მოგვარდება წყალმომარაგება, ცენტრალური გათბობა, კანალიზაცია და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიალიზაცია ნიშნავს:

1. სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლებას მრეწველობის დონემდე, 2. ხელით შრომის თანდათანობით შეცვლას მანქანური შრო-

[8] Социальная программа девятой пятилетки. М., 1972, стр. 110.

მით — შრომის პირობების გაუმჯობესებასა და გაჯანსაღებას, 3. ცოცხალი შრომის ეკონომიას; ფიზიკური შრომის ხვედრითი წონის შემცირებას და გონებრივი შრომის ხვედრითი წონის ზრდას, 4. შრომითი ფუნქციების გაფართოებას შრომითი ოპერაციების შეთავსების საფუძველზე, 5. შრომის შემოქმედებითი ხასიათის გაძლიერებას, 6. სამუშაო დროს შემცირებას შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე, 7. მშრომელთა საერთო-კულტურული და პროფესიულ-ტექნიკური ჰორიზონტის გაფართოებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად სოფლად ჩნდება ისეთი პროფესიები, რომლებიც ადრე „წმინდა ქალაქურ“ პროფესიებად ითვლებოდა: გამწყობები, ოპერატორები, ტექნოლოგები, დისპეტჩერები, ელექტრიკოსები და სხვ. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ შრომის ორგანიზაცია და დანაწილება ხდება იმის მიხედვით, თუ როგორ იარაღებს ფლობს იგი[9]. სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის შეცვლასთან დაკავშირებით, იცვლება წარმოების ტექნოლოგია, ორგანიზაცია და ფორმები.

განსაკუთრებით მზარდ ჯგუფს სოფლის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში მექანიზატორები წარმოადგენენ. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში 1965 წელს მუშაობდა 3094 ათასი მექანიზატორი, 1976 წელს — 4074 ათასი. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში 1976 წელს დასაქმებული იყო 30,9 ათასი მექანიზატორი[10]. თანამედროვე მექანიზატორი, როგორც წესი, ფართო პროფილის სპეციალისტია. იგი ფლობს მანქანური ტექნიკის საფუძვლებს; მრეწველობის მუშისაგან განსხვავებით, მას წაეყენება, აგრეთვე, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საფუძვლების ცოდნის მოთხოვნილებაც; ამდენად, იგი განასახიერებს თანამედროვე სოფლის ახალ სოციალურ ტიპს.

მექანიზატორთა კადრების ხვედრითი წონის ამაღლება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რიცხვში კეთილსასურველ ზეგავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სეზონურობის შემცირებაზე. მექანიზატორთა შორის სეზონურობის წლიური კოეფიციენტი 2—2,4-ჯერ დაბალია, ვიდრე ხელით შრომაზე დასაქმებულებისა. მექანიზატორთა აბსოლუტური რიცხვისა და მათი ხვედრითი წონის სწრაფი ზრდა მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა რიცხვის თანდათანობითი შემცირების პირობებში. 1965 წ. სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობაში დასაქმებული იყო მოსახლეობის 31%, ხოლო 1975 წ. — 23%. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების შედეგად გაწეული შრომა თანდათან გადაიქცევა ინდუსტრიულის ნაირსახეობად, რაც იწვევს სოფლად ტექნიკური ინტელიგენციის რიგების გაფართოებას. იზრდება სოფლად დასაქმებულ მოსახლეობაში მუშაკთა იმ ჯგუფის ხვედრითი წონა, რომელშიც შედიან ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

აღნიშნულის მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიულის ნაირსახეობად გადაქცევის გზაზე დაბრკოლებად წარმოიქმნება ტექნიკური შეიარაღების ბევრად სწრაფი ზრდა მოსახლეობის პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის განვითარებასთან შედარებით. 1966—1973 წლებში ტრაქტორების რიცხვი საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში გადიდდა 35%-ით, კომ-

[9] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 4, стр. 152.
[10] Народное хозяйство СССР в 1975 г., М., 1976, стр. 448.

ბაინებისა — 26%-ით; ამავე დროს, მექანიზატორების რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ 11%-ით[11].

საერთოდ, ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია ქალაქის მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, იცვლება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რიცხობრივი თანაფარდობა, რაც მთლიანად საბჭოთა კავშირში, წლების მიხედვით ასე გამოიხატება პროცენტულად: 1960 წ. — 49:51, 1970 წ. —56:44 და 1974 წ. —60:40; მარტო 1970 წ. დასაწყისიდან 1974 წ. 1 ივლისამდე (4,5 წელიწადში) ქალაქის მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა 15 მლნ. კაცით მაშინ, როცა სოფლისა შემცირდა 4,6 მლნ-ით[12].

მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქში გამოწვეულია მრეწველობის განუხრელი ზრდით, რაც დამატებითს მუშახელს საჭიროებს; ამასთან, სოფლის მეურნეობის დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციით მაღლდება შრომის ნაყოფიერება და ეს იწვევს მუშახელის გამოთავისუფლებას. ხშირად სოფლიდან მიგრირებული მოსახლეობა მუშაობას იწყებს მრეწველობის ისეთ დარგებში (მინერალური სასუქების წარმოება, მანქანა-ტრაქტორების საწარმოები და სხვ.), რომლებშიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქცია მზადდება. მაგრამ მიგრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია კანონზომიერი მოვლენა, როცა იგი მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების ზრდის პროპორციულად, — ყველა სხვა შემთხვევაში იგი სტიქიურია და მხოლოდ ზიანი მოაქვს.

ქალაქისა და სოფლის შეთანასწორების, მათ შორის არსებითი განსხვავების დაძლევის პროცესისათვის დამახასიათებელია მათი კავშირურთიერთობის შემდგომი ინტენსიფიკაცია. ამ ურთიერთობაში წამყვან როლს სოციალისტური ქალაქი ასრულებს, რაც გაპირობებულია სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობით. ქალაქი გამოდის საწარმოო გამოცდილების, ტექნოლოგიური სიახლეების მიმწოდებლადაც სოფლის მიმართ და პრაქტიკულად ხორციელდება მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი. მაგრამ არც სოფელი გამოდის უბრალო, პასიური მიმღების როლში: იგი თავისი პირობების შესაბამისად გარდაქმნის და ავითარებს ქალაქის ორგანიზაციულ-ტექნიკურ გამოცდილებას. თანამედროვე პროგრესის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა — ფართოდ გამოვიყენოთ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კულტურული პოტენციალი. ამ პრობლემის ყველაზე პერსპექტიული გადაწყვეტა ის არის, რომ გაძლიერდეს ჩვენი ქალაქების როგორც კულტურის ცენტრების როლი.

ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის თავისებურ ფორმად გამოდის დიდ ქალაქებთან ახლომდებარე სოფლებიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სამუშაოდ გასვლა ყოველდღიურად სამრეწველო ქალაქების საწარმოებში. ამ პროცესს შეგვიძლია ნათლად დავაკვირდეთ თბილისის ახლომდებარე სოფლების მაგალითით (მარტყოფი, ნორიო, ლილო და სხვ.), — ამის შედეგად იზრდება სოფლის ინდუსტრიული მოსახლეობის რიცხვი ქალაქში გადასახლების გარეშე; ამასთან, რადგან ეს ხალხი სოფლებში ცხოვრობს, არ მწვავდება საბინაო პრობლემა, რაც ისედაც გართულებულია დღევანდელ ქალაქში. თავის მხრივ, სოფელიც იზიდავს ქალაქის მოსახლეობას მისთვის დამახასიათებელი

[11] Вестник статистики, 1974, №10, стр. 6.

[12] Население СССР, М., 1974, стр. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი უპირატესობის გამო (ბუნებასთან სიახლოვე, ცხოვრების წყნარი რიტმი და სხვ.), ყოველწლიურად საბჭოთა კავშირში ქალაქებიდან სოფლებში გადის 1,5 მლნ. კაცი და ეს განსაკუთრებით საგრძნობია ზაფხულის პერიოდში.

მოსკოვის ოლქის სოფლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებენ სოფლური ცხოვრების ზოგიერთ უპირატესობას. იმ მცხოვრებთაგან, რომელთაც არ სურდათ სოფლიდან წასვლა, 71%-მა ამის მიზეზად დაასახელა სოფლის ცხოვრების ბუნებრივი პირობების ზოგადი უპირატესობანი, 38%-მა — აქაური სიმშვიდე, 23%-მა — სოფლის ბუნების სიყვარული, 1%-მა — ჯანმრთელობისათვის უკეთესი პირობები[13].

ამრიგად, ქალაქი და სოფელი ადამიანთა დასახლების ისეთი ფორმებია, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი უპირატესობანი. ამიტომ, მათ შორის სოციალური განსხვავების დაძლევა ნიშნავს არა ერთის გადაქცევას მეორედ, არამედ, ერთიმეორის საუკეთესო თვისებების შეძენას. მაშასადამე, *არსებითი განსხვავების დაძლევა ქალაქსა და სოფელს შორის ორმხრივი პროცესია.*

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ადგილი აქვს თვით სოფლის მოსახლეობის კონცენტრაციას უფრო პერსპექტიულ სოფლებში, მაგალითად: 1959—1970 წლებში დასახლებული სასოფლო პუნქტების რიცხვი სსრ კავშირში შემცირდა 303 ათასით ანუ 39,3%-ით[14]. მოსახლეობის ასეთ თავმოყრას დიდ სოფლებში დადებით შედეგებს განაპირობებენ: იზრდება როგორც ეკონომიკური ისე სოციალური განვითარების შესაძლებლობები. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებიან დიდ ქალაქებთან ახლომდებარე სოფლები, რომლებიც ებმებიან ქალაქური ცხოვრების ორბიტაში და თვითონ გადაიქცევიან მსხვილ საგარეუბნო პუნქტებად. ასეთ პუნქტებში ქალაქური ცხოვრების ელემენტები შერწყმული იქნება სოფლური ცხოვრების სიკეთეებთან.

რიგი უპირატესობები აქვთ პატარა და საშუალო ქალაქებს, ხოლო პერსპექტიული სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი პოტენციურად წარმოგვიდგება როგორც მომავლის პატარა და საშუალო ქალაქები, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ურბანიზაციის პროცესში. მათ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საწარმოო ძალთა გაადგილების სტრუქტურასა და ტერიტორიული გაადგილების ორგანიზაციაში. 1959—1970 წლებში ჩვენი რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობა 139 ათასი კაცით გაიზარდა მარტო სასოფლო პუნქტების ქალაქებად გარდაქმნის ხარჯზე. 1970 წლის აღწერით, საქართველოს სსრ-ში 79 სოფლის ტიპის დასახლება აღინიშნა — თითოეული 3000-ზე მეტი მცხოვრებით. ესენია ე. წ. პერსპექტიულად მზარდი სოფლები. სავარაუდოა მათი უმეტესობის გარდაქმნა ქალაქის ტიპის დასახლებებად. მომავალში კვლავაც უნდა შეიზღუდოს დიდი ქალაქების ზრდა, განვითარდეს ეკონომიკურად პერსპექტიული პატარა და საშუალო ქალაქები, რომლებშიც განლაგდება მცირე საწარმოები, მოქმედი გაერთიანებების, დიდი ფაბრიკა-ქარხნების ფილიალები და სპეციალიზებული საამქროები. მაგალითად, რესპუბლიკის ეკონომისტების სავარაუდო გაანგარიშებით, ქ. წითელწყაროს 9-ათასიანი (1970 წ.) მოსახლეო-

---

[13] Ю. В. А р у т ю н я н. Социальная структура сельского населения СССР, М., 1971, стр. 254.

[14] Население ССР, стр. 58.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა 1990 წელს გაიზრდება 23 ათასამდე, რასაც ძირითადად განაპირობებს სოფ. წითელწყაროს, ლენინოვკის და ჯაფარიძის გარდაქმნას ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებად, რაიონულ ცენტრებთან მათი შეერთება. 1975—1990 წლებში წითელწყაროს რაიონში უნდა აშენდეს მრეწველობის 16 ობიექტი, შესაბამისად გაიზრდება რაიონის სამრეწველო მოსახლეობა 740 კაციდან — 6532-მდე.

პატარა და საშუალო ქალაქები იძლევიან ქალაქისა და სოფლის ყველაზე საუკეთესო თვისებების შეხამების შესაძლებლობას.

ამრიგად, ქალაქისა და სოფლის პერსპექტიული განვითარების საკითხები ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთგანპირობებული პრობლემებია. ამიტომ არსებითი განსხვავების დაძლევა ქალაქსა და სოფელს შორის ღრმა კომპლექსური პროცესია. იგი მოითხოვს როგორც ქალაქების, ისე სოფლების კომპლექსურ პერსპექტიულ დაგეგმვას. ცნობილი ფაქტია, რომ სოფლად ეკონომიკურ გარდაქმნათა განხორციელების შედეგად დიდად არ შეცვლილა დასახლების ფორმა და მისი შემდგომი შეცვლაც არ იქნება მოკლე ხნის ამბავი. ეს არის თანდათანობითი პროცესი. თანდათანობითობა უკვე გულისხმობს იმას, რომ იგი ხორციელდება ეკონომიკური და სოციალური მიზანშეწონილობის კვალობაზე: არ შეიძლება არც მისი შეფერხება და არც ხელოვნური დაჩქარება.

---

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

გიზო ცინცაძე

## რ. დარენდორფის ზოგადსოციოლოგიური შეხედულებების კრიტიკა

რ. დარენდორფი ზოგადი სოციოლოგიის დონეზე განიხილავს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების თეორიას“ და დღევანდელი მსოფლიო ისტორიული განვითარებიდან გამოურჩევია სამი მთავარი დაჯგუფება: დასავლეთევროპული, ჩრდილოამერიკული და თანამედროვე რუსული საზოგადოებები. მისი აზრით, „ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ თითქმის ყველა ადამიანი დამოკიდებულია ინდუსტრიაზე თავისი შრომით, წარმოებული პროდუქტით და განვითარების მეცნიერულ-ტექნიკური დონით. მთლიანი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ინტენსიური დანერგვა, ქალაქების ზრდა და ხალხთა მასების კონცენტრაცია — ინდუსტრიალიზაციის ადრინდელ პერიოდთან შედარებით — ერთი მხრივ, იწვევს ერთეულ ოჯახთა მტკიცე შერწყმას, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ კონფლიქტსა და დაძაბულობას მეწარმეთა და მუშებს შორის. ეს კი წარმოადგენს თანმხვდენილ მოვლენას ინდუსტრიული პროდუქტისას“ [4].

საბჭოთა სახელმწიფოს მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნად მოხსენიება ბუნებრივია, მაგრამ გაურკვეველია იმავე უარყოფითი მოვლენების მინიშნება ჩვენთან, რომელნიც დასავლეთევროპულ და ჩრდილოამერიკულ საზოგადოებებში განსაზღვრავენ ისტორიულ პროცესს; კერძოდ, რომელ მეწარმესა და მუშას შორის კონფლიქტს გულისხმობს „თანამედროვე რუსულ საზოგადოებაში“ ავტორი?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ვითარდება გეგმაზომიერად და, რაც მთავარია, აქ გამორიცხულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, კრიზისები, უმუშევრობა. ამისი საწინდარია ის, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ გაათავისუფლა მშრომელი ადამიანი ჩაგვრის ყოველგვარი ფორმისაგან და თვით მუშა და გლეხი გახდა თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონი. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, „მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას ძალუძს გაათავისუფლოს კაცობრიობა კაპიტალის მხრივ ჩაგვრისაგან, ბურჟუაზიული დემოკრატიის, მდიდრების ამ დემოკრატიის სიცრუისა, სიყალბისა და თვალთმაქცობისაგან. მხოლოდ მას ძალუძს დაამყაროს დემოკრატია ღარიბთათვის, ე. ი. დემოკრატიის სიკეთენი ფაქტიურად მისაწვდომი გახადოს მუშებისა და ულარიბესი გლეხებისათვის, მაშინ როდესაც ახლა (თვით ყველაზე დემოკრატიულ-ბურჟუაზიული რესპუბლიკის დროს) დემოკრატიის ეს სიკეთენი ფაქტიურად მიუწვდომელია მშრომელთა უდიდესი უმრავლესობისათვის“ [2].

შემდგომ დარენდორფი კვლავ საყოველთაოდ ცნობილ აზრებს იმეორებს, რომ საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მატერიალურ სიუხვეს ინდუსტრიისაგან ღებულობს [4], აქვე იგი ზოგადი სოციოლოგიისაგან გამოყოფს წარმოების სოციოლოგიას. ამავე დროს, ავტორი უფრთხის გამოთქმას —

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გამოყენებითი მეცნიერება“ და ფიქრობს, რომ ამითი „ინდუსტრიისა და წარმოების სოციოლოგიას ემუქრება არასწორად გაგების საშიშროება, მას მიიჩნევენ არა როგორც შემეცნებას, არამედ როგორც სინამდვილის გადაკეთების ცდას. ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ „გამოყენებითობის“ გაგებამ მოგვცეს პრაქტიკული რჩევა და მეცნიერული სარჩულდადებული ლოზუნგებით გამოხატული პოლიტიკა; არამედ ნიშნავს იმას, რომ სისტემატური სოციოლოგიის საყოველთაო თეორიები გამოიყენებოდეს საზოგადოებრივი სინამდვილის შეცნობისათვის. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება დავეთანხმოთ ნ. შელსკის გონივრულ გამონათქვამს „უმჯობესია ვილაპარაკოთ სპეციალურ სოციოლოგიაზე“ [4].

რ. დარენდორფი მიმოიხილავს ინდუსტრიული წარმოებისა და საერთოდ ინდუსტრიის განვითარების ორსაუკუნოვან ისტორიას. თან ისიც აღინიშნება, რომ დღეს ინდუსტრიალიზაცია ერთნაირად არ მოიცავს მსოფლიოს ყველა ქვეყანას. აქვე მოცემულია ავტორის საყურადღებო მსჯელობა: „ინდუსტრია და წარმოების სოციოლოგია, როგორც საგანი, ისტორიული განვითარების პროდუქტადაა წარმოდგენილი, მაგრამ არ გამოიყოფა სისტემატური სოციოლოგიის მთლიანი სფეროდან — ოჯახის მეურნეობისა და პოლიტიკის ფორმები ყოველთვის არსებობს იქ, სადაც ადამიანი გვევლინება საზოგადოების წევრად“ [4].

ავტორის აზრით, „სპეციალური სოციოლოგია“ მხოლოდ „ინდუსტრიული საზოგადოების“ პროდუქტია. იგი უარყოფს გერმანელი სოციოლოგების ფორმალურ დეფინაციას, რომლის მიხედვითაც სოფლის მეურნეობა, კუსტარული წარმოება, შრომის მედიცინა, შრომის პედაგოგიკა და, უპირველეს ყოვლისა, შრომის ფსიქოლოგია — ინდუსტრიული წარმოების „სპეციალურ სოციოლოგიაში“ პოულობენ ადგილს. ამ შემთხვევაში, რ. დარენდორფს მიაჩნია, რომ „წარმოების სოციოლოგიის“ ფაქტიური განვითარება ყველა ზემოაღნიშნულ დარგზე მაღლა დგას. ავტორი ინდუსტრიის ცნების თავისებურ განმარტებას იძლევა: „...ინდუსტრია, საერთო გაგებით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სინონიმია მაშინ, როდესაც ლაპარაკობენ განსაზღვრული სამუშაოს შედეგად მიღებულ მოხმარების პროდუქტზე, ფინანსიური და კომერციული მოღვაწეობის გარეშე; მაგრამ ინდუსტრიის ცნების გაგება შეზღუდული ხდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და გამოყენებაში ჩვეულებრივი მექანიკური ძალის მოხმარების მხოლოდ სურვილით. ინდუსტრია, თავისი უკანასკნელი მიმართულებით, გულისხმობს ტექნიკური აღჭურვისა და წარმოების ობიექტის ერთობლიობას. იგი სპეციალური სოციოლოგია გახდა (მაგრამ განსაკუთრებული პრობლემის შიგნით — მექანიზებული წარმოებისა და საბადოს, მეტალურგიული ქარხნისა და ფაბრიკის) მე-18 საუკუნის შემდეგ, ინდუსტრიულმა რევოლუციამ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იწყო განვითარება. როგორც სოციოლოგია არ წარმოადგენს უნივერსალურ მეცნიერებას ადამიანებისათვის, ასევე „წარმოების სოციოლოგია“ არაა უნივერსალური მეცნიერება მრეწველობისათვის. მეცნიერებას წარმოების ორგანიზაციის შესახებ, ტექნოლოგიურ დისციპლინებს, მიღწევებს ფიზიკისა და ქიმიის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მრეწველობისათვის; რაც შეეხება ადამიანს, მისი პრობლემა ინდუსტრიულ საზოგადოებაში შეზღუდულია“ [4].

რ. დარენდორფი „ინდუსტრიულ სოციოლოგიას“ გამიჯნავს შრომასთან დაკავშირებული სხვა მეცნიერებებისაგან და იძლევა ინდუსტრიისა და წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოების სოციოლოგიის საგნის თავისებურ ანალიზს; ამასთან, მთავარ თემათა სამ სფეროს გამოყოფს: ინდუსტრიული წარმოების სოციალური სტრუქტურა, ინდუსტრიული ცხოვრების სოციოლოგიური პრობლემა და ინდუსტრია და საზოგადოება. ავტორის მიხედვით, ყოველი თემათა სფერო შეიძლება დაიყოს ინდივიდუალურ თემებად, ხოლო ცალკეული თემის გაანალიზება ამოსავალი პუნქტი იქნება ინდუსტრიული სოციოლოგიის სისტემატური კვლევისათვის. რ. დარენდორფი დაწვრილებით განიხილავს თემათა პირველ სფეროს: „ინდუსტრიული წარმოება როგორც სოციალური სტრუქტურა ხშირად განხილულია ინდუსტრიისა და წარმოების სოციოლოგიის ნამდვილ საგნად. მასში ლაპარაკია წარმოების ფორმალურ და არაფორმალურ ჯგუფებზე, მათს ავტორიტეტსა და გავლენაზე, მათს სტატუსა და კლასობრივ ორგანიზაციაზე; ხოლო, როცა საზოგადოების სტრუქტურული სურათის განხილვა ხდებოდა საყოველთაო სოციოლოგიის პოზიციიდან, მაშინ წარმოება რამდენადმე განიხილება როგორც საერთო საზოგადოებაზე დამოკიდებული წარმოების შემცირებული მოდელი. ამასთან, ის სპეციალური ინტერესი, რასაც სოციოლოგები იჩენენ ინდუსტრიული წარმოების სოციალური ორგანიზაციისადმი, მნიშვნელოვანი შეზღუდვით ხასიათდება, რაც შემდგომ დაწვრილებით უნდა იქნას აღწერილი" [4].

საინტერესო ფაქტია, რომ ინდუსტრიულ წარმოებაში მომუშავე ადამიანების ურთიერთობის გარკვევამ რ. დარენდორფი მიიყვანა კაპიტალისტური საზოგადოების კრიტიკამდე, სადაც ადამიანი ყურადღებას იპყრობს არა როგორც პიროვნება, არამედ მის რაობას განსაზღვრავენ სოციალური როლით, რასაც ესა თუ ის ადამიანი ასრულებს ამ საზოგადოებაში, — ესენი არიან: ადამიანი-ხარატი, ადამიანი-ნაკადურ ხაზზე მომუშავე, ადამიანი-მდივანი ქალი, ადამიანი-საამქროს ოსტატი, ადამიანი-საწარმოს ხელმძღვანელი და ა. შ.; ამ მხრივ, ავტორი მარტივად განსაზღვრავს მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, მათს პოზიციებსა და ამოცანებს.

ჩვენი გაგებით, აღნიშნული ფაქტი ადამიანის გაუცხოების ნათელი ხატულებაა, როდესაც პიროვნება კარგავს ინდივიდუალობას მისი შრომით შექმნილი საგნების გაფეტიშების შედეგად: „ტექნიკის განვითარებამ, რომელმაც ხელით შრომა მანქანურით შეცვალა, მუშებს დიდი უბედურება მოუტანა: იგი მუშათა ნაწილს უკან ისვრის ბარბაროსულ შრომაში, ხოლო მეორე ნაწილს კი თვით აქცევს მანქანებად" [1].

ადამიანის გასაგნებისა და გაუცხოვების ფაქტს კაპიტალისტურ სამყაროში თვით რ. დარენდორფიც არ უარყოფს, როდესაც თავისი თეორიის ერთ-ერთ საკვანძო საკითხად განიხილავს ადამიანსა და ტექნიკას შორის ურთიერთდამოკიდებულებას: „შესაძლოა არსებობდეს მოსაზრება, რომ მანქანური წარმოების მონოტონურობისა და მექანიზებული პროდუქტისადმი ადამიანის გაუცხოების (ხაზგასმა ჩვენია. — გ. ც.) საკითხის შესწავლა ფსიქოლოგებმა უფრო ადრე დაიწყეს, ვიდრე სოციოლოგებმა. ასეთი კამათი საზღვრების შესახებ არანაყოფიერია, რადგან ფაქტიურად ორივეს — სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიას — თავ-თავისი წვლილი შეაქვთ მანქანური სამყაროს ობიექტური და სუბიექტური სიტუაციის შეცნობაში [4].

რ. დარენდორფი „ინდუსტრიული შრომის სამყაროში" მოქმედ კონფლიქტებს განიხილავს როგორც „შიგასაწარმოო ფენომენს". ავტორი შეგნებულად უვლის გვერდს კონფლიქტების კლასობრივ ხასიათს და ცალკეულ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოთა შიგნით არსებული კერძო უთანხმოებებით შემოფარგლავს ამ საკითხს. მისი თქმით, „პროფკავშირებისა და მოქმედი ჯგუფების შექმნის შემდეგ გაფიცვები ხელფასის მომატებისათვის მოიცავს მთელ შტოს ინდუსტრიული დარგობრივი მრეწველობისას, მაგრამ მისი შესწავლა ძნელდება ცალკეულ საწარმოთა დაქსაქსულობის გამო. იგივე შეიძლება ითქვას ინდუსტრიული კონფლიქტების მოგვარების ფორმებისა და ფუნქციების ანალიზზე და „ინდუსტრიული დამოკიდებულებით“ გამოთქმულ ცნობილ პრობლემებზე [4].

რასაკვირველია, კაპიტალისტურ სამყაროში შიგასაწარმო კონფლიქტები მოიცავენ სრულიად განსხვავებულ საკითხებს ამ უთანხმოებათა აღმძვრელი მიზეზების შესაბამისად, ამიტომაც რ. დარენდორფი აღიარებს წარმოებისა და საზოგადოების ურთიერთობების სამ ძირითად სფეროს: ეკონომიკურს, პოლიტიკურსა და სოციალურს; ამასთან, ავტორი ეძებს კანონზომიერებებს, რათა გაარკვიოს მათი ურთიერთკავშირი. მუშა, მოსამსახურე და მეწარმე მოკლებულნი არ არიან საწარმოო ფუნქციებს, რადგან ასახავენ მთელი საზოგადოების პოზიციებს. საწარმოო და არასაწარმოო ძალთა შეფარდება, სოციალური სიტუაციები და ინტერესი მჭიდრო ურთიერთობაში არიან. ინდუსტრიული წარმოების ცალკეული მომენტები გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე შინაგანად, ხოლო საზოგადოება, — პირიქით, — წარმოებაზე. წარმოება და საზოგადოება ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან მრავალმხრივ: ეკონომიურად, პოლიტიკურად და სოციალურად. ამ გადახლართული ფორმებისა და კანონზომიერებების მოძებნა არის ინდუსტრიისა და წარმოების სოციოლოგიის ამოცანა, რადგან ამ პროცესის განხორციელებისას ინდუსტრიის სპეციალური სოციოლოგია თითქმის შეუმჩნევლად გადადის საერთო სოციოლოგიის სოციალურ სტრუქტურაში [4].

საზოგადოების სტრუქტურის მეცნიერული დახასიათება შეუძლებელია კლასების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გარეშე. ხოლო ამ თეორიის გამოყენება, მასზე სოციოლოგიური კვლევის დაფუძნება უკვე ნიშნავს კომუნიზმის მეცნიერულად დასაბუთებული იდეების აღიარებას, — ამას კი ვერ მოიწონებს ბურჟუაზიული იდეოლოგია და იგი აქედან ერთ გამოსავალს ხედავს: რამენაირად უარყოს კლასების მარქსისტული გაგება. შთაბეჭდილება გვრჩება, რომ რ. დარენდორფის მიერ მარქსის კრიტიკა წინასწარ მოფიქრებული გეგმით ხორციელდება. საყოველთაოდ აღიარებული სოციოლოგიური დებულებები მან თავისებურად, მეტად ტენდენციურად „დაალაგა“, ამასთან, წამოაყენა რიგი საკუთარი შეხედულებებისა, რომელთაგან ბევრი სადაოა, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი მიუღებელია მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ცენტრალური კომიტეტი და მისი გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მუდამ ამახვილებენ ყურადღებას კაპიტალიზმის დამცველთა იდეოლოგიური დივერსიების მიმართ. სკკპ XXV ყრილობამ საზოგადოებრივ მეცნიერებებს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა: „ავამაღლოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ შეტევითს ბრძოლაში, ბურჟუაზიული და რევიზიონისტული თეორიების კრიტიკაში, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ფალსიფიკატორთა მხილებაში“ [3].

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г. Ш. ЦИНЦАДЗЕ

# К КРИТИКЕ ОБЩЕСОЦИОЛОГИЧЕСКОЙ БУРЖУАЗНОЙ ТЕОРИИ Р. ДАРЕНДОРФА

Резюме

Представитель современной буржуазной «Теории единого индустриального общества» — Р. Дарендорф в своем труде [1] представляет «Русское общество» с высокоразвитым научно-техническим уровнем. Нельзя не согласиться с этой оценкой; однако, спорным является вопрос о делении мирового общества на три группы — Западноевропейскую, Североамериканскую и Современную русскую. Но особо подлежит критике завуалированные мысли Р. Дарендорфа, когда он отрицательные социальные явления капиталистического мира механически переносит на Советское общество.

G. Sh. TSINTSADZE

# ON TNE CRITICITSM CF ALL-SCCICLOGICAL BOURGECIS THEORY CF R. DAHRENDCRF

Summary

R. Dahrendorf, the representative of the modern bourgeo's theory on „the single industrial society“ presents „the russian society with high-developed scientific and technical level.

One can't deny the estimate of this level, though the problem of division of the world socity into three groups, West-European, North-American and Modern Russian, is disputable. And the vield ideas of R. Dahrendorf who shifts mechanically the negative social phenomena of the capitalist world into the Soviet Society are to be particularly critisized.

## ლიტერატურა

1. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 39.
2. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 28, გვ. 461.
3. სკკპ XXV ყრილობა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი, თბ., 1976, გვ. 78.
4. R. Dahrendorf. Industrie und Betribsoziologie, 1966.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტალი კაკაბაძე

# მოთხოვნილების ფსიქოლოგიური პრობლემა

შემეცნებითი ცნობიერება მოთხოვნილებას სხვადასხვა ასპექტით უდგება, ცდილობს სწვდეს ამ გარკვეულობის შინაგან ბუნებას განსხვავებულ მიმართებებში. აღნიშნული საქმის ვითარება ენობრივადაც სხვადასხვა კითხვებითაა გამოთქმული: „რა არის მოთხოვნილება“, „რა მნიშვნელობა-ღირებულება აქვს მოთხოვნილებას, როგორ ფუნქციობს ის“, „რა სახეები აქვს მას“ და სხვა. მაგრამ ამ მიმართულებით „პირველი საქმე“ დაკავშირებულია თვითონ ამ გარკვეულობის შინაარსის დადგენასთან; ეს განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია ჩვენი თემისათვის, ვინაიდან ტერმინით — „მოთხოვნილება“ — აღნიშნულია არა მარტო ფსიქიკის სხვადასხვა განზომილება, არამედ იგი გამოყენებულია არაფსიქოლოგიური მნიშვნელობითაც. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოთხოვნილების ფსიქოლოგიური შინაარსის გადმოსაცემად უნდა ვერიდოთ სხვა ტერმინების გამოყენებას, როგორიცაა: მოთხოვნა (требование, спрос) საჭიროება (Нужда), რომელთაც სავსებით კონკრეტული არაფსიქოლოგიური მნიშვნელობები აქვთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, თავიდან ვერ ავიცილებთ მოთხოვნილების ფსიქოლოგიურ საკითხთან დაკავშირებულ ისედაც ბევრ გაუგებრობას[1].

საკითხის გარჩევა უნდა დაიწყოს პასუხის გაცემით კითხვაზე: რას ეწოდება მოთხოვნილება? რა არის ის ფაქტიური ვითარება, გარკვეულობა ფსიქიკაში, რაც უნდა აღინიშნოს „მოთხოვნილების“ ტერმინით? — აქ იგულისხმება მოთხოვნილების ფენომენალური ბუნების გარკვევა, მოთხოვნილების როგორც ფენომენის ჩვენება.

გასაანალიზებლად ავიღოთ ისეთი ფსიქიკური მოვლენა, რომელსაც ყველა ჩვენგანი მოთხოვნილების ფაქტად თვლის, მაგალითად, შიმშილთან ან წყურვილთან დაკავშირებული მოთხოვნილებები, რომლებიც ბიოლოგიურ მოთხოვნილებებად ითვლება[2]. რა ბუნებას ამჟღავნებენ აღნიშნუ-

---

[1] რასაც ჩვენ მოთხოვნილებას ვუწოდებთ (потребность) სხვები მას აღნიშნავენ „ლტოლვის“ (влечение), „მიდრეკილების“ (склонность), „მოტივის“ ტერმინებითაც. ჩვენთვის მოთხოვნილება გვაროვნული ცნებაა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ცნობიერ პროცესებს, მის მოდალობებს: ლტოლვას, მისწრაფებას, წადილს, ნდომას, გატაცებას და სხვ. მიდრეკილება გაგებული გვაქვს როგორც მოთხოვნილების დისპოზიცია. მოთხოვნილება ქცევის ერთ-ერთი აღმძვრელია (Antrieb) და, ამ ასპექტით, ის ქცევის მოტივის როლს ასრულებს.

[2] საჭმლისა და წყლის მოთხოვნილებები არ უნდა აირიოს შიმშილისა და წყურვილის ორგანულ შეგრძნებებში (ამ უკანასკნელთა საპირისპიროა სიმაძღრის ანუ დანაყრებისა და წყურვილის მოკვლის შეგრძნებები). მოთხოვნილება ინდივიდის ისეთი ინტენციონალური განცდაა, რომელიც ვლინდება მისწრაფებაში საჭმლისაკენ და წყლისაკენ და თან ერთვის შიმშილისა და წყურვილის შეგრძნებებს, რომლებსაც თავისთავად არავითარი მისწრაფება არ გააჩნიათ. ტკბილისა და მჟავის შეგრძნებები ერთია, ხოლო მოთხოვნილება-მისწრაფება ტკბილისა და მჟავისაკენ — სხვა რამ. მოთხოვნილება-მისწრაფება შეიძლება მიმართული იყოს ან თვითონ სიტკბო-სიმჟავისაკენ (შეგრძნებისაკენ) ან მათი გამომწვევი მიზეზისაკენ (მაგ., თაფლის ან წნილისაკენ) ან ორივესაკენ ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი *ფსიქიკური გარკვეულობანი*? მოთხოვნილება ინტენციონალური ვითარებაა, ის საგნობრიობით ხასიათდება. მოთხოვნილება ყოველთვის რაღაცას მოთხოვნილებაა; მოთხოვნილება მიმართულია საგნისაკენ. საგნობრიობა ამ შემთხვევაში ისეთი კატეგორიაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ საგანს არ გულისხმობს. აქ იგულისხმება საერთოდ ინტენციის საგანი, რომელიც შეიძლება იყოს ფსიქიკურიცა და იდეალურიც, აქტიცა და შინაარსიც. მოთხოვნილების ფაქტში ერთმანეთისაგან უნდა გაითიშოს *მოთხოვნილების მდგომარეობა* და ამ მდგომარეობის *ინტენციონალური საგანი*; ჩვენს შემთხვევაში, წყურვილის მგდომარეობა (აქტი, პროცესი), რომელიცაა წყლის დალევისაკენ მიმართული განცდა და წყალი. ზოგჯერ ამ უკანასკნელს უწოდებენ „ობიექტურ მოთხოვნილებას" საპირისპიროდ „სუბიექტური მოთხოვნილებისა", რითაც აღნიშნავენ თვითონ მოთხოვნილების მდგომარეობას. მოთხოვნილება ეწოდება სწორედ მდგომარეობას, აქტს, პროცესს, ე. წ. „სუბიექტურ მოთხოვნილებას", რომელიც ორიგინალურადაა საგნისკენ მიმართული. საგნისაკენ მიმართულების განცდა, მოთხოვნილების შემთხვევაში, საგნისაკენ მისწრაფების, მისი „ხელში ჩაგდების", საერთოდ, საგანთან კონტაქტის, შეხების ვითარებაა. მოთხოვნილება მანამდე განიცდება ასეთად, სანამ საგანთან კონტაქტის, მისი „ხელში ჩაგდების" აქტი არ განხორციელებულა, მისი დაუფლებისა და მოხმარების პროცესი არ დამთავრებულა. მოთხოვნილების მდგომარეობა, პროცესი არაა ერთ ადგილზე მდგრადი მდგომარეობის განცდა, იგი, როგორც მიუთითებენ, დაძაბულობის ვითარებაა, რომელსაც თან ახლავს უსიამოვნების გრძნობა და აქვს იმპულსი, ბიძგი ინტენციის ობიექტის „ხელში ჩაგდებისათვის". როგორც კი მიზანი მიიღწევა, მოთხოვნილება თავის საგანში რეალიზდება (წყლის მოთხოვნილება — წყლით კმაყოფილდება), მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა აღიკვეთება. მოთხოვნილების მდგომარეობა, ამ ასპექტით, საპირისპიროა ტკბობის მდგომარეობისა, სადაც ტკბობის პროცესის დროში ხანგრძლივობა სწორედ რომ მისი ინტენციის საგნითაა განპირობებული; ტკბობის საგანი და ტკბობის აქტი დროში პარალელურად მიმდინარე პროცესებია, ისინი დროში ერთმანეთს არ სცილდებიან. მოთხოვნილების ვითარება კი ყოველთვის წინ უსწრებს მის საგანთან შეხებას. მოთხოვნილება „დაინტერესებული ჭვრეტაა" წინააღმდეგ ტკბობის ე. წ. „დაუინტერესებელი" ვითარებისა. მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა განსხვავებულია ნეტარების მდგომარეობისაგან იმ კუთხით, რომ მოთხოვნილება აქტიურობის განცდაა თვითონ ან, როგორც ამბობენ, „მოთხოვნილება შეკავებული აქტივობის სახით განიცდება"; ამდენად, იგი აქტივობის საწყისი და ბიძგია. მოთხოვნილება ქცევის აღმძვრელია, შეიცავს სინამდვილის განსაზღვრული სფეროსაკენ მიმართული *აქტივობის ტენდენციას*. მოთხოვნილება ინდივიდის ისეთი „ნეგატიური მდგომარეობაა", „უსიამოვნო დაძაბულობაა", რომელიც გულისხმობს საჭიროებას, უქონლობას ინტენციის საგნისას და, ამდენად, ის ინდივიდის ქცევას წარმართავს ე. წ. „ნეგატიური მდგომარეობის" აღკვეთისაკენ. ტერმინები: „ნეგატიური" და „უქონლობა" ფართო მნიშვნელობით უნდა გაიგებოდნენ — როგორც საერთოდ *საჭიროება* ინდივიდისა; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნილებათა ერთი ჯგუფი, რაც უკავშირდება საერთოდ „თავიდან მოშორების" ვითარებას (მაგალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად ნარჩენი ნივთიერებათაგან ორგანიზმის დაცლის მოთხოვნილებანი და მისთანანი), გამოითიშება მოთხოვნილებათა სფეროდან.

ნეტარება, როგორც აღინიშნა, უძრაობისა და არააქტიურობის მდგომარეობაა, — ის არსებული ფსიქიკური ვითარებით კმაყოფილდება; ამიტომ ნეტარების ხანგრძლივი არსებობა სუბიექტისათვის მისაღებია. სუბიექტი ნეტარების მდგომარეობას ემორჩილება, მისი „ყურმოჭრილი მონაა“, მისი უსიტყვოდ მიმღებია. ნეტარება დადებითი განწყობილებაა, მდგომარეობიდან სუბიექტს არც თვითონ უნდა გამოსვლა და იგი ინდივიდს არც უბიძგებს ამ მდგომარეობიდან გამოსვლისაკენ. ამიტომ, აღნიშნული განზომილებით, მოთხოვნილებასთან დაპირისპირებული ნეტარება „პოზიტიური მდგომარეობაა“.

მოთხოვნილებისა და ყურადღების აქტები იმ მსგავსებას ამჟღავნებენ, რომ ისინი, სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირების საზომით განხილულნი, გაიცდებიან მოძრავად; ვითარცა **მე**-ობრივი ბუნების მქონენი ისინი **მე**-დან ამოსულნი „საგნისკენ სვლადი“ პროცესებია, — ამიტომაა, რომ ყურადღება და მოთხოვნილება თვითკმარი განცდები არ არიან; მეორე მხრივ, ყურადღების ფორმალურობას (რომ ისაა საერთოდ ცნობიერების მზაობა რაიმე შინაარსის მიღებისათვის, რომ თვითონ ყურადღება არჩევას არ ახდენს) უპირისპირდება მოთხოვნილების შინაარსეულობა იმ აზრით, რომ მოთხოვნილება სვლაა რომელიმე შინაარსისაკენ, რომ მასთან საგნობრიობის მომენტი აუცილებლობითაა დაკავშირებული, — ამიტომაა, რომ არ არსებობს განყენებული ანუ ზოგადი მოთხოვნილება, რომელიც არ გულისხმობს გარკვეულ ინტენციონალურ საგნობრიობას. მაგრამ მოთხოვნილების ბუნების სპეციფიკას ქმნის მისი ე. წ. *უნივერსალური საგნობრიობა*. მოთხოვნილების აქტი ისეთი ბუნებისაა, რომ ის შეიძლება მიმართული იყოს ყოველგვარ ფსიქიკურ განზომილებაზე: როგორც შინაარსებსა და პროცესებზე, ასევე ფუნქციებსა და მდგომარეობებზე უფრო მეტიც, მოთხოვნილების საგანი (შინაარსი) შეიძლება იყოს ყველაფერი — ფსიქიკურიცა და არაფსიქიკურიც. საგნობრიობის თვალსაზრისით, მოთხოვნილება უნივერსალურია, თუმცა საგნობრიობის გაცნობიერების დონე მოთხოვნილების პროცესში, უფრო ზუსტად, მოთხოვნილების სხვადასხვა მოდალობაში, განსხვავებულია.

*რომელ ფსიქიკურ კატეგორიას განეკუთვნება მოთხოვნილება?* კლასიკურ ცნობიერების ფსიქოლოგიაში (ვ. ვუნდტი, თ. ლიპსი, ა. ბენი, თ. რიბო და სხვ.) მოთხოვნილება თავსდება ემოციურ განცდათა კლასში. აქ მოთხოვნილება განმარტებულია როგორც უარყოფითი გრძნობა, რომელსაც თან სდევს მისწრაფება უარყოფითი გრძნობიდან თავის დაღწევისა. მოთხოვნილების მჭიდრო კავშირი გრძნობა-ემოციასთან დღესაც საყოველთაოდ აღიარებულია, ს. ლ. რუბინშტეინი წერს: «Выступая в качестве проявления потребности — в качестве конкретной псхической формы ее существования, эмоция выражает активную сторону потребности»[3]. მსგავს შეხედულებას იცავს გ. შინგაროვიც: «Без эмоций потребности в психике индивида и личности не существуют как таковые, перестают быть активным элементом сознания, мотивировать поведение, регулировать деятельность организма»[4]. მოუ-

---

[3] С. Л. Рубинштейн. Основы общей психологии, Москва, 1946, стр. 460.

[4] Г. Х. Шингаров. Эмоции и чувства как форма отражения действительности, Москва, 1971, стр. 111—112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანილ მსჯელობებში მითითებულია მოთხოვნილებისა და გრძნობა-ემოციის კავშირზე. მაგრამ საკითხი ამჟამად დგას არა მოვლენათა ურთიერთკავშირის შესახებ, არამედ გასარკვევია მოვლენის რაობა: *რა არის მოთხოვნილება — ემოცია თუ არა ემოცია? მსჯელობა*, რომ ემოცია თან ერთვის მოთხოვნილების პროცესს, არაა პასუხი კითხვაზე, თუ რა არის მოთხოვნილება.

ვფიქრობთ, მოთხოვნილება უნდა განსხვავდეს საკუთრივ გრძნობა-ემოციისაგან, რაც ეფუძნება მათს ინტენციათა თავისებურებას, მათს ორიგინალურ და სპეციფიკურ განცდითს თავისებურებას. ეს ვითარება მკაფიოდ ჩანს საგანთან მათი მიმართების ბუნებაში. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მხედველობის გარეთაა დატოვებული მარტივი გრძნობები, ვინაიდან ისინი საერთოდ საგნობრივ-ინტენციონალური ბუნებისა არ არიან (ერთმანეთში არ უნდა აირიოს მიზეზი და საგანი. მარტივი გრძნობები უმიზეზონი არ არიან, ისინი ყოველთვის რომელიმე მოვლენით არიან განპირობებულნი, გამოწვეულნი, მაგრამ მათ არ გააჩნიათ საგნობრიობის ინტენცია). რთული გრძნობების ანუ ემოციების ინტენციის სპეციფიკა იმაში იჩენს თავს, რომ საგანთან ემოციის დამოკიდებულება, გარკვეული აზრით, დისტანციურია. მაგალითად, სიყვარულის ემოცია ითმენს საგნისადმი დაპირისპირებას დისტანციურად, მისგან შორს ყოფნას. ხოლო საგნის ფლობა, მასთან სიახლოვე-კონტაქტი ემოციას „აცოცხლებს" „ასაზრდოებს", მას ძლიერსა და დროში უფრო გამძლეს ხდის. ასეთი სრულებითაც არაა მოთხოვნილება. მოთხოვნილების მიერ მისი საგანი უნდა მოხმარებული იქნეს და ამ აქტის შემდეგ მოთხოვნილება კმაყოფილდება, ქრება, მისგან აღარაფერი რჩება. ამ აზრით, მოთხოვნილება საგანთან რეალურ დამოკიდებულებაში მომენტანურია მაშინ, როცა ემოცია ხანგრძლივია. მოთხოვნილება განიცდება რაღაც უქონლობის სახით, აქ საჭიროების მომენტია წინ წამოწეული; ემოციას არაფერი ესაქმება *ნაკლულობასა და საჭიროებასთან*, იგი მათ არ ეხება (შიშის განცდა არაა ნაკლულობის შევსებისაკენ მოწოდება, იგი არც ინდივიდის საჭიროების დაკმაყოფილებაა). მოთხოვნილების პროცესს ყოველთვის თან ახლავს უარყოფითი გრძნობითი ელფერი; ამასთან ერთად, ინდივიდს აქვს მისწრაფება უარყოფითი გრძნობისაგან თავის დაღწევისა. ემოციის შემთხვევაში ასეთი ვითარება არაა. მაგ., მწუხარების (თანამწუხარების) ემოცია უარყოფითი განცდაა, მაგრამ მისგან თავის დაღწევა, ბევრ შემთხვევაში, სრულებითაც არაა ინდივიდის მისწრაფება. პირიქით, ინდივიდი, ასე ვთქვათ, მწუხარებაში აფარებს თავს, აღნიშნული ემოციური ვითარება მისი ხსნა და მისაღები მდგომარეობაა; მისკენ ინდივიდი აქტიურადაც მიემართება, ვინაიდან მას დადებით ღირებულებად თვლის.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ემოცია ინდივიდის საპასუხო რეაქციაა არსებულ სიტუაციაზე, რომელიც ხელსაყრელია ან არახელსაყრელია მისი არსებობისათვის, შესატყვისია ან არაშესატყვისია მის ღირებულებითს ნორმებთან და განწყობილებებთან. ამ აზრით, ემოციის აღმოცენება განპირობებულია უფრო მეტად გარემოს სიტუაციური ცვლილებებით, — ვიდრე ინდივიდის საკუთარი შინაგანი ფუნქციობის აუცილებლობით. ერთი სიტყვით, ემოცია გარედან მოსულად განიცდება; ინდივიდს ემოცია, ასე ვთქვათ, „თავს ეხვევა". ამის საპირისპიროდ, მოთხოვნილება ყოველთვის ინდივიდიდან მომდინარედ განიცდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოთხოვნილების თავისებურება იმაშიც ჩანს, რომ, გრძნობის ირადიაციისა და დიფუზურობისაგან განსხვავებით, გარკვეული აზრით, მოთხოვნილება დამოუკიდებელია, ერთდროულად არსებულ სხვა მოთხოვნილებებში მისი შერევა არ ხდება. შიმშილისა და წყურვილის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში, ისინი ერთმანეთის მიმართ ავტონომიურობას ინარჩუნებენ, დამოუკიდებლად განაგრძობენ არსებობას; მათ ქცევის გამომწვევი და წარმმართველი საკუთარი ენერგია-იმპულსები აქვთ.

მოთხოვნილება ისეთ ქცევას განაპირობებს, რომელიც საჭიროა მხოლოდ აწმყოსათვის — აწმყოში მოხმარების აქტს. მოთხოვნილება ერთი მიზნით განსაზღვრავს მთელ მოქმედებას: დაკმაყოფილდეს თვითონ და ამასთან ერთად, რაც მთავარია, სწრაფად, უახლოეს დროში. მოთხოვნილება ვერ აღძრავს ისეთ ქცევას, რომელიც თვითონ არ ემსახურება მისი დაკმაყოფილების საქმეს. თვითონ მოთხოვნილების არსებობა და რეალიზება აწმყოობაა, მან არ იცის ხვალინდელი დღე. დაყოვნება და თავშეკავება მისი ბუნებიდან გამორიცხულია[5]. ამიტომ, ამ კუთხით. ის განსხვავდება, მაგალითად, განზრახვის ვითარებისაგან, რომელიც პროსპექტული აქტია, მიმართულია მომავლისაკენ. განზრახვა „ითმენს“ საგნის დაუფლების დროში გადაადგილებას ისე, რომ ამ ვითარებით აღძრული ქცევა შეიძლება უშუალოდ არც ეხებოდეს მისი ინტენციის საგანს. ინდივიდის მოთხოვნილების ძახილი — „მე ახლა ასე მინდა“ უპირისპირდება ინდივიდში ნორმატული ვითარებით (ნებისყოფით) აღძრულ მოთხოვნას — „შენ ასე უნდა გინდოდეს“.

გადმოვეცით მოთხოვნილების ფენომენოლოგიური მხარე, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზოგიერთი მომენტის გათვალისწინებით. რას გვეუბნება ზემოგათვალისწინებული ვითარება მოთხოვნილების რაობის თაობაზე? შეიძლება თუ არა ის ჩაითვალოს გრძნობა-ემოციის გარკვეულობად? — ჩვენ გვგონია, რომ არა. მოთხოვნილება არაა ემოცია, იგი ორიგინალური ბუნების მქონე წარმონაქმნია (Gebilde).

ტერმინი — წარმონაქმნი სპეციფიკური შინაარსის აღმნიშვნელია. ისტორიულად წარმონაქმნის ცნებაში განსხვავებული შინაარსები იგულისხმებოდა, მაგრამ მასში ერთი მომენტის მნიშვნელობა დომინირებდა მაინც — სირთულეზე მითითება. ფუნქციონალური ფსიქოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფსიქიკის ელემენტების ძიებას და ანალიზური თვალსაზრისის უპირატესი მომარჯვებით, ფსიქიკის შემადგენელი მარტივი ნაწილების დადგენას ისახავდა მიზნად; ამ საქმეს მან დამაკმაყოფილებლად გაართვა თავი, — ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ე. წ. მთლიანობითი ფსიქოლოგიების სხვადასხვა მიმართულებამ შესწავლის ობიექტად გაიხადა ფსიქიკის სხვა განზომილება — ფსიქიკური მთლიანობა; მაგრამ „ფსიქიკა როგორც მთელი“ ერთი მნიშვნელობით არ იყო გაგებული: აქ იგულისხმებოდა როგორც ფსიქიკის ცალკე მოდალობების მთლიანობა, ასევე ფსიქიკა, საერთოდ, როგორც ერთი მთლიანობა. არც მთლიანობის ცნება გამოიყენებოდა ერთი ყველასათვის მისაღები მნიშვნელობით, — ის ზუსტად არ იყო გათიშული ერთიანობის ცნებისაგან და ა. შ.

[5] Ш. Н. Чхартишвили. Место потребности и воли в психологии личности, ж. «Вопросы психологии», 1958, გვ. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლაპარაკობთ აღქმის განცდაზე (საგნობრიობის განცდა შეგრძნების საშუალებით) როგორც ისეთ წარმონაქმნზე, სადაც აღქმითი მთლიანობა მისი შემადგენელი ელემენტების — შეგრძნებების გზით, მათზე დაყრდნობით ხორციელდება, მიიღწევა. მაშასადამე, აღქმა როგორც წარმონაქმნი ისეთი ერთი მთლიანია, რაც აგებულია ერთგვაროვანი ელემენტების (შეგრძნებების) ბაზაზე. ფსიქიკურ სინამდვილეში დასტურდება ისეთი ერთი მთლიანი განცდები, რომელთა შემადგენლობა ერთგვაროვანი ელემენტებით არ ამოიწურება; ამ მთლიანობის ორიგინალური ბუნება გამოიყვანება, მიიღება არაერთგვაროვანი, ჰეტეროგენული ელემენტების მონაწილეობით. ასეთია სახელდობრ მოთხოვნილების ფენომენი. ანალიზური ცნობიერება მასში ადასტურებს თვითონ სპეციფიკურ *ინტერნაციონალურ აქტს* მოთხოვნილებისას, რომელსაც ორგანულად ერწყმის *გრძნობისა* და *შემეცნებითი*, *ინტელექტუალური* მომენტები. აღნიშნული მომენტების მთლიანობა, რომელიც განიცდება როგორც ერთი, არის მოთხოვნილების ფენომენი. მაშასადამე, ერთგვაროვან წარმონაქმნს (აღქმა) უპირისპირდება ისეთი წარმონაქმნი (მოთხოვნილება), და ესაა სწორედ წარმონაქმნის პირდაპირი და ნამდვილი მნიშვნელობა, რომელიც ჰეტეროგენული მომენტების სინთეზია. როცა ვუთითებთ, რომ მოთხოვნილება არაა გრძნობა-ემოციის კატეგორია, არამედ ისაა სპეციფიკური წარმონაქმნი, ზემოაღნიშნული საქმის ვითარებაა მხედველობაში მიღებული. მოთხოვნილების ეს ბუნება კარგად ჩანს მისი მოდალობების ანალიზიდან, რომლის შესახებ მსჯელობა გვექნება ქვემოთ.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ *მოთხოვნილებასა* და *მოთხოვნილების იდეას*. მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა ინდივიდის კონკრეტული ცნობიერი პროცესია, ხოლო მოთხოვნილების იდეა — ესაა ცოდნა, აზრი ამ ცოცხალი ცნობიერი ფსიქიკური პროცესის შესახებ. ამიტომ მოთხოვნილების იდეა (ანუ ცოდნა, გაგება) მისი რომელიმე კონკრეტული სახის შესახებ იმასაც შეიძლება ჰქონდეს, ვისაც ეს კონკრეტული მოთხოვნილება რეალურად უშუალოდ არ განუცდია. იდეა, ცოდნა თამბაქოს წევის მოთხოვნილების შესახებ იმასაც შეიძლება ჰქონდეს, ვინც მას საერთოდ არც კი გაჰკარებია. ჩვენ შიმშილის ან წყურვილის იდეა მაშინაც გვაქვს, როცა მაძღარნი ვართ და არც გვწყურია[6].

ფსიქოლოგიაში გამოყენებულია „კვაზიმოთხოვნილების" („თითქოს — მოთხოვნილების") ცნებაც. კ. ლევინის ტოპოლოგიურ ფსიქოლოგიაში ერთმანეთისაგან განსხვავებულია ბუნებრივი ანუ *ნამდვილი მოთხოვნილება* და *თითქოს-მოთხოვნილება*. ნამდვილი მოთხოვნილება ანუ იგივე ლტოლვის მოთხოვნილება რეალურად მიმდინარე პროცესია, დაძაბულობის განცდაა, რომელიც განაპირობებს კონკრეტული შინაარსის ქცევას: ლტოლვის მოთხოვნილება იმპულსური ქცევის აღმძვრელის როლში გამოდის. კ. ლევინისათვის თითქოს-მოთხოვნილება კონდიციონალურ-გენეტური ცნებაა. აქ იგულისხმება ისეთი ვითარება, რომელიც საფუძვლად ედება განზრახვითს მოქმედებას, გადაწყვეტილებით მიღებული აქტივობის განხორციელებას, — ეს იგივე ნებისმიერი მოქმედებისათვის საჭირო აღმძვრე-

---

[6] იხ. შ. *ჩხარტიშვილის* მითითებული ნაშრომი, გვ. 120. შდრ. აგრეთვე, ზ. *ხოჯავა*. „ლტოლვა" სიტყვის ფსიქოლოგიურ ტერმინადვარგისობისათვის, ფსიქოლოგია, ტ. X, 1956.

ლი და განმახორციელებელი ფსიქიკური ძალაა. განზრახვა იწვევს ფსიქიკურ ძალთა ველში დაძაბულობას (ისევე, როგორც ორგანიზმული მოთხოვნილება, მაგ., შიმშილი იწვევს დაძაბულობას), რაც აღნიშნულია სწორედ თითქოს-მოთხოვნილების ტერმინით. ავტორისათვის თითქოს-მოთხოვნილების ვითარება გააზრებულია ცნობიერების მიღმა არსებულად, ის განცდითი ფენომენი არაა[7].

საერთოდ, მოთხოვნილების არსებობის ფორმაზე აზრთა სხვადასხვაობაა საბჭოთა ფსიქოლოგიაშიც. ამ საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია შემდეგი: მოთხოვნილების ფსიქოლოგიურ ცნებაში უნდა იგულისხმებოდეს ცნობიერებაში მიმდინარე მოთხოვნილების პროცესი, ის ფსიქიკური მდგომარეობა, რომლის ფენომენოლოგიური აღწერა ზემოთ იყო მოცემული; ყოველივე იმას, რაც ცნობიერების ფარგლებს გარეთაა (ფიზიოლოგიური ან ფიზიკური), რაც აუცილებელი პირობაა ცნობიერებაში არსებული მოთხოვნილების რეალური არსებობისათვის, მაგრამ თვითონ მოთხოვნილების ცნობიერ ფსიქიკურ პროცესს არ წარმოადგენს, არ შეიძლება ეწოდოს მოთხოვნილება. ზოგჯერ მოთხოვნილების სინონიმად იხმარება „მიდრეკილების" (ტენდენციის) ტერმინი და ამასთან მოთხოვნილება გაგებულია როგორც „ადამიანის ფიზიკური ორგანიზაცია"[8]. მოთხოვნილება რომ სწორედ ცნობიერ ფსიქიკურ მდგომარეობას უნდა ეწოდოს; ამაზე მეტყველებს დაავადების ისეთი ფორმა ადამიანის ორგანიზმისა, როდესაც ორგანიზმს აქვს საჭიროება საკვები ნივთიერების მიღებისა, მაგრამ ამ საჭიროებას ადამიანი არ განიცდის ცნობიერებაში გამოვლენილი ფსიქიკური იმპულსის (ანუ მოთხოვნილების) სახით, რომელიც აამოქმედებდა ადამიანს ობიექტური საჭიროებისათვის და ორგანიზმი გამოფიტვით აღარ დაიღუპებოდა[9].

მიდრეკილება უნდა ეწოდოს არაფსიქიკურ დისპოზიციურ მდგომარეობას, უნარს — ინდივიდში ყოველი საჭირო კონკრეტული ვითარების შესატყვისი ცნობიერი პროცესის ანუ მოთხოვნილების აღმოცენებისას. მაგ. როცა ვამბობთ, რომ გვაქვს კითხვის მიდრეკილება, ეს ნიშნავს — ჩვენში არის უნარი, ქრონიკული მდგომარეობა, რომ კონკრეტულ ვითარებაში აღმოცენდეს კითხვის ცნობიერი მოთხოვნილება, აქტუალური პროცესი, იმპულსი, რომელიც გვაიძულებს, გვაქეზებს კითხვის აქტის განხორციელებისაკენ. თვითონ მოთხოვნილების დისპოზიცია ანუ მიდრეკილება თავისთავად მოქმედების ძალას მოკლებულია.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ აზრს მოთხოვნილების პ ო ტ ე ნ ც ი უ რ ა დ არსებობის შესახებ, ვინაიდან, საერთოდ, თვითონ ფსიქიკას პოტენციური არ-

---

[7] K. L e w i n, Vorsatz, Wille und Bedürfnis, Psychologische Forschung, Bd. VII, Berlin, 1926.

[8] ზ. ხ ო ჯ ა ვ ა. მოთხოვნილების საკითხისათვის საბჭოურ ფსიქოლოგიაში, „ფსიქოლოგია", ტ. X, 1956, გვ. 5, შეად. ავტორის ზემომითითებული ნაშრომი, გვ. 227—231.

დ. უ ზ ნ ა ძ ე თვლის, რომ „მოთხოვნილება ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმის ყოველ მდგომარეობას შეიძლება ეწოდოს, რომელიც საჭიროებს რა გარემოს შეცვლას, ამისთვის აუცილებელ აქტიობის იმპულსებს იძლევა". განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგია", ტ. VI, თბილისი, 1949, გვ. 44.

[9] В. Н. М я с и щ е в. О потребностях как отношениях человека, Ученые записки ЛГУ, № 265, გვ. 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებობა არ გააჩნია[10]. როგორც აღინიშნა, ცნობიერების ფარგლებს გარეთ არსებული შესაძლებლობა მოთხოვნილების წარმოშობისა არაა თვითონ მოთხოვნილება, ამიტომ შესაძლებლობა პოტენციური მოთხოვნილება არაა. ფსიქიკა არ არის უწყვეტი არსებობის მქონე (მატერიალურის, ფიზიკურის მსგავსი), იგი წყვეტილია; მას აკუტური არსებობა აქვს და, ამდენად, მის პოტენციურ არსებობაზე მსჯელობას აზრი ეკარგება ფსიქიკის არასუბსტანციონალური გაგების შემთხვევაში (როცა ფსიქიკა ტვინის თვისებადაა მოაზრებული).

მოთხოვნილება, როგორც ასეთი, მიმართულია საგანზე. მოთხოვნილება და მოთხოვნილების საგანი განუყრელ ერთიანობას ქმნის. მაგრამ საქმე ისაა, რომ მოთხოვნილების საგანი განსხვავდება გამღიზიანებლისაგან (ე. წ. „გასაღები“, ასამუშავებელი გამღიზიანებლისაგან) იმით, რომ პირველი არ არის მკაცრად გათვალისწინებული; ამ შემთხვევაში პოტენციურად იქმნება საკმაოდ ფართო სფერო საგნობრიობისა, რომლის საზღვრები თითქოსდა გადარეცხილია[11]. ამიტომ ლაპარაკობენ მოთხოვნილების „ერზაცისა“[12]. და მოთხოვნილების საგნის „დიფუზურობის“ შესახებ, რომელიც შემდგომ დიფერენცირებული ხდება (თუმცა დასტურდება საპირისპირო პროცესიც)[13].

**მოთხოვნილების კლასიფიკაციის შესახებ.** ჩვენ მოთხოვნილება დავახასიათეთ ფენომენოლოგიური თვალსაზრისით, ე. ი. აღვწერეთ ის, როგორც ცნობიერების ორიგინალური შინაარსი, განცდა. ცოტა რამ ითქვა მოთხოვნილების ფუნქციის შესახებაც, მაგრამ ამ კუთხით არ განხილულა საკითხი მოთხოვნილების როლისა და მნიშვნელობის შესახებ ინდივიდის ქცევის განხორციელებასთან მიმართებით. აღნიშნული საკითხი საბჭოთა ფსიქოლოგიაში სხვადასხვანაირად წყდება: ზოგი მოთხოვნილებას თვლის ქცევის ერთადერთ აღმძვრელად, ზოგისთვის კი ის ქცევის მხოლოდ ერთ-ერთი განმაპირობებელია. ამ სადავო საკითხის გარჩევა სხვა დროისთვის უნდა გადავდოთ.

როცა საკითხი დგას მოთხოვნილების კლასიფიკაციის (მისი სახეების ან ფორმების) შესახებ, აუცილებელია ნათლად გვქონდეს გაცნობიერებული მოთხოვნილების ფენომენოლოგიური თავისებურებანი. ჩვენ ამ კუთხით შევეცდებით მოთხოვნილებათა სახეების დაყოფა-დახასიათებას. ეს არ გამორიცხავს, რა თქმა უნდა, სხვა საკლასიფიკაციო ნიშნის გამოყენებას მოთხოვნილების სახეებად დაყოფის საქმეში. ამის ბევრი მაგალითი გვაქვს ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში, რომელთაგანაც რამდენიმეს აქვე მოვიყვანთ[14].

---

10 «Потребности могут в течение значительного времени не осознаваться имеющим их человеком. Пока та или иная нужда человека не отражена, не представлена в сознании, потребность находится в потенциальном состоянии». Г. А. Фортунатов и А. В. Петровский, Проблема потребностей в психологии личности, ж. «Вопросы психологии», 1956, №4, стр. 18.

11 А. Н. Леонтьев. Потребность, мотивы и эмоции (конспект лекций), МГУ, 1971, стр. 6.

12 D. Katz. Zur Grundlegung einer Bedürfnispsychologie, Zeitschrift für Psychologie, Bd. 129, H. 4—6, 1933, p. 299

13 K. Lewin. Vorsatz, Wille und Bedürfnis, Psychologische Forschung, Bd. VII, Berlin, 1926.

14 ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში მოთხოვნილების კლასიფიკაციის რამდენიმე სხვა ცდა მოყვანილია შ. ჩხარტიშვილის წიგნში—„აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია“, თბილისი, 1974,—ესენია: ა. ფენდერის, ფ. ლერშის, ა. მურეის შეხედულებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კატცი[15] მოთხოვნილებებს სამი თვალსაზრისით აჯგუფებს:

1. ცხოვრებისეული სფერო — ვიტალური, სოციალური, ინტელექტუალური, რელიგიური და სხვ.;

2. მნიშვნელობის სფერო — გვარისეული, სახისეული, ეროვნული, რეგიონალური, ტიპობრივი, ინდივიდუალური და სხვ.;

3. წარმოშობის სფერო — თანშობილი, შეძენილი, ბუნებრივი, ხელოვნური, პრიმიტიული, კულტურული.

ლუდვიგ სცონდი[16] ლაპარაკობს ლტოლვების (ეს იგივე მოთხოვნილებებია) ოთხ ძირითად ვექტორზე:

1. სექსუალური, 2. მოულოდნელობის, 3. მე-ლტოლვის, 4. კონტაქტის. ამათგან თითოეულს ცალკე აქვს მეტ-ნაკლებად შემავსებელი ფაქტორი:

ა) სექსუალური ვექტორის — ალერსისა (სინაზის) და აგრესიის,

ბ) მოულოდნელობის ვექტორის — სიკეთისა და საკუთარი თავის ჩვენების,

გ) მე- ლტოლვის ვექტორის — მეს შეზღუდვისა და მეს გავრცობის ტენდენციები,

დ) კონტაქტის — ახალი ობიექტის ძიება და შეძენილი ობიექტის შეზღუდვა.

ლუდვიგ კლაგესი[17] ორ ჯგუფად ყოფს მამოძრავებელ ძალებს ანუ მოტივებს — დამკვიდრებისა და მიძღვნის ძალებად:

| I ჯგუფი | II ჯგუფი |
| --- | --- |
| ანგარება | სამშობლოს სიყვარული |
| კრიტიკის წადილი | ბუნების სიყვარული |
| გამრჯელობა | სიკეთე |
| სიმარჯვე | გულწრფელობა |
| პატივმოყვარეობა | თავდადება |
| ქედლუცობა | მოწიწება (რიდი) |
| ანგარიშიანობა | თანამწუხარება |
| შური | სულგრძელობა და მისთ. |
| ღვარძლიანობა და მისთ. | |

ჰ. როორახერი[18] უთითებს ადამიანის „ძალების" ხუთ ჯგუფს:

1. ვიტალური — შიმშილი, ძილი, სქესობრივი და დედობის ლტოლვა;

2. სოციალური — ძალაუფლების სწრაფვა, სამაგიეროს გადახდის, იჭვის, მნიშვნელობისკენ სწრაფვა;

3. ფუნქციონალური — ცნობისმოყვარეობა, ბრძოლის ჟინი;

4. ვნებები — თამბაქოს წევა, ტკბობა-ალკოჰოლით, ნარკოტიკით და ა. შ.

5. ინტერესი ანუ კულტურული ლტოლვა — ცოდნის, ესთეტიკური, რელიგიური.

საბჭოთა ფსიქოლოგიაში მოთხოვნილების კლასიფიკაცია ძირითადად ემყარება ადამიანში ბიოლოგიურისა და სოციალურის განსხვავებას და აქედან გამომდინარე მოთხოვნილება დაყოფილია ბიოლოგიურ და სოციალურ სახეებად. მოთხოვნილებები დაყოფილია ასევე მატერიალურ და სულიერ სახეებად, რომელთა აღსანიშნავად აგრეთვე გამოყენებულია სხვა ტერმინებიც. მატერიალურ მოთხოვნილებას აღნიშნავენ აგრეთვე ტერმინებით: ბუნებრივი, ფიზიკური, ნატურალური, პრაქტიკული, აუცილებელი; ხოლო სულიერ მოთხოვნილებას ეწოდება ასევე: კულტურული, ინტელექტუალური, ზნეობრივი და ესთეტიკური მოთხოვნილება.

[15] D. Katz. Zur Grundlegung einer Bedürfnispsychologie, Zeitschrift für Psychologie, Bd. 129, H. 4—6; შეად. Handbuch der Psychologie, Basel, 1951, გვ. 20.

[16] L. Szondi. Experimentelle Triebdiagnostik, Bern, 1947.

[17] L. Klages. Die Grundlagen der Charakterkunde, Leipzig, 1936.

[18] H. Rohracher. Einführung in die Psychologie, Wien-Insbruk, 1951.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. უზნაძე ერთმანეთისაგან განასხვავებს სუბსტანციონალურ და ფუნქციონალურ მოთხოვნილებებს. სუბსტანციონალური მოთხოვნილება — ეს იგივე საგნობრივი მოთხოვნილებაა, ხოლო ფუნქციონალური მოთხოვნილება არის თვითონ აქტივობის მოთხოვნილება[19]. შ. ჩხარტიშვილი მოთხოვნილებებს სამ ჯგუფად აერთიანებს: ბიოგენური, ფსიქოგენური და სოციოგენური[20], ამ შემთხვევაში, ყურადღება ექცევა მოთხოვნილების აღმოცენების სფეროს და მისი ფუნქციობის ასპარეზს.

როგორც აღინიშნა, მოთხოვნილებათა საკლასიფიკაციო ნიშნად შეიძლება აღებული იქნეს მისი რომელიმე ფენომენოლოგიური თავისებურება. მაგალითად, თუ ასეთ ნიშნად ავიღებთ გაცნობიერების დონეს, მაშინ მოთხოვნილების სახეები გაცნობიერების ზეაღმავალი ხაზის მიხედვით ასეთი თანმიმდევრობით განლაგდებიან: ლტოლვა, წყურვილი, წადილი (სურვილი), მისწრაფება, გატაცება, ნდომა, ნატვრა, ინტერესი. ჩვენი გაგებით, მოთხოვნილება გვაროვნული ცნებაა, რომელიც მოიცავს დასახელებულ მოდალობებს; ხოლო უკანასკნელნი გულისხმობენ როშელობებს. როცა ვლაპარაკობთ ცნობიერების ან გაცნობიერების დონეზე, მხედველობაშია მიღებული არა მხოლოდ მოთხოვნილების აქტი, პროცესი (ე. წ. სუბიექტური მოთხოვნილება), არამედ მოთხოვნილების საგანიც (ე. წ. ობიექტური მოთხოვნილება). მოთხოვნილების აქტი, და საგანი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ მოთხოვნილების პროცესის რეალურ მიმდინარეობაში. მაგრამ მათი გაცნობიერების განსხვავებული დონეებიც ფაქტიური ვითარებაა. მოთხოვნილების აქტის, პროცესის მაღალ დონეს (ინტენსიურსა და ნათელ განცდას) შეიძლება მისი ინტენციონალური საგნის გაცნობიერების დაბალი დონე ახლდეს თან ან — პირიქითაც. (ყურადღების ობიექტის ნათელი და ინტენსიური განცდა მხოლოდ ყურადღების ინტენსიობაზე არაა დამოკიდებული — ეს ანალოგია შეგვეძლო მოგვეყვანა, მოთხოვნილებისა და მისი საგნის გაცნობიერების ინტენსიობათა დონეების დასახასიათებლად). რა თქმა უნდა, დაკვირვებულმა ანალიზმა შეიძლება დაადასტუროს მოთხოვნილების სხვა მოდალობები და დასახელებულთაგან ზოგი უკუაგდოს როგორც არასპეციფიკური, — ეს მომავალი კვლევა-ძიების საქმეა. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მოთხოვნილების მოდალობათა ბუნებას. მოთხოვნილების გაცნობიერების დონეები არსებითად არიან დაკავშირებულნი მოთხოვნილების რთული წარმონაქმნის ე. წ. მხარეებთან: თვითონ მოთხოვნილების ინტენციონალური აქტის, ინტელექტუალური და ემოციური მომენტების „წარმომადგენლობასთან“ მთლიან მდგომარეობაში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოთხოვნილების ამა თუ იმ მოდალობის დონეზე დასტურდება მოთხოვნილების აღნიშნული არსებითი შემადგენელი მომენტების მონაწილეობის „დოზა“. ზოგ მოდალობაში ინტელექტუალური მომენტი მაქსიმალურადაა წარმოდგენილი (მაგ., ნდომა, ნატვრა და ინტერესი), რამაც ზოგიერთს საბაბი მისცა, რომ ინტერესი წმინდა შემეცნებით პრო-

---

[19] დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგია, VI, 1949, გვ. 44—47.

[20] შ. ჩხარტიშვილი. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, გვ. 113—114. საერთოდ მოთხოვნილებათა კლასიფიკაციის სხვადასხვა სახეზე იხ. I საკავშირო კონფერენციის მასალები: «Проблемы формирования социогенных потребностей», Тбилиси, 1974.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცესად ჩაეთვალა[21]. მეორე მხრივ, ლტოლვა და წყურვილი (Begierde) იმ თავისებურებას ამჟღავნებენ, რომ აქ ინტენსიურადაა გამოვლენილი ემოციური მხარე, რომელიც ერთვის საგნობრიობის ბუნდოვანი, დაბალი დონის განცდას. ასევე შემადგენელი მომენტების მონაწილეობის თავისებურებას ავლენენ მისწრაფება და გატაცება. ყველა დასახელებული მოდალობის — ასეთად ჩვენ რვა დავასახელეთ — ფენომენოლოგიური ბუნების ზუსტი დადგენა აქტუალური ამოცანაა.

მოთხოვნილების საკლასიფიკაციო ნიშნად შეიძლებოდა აღებულიყო ორი სხვა თავისებურებაც: მოთხოვნილების აქტის ინტენსივობის დონე, რაც გამოიხატებოდა ქცევის აღძვრის სიადვილეში და წინააღმდეგობის გადალახვის შეძლებაში (მაგ., ლტოლვის ინტენსიური მოთხოვნილება ადვილად აღძრავს ქცევის აქტს, ხოლო ნატვრის მოთხოვნილება ძნელად თუ იწვევს ქცევას), ასევე მოთხოვნილების აწმყოობის არეს გავრცელებულობა (მაგ., ლტოლვა „უახლოესი აწმყოა“, სურვილი „გახანგრძლივებული აწმყოა“, ხოლო ინტერესში აწმყოობით შემოფარგვლა თითქმის წაშლილია). ამ უკანასკნელი საკლასიფიკაციო ნიშნების საფუძველზე მოთხოვნილების მოდალობები სხვადასხვაგვარად განლაგდება.

ჩვენ მიერ მოცემული ფენომენოლოგიური კლასიფიკაცია მოთხოვნილებისა საჭიროებს სხვა თვალსაზრისით წარმოებულ კლასიფიკაციასთან დაკავშირებას, რათა ყოველი კონკრეტული მოთხოვნილება სტრუქტურულად უფრო გარკვეული იყოს; მაგალითად, მოთხოვნილების სამი სახის განზომილება: ბიოგენური, ფსიქოგენური და სოციოგენური შეიძლება დაკავშირდნენ ცნობიერების სხვადასხვა დონესთან, მიმდინარეობდეს ლტოლვის, მისწრაფების, ნატვრის, გატაცების და ა. შ. დონეებზე.

გავრცელებული აზრის მიხედვით, ლტოლვა (Trieb) გაგებულია ბიოლოგიური მოთხოვნილების მნიშვნელობით, შინაარსით და ამიტომაცაა, რომ ლაპარაკობენ სექსუალურ, ორგანულ და მსგავს ლტოლვებზე. ამ მიმართულებით, იცავს თავის თვალსაზრისს კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგია საერთოდ, ფსიქოანალიზი განსაკუთრებით[22]. როგორც აღინიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა შეხედულებისა ვართ. ლტოლვა, ჩვენი გაგებით, მოთხოვნილების შინაარსობრივი ცნება კი არ არის, არამედ ის მოთხოვნილების ერთ-ერთ მოდალობას წარმოადგენს სხვების გვერდით. ცნობიერების მის დონეზე შეიძლება მიმდინარეობდეს ყოველი კონკრეტული შინაარსი, პროცესი მოთხოვნილებისა. მაგალითად, სოციოგენური მოთხოვნილების ერთ-ერთი რომელობა პრესტიჟი იმის მიხედვით თუ გაცნობიერების რა დონეზე მიმდინარეობს ის, შეიძლება ან ლტოლვა იყოს ან მისწრაფება ან გატაცება და ა. შ. ამიტომაც ვლაპარაკობთ, რომ ინდივიდი პრესტიჟისაკენ მიილტვის, მიისწრაფვის, პრესტიჟმა ინდივიდი გაიტაცა, ინდივიდს პრესტიჟი აინტერესებს და სხვ.

იმის მიხედვით, თუ როგორაა წარმოდგენილი პიროვნების სტრუქტურული ბუნება, მოთხოვნილებასაც ამ ფენობრივი განზომილების მიხედვით ყოფენ. ასე იყო მოთხოვნილების ერთ-ერთი კლასიფიკაციის შემთხვევაში, სადაც

---

[21] ჩვენ შეხედულებასთან ახლო დგას ლ. გორდონის თვალსაზრისი, იხ. Л. А. Гордон. Потребности и интересы, «Советская педагогика», 1939, № 8—9.

[22] აღნიშნულ საკითხზე ვრცლად იხ. ვ. კაკაბაძე. სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნილების სამ განზომილებაზე მითითება — ბიოგენური, ფსიქოგენური და სოციოგენური — ეფუძვნებოდა პიროვნების შემადგენელი სამი სტრუქტურული ფენის აღიარებას. გარკვეული საქმის ვითარების გამო საჭირო ხდება პიროვნების სტრუქტურაში ოთხი ფენის გამოყოფა, აღნიშნულ სამ ფენად უნდა დაემატოს მეოთხე, უმაღლესი ფენა გონით-იდეალურისა, რომელიც პიროვნების სპეციფიკას ქმნის. ამდენად საფუძველი არსებობს გონით-იდეალური მოთხოვნილებების ცალკე ჯგუფად გამოყოფისა. რა თქმა უნდა, გონით-იდეალური (ნორმატულ-ღირებულებითი) გარკვეულობა სოციალურის აუცილებელ არსებობას საჭიროებს, მაგრამ მასზე არ დაიყვანება[23]. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოთხოვნილებათა ოთხ ძირითად სფეროზე ვუთითებთ — ბიოლოგიური, ფსიქიკური, სოციალური და გონით-იდეალური, — რომელთაც მოთხოვნილების სხვადასხვა დონეზე (ლტოლვის, წყურვილის, წადილის, მისწრაფების, გატაცების, ნდომის, ნატვრის, ინტერესის) გაშლა-მიმდინარეობა ახასიათებს.

---

[23] იხ. ვ. კ ა კ ა ბ ა ძ ე. ფსიქიკის ადგილი პიროვნების სტრუქტურაში, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ნაწ. IV, თბილისი, 1977.

ეროვნული

„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1977, №3

მურმან კვარაცხელია

# მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სტრუქტურული ძვრები ქუთაისის მრეწველობაში

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმაღლეს ფორმას დაიწყო მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან. — მისი ზეგავლენით ძირფესვიანად შეიცვალა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლი, გაჩნდა მრეწველობის მრავალი ახალი ქვედარგი და წარმოება. ახალ მიღწევათა დანერგვა-რეალიზაცია სახალხო მეურნეობაში ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა მთელი საზოგადოების მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მისი დიადი მიზნის მისაღწევად. „მარტო მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა კომუნისტების დიდ ფორუმზე, — შეიძლება გადაიჭრას სოციალური რევოლუციის საბოლოო ამოცანები — აშენდეს კომუნისტური საზოგადოება“[1]. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ძირფესვიანად ცვლის მწარმოებლურ ყველა ელემენტს, რაც იწვევს სოციალისტური წარმოების სტრუქტურაში ღრმა თვისობრივ ძვრებს; ამავე მიზეზით მკვეთრად იცვლება შრომის საგნების შემადგენლობაც, განსაკუთრებით ეს ეხება ქიმიურ მრეწველობას. საერთოდ, მრეწველობაში წინგამსწრები ტემპებით ვითარდებიან ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგები, როგორიცაა: ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, ქიმიური მრეწველობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა. თავის მხრივ, თვით მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა ახდენს გავლენას წარმოების ტექნიკურ სრულყოფაზე. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მაღალი ტემპი და დიდი მასშტაბი შეუძლებელია წარმოების დაბალი დონის პირობებში, შესაბამისი მატერიალური ბაზის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, მეცნიერული გამოკვლევების დაფინანსებას, რაც მოითხოვს დიდ დანახარჯებს, და, მეორე მხრივ, ხელსაყრელ პირობებს — წარმოების რეკონსტრუქციას უმოკლეს ვადაში ახალი ტექნიკის ბაზაზე, რაც უფრო მეტ ფინანსურ და მატერიალურ ხარჯებს მოითხოვს. ასე, რომ ფუნდამენტური მეცნიერული აღმოჩენები შედარებით სწრაფად ინერგება წარმოებაში მძლავრი მწარმოებლური აპარატების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მისი ეფექტურობის მნიშვნელოვან გადიდებას და, თავის მხრივ, იძლევა საშუალებას დამატებითი სახსრები წარმართოს შემდგომი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის. დადგენილია, რომ დაბანდებები მეცნიერულ გამოკვლევებზე ხასიათდება უფრო მაღალი ეფექტურობით სახალხო მეურნეობაში, სხვა დაბანდებებთან შედარებით.

მრეწველობის დარგების განვითარება, ისევე როგორც მთელი სახალხო მეურნეობისა, დიდადაა დამოკიდებული წარმოებაში ელექტროენერგიის დანერგვაზე, მისი გამოყენების გაფართოებასა და გამომუშავების გადიდებაზე. ელექტროენერგიის წარმოება სწრაფი ტემპით იზრდება ჩვენს რესპუბლიკაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1965—1975 წლებში თითქმის გაორკეცდა მისი წარმოება: თუ 1965 წელს გამომუშავდა 6042 მლნ კვტ ელექტროენერგია, 1975 წ. მივიღეთ 12044 მლნ კვტ-საათი. მარტო მეცხრე ხუთწლედში მისი წარმოება გაიზარდა 74 პროცენტით[2]. ქუთაისის მრეწველობაში ელექტროენერგიის წარმოებამ არა თუ გადააჭარბა, არამედ 1965 წლის დონესაც ვერ მიაღწია 1975 წლისათვის. თუ 1965 წელს გამომუშავებული იყო 657,0 მილიო-

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 64.

[2] Грузинская ССР в цифрах в 1975 году, Тбилиси, 1976, стр. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი კვტს ელექტროენერგია, 1975 წელს გამომუშავებულ იქნა მხოლოდ 631,7 მილიონი კვტს, ანუ 1965 წლის წარმოების 96 პროცენტი, ხოლო 1975 წელს 1970 წლის 85 პროცენტი[3]. როგორც ვხედავთ, ქუთაისში ელექტროენერგეტიკის პროდუქციის წარმოება უკანასკნელ წლებში ზრდის ტენდენციით არ ხასიათდებოდა, რაც, ჩვენის აზრით, არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდება, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესებისა და თანამედროვე მაღალმწარმოებლური გაწყობილებების დანერგვა ქმნის პირობებს, რომ მრეწველობის ყველა დარგში სწრაფად ამაღლდეს შრომის ელექტროშეიარაღება. რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ელექტროშეიარაღება 1960—1975 წლებში გაიზარდა 1,7-ჯერ[4], ქუთაისის მრეწველობაში კი ზრდა თითქმის არა გვაქვს. ცნობილია, რომ ელექტროენერგიის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. თუ რესპუბლიკაში მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ 1965 წელს მოდიოდა 1222 კვტს ელექტროენერგია, 1970 წლისათვის მიაღწია 1913 კვტს, ხოლო 1975 წლის ბოლოსთვის — 2431 კვტს; ე. ი. მოსახლეობის ერთ სულზე 1975 წელს ორჯერ მეტი ელექტროენერგია გამომუშავდა — ვიდრე 1965 წელს და 1,2-ჯერ მეტი[5], ვიდრე — 1970 წელს. ქუთაისში სურათი რამდენადმე განსხვავებულია. 1965 წელს მოსახლეობის ერთ სულზე 4531 კვტს ელექტროენერგია მოდიოდა, 1970 წელს — 4871 კვტს, ხოლო 1975 წლისათვის შემცირდა 3569 კვტ-მდე, ანუ 1975 წელს ელექტროენერგიის წარმოებამ მოსახლეობის ერთ სულზე 1965 წლის დონის 78 პროცენტი შეადგინა, ხოლო 1970 წლის — 73 პროცენტი[6]. ყოველივე ეს გაპირობებულია ქალაქის მოსახლეობის ზრდისა და ელექტროენერგიის წარმოების შემცირების ტენდენციით უკანასკნელი 10 წლის მანძილზე.

ელექტროენერგეტიკის პროდუქციის ზრდის დაბალმა ტემპმა, რაც დამახასიათებელია ქუთაისის მრეწველობისათვის, არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს როგორც მთელი მრეწველობის, ისევე იმ დარგების განვითარებაზე, რომლებიც ხასიათდებიან წარმოების მაღალი ენერგო-და ელექტროტევადობით. ესენია ისეთი პერსპექტიული და წამყვანი დარგები, როგორიცაა: ქიმიური მრეწველობა, ფერადი მეტალურგია, საშენ მასალათა მრეწველობის უახლესი დარგები და მრავალი სხვა.

მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების — მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლება — მრავალი ისეთი ეკონომიკური და სოციალური პრობლემის გადაწყვეტის საფუძველია, როგორიცაა: სახალხომეურნეობრივი წარმოების სფეროში დასაქმებულთა ტექნიკურ-კულტურული დონის ამაღლება, ტექნიკური ინტელიგენციის განვითარება, ქალების როლის ამაღლება მატერიალურ წარმოებაში და სხვა.

---

[3] გაანგარიშებულია საგეგმო კომისიის შესაბამისი წლების ანგარიშგებითი მასალების საფუძველზე.

[4] Грузинская ССР в цифрах в 1975 году, стр. 47.

[5] გაანგარიშებულია სტატისტიკური კრებულის (Грузинская ССР в цифрах в 1975 году) მონაცემთა საფუძველზე, გვ. 8, 62.

[6] გაანგარიშებულია დასახ. სტატისტიკური კრებულის მონაცემთა საფუძველზე, გვ. 12, იხ. აგრეთვე საგეგმო კომისიის შესაბამისი წლების ანგარიშგებითი მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებრივი პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს ხელით შრომის ხვედრითი წილი, ამაღლდეს საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რადიკალურად გადაწყდეს შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საკითხი, ასევე გაუმჯობესდეს მრეწველური პროდუქციის ხარისხი. კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარება უზრუნველყოფს შრომითი რესურსების ეფექტურ გამოყენებას, განსაკუთრებით — კვალიფიციური მუშებისა; შესაძლებლობას იძლევა, ამაღლდეს ცვლადობის კოეფიციენტი; მოხდეს ახლად აგებული და რეკონსტრუირებული მრეწველობის საწარმოების კვალიფიციური მუშებით დაკომპლექტება, რომლებიც ხშირად მუშათა კადრების უკმარისობის გამო მწყობრში გვიან დგებიან. ქუთაისის მრეწველურ საწარმოებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის ხაზით. 1966—1970 წლებში ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზების რაოდენობა გაიზარდა 830 ერთეულით. მერვე ხუთწლედის ბოლო ორი წლის მანძილზე შეიქმნა 75 ახალი მანქანა-აპარატი; დაინერგა 53 ავტომატური, ნახევრადავტომატური და კონვეირული ხაზი; ექსპლოატაციაში იქნა გაშვებული მაღალი წარმადობის 2301 ჩარხ-დანადგარი, საქსოვი დაზგა და საკერავი მანქანა; მოდერნიზებულია 599 მანქანა-დანადგარი. მეცხრე ხუთწლედშიც მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ მიმართულებით: მრეწველურ საწარმოებში დაინერგა 3 ავტომატური ხაზი, 92 მექანიზირებული ნაკადური ხაზი (აქედან, 24 — 1974—1975 წლებში), 617 პროგრესული ტექნოლოგიური პროცესი. წარმოების ავტომატიზაციისათვის 1974 წელს გატარდა 148 ღონისძიება, ხოლო 1975 წელს — 21. ამ ღონისძიებათა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა, დაახლოებით, 30 ათასი მანეთი, ხოლო ეკონომიკურმა ეფექტმა — 11 ათასი მანეთი[7].

1965—1975 წლებში ახალი ტექნიკის დანერგვა ძირითადად ხდებოდა ქუთაისის მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. თუ 1965 წელს მრეწველობაში სულ შეიქმნა 11 ახალი მანქანა-დანადგარი, 4 დაინერგა პროგრესულ დარგებში და 5 — კვების მრეწველობაში; ხოლო 1970 წელს 48 ახალი მანქანა-დანადგარიდან, პროგრესულ დარგში დაინერგა 15 და 26 — მსუბუქ მრეწველობაში; 1975 წელს კი 31 მანქანა-დანადგარიდან პროგრესულ დარგებში 6 ერთეული იქნა დანერგილი, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში, შესაბამისად, 11 და 14.

ქუთაისის მრეწველობაში დანერგილი ავტომატური და ნახევრად-ავტომატური ხაზებიდან ყველაზე მეტი კვების მრეწველობის საწარმოებშია დანერგილი 1965—1975 წლებში. 1965 წელს მთელ მრეწველობაში დანერგილი 15 ავტომატური ხაზიდან — 9 კვების მრეწველობის საწარმოებზე მოდიოდა, 1970 წელს კი 19-დან — 14 ერთეული, ხოლო 1975 წელს 40-დან — 15. მრეწველობაში მზა გაწყობილობებიდან მოდერნიზაცია ჩაუტარდა 1965 წელს 153 ერთეულს, აქედან 128 — მანქანათმშენებლობის, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში არსებულ გაწყობილობებს, ხოლო 1975 წელს, შესაბამისად, 203-დან 183-ს. 1965 წელს მრეწველობაში სულ დაიდგა 871 ახალი ჩარხ-დანადგარი, აქედან 573 მსუბუქ მრეწველობაში, 157 მანქანათმშენებლო-

---

[7] საგეგმო კომისიის შესაბამისი წლების ანგარიშგებითი მასალების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში, 103 კვების მრეწველობაში და მხოლოდ 7 ერთეული ქიმიურ მრეწველობაში. 1970 წელს კი 913 ერთეულიდან მანქანათმშენებლობაში, 163 დაიდგა, მსუბუქში 595, კვებაში 70 და ქიმიურ მრეწველობაში — 17, 1975 წელს კი ასე განაწილდა — სულ 945, 330, 477, 84 და 30 ერთეული[8].

რესპუბლიკაში ამ პერიოდში მაღალი იყო ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზების დანერგვის ტემპი. 1965 წელს საქართველოს სსრ მრეწველობაში არსებობდა 62 ავტომატური ხაზი, 1975 წლის ბოლოსათვის კი 208-ს მიაღწია (ანუ გაიზარდა 3,3-ჯერ)[9]; ქუთაისის მრეწველობაში კი მისი რაოდენობა ამ პერიოდში გაიზარდა მხოლოდ 2,6-ჯერ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი განვითარების აუცილებელი კომპონენტია ავტომატიზირებული საშუალებების წარმოებაში დანერგვა. ეს უნდა ემყარებოდეს მრეწველური საწარმოების ღრმა და მრავალმხრივ მომზადებას ავტომატიზაციის ტექნიკურ-ეკონომიკური ღონისძიებების დასანერგად, უნდა მოხდეს მწარმოებლური პროცესების ორგანიზაციის შესაბამისი გაადგილება და პერსონალის მომზადება ავტომატიზირებულ გაწყობილობებთან სამუშაოდ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ავტომატური ხაზებისა და გაწყობილობების დანერგვისადმი კომპლექსურ მიდგომას, მათი ეკონომიკური ეფექტურობის ღრმა შეფასებას კონკრეტულ მწარმოებლურ პირობებში. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ავტომატური ხაზების ორგანიზაციასა და ავტომატიზაციაზე სახსრების დაბანდება გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა ავტომატიზაციის საშუალებები გამოყენებულია მაქსიმალურად, მისი ექსპლოატაცია ხდება, როგორც წესი, მუშაობის უწყვეტი რეჟიმის პირობებში; წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოსყიდვის ვადა ავტომატიზაციის დანახარჯებზე გაუმართლებლად გრძელდება, რაც იწვევს მრეწველური პროდუქციის გაძვირებას, პერსონალის რიცხოვნობის გაზრდას.

მრეწველური პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის და მისი ხარისხის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველურ საწარმოების საშუალო წლიური წარმოებრივი სიმძლავრეების სრულად გამოყენებას. სიმძლავრეების გამოყენების ეფექტურობის დასადგენად პრაქტიკაში მიღებულია წარმოებრივი სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება საწარმოს მიერ პროდუქციის ფაქტიური გამოშვებისა და საშუალო წლიურ სიმძლავრეთა თანაფარდობით. ამ მხრივ ქუთაისის მრეწველობის მუშაობას ახასიათებს რიგი ნაკლოვანებები: 1973 წელს მრეწველობის მთელ რიგ წამყვან საწარმოებში სიმძლავრეები არასრულად იყო გამოყენებული. საავტომობილო ქარხანაში სიმძლავრე გამოყენებული იყო 88,3 პროცენტით, ლითოფონის ქარხანაში მიკრობარიტის არსებული სიმძლავრე — 79,3 პროცენტით, ელექტრომექანიკურ ქარხანაში არსებული ტუმბოების სიმძლავრე ათვისებული იყო 79 პროცენტით, სატრაქტორო ქარხანაში კი სიმძლავრე დატვირთული იყო მხოლოდ 52 პროცენტით[10].

1974—1975 წლებში ამ მხრივ მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა. საავტომობილო ქარხანაში სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი ამ პერი-

---

[8] იხ. იგივე მასალები.

[9] Грузинская ССР в цифрах в 1975 году, стр. 46.

[10] გაზ. „ქუთაისი“, 1973წ. 11 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდში 0,9-დან გაიზარდა 0,94-მდე, რაც გამოიწვია ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის პროგრესული მეთოდების დანერგვამ. ლითოფონის ქარხანაში კი სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი 0,97-დან შემცირდა 0,94-მდე, რაც გამოწვეული იყო ძირითადად გეგმის შეუსრულებლობით, კერძოდ, 1975 წელს გეგმა ითვალისწინებდა 39 ათასი ტონა ლითოფონის წარმოებას, ფაქტიურად კი წარმოებულია 37,5 ათასი ტონა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა სიმძლავრეების ათვისებაში. აღსანიშნავია, რომ ელექტრომექანიკურ ქარხანაში ამ პერიოდში სიმძლავრეები სრულად იყო დატვირთული, მისი გამოყენების კოეფიციენტმა 1975 წელს შეადგინა 1,01. პროგრესული ძვრები მოხდა ამ მხრივ ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში: თუ 1974 წელს სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი შეადგენდა 0,7-ს, 1975 წლისათვის მიაღწია 0,97-ს[11].

წარმოებრივი სიმძლავრეების ათვისება უფრო სრულად მიმდინარეობდა მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში: 1974 წელს მსუბუქ მრეწველობაში საშუალოდ სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი იყო 0,88, ხოლო 1975 წლისათვის 0,94-მდე ამაღლდა; კვების მრეწველობაში, შესაბამისად, 0,93-დან — 0,96-მდე. მსუბუქი მრეწველობის ისეთ საწარმოებში, როგორიცაა კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანება, 1974 წ. სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტმა 1,12 შეადგინა, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში — 1,13, ხოლო ბამბეულის საქსოვ გაერთიანებაში — 0,46. კვების მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო, ზოგიერთში — შედარებით დაბალი; ასე, მაგალითად: საკონდიტრო ფაბრიკაში სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტმა შეადგინა 1,04, ხოლო ხორცკომბინატში — 1,7. ისეთ საწარმოებში, როგორიცაა პურკომბინატი, რძის კომბინატი, საკონსერვო ქარხანა — პროდუქციის გამოშვება წლიურ პოტენციურ შესაძლებლობებზე გაცილებით დაბალი იყო, რაც გამოიწვია ძირითადი ნედლეულის მიწოდების უკმარისობამ.

სიმძლავრეების ასეთი არასრული გამოყენება ქუთაისის მრეწველურ საწარმოებში მრავალი მიზეზით შეიძლება ავხსნათ, რომელთა შორის, ჩვენი აზრით, მთავარია შემდეგი: კადრების არასაკმარისი კვალიფიკაცია, ტექნიკის ათვისების დაბალი დონე; საწარმოებში დასამუშავებელი ნედლეულის ნაკლებობა, არასტანდარტული შედგენილობა და დაბალი ხარისხი; ასევე მზა პროდუქციის ნომენკლატურა, ასორტიმენტი და სხვა. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საწარმოთა პარტიულმა და მეურნეობრივმა ხელმძღვანელობამ მუდმივი კონტროლი დააწესონ წარმოებრივ სიმძლავრეთა სრულად გამოყენებაზე, მიაღწიონ საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ვადების შემცირებას. ყოველივე ეს გამოიწვევს მრეწველური პროდუქციის მოცულობის გადიდებასა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას.

თანამედროვე პირობებში დიდი ყურადღება ექცევა კომპლექსური მექანიზაციის საშუალებების წარმოებაში დანერგვას. კომპლექსური მექანიზაცია ქმნის ერთგვარ წანამძღვრებს წარმოებაში ავტომატიზაციის საშუალებების დასანერგავად. უკანასკნელ წლებში ქუთაისის მრეწველობის მთელ რიგ დარ-

[11] საგეგმო კომისიის შესაბამისი წლების ანგარიშგებითი მასალების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებში შრომის მექანიზაციის დონე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა (ცხრილი 1).

ქუთაისის მრეწველობის ზოგიერთ დარგში შრომის მექანიზაციის დონის მაჩვენებლები 1965—1975 წლებში2

ცხრილი 1

| დარგთა დასახ. | შრომის საერთო მექანიზაციის დონე | | | დამხმარე სამუშაოთა მექანიზაცია | | | დატვირთვა-, ადმოტვირთვის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია | | | ხელით შრომის ხვედრითი წილი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1965წ. | 1970 | 1975 | 1965 | 1970 | 1975 | 1965 | 1970 | 1975 | 1965 | 1970 | 1975 |
| 1. მანქანათმშ. | 68 | 72 | 75 | 45 | 50 | 52 | 60 | 64 | 71 | 35 | 27 | 24 |
| 2. ქიმიური მრეწვ. | 70 | 63 | 71 | 40 | 47 | 51 | 40 | 59 | 68 | 30 | 34 | 26 |
| 3. მსუბუქი მრეწვ. | 66 | 70,8 | 76,3 | 10 | 33 | 38 | 75 | 80 | 85 | 29 | 24 | 21 |
| 4. კვების მრეწვ. | 52 | 64,4 | 76 | 37 | 52 | 52 | 42 | 49 | 56 | 44 | 35 | 28 |

როგორც ცხრილიდან (1) ჩანს, შრომის მექანიზაციის დონე მანქანათმშენებლობაში 64 პროცენტიდან 75 პროცენტამდე ამაღლდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ დიდი ყურადღება ექცევა ამ წამყვანი დარგის საწარმოებში შრომის მექანიზირებული საშუალებების დანერგვას. ამ დარგში მექანიზაციის დონე დამხმარე სამუშაოებზე შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა, რაც საერთოდ მრეწველობისთვისაც არის დამახასიათებელი.

კომპლექსური მექანიზაციის დონემ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე 1965 წლის 60 პროცენტიდან — 71 პროცენტამდე აიწია 1975 წლისათვის, რაც ამ დარგში დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ასევე დადებითი ძვრებით ხასიათდება, ამ პერიოდში იმ მუშათა ხვედრითი წონა, რომლებიც ხელით შრომაზე არიან დასაქმებულნი: თუ 1965 წელს ხელით შრომას ეწეოდა მთელი მუშების 35 პროცენტი, 1970 წლისათვის ეს მაჩვენებელი 27 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 1975 წლის ბოლოსათვის — 24 პროცენტამდე.

ქუთაისის მრეწველობის მეორე პროგრესულ დარგში — ქიმიურ მრეწველობაში იგივე მაჩვენებლები რამდენადმე განსხვავებულია: შრომის მექანიზაციის დონე უმნიშვნელოდ ამაღლდა ამ პერიოდში, კერძოდ, 70 პროცენტიდან — 71 პროცენტამდე, დამხმარე სამუშაოებზე კი 11 პუნქტით აიწია მისმა დონემ. დიდი ყურადღება ექცეოდა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების კომპლექსურ-მექანიზებული საშუალებებით აღჭურვას, რაც კიდევაც აისახა მის დონეში, რომელიც 40 პროცენტიდან —68 პროცენტამდე გაიზარდა, ხელით შრომაზე დასაქმებული მუშათა ხვედრითი წილი კი უმნიშვნელოდ შემცირდა — 30-დან 26 პროცენტამდე.

შრომის მექანიზაციის ყველაზე მაღალი დონით მსუბუქი მრეწველობა ხასიათდება. ეს კანონზომიერია, ახალი ტექნიკის დანერგვის მიხედვით, მსუბუქი მრეწველობა როგორც ქუთაისის მრეწველობის წამყვანი დარგი, პირველ

[12] ცხრილი შედგენილია ქ. ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის შესაბამისი წლების ანგარიშგებითი მასალების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილზეა, რამაც თავისი ასახვა შრომის მექანიზაციის დონეშიც ჰპოვა. აღსანიშნავია, რომ დამხმარე სამუშაოთა მექანიზაციის დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე — ქიმიური მრეწველობისა და მანქანათმშენებლობისა. უკანასკნელ წლებში მცირდებოდა ხელით შრომაზე დასაქმებული მუშების ხვედრითი წილი, თუმცა, შედარებით, უმნიშვნელოდ. კომპლექსური მექანიზაციის დონე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე ამ პერიოდში 10 პუნქტით ამაღლდა და მიაღწია 85 პროცენტს.

კვების მრეწველობაში მექანიზაციის დონის მაჩვენებლებიც მზარდი იყო. ამავე დროს, თუ 1965 წელს მთელი მუშების 44 პროცენტი ხელით შრომაზე იყო დასაქმებული, 1975 წელს 28 პროცენტამდე შემცირდა, — რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ დარგის საწარმოებში დიდი ყურადღება ექცევა მუშების აღჭურვას კომპლექსურად სწორად შერჩეული მექანიზირებული მანქანებით.

ქუთაისის მრეწველობაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს, დიდია ხელით შრომის ხვედრითი წონა. განსაკუთრებით, დამხმარე სამუშაოებზე; ამიტომაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო მრეწველური საწარმოების აღჭურვას თანამედროვე მაღალმწარმოებლური გაწყობილობებით, არამედ მივაღწიოთ იმასაც, რომ ეს გაწყობილობები გამოიყენებოდეს მაქსიმალური დატვირთვითა და უკუგებით — მომზადდეს წარმოება კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დასანერგად, ჩატარდეს მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შესაბამისი გადამზადება, უზრუნველყოფილი იქნეს მაღალმწარმოებლური გაწყობილობების ხარისხიანი ექსპლოატაცია და სრულად დატვირთვა. მხოლოდ მაშინ იქნება კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე კურსის აღება გამართლებული ქუთაისის მრეწველობაში და, შესაბამისად, წარმოების ეკონომიკური ეფექტურობაც ამაღლდება.

ქუთაისის მრეწველობის ტექნიკური დონე დღეისათვის დამაკმაყოფილებლად ვერ მიიჩნევა. მანქანა-გაწყობილობათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოძველებულია, კერძოდ, ფაბრიკა-ქარხნების ძირითადი ტექნიკური ფონდის ასაკობრივი სტრუქტურა 1973 წლის 1 ივლისისათვის ასეთია: 10 წლამდე — 45 პროცენტი, 10-დან 20 წლამდე — 31 პროცენტი, ხოლო 20 წელს ზევით — 24 პროცენტი[13]. დარგობრივ ჭრილში მრეწველური ძირითადი ფონდების ხანგრძლივობა სტრუქტურულად საინტერესო მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 2).

ცხრილის (2) მიხედვით, მანქანათმშენებლობასა და ქიმიურ მრეწველობაში ძირითადი ფონდების ნახევარზე მეტი 10 წლამდე ასაკისა იყო, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს; ამასთან, უკეთესი მაჩვენებლები აქვთ საშენ მასალათა, მსუბუქ და კვების მრეწველურობის საწარმოებს. 1975 წელს მნიშვნელოვნად გადახალისდა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ტექნიკის ძირითადი ფონდები; მაგალითად, № 1 სამკერვალოს საწარმოო გაერთიანებაში მთელი ფონდების 64 პროცენტი 10 წლამდე ასაკისა გახდა; 10-დან 20 წლამდე — 20,9 პროცენტი; 20 წელზე მეტი ხნისა — 15,1 პროცენტი. ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში დანადგართა 80 პროცენტი განახლდა და ამჟამად

---

[13] იხ., საგეგმო კომისიის შესაბამისი წლების ანგარიშგებითი მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიანი ფონდების 75 პროცენტი 10 წლამდე ასაკისაა, ხოლო 25 პროცენტი — 10 წელს ზევით[15]. ფონდების გადახალისების რიგი ღონისძიებანი ჩატარდა აბრეშუმსაქსოვ საწარმოო გაერთიანებაში, მაუდისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკებში, კიროვის სახ. სამკერვალო წარმოებრივ გაერთიანებაში და სხვ.

ქუთაისის მრეწველობის ძირითადი ფონდების ასაკობრივი შემადგენლობა 1974 წ.
(ძირითადი ფონდების 100 %-თან)

ცხრილი 2

| დარგების დასახელება | ხანდაზმულობა წლობით | | |
|---|---|---|---|
| | 10-მდე | 10-დან 20-მდე | 20-ის ზევით |
| მრეწველობის მთლიანად აქედან: | 42,3 | 33,6 | 24,1 |
| 1. ელექტრო-ენერგეტიკა | 2,1 | 67,6 | 30,3 |
| 2. მანქანათმშენებლობა | 50,8 | 24,4 | 24,8 |
| 3. ქიმიური მრეწველობა | 50,8 | 31,4 | 17,8 |
| 4. მსუბუქი მრეწველობა | 62,6 | 23,3 | 14,1 |
| 5. კვების მრეწველობა | 60,9 | 17,7 | 21,4 |
| 6. ხე-ტყისა და ცელულოზა-ქაღ. მრეწვ. | 29,7 | 22,8 | 47,5 |
| 7. სამშენ მასალათა მრეწველობა | 65,6 | 32,5 | 1,9 |
| 8. სხვა დარგები | 46,9 | 6,9 | 46,2 |

მანქანათმშენებლობაში ყველაზე მაღალი იყო, ელექტროენერგეტიკის შემდეგ, 20 წელს ზევით ხანდაზმულობის ძირითადი ფონდები, რაც მთელი მრეწველობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს. როგორც ცნობილია, მანქანათმშენებლობა ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი დარგია, რომელიც როგორც სახალხო მეურნეობას, ისევე მრეწველობის თითქმის ყველა დარგს აწვდის წარმოების იარაღებს და დარგში ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი სხვადასხვა დანადგარები და განწყობილობები ვერ დააკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს დარგის პროდუქციაზე. ამიტომ, არა მარტო მანქანათმშენებლობის, არამედ მთელი ქალაქის მრეწველურ საწარმოთა პირველხარისხოვანი ამოცანაა — მაღალწარმოებლური მანქანა-განწყობილობების დანერგვა, ძველის შეცვლა ახლით, საწარმოებში ავტომატიზებული და ნახევრადავტომატიზებული ნაკადური ხაზების შექმნა, პროგრესული ტექნოლოგიის ათვისება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს შრომის მწარმოებლურობის გადიდებასა და წარმოებრივ დანახარჯთა შემცირებას.

მრეწველობაში ახალი დარგებისა და წარმოებათა გაჩენა, პროგრესული დარგების უფრო წინაგამსწრები ტემპებით განვითარება, — რომელიც ღრმა თვისებრივ ძვრებს იწვევს მრეწველობის დაგრთაშორისსა და შიდადარგობრივ სტრუქტურაში, წარმოებს კაპიტალური დაბანდებების განაწილებითა და გადანაწილებით ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების სასარგებლოდ. ამიტომ კაპიტალური დაბანდებების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

კაპიტალდაბანდებათა დარგობრივი სტრუქტურის ცვლილება მეტად რთული პროცესია, რომელიც მიმდინარეობს მრავალ ფაქტორთა ზეგავლენით: მათ შორის გადამწყვეტ როლს თამაშობს ტექნიკური პროგრესი, ცოცხალი და განივთებული შრომის ეკონომია. კაპიტალდაბანდების სტრუქტურაზე მოქ-

---

[14] ცხრილი შედგენილია საგეგმო კომისიის შესაბამისი წლების ანგარიშგებითი მასალების მიხედვით.

[15] იგივე მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ სხვა ფაქტორთა შორის აღსანიშნავია შემდეგი: მრეწველობისა და მისი ქვედარგების განვითარების დონე; წარმოებრივი აპარატების დატვირთვის ხარისხი და წარმოებრივი სიმძლავრეების გამოყენების დონე; მრეწველობისა და მატერიალური წარმოების სხვა დარგების ტერიტორიული გაადგილება; შრომითი რესურსების როგორც რაოდენობა, ისე სტრუქტურა და საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმების ხარისხი; ტექნიკური პროგრესის ცალკეული მიმართულებების ფორსირებული განვითარების აუცილებლობა და მრავალი სხვა. კაპიტალდაბანდებათა რაციონალური სტრუქტურის დასადგენად აუცილებელია ამ ფაქტორთა გათვალისწინება.

მეცხრე ხუთწლედში კაპიტალდაბანდებანი ქუთაისის მრეწველობაში გაიზარდა მხოლოდ 15,5 პროცენტით. ზრდის განსაკუთრებით მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა მანქანათმშენებლობა — 67,2 პროცენტი და ქიმიური მრეწველობა — 57,9 პროცენტი (იხ. ცხრილი 3).

ქუთაისის მრეწველობაში კაპიტალდაბანდებების ზრდის ტემპები 1970—1975 წწ. (1970 წ.-100%)[16]

ცხრილი 3

| დარგები | წლები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1971 | 1972 | 1973 | 1974 | 1975 |
| მრეწველობის მთლიანად აქედან: | 104,1 | 97,0 | 97,0 | 95,3 | 115,5 |
| 1. მანქანით მშენებლ. | 98,8 | 91,9 | 90,8 | 108,8 | 167,2 |
| 2. ქიმიური მრეწვ. | 85,1 | 129,4 | 139,8 | 166,7 | 157,9 |
| 3. მსუბუქი მრეწვ. | 138,4 | 105,3 | 85,0 | 52,1 | 30,0 |
| 4. კვების მრეწვ. | 80,0 | 65,0 | 31,1 | 52,6 | 43,0 |
| 5. სხვა დარგები | 96,7 | 195,3 | 242,3 | 89,6 | 73,0 |

ცხრილიდან (3) ჩანს, რომ მსუბუქ და კვების მრეწველობაში 1973—1975 წწ. მკვეთრად ეცემა კაპიტალდაბანდებათა ზრდის ტემპები, — ეს კანონზომიერი პროცესია რადგან მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში 1970—1972 წლებში ძირითადად დამთავრდა ძველის რეკონსტრუქცია და ახლის მშენებლობა. ამ პერიოდში კვების მრეწველობას შეემატა საკონდიტრო ფაბრიკა და პურის ქარხანა. 1971 წელს დასრულდა კიროვის სახ. სამკერვალო გაერთიანების რეკონსტრუქციაც. მთელ რიგ სხვა საწარმოებში მოხდა ძირითადი ფონდების სრული ან ნაწილობრივი განახლება, რის შედეგადაც, ბუნებრივია, ამ დარგებში შემცირდა კაპიტალდაბანდებათა მოცულობა.

სკკპ XXIV და XXV ყრილობებმა მრეწველობის ძირითად ამოცანად ყველა დარგში წარმოების ტექნიკური განახლება და ინტენსიფიკაცია დასახეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მრეწველური პროდუქციის მატების დიდი ნაწილი უნდა მივიღოთ არა რესურსების რაოდენობრივი ზრდის ხარჯზე — მუშაკთა რიცხოვნობის, კაპიტალური დაბანდებებისა და წარმოებრივი ფონდების მოცულობის ზრდით — არამედ წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლების ხარჯზე, რომელიც თავის ასახვას შრომის მწარმოებლურობის ზრდაში პოულობს; ამასთანავე, საჭიროა შემცირდეს პროდუქციის კაპიტალტევადობა, ფონდტევადობა და მასალატევადობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას რაც შეიძლება მცირე მატერიალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღება.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის მრეწველობაში, მიუხედავად იმისა პრო-

[16] ცხრილი შედგენილია საგეგმო კომისიის შესაბამისი წლების ანგარიშგებითი მასალების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი კაპიტალდაბანდებებისა და წარმოებრივი ფონდების ზრდის ხარჯზეა მიღებული, კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტურობა[17], ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ჩატარებული გაანგარიშებებით ჩანს, რომ, 1970 წელთან შედარებით, კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტურობა 1971 წელს გაიზარდა 10,9 პროცენტით, 1972 წელს — 20,9 პროცენტით, 1973 წ. — 33,3 პროცენტით, 1974 წ. — 63,0 პროცენტით, 1975 წ. — 46,7 პროცენტით.

კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტურობის ზრდის განსაკუთრებით მაღალი ტემპები შეინიშნება მსუბუქ და კვების მრეწველობაში; კერძოდ, თუ მსუბუქ მრეწველობაში 1970 წელს ერთ მანეთ კაპიტალდაბანდებაზე მიღებულია 4,1 მანეთი, 1975 წლის ბოლოსათვის ამ თანხამ 31,9 მანეთს მიაღწია, ხოლო კვების მრეწველობაში 4,3 მანეთიდან — 13,1 მანეთამდე გაიზარდა. ეს იმით იყო გაპირობებული, რომ 1971—1972 წლებში ამ დარგების საწარმოებში ძირითადად დამთავრდა რეკონსტრუქციის სამუშაოები. ამის შედეგად შემცირდა კაპიტალდაბანდებათა სიდიდე, ხოლო მოგების ოდენობა — გაიზარდა. საბოლოო ანგარიშით, მოხდა კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტურობის გადიდება.

1972—1975 წლებში ქიმიურ მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტურობა შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. (1970 წლის 5,5 მანეთიდან 1975 წლისათვის 3,5 მანეთამდე შემცირდა)[18]. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ აღნიშნულ წლებში იზრდებოდა კაპიტალდაბანდებათა მოცულობა ამ დარგში (იხილეთ ცხრილი № 3), რის გამოც მოხდა მოგების ხვედრითი წონის შემცირება კაპიტალდაბანდების თითოეულ მანეთზე.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხაზით ქუთაისის მრეწველობაში დიდი ძვრები მოხდა. კვლავაც საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მის ძირითად მიმართულებებს თანამედროვე ეტაპზე. წინგამსწრები ტემპით უნდა განვითარდეს ელექტროენერგეტიკა, რის გარეშეც წარმოუდგენელია დღევანდელი ეკონომიკის წინსვლა. საჭიროა მანქანათმშენებლობის, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოების აღჭურვა უახლესი ტექნიკითა და მოწინავე ტექნოლოგიით. ეს გამოიწვევს ქუთაისის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას, რაც, თავის მხრივ, აამაღლებს შრომის მწარმოებლურობის დონეს და საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკურ ეფექტურობას.

---

17 მრეწველურ საწარმოთა საბალანსო მოგების შეფარდება კაპიტალდაბანდებათა მოცულობასთან.

18 იხ. საგეგმო კომისიის შესაბამისი წლების ანგარიშგებითი მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**М. Е. ГАЛДАВА**

# НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПРИМЕНЕНИЯ ЭКОНОМИКО-МАТЕМАТИЧЕСКИХ МЕТОДОВ И ЭВМ В ЖЕЛЕЗНОДОРОЖНОМ ТРАНСПОРТЕ

**XXV съездом КПСС намечено: «Предусмотреть рост грузооборота железнодорожного транспорта примерно на 22% и пассажирооборота — на 14 — 15%». Причем, конкретизируется «... дальнейшее увеличение пропускной и провозной способности железных дорог...». А с этой целью указано: «Построить на наиболее загруженных направлениях железнодорожной сети 2,8 тыс. км. вторых путей. Электрифицировать 2,5 тыс. км и оборудовать автоблокировкой и диспетчерской централизацией 16—17 тыс. км железных дорог. Ввести в эксплуатацию примерно 3 тыс. км новых железнодорожных линий»[1]. Естественно, что такой огромный размах работы требует нескольких миллиардов рублей только денежных средств, а потому все должно быть тщательно спланировано. Это же можно сделать на основе специальных научных исследований.**

Для решения задачи освоения перевозок с обеспечением высоких показателей работы транспорта необходимы исследования по выбору наилучших путей развития пропускной способности транспортной сети в различных конкретных условиях. Должны быть установлены целесообразные сферы нового транспортного строительства и реконструктивных мероприятий, определена рациональная очередность по наращиванию мощности транспортной сети на ее отдельных перегонах. Следует исследовать вопросы распределения перевозок между видами транспорта, установления оптимальных уровней загрузки отдельных элементов транспортной сети и выбора их наиболее экономичных технических параметров.

Наряду с исследованиями по вопросам усиления пропускной способности для решения практических задач по развитию транспортной сети большое значение имеет правильное определение данных по перевозкам на перспективу, являющихся той основой, на которой должны производиться все расчеты и проектировки по развитию сети. Изучение недостатков в развитии транспортной сети, имевших место в прошлом, свидетельствует о том, что большинство их связано именно с просчетами в определении потребностей в перевозках народного хозяйства страны в целом или отдельных ее районов. Формирование местной транспортной сети, как и решение задачи освоения перевозок на магистральных направлениях, также требует специальных исследований. В условиях, когда формирование местной сети во многих районах страны практически только начинается, особенно важно найти пути, позволяющие решить эту задачу с минимальной затратой сил и средств. В этих целях, прежде всего, необходимо тщательно исследовать перспективу потребностей в перевозках на местном звене сети и особенности ее рационального построения в различных районах. Большое практическое значение имеют исследования по формированию транс-

[1] Материалы XXV съезда КПСС, М., Госполитиздат, 1976, стр. 207.

ბიბლიოთეკა

портной сети во вновь осваиваемых регионах, где правильный учет потребностей в ближайшем будущем и в перспективе, а также рациональная стадийность формирования сети могут дать особенно большой экономический эффект.

Результатом научных исследований по названным выше вопросам должны быть не только общие рекомендации, но и методические указания, пригодные для решения конкретных задач по установлению оптимальных вариантов развития сети.

Научно-исследовательскими и проектными организациями в нашей стране выполнены большие исследования в области формирования единой транспортной сети. В результате определены в первом приближении необходимые масштабы ее развития, установлены основные положения, определяющие роль каждого вида транспорта, рассчитан примерный удельный вес каждого вида транспорта в перевозочной работе, уточнен ряд других вопросов. Однако, во многих отношениях перспектива развития единой транспортной сети еще остается дискуссионной. В серьезном совершенствовании нуждаются многие методические положения, которые еще не могут в полной мере удовлетворить практические нужды.

Большие возможности экономико-математических методов и электронно-вычислительных машин, устраняющих многие ограничения, неизбежные при ручном счете, позволяют резко повысить уровень экономической обоснованности планов развития транспортной сети. В связи с этим ниже сформулированы основные задачи в области совершенствования методики технико-экономических расчетов, на решении которых должны быть сосредоточены творческие усилия. При работе над вопросами развития сети путей сообщения важное значение имеет прежде всего то, что отдельные ее звенья находятся в тесной взаимосвязи, и изменение технического оснащения или условий эксплуатации на одном из них отражается на работе большого полигона. Следовательно, эффективность большинства мероприятий по развитию сети, а значит, и целесообразность их можно правильно установить, если проанализируем работу достаточно большого полигона сети. В этом и заключается первое требование как к методическим разработкам, так и к другим исследованиям по развитию единой транспортной сети.

Второе требование к технико-экономическим расчетам по обоснованию планов развития сети заключается в том, что они должны носить динамический характер. Это требование вытекает прежде всего из того, что для транспортной сети СССР характерен неуклонный рост перевозочной работы. В этих условиях эффективность каждого из мероприятий по наращиванию мощности транспортной сети, удовлетворящего нужды текущего момента, может быть правильно оценена только с учетом перспектив дальнейшего роста перевозок, рассчитанных на достаточно длительный период. Кроме того, для планирования развития сети необходимо выбирать не только сами мероприятия, но и рациональные сроки их осуществления, что можно сделать лишь при решении динамической задачи.

Подобная методика уже применяется при проектировании железных дорог, выбор первоначальной мощности которых и последующих мероприятий по их усилению производится на основе схем поэтапного освоения перевозок, составляемых на 20—30 лет.

Необходимо усовершенствовать эту методику, распространить ее и на другие звенья единой транспортной сети, а также разработать аналогичную методику для полигонов транспортной сети. Такая задача не могла быть поставлена ранее. Ее постановка стала возможной лишь

ბიბლიოთეკა

в связи с применением в экономических расчетах математических методов и электронных вычислительных машин. Вместе с тем возникает еще и ряд других трудностей. Обычно даже на одной линии освоение перевозок может быть осуществлено за счет различных технических решений. Когда же речь идет о полигоне сети, то число возможных решений получается очень большим, т. к. в данном случае различные способы усиления отдельных линий должны быть рассмотрены также и в различных комбинациях друг с другом. Варианты развития сети представляют различные комбинации усиления ее отдельных звеньев. Число их быстро возрастает с увеличением размеров рассматриваемого полигона. При больших полигонах объем счетной работы по оценке всех возможных вариантов оказывается чрезмерным даже для самых быстродействующих машин. Поэтому должны быть найдены методы расчленения сети на расчетные единицы, т. е. — полигоны, при которых объем счетной работы был бы приемлемым, а точность — достаточной для правильной оценки эффективности полученного мероприятия.

Электронно-вычислительные машины, — кроме как средство решения логических задач при автоматизации управления железными дорогами, управлении движением поездов и режимами работы устройств энергоснабжения, — могут быть широко использованы в электрической тяге и электровозостроении как счетная техника во многих инженерных расчетах и, в частности, при проектировании и создании новых, более экономных и надежных конструкций электроподвижного состава.

При этих расчетах все шире используются современные математические методы — теории вероятности, математической статистики — позволяющие учесть большее количество различных факторов, оказывающих влияние на условия работы конструкции или устройства. Благодаря этому значительно сокращается число допущений, вследствие чего решение полнее отражает содержание задачи, т. е. расчет становится более совершенным. Большая скорость вычислений позволяет ставить и решать новые задачи, отказавшись от многих упрощений и условностей, являющихся следствием ограниченных возможностей ручного счета.

Появление вычислительных машин привело к возникновению совершенно новых методов исследования, предусматривающих в ряде случаев отказ от проведения серии экспериментов, требующих затрат труда, времени и материальных средств на их выполнение. При наличии математического описания исследуемого объекта длительный и дорогостоящий эксперимент с испытанием электроподвижного состава на линии можно заменить гораздо более дешевым, быстрым и точным расчетом на электронно-вычислительных машинах. Применяя принципы моделирования, можно изучить динамические свойства конструкции на ее математической модели. При этом поведение системы может быть проанализировано не только в нормальном режиме работы, но и при всех возможных нарушениях этого режима. Подобные исследования необходимы для создания конструкций и устройств с большой степенью точности и надежности.

Основываясь на быстродействии электронных вычислительных машин, оказывается возможным по-новому организовать проектирование инженерных конструкций: вместо единичного, часто трудоемкого расчета, производимого расчетчиком при заданных параметрах, конструкции, представляется возможным быстро просчитать ряд вариантов и выбрать оптимальный из них, обусловливающий создание наиболее со-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

вершенной конструкции. Причем сравнение вариантов и выбор оптимального из них электронные машины могут совершать автоматически, что позволяет по-новому подходить к оценке и выбору параметров проектируемых конструкций с учетом их возможных режимов работы.

Возможности экономико-математических методов и ЭВМ следует использовать и в другом направлении. При расчетах на большую перспективу нельзя заранее предусмотреть и количественно оценить те сдвиги в экономике, к которым приведет технический прогресс и повышение геологической изученности территории. Как бы тщательно не разрабатывались данные о размещении производительных сил и об экономических связях на перспективу, они неизбежно будут отличаться от тех, которые сложатся в действительности. Поэтому прямые расчеты, даже самые детальные, не всегда могут дать желаемый результат и следует искать другие пути для повышения качества планирования. Одним из таких путей должно быть отыскание закономерностей развития транспортной сети и ее отдельных звеньев в различных условиях, установление влияния отдельных факторов, и, прежде всего, темпов роста перевозок, на характер и последовательность мероприятий по развитию сети. Использование таких закономерностей при составлении схем развития транспортной сети на отдаленную перспективу поможет отобрать устойчивые решения из полученных прямым счетом, оценить влияние возможных отклонений от рассчитанной схемы грузопотоков.

Важнейшей задачей экономической работы на транспорте является повышение качества планирования, установление плановых показателей на основе количественных закономерностей, существующих в народном хозяйстве и в производственных процессах транспорта. Формы учета этих закономерностей различны.

Во многих случаях плановые показатели могут быть получены прямым нормативным расчетом, исходя из тех или иных твердо установленных плановых заданий, технических и расходных норм, утвержденных штатов и т. д. Например, исходя из запланированной добычи руды по рудникам и из потребления ее по заводам можно установить рациональную схему потоков и конкретным расчетом по каждой корреспонденции определить объем перевозок в тонно-километрах. Примеры подобного расчета, основанного на полной информации о предстоящей работе, можно привести из многих отраслей планирования.

Однако прямой счет показателей применим далеко не всегда. Его широкому применению препятствует, прежде всего, крайняя многочисленность и многообразие взаимосвязей в современном производстве. Учесть, например, при разработке годового плана транспорта каждую из миллионов грузовых корреспонденций, каждое назначение вагонов, каждую техническую норму со всеми ее изменениями в пределах планируемого года, вероятно, никогда не удастся. Трудность заключается не только в большом объеме и сосредоточенности информации (в этом отношении могли бы помочь автоматизированные системы планирования и управления), но и в том, что информация возникает одновременно и не остается постоянной: меняются нормы, уточняются объемы выпуска продукции; непрерывные поправки вносятся текущим ходом производства, перевыполнением или недовыполнением плана, вводом в эксплуатацию новых объектов и т. д. Особые трудности в применении расчетно-нормативных методов планирования возникают при разработке разделов плана, связанных с удовлетворением народного потребления, например, на транспорте — при разработке планов пассажирских перевозок. Спрос населения на товары и услуги, особенно

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

при их изобилии, зависит не только от объективных факторов, но и от вкусов, привычек и увлечений потребителей, пронормировать которые невозможно. Это не значит, однако, что спрос не поддается экономическому регулированию. Но планирование и регулирование спроса должно основываться в значительной мере не на прямом нормировании, а на косвенных методах, основанных на изучении динамики спроса, связи спроса с ценами, тарифами и т. д.

Все сказанное свидетельствует о том, что в планировании видное место принадлежит укрупненным и косвенным методам расчета, основанным не на непосредственном применении нормативов, а на определении и использовании укрупненных зависимостей между показателями. Косвенные методы широко применяются в практике плановой работы в виде экстраполяции отчетной динамики, экспертных оценок предстоящего изменения показателей, распределения полученных заданий по подразделениям, исходя из отчетных соотношений, и т. п. Несовершенство этих методов очевидно, однако, невозможно полностью заменить их скрупулезным нормативным расчетом всех деталей плана. Следовательно, нужно совершенствовать методику косвенных укрупненных расчетов, с тем, чтобы повысить их достоверность. Это особенно важно для перспективного планирования, менее детализированного, чем текущее, и опирающегося на менее детальную исходную информацию. Устойчивые количественные связи, на использовании которых основаны, как правило, укрупненные методы планирования, позволяют судить о предстоящей динамике ряда показателей, имея задания лишь по некоторым из них. Типичным примером является использование коэффициентов перевозимости разных видов продукции, которые позволяют оценивать объем перевозок грузов, исходя из их будущего производства.

Однако не во всех случаях экономические связи очевидны и устойчивы. Для выявления численной меры экономических взаимосвязей, и оценки их пригодности для планирования, часто необходим специальный анализ. Обычно при таком анализе возникают следующие вопросы:

1. Существует ли количественная связь между данными величинами? Иначе говоря, оказывает ли некоторая величина $x$ заметное влияние на численное значение величины $y$?

2. Какова форма связи (прямая, обратная, линейная, нелинейная)? Каким уравнением связь может быть выражена?

3. В какой мере результирующая величина $y$ подвержена колебаниям, не зависящим от влияющей величины $x$? Если такие колебания велики, исследуемая зависимость представляет меньший интерес для планирования.

Как правило, экономические показатели находятся под влиянием ряда воздействующих факторов. Поэтому часто представляет интерес изучение совместного действия нескольких факторов на результирующий признак. Например, спрос на конкретный потребительский товар зависит от цены товара (обратная зависимость), от доходов потребителей (для большинства товаров прямая зависимость) и от цен заменяющих товаров, если такие имеются. Следовательно, для оценки размеров потребления и выпуска товаров в будущем целесообразно подвергнуть количественному анализу зависимость спроса от всех трех перечисленных факторов.

Аналогично размер дальних пассажирских перевозок по железным дорогам зависит (полагая, что спрос удовлетворяется полностью) от численности и уровня доходов населения, тарифов железнодорожного,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

воздушного, автомобильного транспорта. Однако, в данном случае, к влияющим факторам присоединяются еще некоторые другие, в частности, соотношение времени, затрачиваемого пассажирами на поездку разными видами транспорта. Если бы удалось надежно определить все эти зависимости в виде уравнения, связывающего число пассажиров с перечисленными факторами, то полученное уравнение могло бы использоваться на практике для двух целей: прогнозирование уровня пассажирских перевозок на ближайшие годы; установление тарифов, стимулирующих желательное распределение пассажиров между видами транспорта.

Выявилась и новая тенденция в применении электронно-вычислительной техники на транспорте. Если до последнего времени идеи, технические средства и методы были направлены на решение отдельных задач планирования и управления, то теперь, когда убедились в эффективности результатов, ставится вопрос о более широком практическом применении их для управления железнодорожной системой на «высшем уровне». Это понятие включает долгосрочные прогнозы перевозок, управление запасами, капитальными вложениями, финансовой деятельностью, кадрами и др., улучшение структуры управления и текущее управление эксплуатационной деятельностью. Предполагается, что для всех этих целей должна быть создана единая информационная база. Каждая из проблем, включаемых в понятие управления «на высшем уровне», не какая-то вовсе незнакомая. Большинство их, как уже упоминалось, связано с долгосрочным планированием. Новой является более широкая постановка вопроса — комплексные интегральные исследования и решения. Таким образом, можно установить следующую эволюцию круга проблем, считавшихся наиболее актуальными.

В конце 50-х и начале 60-х годов, сообразуясь с традициями обработки данных на перфорационных машинах и возможностями ЭВМ, предпочтение отдавалось «рутинным» работам — статистическому и бухгалтерскому видам учета, где были достигнуты определенные успехи. Однако, уже в 1962 — 1963 гг. формируется точка зрения, которая становится затем общей, об эффективности применения кибернетических методов и технических средств сбора, передачи и обработки данных для управления перевозками. Наибольший эффект ожидался от решения задач оперативного управления в реальном масштабе времени. Этот этап далеко не пройден, мы пока находимся где-то в начале пути. Теперь ставится вопрос о комплексном применении кибернетики для управления «на высшем уровне», центр внимания перемещается, как будто, в сторону задач «стратегического» плана. Означает ли это, что следует забросить оперативные задачи и отдать примат только долгосрочному планированию? Вовсе нет. Прежде всего заметим, что управление «на высшем уровне» требует в том числе и текущего управления эксплуатационной деятельности. Массовое решение первоочередных задач создает хорошую предпосылку для этого и частично охватывает долгосрочное планирование.

Ясно также, что ряд задач долгосрочного планирования (планирование перевозок, организация вагонопотоков и др.) уже решен в научном и практическом смысле. Проработку комплексной проблемы управления «на высшем уровне» с применением математических методов и технических средств кибернетики, предполагая и целесообразные изменения структуры управляющих органов, нужно считать следующей очередной задачей научно-исследовательских учреждений и транспортных министерств.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Временной рабочей группой СЭВ по применению вычислительной техники на транспорте согласованы следующие основные параметры типовой мультипрограммной ЭВМ для транспорта: время доступа к оперативной памяти — 1—2 мк/сек для 4 байт (среднее быстродействие не менее чем 100 тыс. операций в сек.); емкость оперативного запоминающего устройства не менее, чем 512 килобайт (длина слова переменная); последнее может быть дополнено сверхбыстродействующей памятью; два вида памяти с произвольным доступом — на магнитных дисках (емкость одного сменного модуля 7,5—15 млн байт) и магнитных барабанах (не менее 4 млн байт на каждом); память с последовательным доступом на магнитных лентах (не менее 8 единиц). Обязательны устройства для непосредственного сопряжения с сетью передачи данных, рассчитанных на 128—256 каналов и работающих с различными скоростями от 50 до 2400 бод.

Универсальное математическое обеспечение включает системные программы, трансляторы и библиотеку стандартных программ; аппаратный и тестовый контроль, обеспечивающий быстрый поиск неисправностей.

Перспективы развития ЭВМ в общем весьма благоприятны. Ожидают, что уже в 80-х годах будут надежные машины четвертого поколения; быстродействие последних увеличится до 100 млн операций в секунду, но и это еще не предел возможностей ЭВМ. Габариты их будут уменьшены, а возможности внешних устройств значительно расширены. Ожидают, что стоимость электронной обработки данных через 20 лет уменьшается в 100 раз. Машина станет доступной без посредничества специалистов по вычислительной технике. Вместе с тем, несмотря на развитие алгоритмических языков, удельный вес стоимости математического обеспечения в общей стоимости вычислительного комплекса уже в ближайшие годы возрастет до 70—80% против примерно 50% в настоящее время. Если до сих пор речь шла о сложности математического обеспечения, имея в виду, прежде всего, машинное программирование, то теперь мы считаем нужным обратить специальное внимание на методы решения и алгоритмизацию задач, разрешаемых в реальном масштабе времени.

Помехоустойчивая связь вычислительных центров с периферийными пунктами, включая автоматическую подготовку первичной информации, самая дорогостоящая. В первое время для расчетов, не требующих высокой достоверности (например, как показывает опыт железнодорожного транспорта, составление оперативных планов эксплуатационной деятельности), может быть использована обычная телеграфная (телетайпная) связь с вызовом нужного абонента дисковым набором (через коммутатор). Однако в общем случае нужна аппаратура передачи данных повышенной достоверности с числом необнаруженных ошибок, не превышающим одну на миллион переданных десятичных знаков. Такое требование выдвигается не только транспортными организациями, но и рядом других отраслей народного хозяйства. Промышленность разрабатывает аппаратуру повышенной достоверности, в состав которой входят устройства (включаемые между телеграфным аппаратом и каналом), дополняющие сообщение избыточной информацией, которая позволит проверить переданное сообщение и воспроизвести его с нужной достоверностью.

В СССР разработана система, обеспечивающая автоматизированную передачу данных со скоростью 50—75 бод и повышенной достоверностью $1-10^{-6}$. Она включает приемо-передающую, каналообра-

зующую, коммутационную аппаратуру и устройства телеуправления-телесигнализации.

Очень важно автоматизировать наиболее трудоемкий процесс — сбор первичных данных. Это должно быть достигнуто такими средствами, как получение кодированных данных одновременно с составлением первичных документов (например, печатание накладной на перевозку груза и других документов на пишущей машинке с перфоприставкой), автоматическое считывание данных с движущего подвижного состава. Последнее особенно важно. Система считывания данных с подвижного состава требует значительно больших капитальных затрат, чем считывание документов, но сфера применения ее шире. Она позволяет обеспечить контроль за вагонами и грузами и по-новому организовать станционную работу. Становится возможным, в частности, полностью устранить списывание вагонов с натуры. Считанные номера вагонов прибывающего поезда автоматически поступят в устройства «Станционного (узлового) автодиспетчера», где будут сравнены с данными ранее полученной телеграммы-натурного листа, которая таким образом будет уточнена и послужит основой для планирования работы. На большинстве же станций, где нет ЭВМ, считанные номера вагонов могут быть выданы на печатающее устройство в технической конторе. Кроме того, эти номера будут переданы в ВЦ дороги для создания массива исходных данных о каждом вагоне.

Так как вся информация, содержащаяся в накладной (дорожной ведомости), поступит в ВЦ для хранения в ЭВМ при погрузке вагона, ее можно передать по каналу связи в ВЦ соседней дороги при сдаче вагона. В памяти ЭВМ эта информация дополняется данными о текущем местоположении вагона, которые поставляют устройства считывания, расположенные на входе и выходе крупных станций и в пунктах перехода с дороги на дорогу. Поскольку подробная информация, необходимая для оперативных целей и для составления статистической и бухгалтерской отчетности, хранится в ЭВМ, достаточно считать номер вагона, по которому все остальные данные находятся автоматически.

Краткое рассмотрение упомянутых вопросов показывает, что интересы народного хозяйства требуют их глубокого изучения. Применение математических методов и ЭВМ, открывающее возможности всестороннего изучения взаимосвязей между развитием транспорта и развитием других отраслей народного хозяйства, должно оказаться весьма полезным и должно способствовать успешной реализации задач, поставленных перед железнодорожным транспортом.

## ЛИТЕРАТУРА


1. Материалы XXV съезда КПСС, М., Госполитиздат, 1976.
2. М. И. Белов, А. Б. Каплан, Математические методы в планировании на железнодорожном транспорте, М., Транспорт, 1972.
3. Использование математических методов и ЭВМ при планировании работы и развития транспорта, под редакцией Черномордика, М., Транспорт, 1967.
4. Экономика железнодорожного транспорта, под редакцией доц. Ф. П. Мулюкина. М., Транспорт, 1975.

# ფილოსოფია

აკაკი ციმინტია

## მარქსისტული ფილოსოფია ადამიანის არსების შესახებ

საზოგადოებრივი განვითარების შესახებ მეცნიერული კონცეფციის შემუშავებისათვის ადამიანის რაობის გარკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც კ. მარქსი და ფ. ენგელსი ადამიანის პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ; შეიძლება ითქვას, მათ ადრინდელ შრომებში ეს საკითხი დომინანტობს კიდეც. რა წანამძღვარს ეყრდნობა ისტორიის მეცნიერული კონცეფციის შემუშავებისათვის ადამიანის არსის დადგენის აუცილებლობა? — საფუძველი ის არის, რომ ერთადერთ სუბიექტად, რომელიც ისტორიას ქმნის, აღიარებულია ადამიანი. ამ ამოსავალ პოსტულატამდე კ. მარქსი და ფ. ენგელსი მივიდნენ მათი უშუალო ფილოსოფიური წინამორბედების — ჰეგელისა და ფოიერბახის — შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის შედეგად.

1. ჰეგელის ისტორიულ-ფილოსოფიურ კონცეფციაში ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა აბსოლუტური სულის მიზანს ექვემდებარება, ამდენად, ადამიანს არა აქვს დამოუკიდებელი საზრისი და იგი ამ უკანასკნელს ტრანსცენდენტური ძალისაგან იძენს. ისტორიის ჰეგელისეული კონცეფციის პირველი სერიოზული კრიტიკა მატერიალიზმის პოზიციებიდან ეკუთვნის ფოიერბახს, რომელიც ისტორიის ფაქტს ხსნის არა ადამიანის მიღმა მოქმედი ობიექტური სულით, არამედ თვით ადამიანს აქცევს ისტორიის ცენტრალურ ფიგურად; ამიტომ უწოდა მან თავის ფილოსოფიას ანთროპოლოგია. უთუოდ დიდმნიშვნელოვანია ფაქტი, რომ ფოიერბახმა ადამიანური საქმიანობის სფეროდან განდევნა ჰეგელისეული აბსოლუტური სული, რომელიც ადგილს არ ტოვებდა ადამიანური შემოქმედებისათვის, მაგრამ საბოლოოდ ფოიერბახმაც ვერ მიაგნო ზებუნებრივი ძალისაგან თავისუფალი ადამიანის ნამდვილ არსებას.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ფოიერბახის ამ ნაბიჯს და ითავეს საქმის ბოლომდე მიყვანა. მათთვის ამოსავალია ფოიერბახის ღირსშესანიშნავი პოსტულატი, რომლის მიხედვით, ადამიანთა საზოგადოებისა და მისი ისტორიის ერთადერთი სუბიექტი არის ცოცხალი, ხორციელი ადამიანი. ამგვარი ამოსავალი პრინციპი თავდაყირა აყენებს პრობლემის ჰეგელისეულ და ქრისტიანულ-რელიგიურ გადაწყვეტას: თუ ადამიანთა საქმიანობიდან, მისი ისტორიიდან გამოვრიცხავთ „მსოფლიო სულს“, ღმერთს და სხვა ზებუნებრივ ძალებს, თუ ადამიანთა საზოგადოების ისტორიის უკან არა დგას ადამიანთა ბედ-იღბლის განმგებელი რაღაცა ფატალური ძალა, თუ ნამდვილი, ხორციელი ადამიანი არის ის ერთადერთი რეალური სუბიექტი, რომელიც ქმნის ისტორიას და ადმიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი მიზნებითა და მისწრაფებებით მოქმედ ინდივიდთა ისტორია, მაშინ ცხადია, საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანი პირველხარისხოვან პრობლემად იქცევა და ეს ნიშნავს — დავადგინოთ ადამიანის რაობა, მისი არსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ადამიანი რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენია, ამიტომ იგი არ შეიძლება არ იყოს მრავალმხრივი კვლევის ობიექტი. სწორედ, ამიტომ არსებობენ ადამიანის შესახებ ცოდნის სხვადასხვა დარგები: როგორც ორგანული სამყაროს წარმომადგენელს მას იკვლევს ბიოლოგიური მეცნიერება, როგორც სოციალურ არსებას მას სოციოლოგია იკვლევს, ადამიანი არის მორალური არსება და ამ ასპექტით მას ეთიკა იკვლევს; ასევე გამოიკვლევა ადამიანი როგორც ნივთების მწარმოებელი არსება, როგორც მოაზროვნე არსება და ა. შ. აქ დასახელებულ და სხვა მრავალ ნიშან-თვისებიდან ზოგი სპეციფიკურია, მხოლოდ ადამიანს ახასიათებს, ზოგი კი საერთოა ორგანული სამყაროს სხვა წარმომადგენლებთან; მაგალითად: ბიოლოგიური მხარე, რომლის გარეშე არ არსებობს ადამიანი, საერთოა მთელი ორგანული სამყაროსათვის. ხოლო ადამიანის ისეთი ნიშნები, როგორიცაა — ნივთთა წარმოება, აზროვნება, ზნეობა და სხვ., — მარტო ადამიანს ახასიათებს და მისთვის არის სპეციფიკური.

როდესაც საკითხი დგება ადამიანის არსების, მისი რაობის შესახებ, ჩვენი აზრით, საქმე ეხება არა იმას, თუ ამ ნიშან-თვისებათაგან რომელია მთავარი და არსებითი. სპეციფიკური მახასიათებლები, რომელნიც ადამიანს განასხვავებენ სამყაროს სხვა არსებათაგან, ოდითგან ცნობილია, ხოლო როდესაც დაყენებულია საკითხი ადამიანის რაობის შესახებ, პრობლემა სულ სხვა სიბრტყეშია. კერძო ნიშან-თვისებანი ადამიანის როგორც მთლიანი არსების ცალკეული მხარეებია და, მაშასადამე, არცერთი მათგანი არ შეიძლება იყოს მისი არსება. ვფიქრობთ, ადამიანის რაობა უნდა იყოს ისეთი რამ, რაც განსაზღვრავს ადამიანის ყველა ძირითად ნიშან-თვისებას, — ეს იქნება ის უკანასკნელი ძირი, რომელიც ნათელს მოფენს ყოველგვარ ადამიანურს. ადამიანის ნიშან-თვისებათა ასეთი პირველსაფუძვლის კვლევა არის საკითხის ფილოსოფიური კვლევა. ფილოსოფია არსებულს იკვლევს მისი უზოგადესი პრედიკატის — ყოფნის, ყოფიერების — თვალსაზრისით და, მაშასადამე, ადამიანის ფილოსოფიური კვლევაც ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. ფილოსოფიის მიერ დადგენილი ყველა ადამიანური ნიშან-თვისების უკანასკნელი ძირი იქნება ადამიანის არსება.

3. აზროვნების ისტორიაში მრავალი განსხვავებული თვალსაზრისი გამოითქვა ადამიანის არსების შესახებ. პირველი და უმთავრესი ფაქტი, რომელიც თვალში გვეცემა ადამიანის რაობის კვლევისას, ეს არის ის, რომ ადამიანი აქტიური არსებაა. ადამიანები ქმნიან ბუნებისაგან განსხვავებულ თავიანთს ავტონომიურ სამყაროს კულტურის სახით; აწარმოებენ მატერიალურ და სულიერ დოვლათს, რათა დაიკმაყოფილონ თავიანთი ვიტალური და სულიერი მოთხოვნილებანი; ქმნიან გარკვეულ კავშირ-ურთიერთობებს — დაწყებული მამაკაცის დედაკაცთან კავშირურთიერთობიდან და დამთავრებული ურთულესი ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, მორალური, ეროვნული და სხვა სახის კავშირურთიერთობით. ამ უკანასკნელთა არსებობა განაპირობებს სხვადასხვა ხასიათის სოციალური ინსტიტუტების არსებობას, დაბოლოს, ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა ხასიათის პროცესებს. ყველაფერი ეს ადამიანთა აქტიური მოქმედების, მათი მრავალმხრივი შემოქმედებითი აქტივობის ნაყოფია. ერთი სიტყვით, ადამიანი როგორც homo sapiens ქმნის აზრების, იდეების სამყაროს; ადამიანი როგორც homo faber ქმნის ნივთებს; ადამიანი როგორც homo sociologicus ქმნის სოცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ კავშირურთიერთობებს და ა. შ. ადამიანის პრობლემის ამოხსნა ნიშნავს ამ ფაქტიური ვითარების უკანასკნელი და განმსაზღვრელი ძირის დადგენას.

*როგორ და რითი ავხსნათ ადამიანის აქტიურობა? იქნებ ადამიანის აქტიურობის ძირი მის ერთ-ერთ ნიშანთვისებაში მდგომარეობს?* იდეალიზმი თავისებურად წყვეტს ამ საკითხს და ადამიანის ყოველგვარი აქტიურობის საძირკვლად აცხადებს სულს, აზროვნებას. ამ თვალსაზრისით გამოდის, რომ ადამიანის არსება მის ცნობიერებაში, აზროვნებაში მდგომარეობს. ისტორიის მთელი მარქსამდელი გაგება გამოდიოდა ადამიანიდან როგორც res cogtitans-იდან და ცნობიერებას აცხადებდა ისტორიის მამოძრავებელ ძალად, ადამიანის აქტიურობის პირველსაფუძვლად. როცა იდეალიზმი სულს, აზროვნებას აცხადებს ადამიანის აქტიურ საწყისად, გამოდის იმ უეჭველი ფაქტიდან, რომ იგი მოქმედებს ცნობიერად, აზროვნებაში წინასწარ შემუშავებული პროსპექტის მიხედვით. ყოველგვარი აქტიურობის ძირი, მისი აზრით, არის სული, აზროვნება, — იქნება ის ქვეყნიერებისა თუ ადამიანის სული. ეს დებულება იდეალისტურ მსოფლმხედველობაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არის პოსტულირებული. რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, თუ რა ლოგიკის ძალით გამოცხადდა სული დამოუკიდებელ სუბიექტად, საკითხავია, *რატომ უნდა ახასიათებდეს სულს აქტიურობა?* იდეალისტური თვალსაზრისით, აქტიურობა ხომ სულის პრედიკატია და *რა საფუძვლით არის იგი სულის აუცილებელი პრედიკატი?* თუ სული სუბსტანციაა და მისი სუბსტანციალობა სხვა არაფრისაგან გამოიყვანება, მისი ფუნდამენტური პრედიკატი — აქტიურობა — უთუოდ მოითხოვს გამართლებას.

როგორც ჩანს, საქმის ლოგიკას იქითკენ მივყავართ, რომ აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა არსებულის აქტიურობის, თვით სულისა და აზროვნების პირველსაფუძვლის შესახებ. მარქსი თავის მსოფლმხედველობრივ კონცეფციაში სწორედ ამ გზით მიდის და ამ საერთო მსოფლმხედველობრივი პოზიციით უდგება იგი ადამიანის პრობლემასაც. მარქსისტული პოზიციის მიხედვით, ადამიანის მიმართ საკითხი, საბოლოოდ, ასე დგება: *რა არის, საერთოდ, ადამიანის აქტიურობის* და, კერძოდ, *მისი გონითი აქტიურობის* — cogito-ს — *პირველმიზეზი?* როგორც ითქვა, ადამიანი პროსპექტული არსებაა; იგი ყოველთვის მოქმედებს განსაზღვრული იდეური მოტივებისა და ინტერესების, მიზნებისა და იდეების მიხედვით. მარქსის ისტორიული კონცეფცია კითხვას აყენებს იმის შესახებ, *თუ რა არის ადამიანის იდეალური სამყაროს უკანასკნელი ძირი? საიდან და რის ბაზაზე ჩნდებიან ადამიანთა მიზნები და ინტერესები, მათი საქმიანობის იდეური მოტივები? რა აინტერესებს და რისკენ მიისწრაფიან ისინი? რატომ სურთ ასე და არა სხვანაირად?* — ამ კითხვებზე პასუხი ნიშნავს, სწორედ, ადამიანის რაობის, მისი არსების დადგენას.

*რაში მდგომარეობს ადამიანის არსი მარქსის მიხედვით?* — სულ მოკლედ რომ ვთქვათ, მარქსის აზრით, ადამიანის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის თავისი ყოფიერების მწარმოებელი არსება; ადამიანი არის homo creator essendi. ადამიანი, როგორც homo creator essendi არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მთლიანი არსება, რომლის გამოვლენას წარმოადგენენ ადამიანის მრავალი ნიშან-თვისებები, მარქსის სიტყვებით — „არსებითი ძალები“. ყოველი არსებითი ძალა — დაწყებული სქესობრივი აქტიდან და ნივთის წარმოებიდან, დამთავრებული სულიერი აქტივობის უმაღლესი ფორმებით — ადამიანის ყოფიერების წარმოებას, მის თვითგანხორციელებას ემსახურება. ამიტომ მოითხოვდა მარქსი ადამიანის „არსებითი ძალების“ სრულ გაშლას როგორც აუცილებელ პირობას ადამიანის ყოფიერების დაფუძნებისათვის, ადამიანის თვითგანხორციელებისათვის. ცხადია, თუ გამოვალთ ადამიანის არსების ამგვარი გაგებიდან, მაშინ მიუტევებელი შეცდომა იქნება მარქსის ისტორიული კონცეფციის ისეთი ინტერპრეტაციები, რომელთაც ამ თეორიის აშკარა მოწინააღმდეგეები და, ზოგ შემთხვევაში, მისი ცრუ „მომხრეები“ იძლევიან. საქმე, ამ შემთხვევაში, ეხება ცალკეული „არსებითი ძალების“ ადამიანის არსებად გამოცხადებას — ეს კი ხორციელდება ორი მიმართულებით: ერთ შემთხვევაში ხდება homo creator essendi-ისა და homo faber-ის იდენტიფიკაცია; მეორე შემთხვევაში, სოციალურობა — ერთ-ერთი „არსებითი ძალა“ — ცხადდება ადამიანის არსებად. ერთიც და მეორეც ადამიანის მარქსისტული თეორიის ყალბი ინტერპრეტაციაა, რაშიც დაგვარწმუნებს საკითხის ანალიზი.

4. თავის ისტორიულ კონცეფციაში კ. მარქსი გამოდის ადამიანის არსების თავისებური გაგებიდან. როგორც ითქვა, მარქსის მიხედვით, ადამიანის რაობა ისაა, რომ იგი არის თავისი ყოფიერების მწარმოებელი არსება. ეს რომ ასეა, და სხვანაირად არც შეიძლება იყოს, მტკიცდება შემდეგი გარემოებით: ისტორიის მარქსისტულ თეორიაში „ცხოვრების, ყოფიერების წარმოების“ ცნება, ერთი მხრივ, და „მატერიალური დოვლათის“ წარმოების“ ცნება, მეორე მხრივ, სრულიადაც არ არის ერთი და იგივე. მარქსი, თავის კონცეფციაში ისტორიის შესახებ, ყოველთვის ლაპარაკობს „ცხოვრების, ყოფიერების წარმოებაზე“ — როგორც ძირეულ ცნებაზე და არა იმაზე, რომ ადამიანი არის ნივთების, მატერიალური დოვლათის მწარმოებელი არსება. მატერიალური დოვლათის წარმოება ადამიანის ყოფიერების წარმოების ერთ-ერთი მომენტია. წარმოება ნივთებისა არ არის თვითმიზანი, არამედ საშუალებაა, რითაც ადამიანები თავიანთ ყოფიერებას აფუძნებენ. ადამიანები იმიტომ კი არ ცხოვრობენ, რომ აწარმოონ მატერიალური თუ სულიერი დოვლათი, უყვარდეთ ერთმანეთი, დატკბნენ ესთეტიკურად, მოიხადონ ზნეობრივი მოვალეობა და ა. შ., არამედ, ყოველივე ამას იმისთვის მოიმოქმედებენ ისინი, რომ იცხოვრონ, ჰქონდეთ ადამიანური ყოფიერება. მარტივად, რომ ვთქვათ, ადამიანებმა რომ იცხოვრონ, აწარმოონ თავიანთი ყოფიერება, — მათ უნდა ჭამონ, სვან, უნდა ჰქონდეთ ბინა და ა. შ. ყოველივე ამისათვის კი უნდა აწარმოონ ნივთები. ერთი სიტყვით, ცხოვრების, ყოფიერების წარმოების აუცილებლობა ხდის ადამიანს homo faber-ად, homo sociologicus-ად და ა. შ. ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ცხოვრების წარმოების ცნება და ნივთების — მატერიალური დოვლათის — წარმოების ცნება არ ემთხვევა ერთიმეორეს. მათი გაიგივება მარქსის თეორიის დამახინჯებაა და ქმნის საფუძველს მისი ვულგარიზაციისათვის. „გერმანულ იდეოლოგიაში“, სადაც კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა პირველად სისტემატური სახით გადმოსცეს თავიანთი თვალსაზრისი ისტორიაზე, ძირითადი ცნების სახით ვხვდებით „ცხოვრების წარმოების“ ცნებას. მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი კ. მარქსისა ფრ. ენგელსის ამ შრომიდან: „...ადამიანები რომლებიც ყოველდღიურად ახლად *აწარმოებენ თავის საკუთარ ცხოვრებას*“; „*წარმოება ცხოვრებისა* (lebensproduktion) — როგორც საკუთარისა, შრომის მე-

ოხებით, ისე სხვისა, დაბადების საშუალებით...; „ადამიანებს აქვთ ისტორია, იმიტომ, რომ მათ *უნდა აწარმოონ თავისი ცხოვრება*"[1] „ცხოვრების წარმოება" (lebensproduction) ძირითადი ცნების სახით გვხვდება კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის უფრო გვიანდელ, მომწიფებულ შრომებში, სადაც საბოლოოდ არის ჩამოყალიბებული ისტორიის ახალი კონცეფცია. ისტორიის თავისი თეორიის ზუსტი და კლასიკური ფორმულირება კ. მარქსმა, როგორც ცნობილია, მოგვცა განთქმულ წინასიტყვაობაში „პოლიტეკონომიის კრიტიკისათვის": „...*თავიანთი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოებისას* ადამიანები შედიან მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობებში..."; ფ. ენგელსი კი იოსებ ბლოხს წერდა: „ისტორიის მატერიალისტური გაგებით, ისტორიაში განმსაზღვრელი მომენტი საბოლოო ინსტანციაში არის წარმოება და რეპროდუქცია ნადვილ ცხოვრებისა[3]". როგორც მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, კ. მარქსი და ფ. ენგელსი ერთმანეთისაგან მკაფიოდ ასხვავებენ *ცხოვრების წარმოებასა* და *ნივთების წარმოებას* ამასთან, პირველი ძირითად ცნებად მიიჩნიეს მეორის მიმართ. სწორედ იმ გარემოებამ, რომ ინტერპრეტატორებმა ყურადღება არ მიაქციეს ამ ცნებათა განსხვავებას, — რასაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ისტორიის ახალი კონცეფციის სწორი გაგებისათვის, — აიძულა მარქსი, უკმაყოფილება გამოეთქვა შემდეგი სიტყვებით: „მე ვიცი მხოლოდ ის, რომ მე არა ვარ მარქსისტი"[4].

ერთი სიტყვით, ისტორიის მარქსისტულ კონცეფციაში ფუნდამენტურ ცნებას წარმოადგენს „ცხოვრების წარმოება" (lebensproduction), ხოლო ვინც მოახდინა მისი იდენტიფიკაცია ნივთების წარმოებასთან, ამით მან გაავულგარულა მარქსის ისტორიული კონცეფცია და ისტორიის მატერიალისტური გაგება დაიყვანა ეკონომიკურ მატერიალიზმამდე, რის შედეგად უამრავი სიძნელე იქმნება ამ თეორიაში. საკმარისია, უარი ვთქვათ მათს იდენტიფიკაციაზე და ყველაფერი თავთავის ადგილზე დგება.

მარქსის კრიტიკოსებისათვის ისტორიის მარქსისტულ კონცეფციაში გადაულახავ სიძნელეს წარმოადგენს მატერიალური და იდეალური სამყაროს, საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთობის საკითხები. კრიტიკოსები ამასთან დაკავშირებით მიუთითებენ, რომ იდეალური სამყარო უშუალოდ არ გამოიყვანება ადამიანთა მატერიალური ყოფიერებიდან — ნივთების წარმოებიდან. თუ ადამიანის არსებად გამოვაცხადებთ მის ერთ-ერთ ნიშან-თვისებას — ნივთთა წარმოებას, მართლაც გაუგებარი გახდება ადმიანის მორალური, ესთეტიკური, რელიგიური და სხვა იდეური სფეროების წარმოების მიზეზი. ნივთთა წარმოებიდან უშუალოდ ვერ გამოვიყვანთ ადამიანის ზნეობრივ არსებად ყოფნის ფაქტს. მაგრამ, თუ უარს ვიტყვით ადამიანის არსად ნივთთა წარმოების გამოცხადებაზე და ადამიანის არსად ჩავთვლით იმას, რომ იგი არის თავისი ყოფიერების მწარმოებელი არსება, თუ დავადგებით იმ თვალსაზრისს, რომ ადამიანში შინაგანად მოქმედებს თავისი ყოფიერების წარმოების ობიექტური ძალა და ამ უკანასკნელს მივიჩნევთ ადამიანის ყოველგვარი აქტივობის პირველმიზეზად, — მაშინ სავსე-

[1] *კ. მარქსი, ფ. ენგელსი.* გერმანული იდეოლოგიიდან, 1954, გვ. 28—30 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — ა. ც.).

[2] *კ. მარქსი და ფ. ენგელსი.* რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950, გვ. 407.

[3] *კ. მარქსი და ფ. ენგელსი.* რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 592.

[4] *К. Маркс и Ф. Энгельс.* Соч. т. 37, 1965, стр. 370.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით გასაგები გახდება იდეალური სამყაროს ნებისმიერი სფეროს არსებობის ფაქტი. ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულება — ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას და უკანასკნელი წარმოადგენს პირველის ასახვას — სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ საბოლოო მიზანი, — რომელსაც ემსახურება ადამიანის ყველანაირი გონითი საქმიანობა, ცხოვრებაა, ადამიანური ყოფიერების წარმოებაა.

ამრიგად, უმთავრესი ისტორიული საქმე არის ისტორიის შემოქმედ სუბიექტში შინაგანად მოქმედი საკუთარი ყოფიერების დაფუძნება, ცხოვრების წარმოება, — უკანასკნელი აქცევს ადამიანს ნივთების მწარმოებელ არსებად; მოაზროვნე, მორალურ, ესთეტიკურ... არსებად. ამაში მდგომარეობს მარქსის ისტორიული კონცეფციის — ისტორიის მატერიალისტური გაგების — დედააზრი. ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა ყოფიერების დაფუძნების, ადამიანის თვითგანხორციელების ისტორია. ამ გრანდიოზული ისტორიული პროცესის ცენტრში დგას homo creator essendi; მაშასადამე, ადამიანთა საზოგადოება და მისი ისტორია არის ადამიანის არსების რეალიზაციის ისტორია.

5. ადამიანის არსების შესახებ კ. მარქსის შეხედულების კიდევ ერთი არასწორი ინტერპრეტაცია, როგორც ეს ამ სტატიის მესამე პუნქტის ბოლოს აღინიშნა, მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის არსებად ცხადდება მისი სოციალურობა. ეს ინტერპრეტაცია ძირითადად გავრცელებულია საბჭოთა ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში. რამდენად სწორია ადამიანის არსების შესახებ მარქსის შეხედულების ამგვარი ინტეპრეტაცია? მართლაც იძლევა თუ არა მარქსი საბაბს იმისათვის, რომ მის თვალსაზრისს ადამიანის არსების შესახებ ასეთი ინტერპრეტაცია მიეცეს? — წინასწარ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ არა! აღნიშნული ინტერპრეტაცია ეყრდნობა ფოიერბახის შესახებ კ. მარქსის მე-6 თეზისის დანიშნულების არასწორ გაგებას. რა არის ამ თეზისის შინაარსი, რომელიც მის დანიშნულებასაც განსაზღვრავს? წინამდებარე ნაშრომის პირველსავე პუნქტში აღინიშნა ფოიერბახის მეტად დიდი დამსახურება ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ფოიერბახმა რელიგიის მიწიერ საფუძველზე მიუთითა, ზეცის საიდუმლოება მიწიერით, სახელდობრ, ადამიანით ახსნა. წარმოსახვითი ქვეყანა, რომლის შესახებაც თეოლოგია და იდეალიზმი ლაპარაკობდა, ფოიერბახმა საერო საფუძველზე დაიყვანა. ფოიერბახის ამ ნაბიჯმა კ. მარქსის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი გავლენა იქონია. მაგრამ, კ. მარქსისავე სიტყვით, ფოიერბახის ამ ნაბიჯის შემდეგ „მთავარი საქმე მაინც გასაკეთებელი რჩებოდა“, კერძოდ, საჭირო იყო ამ ფაქტის ახსნა, თუ რატომ ეთიშება „საერო საფუძველი თავის თავს“ და რატომ ყალიბდება „ზეცაში“ ადამიანისაგან დამოუკიდებელ სამყაროდ. მარქსის მიხედვით, ეს ხდება იმიტომ, რომ მიწიერი სამყარო თვითონ არის გათიშული და „შინაგანი წინააღმდეგობებით“ აღსავსე. რამ შეუშალა ხელი ფოიერბახს მისულიყო ამ რევოლუციურ-რადიკალურ თვალსაზრისამდე? რატომ ვერ გაიგო ფოიერბახმა მიწიერი სამყაროს წინააღმდეგობრივი ბუნება? — იმიტომ, რომ თვით ადამიანი ფოიერბახმა გაიგო აბსტრაქტულად. მან ინდივიდი იგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისხმა იმ საერო საფუძვლისაგან — საზოგადოებისაგან — განცალკევებულად, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და რომლის გარეშეც მისი არსებობა შეუძლებელია: „ადამიანური არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. ნამდვილად იგი (იგულისხმება ადამიანი — ა. ც.) საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა". კ. მარქსის ამ თეზისის დანიშნულებაა ადამიანის შესახებ ფოიერბახის არასწორი თვალსაზრისის გამოაშკარავება, რადგან მან შესაძლებლად მიიჩნია ადამიანური არსება საზოგადოების გარეშე. კ. მარქსის აზრით, ადამიანი სოციალური არსებაა (homo sociologicus) და იგი არასოდეს იარსებებს სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში ჩართვის გარეშე, ამიტომ, ცხადია, წარმოადგენს ამ ურთიერთობათა ერთობლიობას. რამდენადაც ადამიანი თავისი ცხოვრების წარმოებისას სხვა ადამიანებთან ამყარებს ურთიერთობას, იგი ყოველთვის საზოგადოების განსაზღვრულ ფორმას ეკუთვნის[5]. ერთი სიტყვით, მარქსის აზრით, ადამიანი ყოველთვის ადამიანთა ერთობლივი საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტია და, როგორც ასეთი, წარმოადგენს ადამიანებს შორის დამყარებულ ცხოვრებისეულ ურთიერთობათა ერთობლიობას. საწინააღმდეგო მოსაზრება კ. მარქსმა კვლავ დაგმო თავის ცნობილ შრომაში — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", იმ განსხვავებით, რომ მარქსის კრიტიკის ობიექტი, ამ შემთხვევაში, არის არა ფოიერბახისეული ინდივიდი, რომელსაც მეორე ინდივიდთან მხოლოდ სიყვარულის გრძნობა აკავშირებს, არამედ მე-18 საუკუნის ეკონომიკურ ნააზრევში არსებული ადამიანი — რობინზონადი. კ. მარქსის ზემოდასახელებული შრომის შესავალში ლაპარაკია მარტოხელა და განცალკევებულ მწარმოებლებზე — რობინზონადებზე, რითაც სმიტი და რიკარდო იწყებენ. მარქსი ამას „მე-18 საუკუნის ფანტაზიამოკლებულ წარმოდგენას" უწოდებს და ადარებს რუსოს შეხედულებას, რომ ადამიანი ბუნებით დამოუკიდებელი სუბიექტია და იგი მხოლოდ შემდეგ, თავისი სურვილის მიხედვით (ხელშეკრულებით) ამყარებს ურთიერთობას სხვა სუბიექტებთან. ეს თვალსაზრისი მიუღებელია მარქსისათვის, რადგან ადამიანი მწარმოებელ სუბიექტად მარტოოდენ საზოგადოებაში და საზოგადოების შიგნით შეიძლება არსებობდეს: „განცალკევებულ ინდივიდთა წარმოება — საზოგადოების გარეშე, რომელსაც როგორც იშვიათ მოვლენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს უდაბნოში შემთხვევით მოხვედრილი განათლებული ადამიანის მხრივ, რომელსაც დინამიურად უკვე ჰქონდა თავისში საზოგადოებრივი ძალები, ისეთივე უაზრობაა, როგორც ენის განვითარება ერთად მცხოვრებ და ერთიმეორესთან მოლაპარაკე ინდივიდებს გარეშე"[6]. სხვანაირად რომ ვთქვათ, არცერთი არსებითი ძალა, რომელსაც ადამიანი ფლობს, არ არსებობს ადამიანის ადამიანთან საზოგადოებრივი ურთიერთობის გარეშე და მის ყოველგვარ საქმიანობას ყოველთვის სოციალურობის ბეჭედი აზის. ერთი სიტყვით, კ. მარქსის აზრით, ადამიანი არ არის აბსტრაქტული, „სადღაც ადამიანური სამყაროს მიღმა მსუფევი არსება. ადამიანი ეს არის ადამიანური სამყარო, სახელმწიფო, საზოგადოება"[7].

ყველაფერი ეს დღესავით ნათელია, თუმცა, ამ შემთხვევაში, აუცილებლად წამოიჭრება კითხვა: არის თუ არა მარქსი საკითხის ამგვარ

---

[5] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 486.

[6] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1933, გვ. 4.

[7] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 1, стр. 414.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გადაწყვეტაში ორიგინალური?* — პირდაპირ უნდა ითქვას, რომ არა! ამისი დამადასტურებელი ფაქტია ანტიკური ეპოქის ნააზრევი, როდესაც თითოეული პიროვნება წარმოიდგინებოდა მთელის განუყოფელ ნაწილად; ადამიანი არ გამოყოფდა თავის თავს საზოგადოებისაგან და თავის ინდივიდუალურ არსებას ერთიანი პოლისის ორგანულ ნაწილად მიიჩნევდა. ადამიანური ინდივიდის საყოველთაოსთან, მთელთან აუცილებელი კავშირი ძველი დროის დიდმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ ნათლად გამოთქვა, როცა მან ადამიანი zoon politikon-ად გამოაცხადა. გაცილებით გვიან — მე-17 საუკუნის მატერიალისტები თავიანთ საზოგადოებრივ შეხედულებებში გამოდიოდნენ იმ თეზისიდან, რომ ადამიანი არის სოციალური არსება და, როგორც ასეთი, წარმოადგენს სოციალური გარემოს პროდუქტს. ადამიანის მარეგლამენტირებელ სოციალურ გარემოში იგულისხმებოდა ადამიანებს შორის დამყარებული ცხოვრებისეული ურთიერთობანი, მათი ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობა, ყველა სახის სოციალური კავშირ-მიმართებები, სახელმწიფო — მთელი სამოქალაქო საზოგადოება, ყველა არსებითი ატრიბუტებით. ისინი, მართალია, ადამიანთა შორის დამყარებულ ამ ურთიერთობათა განმსაზღვრელ უკანასკნელ ძირს ვერ ნახულობდნენ, მაგრამ ის გარემოება, რომ ადამიანი ამ ურთიერთობათა პროდუქტია, მათთვის სრულიად ნათელი იყო. ადამიანის სოციალურობის, მისი როგორც საზოგადოებრივი არსების შესახებ შეხედულება, ფართოდ არის აღიარებული თანამედროვე სოციოლოგიაში — როგორც ჩვენში, ისე ბურჟუაზიული თეორიების მიხედვითაც.

ერთი სიტყვით, თეზისი ადამიანის სოციალურობის, ადამიანური ყოფიერების როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობის შესახებ, სრულიადაც არაა მარქსის აღმოჩენა. კ. მარქსის დამსახურება ის კი არ არის, რომ მან ადამიანის სოციალურობაზე მიუთითა, არამედ — იმ ძირეული პირველმიზეზის დადგენაში, რომელიც შინაგანად მოქმედებს ადამიანებში და აიძულებს მათ შექმნან განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელთა აუცილებელ გავლენას მას შემდეგ, რაც ისინი შეიქმნა, ადამიანები უთუოდ განიცდიან. თანამედროვე სოციოლოგიაში მაღალ დონეზე მიმდინარეობს ადამიანის სოციალური ბუნების კვლევა-ძიება. მთავარი შედეგი, რომელსაც ამ მიმართულებით მიაღწია სოციოლოგიამ, სულ მოკლედ, შემდეგნაირად შეიძლება გადმოიცეს: ადამიანი, ყოველი ინდივიდი ცხოვრობს და მოღვაწეობს სხვა ინდივიდთან ერთად; ინდივიდებს შორის მყარდება სრულად განსაზღვრული კავშირ-ურთიერთობანი, რაც მრავალნაირი შეიძლება იყოს; სოციალურ ორგანიზმში ადამიანი ყოველთვის რაღაცა სოციალურ ფუნქციას ასრულებს, ე. ი. სოციოლოგების გამოთქმით, მას სოციალური როლი აკისრია და ინდივიდმა, თავისი როლი, და ფუნქცია წარმატებით რომ შეასრულოს, უთუოდ უნდა გაიაროს სოციალიზაციის რთული პროცესი. *რაზეა საბოლოოდ, დამოკიდებული მოცემული სოციალური ორგანიზმის — საზოგადოების შიგნით ინდივიდის როლი, მისი სოციალური ფუნქციები?* — ცხადია, მოცემული საზოგადოების ხასიათზე, მის სტრუქტურაზე. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს დასკვნა, რომ ინდივიდის ფუნქცია, მისი სოციალური როლი არ არის მუდმივი სიდიდე. საზოგადოების ხასიათისა და სტრუქტურის ცვალებადობა უთუოდ იწვევს მოცემულ სოციალურ ორგანიზმში ინდივიდის ფუნქციებისა და როლის ცვალებადობას. რამდენადაც ინდივიდი ყოველთვის რაღაც განსაზღვრულ ფუნქციებს, გარკვეულ როლს ასრულებს მოცემული სოციალური ორგანიზმის შიგნით, რამდენადაც ადამიანი არის homo sociologicus, იგი ყოველთვის რეგლამენტირებულია, მორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებულია არსებული სოციალური სიტუაციის მიმართ. როგორც გარკვეული როლის შემსრულებელი მთელში, იგი არის ამ მთელის ორგანული ნაწილი და, არა მხოლოდ ნაწილი, არამედ, მისი პროდუქტიც. ადამიანი, ინდივიდი, როგორც ამას კ. მარქსი იტყოდა, არის „საშუალო ინდივიდი". სოციოლოგიას თავის კვლევა-ძიებაში საქმე აქვს ამ „საშუალო ინდივიდთან". ყოველივე ამით გადმოცემულია ადამიანის, ინდივიდის სოციოლოგიური კონცეფცია. ამ შემთხვევაში, ბუნებრივად ასეთი კითხვა იბადება: *შეიძლება თუ არა ადამიანის კვლევა-ძიება აქ შევაჩეროთ? ამოიწურება თუ არა ადამიანის საიდუმლოება მისი სოციოლოგიური კონცეფციის დაფუძნებით?* მოკლედ რომ ვთქვათ, *დაიყვანება თუ არა ადამიანი სოციალურ არსებამდე?*

როგორც ზემოთ აღინიშნა ადამიანი მრავალი „არსებითი ძალის" ერთობლიობაა, ერთ-ერთი მათგანი მის სოციალურობაში მდგომარეობს. ცხადია, ადამიანის დაყვანა მის ერთ-ერთ „არსებით ძალაზე", ადამიანის მარქსისტული კონცეფციის მიხედვით, უხეში შეცდომაა. ადამიანისა და მისი სამყაროს საიდუმლოების გახსნა აუცილებლად მოითხოვს მისი სოციოლოგიური კონცეფციის გარეთ გასვლას — ადამიანის ფილოსოფიური კონცეფციის შემუშავებას. არსებობენ ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი ფუნდამენტური ხასიათის ფაქტები, რომელნიც ადამიანის სოციოლოგიური კონცეფციის გარეთ გასვლის აუცილებლობას აპირობებენ. მოვიყვანთ მაგალითს — ესაა ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული ცვალებადობის ანუ სოციალური დინამიზმის ფაქტი. როგორც ითქვა, სოციალური გარემო ადამიანის არსებობის აუცილებელი პირობაა; მისდამი ადაპტაცია, ინდივიდის სოციალიზაცია ადამიანს ხდის ნორმირებულ, რეგლამენტირებულ ინდივიდად და ადამიანი ხდება სტანდარტული, „საშუალო ინდივიდი", სხვა ინდივიდებთან იგივეობრივი. *ხომ არ ამოიწურება ადამიანი იმით, რასაც მისგან გარემო ქმნის? ანდა ხომ არ შემოისაზღვრება ადამიანის საქმიანობა იმით, რასაც მას სოციალური გარემო კარნახობს?*

ადამიანი მთლიანად დეტერმინირებული რომ იყოს გარემოთი, მისი ქცევა და მოქმედება მთლიანად რომ დავიყვანოთ მის სოციალურ ფუნქციებსა და როლზე, — მაშინ გაუგებარი იქნებოდა ადამიანთა აქტიური, ხშირად ნეგატიური დამოკიდებულება არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი, მათი აქტიური მოღვაწეობა მიმართული არსებული სოციალური გარემოს შეცვლისაკენ. ერთი სიტყვით, გარემოსადმი ადამიანთა კრიტიკულ-რევოლუციური დამოკიდებულების უეჭველი ფაქტის ასახსნელად უთუოდ საჭიროა ადამიანის ავტონომიურობის პრინციპის დაშვება. სხვანაირად რომ ვთქვათ, საკითხი, ბოლოსდაბოლოს, ეხება იმას, რომ დაიძებნოს ადამიანის აქტიურობის უკანასკნელი ძირი, — ის ძირი, რომელიც აქტიურს ხდის ადამიანს და აიძულებს მას შექმნას თავისი ავტონომიური სამყარო — სოციალური ორგანიზმის სახით. სოციალური ორგანიზმის აღმოცენების აუცილებლობა, მისი დინამიზმი თვითონ სოციალური ორგანიზმით არ შეიძლება პირობადებული იყოს. ასეთ შემთხვევაში უნდა დაგვეშვა ამ ორგანიზმის ავტომატური ქმნადობის შესაძლებლობა და მაშინ ადამიანს სოციალური გარემო მოევლინებოდა სავსებით უცხო ძალად, რომლის ხელშიც იგი მარიონეტის როლში გამოვიდოდა. სოციალური ორგანიზმის წარმოშობის ფაქტი, მისი მუდმივი დინამიზმი თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროებს ახსნას, რაც, ცხადია, ისევ ადამიანში უნდა ვეძებოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი სოციალურზე დაუყვანადი არსებაა. მარქსის ისტორიული კონცეფციის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი, რომ ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას, გამორიცხავს ადამიანის არსების მხოლოდ სოციალურამდე დაყვანის შესაძლებლობას და მოითხოვს ადამიანში იმ სიღრმისეული ძალის დაძებნას, რომელიც აიძულებს ადამიანებს, თვითონ შექმნან თავიანთი ისტორია, სოციალური და სხვა სახის კავშირურთიერთობებითურთ.

ამრიგად, ადამიანისა და მისი ისტორიის მარქსისტული კონცეფციის თანახმად, ადამიანის სოციალურობა არ შეიძლება მის არსებად მივიჩნიოთ, იგი სხვა მრავალ „არსებით ძალათა“ შორის ერთ-ერთია, რომელიც ადამიანის სიღრმისეული არსების განხორციელებას ემსახურება. *მაინც რა ადგილი უჭირავს მას ადამიანის როგორც მთელის სისტემაში? როგორ ემსახურება იგი ადამიანის არსების დაფუძნებას?* ადამიანი როგორც creator essendi არის მისი ყოველგვარი აქტივობისა და საქმიანობის, მთელი ადამიანური სამყაროს არსებობის პირველმიზეზი.

წინააღმდეგ გავრცელებული თვალსაზრისისა, რომლითაც ისტორიის მარქსისტულ კონცეფციად მიჩნეულია ადამიანის სამყაროსა და ისტორიული აუცილებლობის დაფუძნება გარეგანით — ნივთთა წარმოებით, ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ ეს გარეგანი არის შინაგანის რეალიზაცია. შინაგანი — ადამიანიდან მომდინარე, — გაგებულია როგორც რაღაცა სუბიექტური რამ, — ეს სრულებითაც არაა ასე; თავისი არსებით ადამიანი სრულებითაც არ დგას უნივერსუმისაგან განცალკევებულად. არსების სახით ადამიანში მოქმედი ობიექტური ძალა მომდინარეობს უნივერსუმიდან. არსების სახით ადამიანში მოქცეული ეს ძალა თავისებურად ხორციელდება. ჩარჩო, მარქსის სიტყვებით, რომ ვთქვათ, ფორმა, რომელშიც ეს ხორციელდება, არის საზოგადოება. „ადამიანთა საზოგადოებრივი ისტორია წარმოადგენს ყოველთვის მათი ინდივიდუალური განვითარების ისტორიას, შეგნებული აქვთ ეს თვითონ თუ არა, მათი მატერიალური ურთიერთობა საფუძველია, ყოველივე სხვა მათი ურთიერთობისა. ეს მატერიალური ურთიერთობა ის *აუცილებელი ფორმაა მხოლოდ* (ხაზი ჩემია — ა. ც.), რომელშიც ხორციელდება ადამიანთა მატერიალური და ინდივიდუალური საქმიანობა“[8]. ადამიანი თავისი ყოფიერების მწარმოებელი არსებაა. თავისი ყოფიერების წარმოებას იგი მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ახერხებს. მას არ შეუძლია თავისი არსება სხვანაირად განახორციელოს და, მაშასადამე, სოციალური ურთიერთობანი, რასაც ადამიანები ერთმანეთს შორის ამყარებენ, „ის, აუცილებელი ფორმაა“, რომელშიც ხორციელდება საკუთარი ყოფიერების დაფუძნებისაკენ მიმართული მათი საქმიანობა. საკუთარი ყოფიერების დაფუძნების შინაგანი მოთხოვნიდან გამომდინარეობს ადამიანის კრიტიკულ-რევოლუციური დამოკიდებულება სოციალური გარემოსადმი, იმ ურთიერთობებისადმი, რომლებსაც ადამიანები ქმნიან თავიანთი არსების განხორციელების პროცესში. სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალური დინამიზმის უკანასკნელი ძირი, მისი მამოძრავებელი ძალა არის ადამიანი როგორც თავისი ყოფიერების მწარმოებელი არსება. როდესაც ესა თუ ის სოციალური გარემო არ შეესატყვისება ადამიანის

[8] იხ. კ. მ ა რ ქ ს ი. რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 333, თბილისი, 1935.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსების განხორციელების მოთხოვნებს, ხელს უშლის მის რეალიზაციას და აფერხებს მას, მაშინ ადამიანები რევოლუციური პათოსით აღივსებიან, ანგრევენ არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, აძლევენ ამ უკანასკნელთ ისეთ ხასიათს, რომელიც მათი არსების რეალიზაციის შეუფერხებელ წინსვლას უზრუნველყოფს. ამ მოქმედებაში ადამიანები ეყრდნობიან საწარმოო ძალთა შემდგომი წინსვლის მოთხოვნებს, — იმ საწარმოო ძალებისა, რომელთა განვითარებასა და სრულყოფაზეც, ისევ თავიანთი არსებიდან გამოსულნი, ესოდენ ბეჯითად და თავდადებით ზრუნავენ ისინი.

ამრიგად, ადამიანისა და მისი ისტორიის მარქსისტული კონცეფციის თანახმად, ადამიანის არსება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის homo creator essendi. აუცილებელი ჩარჩო, ფორმა, რომელშიც ადამიანი თავის არსებას ახორციელებს, არის სოციალური ორგანიზმი — საზოგადოება. ამიტომ ადამიანთა ისტორია არის მათი საზოგადოების ისტორია.

6. **როგორია გზა, საშუალება რითაც ადამიანი თავის არსებას ახორციელებს?** ადამიანი უნივერსუმის ნაწილაკია. მან თავისი ყოფიერება იმ სამყაროში უნდა დააფუძნოს, რომლის ნაწილაკსაც იგი წარმოადგენს. თავისი ცხოვრების დაფუძნებისათვის ინდივიდს სხვისი არსებობა სჭირდება. რაიმეს არსებობის ეს საყოველთაო წესი, საერთოდ, ცოცხალ არსებაში და, კერძოდ, ადამიანში ვლინდება იმით, რომ მას აქვს მოთხოვნილება ბუნების საგნებისადმი. როგორც ბიოლოგიურმა არსებამ, მან ბუნების საგნები უნდა მიითვისოს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ადამიანი გარკვეულ სიძნელეებს აწყდება: ჯერ ერთი, საგანთა უმრავლესობა, რითაც ადამიანი თავის მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, არ არსებობს მზა სახით; ამასთან, ბუნების საგნებს თავისი არსებობა აქვთ და, მაშასადამე, ისინი გარკვეულ წინააღმდეგობას უწევენ ადამიანებს; ე. ი. საჭიროა, ადამიანებმა იზრუნონ ბუნების საგნების გარდაქმნისათვის, მათი წინააღმდეგობის დაძლევისათვის. სამყარო, — წერდა ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი, — არ აკმაყოფილებს ადამიანს და ადამიანი თავისი მოქმედებით გადაწყვეტს შეცვალოს იგი. ადამიანის მიზანსწრაფული, აქტიური საქმიანობა — მიმართული ბუნების საგნებისა და ძალების გარდაქმნისა და დამორჩილებისაკენ — არის შრომა: შრომით და შრომის პროცესში ადამიანი გარდაქმნის ბუნებას. შრომის პროდუქტების შექმნით, პროდუქტებისა, რომელნიც აუცილებელია ადამიანის მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, როგორც მარქსი ამბობს, ადამიანი, ასაგნობრივებს თავის თავს. ადამიანის სუბიექტური ძალები ობიექტურდებიან. რაც უფრო მეტ პროდუქტს ქმნის ადამიანი თავისი აქტიური საქმიანობით — შრომით, ბუნების რაც უფრო მეტ საგნებს გარდაქმნის თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად, — მით უფრო „ადამიანებს“ ის ბუნებას, მით უფრო მეტად ბატონდება მასზე. შრომაში და შრომის პროცესში ადამიანი თავის თავს ორმაგი მიმართულებით აწარმოებს: ერთი მხრივ, ბუნების საგნების გარდაქმნითა და მითვისებით იგი არაპირდაპირ აწარმოებს თავის ყოფიერებას — საზოგადოებრივ ცხოვრებას; მეორე მხრივ, ბუნების საგნების გარდაქმნა ადამიანის აქტიური მოქმედება — შრომა — აყალიბებს ინდივიდს როგორც ადამიანს. რაც უფრო სრულქმნილია ეს აქტიურობა, რაც უფრო მრავალმხრივია ადამიანის შემოქმედებითი, ბუნების გარდამქმნელი საქმიანობა, მით უფრო მაღალ დონეზე დგას ადამიანი როგორც თავისი ყოფიერების მწარმოებელი არსება. პირველ შემთხვევაში ადამიანი აწარმოებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ყოფიერებას ნივთთა, საგანთა წარმოებით, მეორე შემთხვევაში — უშუალოდ, თავისი ყოველმხრივი ადამიანური „არსებითი ძალების“ წარმოებით. ორივე, საბოლოოდ, ერთ საერთო მიზანს — ადამიანური ყოფიერების წარმოებას ემსახურება. ერთი მთლიანი პროცესის ორივე ამ მომენტით ადამიანი თავის თავს ავლენს როგორც საკუთარი ყოფიერების მწარმოებელი არსება.

ამრიგად, შრომა არის საშუალება, რითაც ადამიანი თავის ყოფიერებას აფუძნებს სამყაროში. შრომა, მარქსის აზრით, არის „მუდმივი ბუნებრივი პირობა ადამიანური ცხოვრებისა“.

7. ადამიანის არსების უშუალო გამოვლენას, ადამიანის გასაგნობრივებულ არსებას წარმოადგენს ბუნებრივი სამყაროსაგან განსხვავებული ის სამყარო, რომელსაც ადამიანი თავისი აქტიური, მრავალმხრივი საქმიანობით ანუ შრომით ქმნის, — ესაა კულტურის სამყარო. კულტურა არის ახალი, ადამიანამდე არარსებული სამყარო. მისი შექმნით ადამიანი ეთიშება ბუნებას და აფუძნებს თავის ავტონომიურ სამყაროს. კულტურის შექმნით ადამიანი ავლენს საკუთარი არსების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნიშან-თვისებას, რომელიც დასაბამს იღებს უნივერსუმში. უნივერსუმის არსებობა არის უსასრულო, არაფრით შემოსაზღვრული causa sui-სეული, თვითსაფუძვლის მქონე არსებობა. ადამიანი უნივერსუმის ნაწილაკია. ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს სხვით პირობადებული, ბოლოვადი, სასრული არსებობა. ადამიანი თავისი ნებისა და ცნობიერების საგნად აქცევს თავის არსებობას, კერძოდ, ბოლოვად არსებობას; იგი ესწრაფვის თავისი სასრულო არსებობის დაძლევას. ადამიანი როგორც უნივერსუმის ნაწილაკი ამ სწრაფვით ურთიერთობაში მოდის და იზიარებს უნივერსუმის არსებობის ყველა წესსა და კანონზომიერებას. გამონაკლისს, ამ შემთხვევაში, არ წარმოადგენს უნივერსუმის ყოფიერების ის ნიშან-თვისება, რომ იგი არის causa sui-სეული არსებობა. ადამიანი ცდილობს, დაძლიოს თავისი ბოლოვადი, სხვით პირობადებული არსებობა და ეზიაროს უნივერსუმისეულ არსებობას. ადამიანს ამ სწრაფვის კონკრეტულ-ემპირიულ გამოვლენას წარმოადგენს ავტონომიური სამყარო, რომელსაც იგი კულტურის სამყაროს სახით ქმნის. მაგრამ ახალი სამყარო, რომელსაც იგი ქმნის (როგორც ყოველი არსებული) ყოფიერების სრულიად განსაზღვრულ კანონზომიერებასა და წესებს ექვემდებარება. ადამიანი ახლა ამ მეორე სამყაროს მოქალაქეცაა და მასში არსებულ კანონზომიერებასაც უნდა დაექვემდებაროს. მარქსის ისტორიული კონცეფციის ერთ-ერთი ფუნდამენტური თეზისი სწორედ ამ ვითარებას გამოთქვამს: იგი კულტურის განვითარების ისტორიას მიიჩნევს ბუნებრივ ისტორიულ პროცესად, რომელსაც თავისი ობიექტური კანონზომიერება აქვს.

მარქსის თეორია ცნობილია როგორც ჰუმანიზმის მეცნიერული თეორია, ადამიანის ემანსიპაციის თეორია. თუ ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, სწორია, *მაშინ როგორ მიაღწიოს ადამიანმა თავისი ყოფიერების, მისი უმაღლესი ფორმის causa sui-სეული არსებობის დაფუძნებას?* მარქსის თეორია, ამ შემთხვევაში, დიამეტრალურად უპირისპირდება თანამედროვე ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის ძირითად პრინციპებს, რომელიც ბურჟუაზიული კულტურის კრიზისიდან ვერავითარ გონივრულ გამოსავალს ვერ პოულობს. კ. მარქსის მიხედვით, რაიმე არსებულის causa sui-სეული არსებობა — თავისუფლება — ილუზიაა, თუ იგი თვით არსებობის კანონებს არ ექვემდებარება. აბსოლუტური თავისუფლება აბსოლუტურ არარაობას უდრის. თუ რაიმე არსებობს, იგი უთუოდ არსებობის (ყოფნის) კანონებს უნდა დაექვემდებაროს და, მაშასადამე, იგი აუცილებლობით არის პირობადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობის ფუნდამენტალური წესებით ადამიანი ზიარებულია უნივერსუმს. როგორ ესმის კ. მარქსს ადამიანის ემანსიპაცია, მისი თავისუფლება? ხომ არაა ადამიანის ეს სწრაფვა, რომელიც მისი შინაგანი არსებიდან გამომდინარეობს ილუზორული? ხომ არ ეწევა ადამიანი სიზიფის შრომას, როცა იგი ქმნის თავის ავტონომიურ სამყაროს — კულტურის სახით?

8. მარქსის მიხედვით, ადამიანის ემანსიპაცია ნიშნავს არა იმას, რომ მან თავიდან მოიშოროს ყოფიერების წესები და კანონები (მაშინ, უკანასკნელთან ერთად, ადამიანმა თავისი არსებაც უნდა მოიშოროს); მაგრამ რამდენადაც ადამიანი ყოველთვის თავის თავს ირჩევს, მსგავსად ყოველი არსებულისა, იგი უთუოდ ექვემდებარება სრულიად განსაზღვრულ კანონზომიერებას. მაშინ, რის ემანსიპაციას გულისხმობს მარქსი?

როგორც ითქვა, ადამიანის არსების განხორციელების ერთად-ერთი საშუალება არის მისი მრავალმხრივი აქტივობა, რომელიც, საბოლოოდ, შრომაში ვლინდება. აქედან ცხადია, რომ ადამიანის ემანსიპაცია უწინარეს ყოვლისა ნიშნავს, მისი თვითგანხორციელების გზის — შრომის ემანსიპაციას. კერძო საკუთრებამ ბორკილი დაადო შრომას, ხოლო ადამიანის არსების დაფუძნება, რაც სხვანაირად ადამიანის ემანსიპაციას ნიშნავს, სხვა არაფერია, თუ არა შრომის ემანსიპაცია. შემდეგ, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, ერთადერთი ჩარჩო, ფორმა, რომელშიც ადამიანი თავის არსებობის, თავისი ყოფიერების დაფუძნებას ახერხებს, არის საზოგადოება, სოციალური ორგანიზმი. თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ ადამიანის არსების განხორციელება უთუოდ მოითხოვს ისეთი სოციალური ორგანიზმის, ადამიანთა ისეთი ასოციაციის დაფუძნებას, რომელიც ადამიანის არსების შესაფერისი იქნება, სადაც ადამიანი შესძლებს თავისუფლად განახორციელოს საკუთარი არსება, დააფუძნოს თავისი თვითყოფიერება. ადამიანთა სოციალური კავშირისა და ორგანიზაციის ასეთ ფორმად, მარქსისტული მსოფლმხედველობა თვლის ადამიანთა კომუნისტურ ასოციაციას. რამდენადაც, ადამიანთა ეს ასოციაცია ადამიანის არსების შესაფერისი ასოციაცია იქნება. რამდენადაც მასში და მის მეშვეობით ადამიანები შეძლებენ დაუბრკოლებლად განახორციელონ საკუთარი არსება, მასში აღარ იქნება დავა ადამიანის არსებასა და მისი განხორციელების ისტორიულად განსაზღვრულ ფორმას — არსებობას შორის[9].

[9] К. Маркс и Ф. Энгельс. Из ранних произведений, стр. 588.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა კილაძე

# არაბული და ქართული სქოლასტიკის პოზიტიურობის საკითხის შესახებ

შუა საუკუნეების რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა-სქოლასტიკა, რომელიც გულისხმობს ლოგიკური მსჯელობით ტრანსცენდენტულის დასაბუთებას[1], მოიცავს ამ პერიოდის არაბული და ქართული საზოგადოებრივი აზრის ძირითად ნაწილს. აღიარებულია არაბული ფილოსოფიის გავლენა, საერთოდ, სქოლასტიკის განვითარებაზე; ამასთან, სადავო არ არის, რომ არაბული ფილოსოფიური ნაწარმოებები უმთავრესად სქოლასტიკური ლიტერატურის ნიმუშებს მიეკუთვნებიან[2]. ამდენად, არაბული სქოლასტიკის წვლილი შუა საუკუნეების აზრის ისტორიაში უდავოა, — ასევე ნათელია ძველი ქართული ფილოსოფიის ზოგადი დახასიათებისას, რომ მისი უმთავრესი წარმომადგენლები სქოლასტიკოსები არიან[3]. ქართული სქოლასტიკური თხზულებების დონე რუსთაველის ეპიკური შედევრის ბუნებრივ წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ქართული სქოლასტიკის მაღალ განვითარებასა და საკაცობრიო აზრის ისტორიაში მის მნიშვნელობას საკმარისად ასაბუთებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი".

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკითხი არაბული და ქართული სქოლასტიკის პოზიტიურობის შესახებ კვლევის დღევანდელ ეტაპზეც მოითხოვს დაზუსტებას, ამას ასაბუთებს თუნდაც ის, რომ XX საუკუნის 50-იან წლებშიც არაბული სქოლასტიკური ლიტერატურის კვლევას ეპიგრაფად ახლავს ხატოვანი გამოთქმა — „ფილოსოფოსები მხოლოდ ბერძნები არიან"[4]. არსებობს ასეთი ჰიპერბოლური გამონათქვამიც — „ბუნების ბრმა ძალებს გარდა არაფერი არსებობს ამქვეყნად, რაც წარმოშობით ბერძნული არ არის"[5]. ტრადიციით მიღებულ, მაგრამ უკვე დიდი ხნიდან მოძველებულ ამ ეპიგრაფიკას იზიარებს ახალი ფილოსოფიის ზოგიერთი წარმომადგენელიც (ნიცშე)[6].

ზემოაღნიშნული ტრადიციული აზრის უსაფუძვლობა ხშირად არის ხაზგასმული მეცნიერულ-ლიტერატურაში. იგი მიჩნეულია ცრურწმენად იმის შესახებ, რომ მოძრავი დასავლეთი უპირისპირდება აღმოსავლეთის უძრავ, დარბაისლურ სიდინჯეს[7]. არავინ უარყოფს XI საუკუნიდან ქრისტიანული ევროპის მუსლიმურ აღმოსავლეთზე გაბატონების ფაქტს[8], მაგრამ ისიც უდა-

[1] Философская энциклопедия, М., 1960, т. I, стр. 85—86.

[2] Bibliotheca Arabica Scholasticorum, Serie Arabe, T. I — Al Gazel, Maqacid al-Falasifat; T. II — Al Gazel, Tahafot al-Falasifat; T. III — Averroes, Tahafut at-Tahafut etabli par Maurice Bouyges S. I. Beyronth, 1930.

[3] Философская энциклопедия, т. I, стр. 408.

[4] A v e r r o e s. Tahafut Al-Tahafut, Translated by S. Vann Den Bergh, V, I, S. 1.

[5] Т е о д о р  Т о м п е р ц. Греческие мыслители, Петербург, 1913, стр. 1.

[6] Ф р и д р и х  Н и ц ш е. Собрание сочинений, т. X, Москва, 1903. стр. 222.

[7] А.  М ю л л е р. История Ислама, С., Петербург, 1895, т. II, кн. III.

[8] Б. Н. З а х о д е р. История восточного средневековья, 1944, стр. 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოა, რომ აღმოსავლეთი როგორც „ცივილიზაციის აკვანი“ — თუნდაც ნაკლებად პოზიტიური შემდგომ ეტაპებზე — ისტორიულად წინარე პერიოდია და მომდევნომ ის უკვალოდ არ უნდა წაშალოს. ასეთი რამ შეუძლებელიც არის, თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვა შემოქმედებით მიმდინარეობათა ურთიერთშერწყმასა და მთლიანობას, რაც ითვლება კაცობრიობის საზოგადოებრივი აზრის აუცილებელ თვისებად[9]. აქედან გამომდინარე, უდავოდ გამართლებულია თეზა იმის შესახებ, რომ თანამედროვე არაბული შემოქმედების წარმოდგენა შეუძლებელია ძველი ფილოსოფიისა და ისტორიული — ე. წ. „ოქროს ხანის“ — საფუძვლის გარეშე[10]. ნამდვილად წინააღმდეგობრივია მოსაზრება, თითქოს არაბების ფილოსოფია არ წარმოადგენს ორიგინალურ საფეხურს ფილოსოფიის განვითარების საერთო პროცესში[11]. ამდენად, მიზანშეწონილია წმინდა არაბული ფილოსოფიის მუსლიმურ სექტებში ძიება[12]. ცნობილია, რომ არაბი სწავლულები არისტოტელეს პოეტიკაში აღძრული საკითხების მსგავს ზოგიერთ დებულებას არ იზიარებენ[13]; მაგრამ, ისიც უდავოა, რომ ეს ფაქტი არ გამორიცხავს არაბულენოვანი საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში ბერძნული ფილოსოფიის შეჭრასა და განვითარებას.

ცნობილი გამოთქმა — „მუსლიმები არისტოტელეს ბალდახანში იყვნენ შებმულნი“ — სხვადასხვაგვარად არის გააზრებული თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. იგი შეკითხვის სახითაც არის ჩამოყალიბებული: *თუკი არაბული ფილოსოფია ბერძნულის განვითარებაა, მაშინ რაღაა მასში აღმოსავლური?* ამ აზრით, აშკარაა: არაბებმა არისტოტელეს მოძღვრებაც რომ განავითარონ, ორიგინალურნი არ იქნებიან, რადგან განვითარება თავისებურებას არ ნიშნავს. მაგრამ არაბული ფილოსოფიის ან სქოლასტიკის თავისებურებას ისიც ასაბუთებს, რომ მის გარეშე მთლიანობას, მწყობრ სახეს დაკარგავს, საერთოდ, საკაცობრიო აზრის ისტორია. იგი შეუცვლელია, როგორც სხვებისაგან გამოყოფილი „მატიანეს ფურცელი“ და სამართლიანად უჭირავს თავისი ადგილი, ამიტომაც განიხილება თითქმის ყველა ცნობილ გამოკვლევაში შუა საუკუნეების საზოგადოებრივი აზრისა და ისტორიის შესახებ“[14].

არაბული სქოლასტიკა შეადგენს ინტერესის საგანს იმ ეპოქის პრობლემებისაგან შორს მდგომი გამოკვლევებისათვისაც, სადაც აღინიშნება შუა საუკუნეების გაუთვიცნობიერებადი ორიგინალობა და შემოქმედებითობა[15]. ასეთი მოსაზრებებით არის განპირობებული, დღევანდელობის თვალსაზრისით, შუა საუკუნეების გაცნობიერება; მაგალითად, დროის ლოგიკის აღმოჩენა თანამედროვე თვალით — შუა საუკუნეების ნააზრევის მართებული წაკითხვის შედეგია. მაგრამ ძნელია იმის გაცნობიერება, რაც უცნობი და შეუსწავლელია. ასევე შეუძლებელია მის პოზიტიურობაზე მსჯელობა, მით უმეტეს ეხე-

[9] В. Виндельбанд. История новой философии, т. II, Петербург., 1905, стр. 1.

[10] Кязим ас-Синави. Современная арабская литература, М., 1960, стр. 25.

[11] Гегель. Сочинения, т. XI, М.-Л., 1935, стр. 101.

[12] Э. Репин. Аверроес и аверроизм, Киев, 1902, стр. 60.

[13] И. Ю. Крачковский. Избранные сочинения, т. VI, М., 1960, стр. 132—134, 172—173.

[14] A. Stöckl. Geschichte der Philosophie des Mittelalters, Bd.1—3, Mainz, 1864—67; F. Ulberweg. Grundri B des Geschichte der Philosophie, Berlin, 1924—1928, 12 Anfl. Te. 1—3, 5; The Gambridge Medieval History, London, 1943 new, ed., 1966, V.

[15] Б. Рассел. История западной философии, М., 1959, стр. 446.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ეს შუა საუკუნეების არაბულ სქოლასტიკას, რომლის შესწავლა თანამედროვე ფილოსოფიის დონეზე დღეს მხოლოდ ფიქციაა[16].

არაბულისაგან ქართული სქოლასტიკის საბედნიეროდ გადახრად შეიძლება ჩაითვალოს ნიკო მარის მიერ მითითებული ადრეული გამოძახილი ეპოქალურ პრობლემებზე, ბერძნული ორიგინალების კრიტიკული დამუშავების შედეგად[17]. კვლევის დღევანდელ ეტაპზე დაიწყო სპეციალურ ლიტერატურაში ნიკო მარის მოსაზრებების კონკრეტული დასაბუთება[18]. მაგრამ ქართული სქოლასტიკის შესწავლის შემდეგ მისი უპირატესობის დადგენას სრულყოფილი საფუძველი სჭირდება, იგი შეიძლება ნაკლული აღმოჩნდეს არაბულ სქოლასტიკასთან შედარების გარეშე. როდესაც კონკრეტული მაგალითების საშუალებით დამტკიცდება, რომ არაბული და ქართული სქოლასტიკა თავისივე ერების კულტურულ ტრადიციებზე დაყრდნობით ავითარებენ და აღრმავებენ ბერძნული ფილოსოფიის მონაპოვარს, უმეტესად პოზიტიურობის საკითხიც საბოლოოდ გადაწყდება. თანამედროვე გამოკვლევებში უკვე ჩანს, რომ გამოთქმული აზრი იმის შესახებ, თითქოს არაბებს სხვა ხალხების დაპყრობისას არ ჰქონდათ საკუთარი ხელოვნება, შერყეულია, — რომ არაფერი ითქვას წინაისლამური ატომისტური თეორიების არსებობაზე[19]. გაცილებით უდავოა, საერთოდ, ქართული კულტურული ტრადიციების არსებობა და, კერძოდ, საზოგადოებრივი აზრის სფეროში, რაზეც მრავალგზის არის გამახვილებული ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში[20]. არავისთვის არ არის სადავო აგრეთვე ის, რომ ქართული სქოლასტიკის უდიდესი წარმომადგენლები ე. წ. „გარეშე ფილოსოფოსებთან“[21] ბრძოლით არ შემოიფარგლებიან. ამას ადასტურებს ქართული სქოლასტიკური ლიტერატურის შედევრის — „კავშირნის“ კომენტართა ავტორის მიერ ნეოპლატონიზმის ნიადაგზე ძველი ქართული საზოგადოებრივი აზრის გაღრმავება. იოანე პეტრიწს არაბული სქოლასტიკის საამაყო წარმომადგენელ იბნ რუშდზე არა ნაკლებ მიუდგება ბერძნული ფილოსოფიის ინტერპრეტატორის და არა აღმწერლის სახელი. ინტერპრეტაცია კი შეუძლებელია თავისებურების გარეშე. ამდენად, ბერძნული ფილოსოფიის ქართველი და არაბი ინტერპრეტატორების პლეადაც (იოანე პეტრიწის და იბნ რუშდის წინამძღოლობით) საკმაო საფუძველია იმისათვის, რომ არაბული და ქართული სქოლასტიკა გამოიყოს, როგორც თავისებური და პოზიტიური საფეხური საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში.

---

16 G. F. Hourani. IAOS v. 85, n. 4, 1965.

17 Н. Я. Марр. Иоанн Петрицкий. ЗВОРАО, XIX, 1909, стр. 113.

18 გ. ოფერმანსი. ხუთი მიზეზის შესახებ იოანე პეტრიწთან და თომა აქვინელთან, ჟ. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1972, №3, გვ. 55—56; Г. В. Тевзадзе. Иоане Петрици и античное философское наследие, ВИК, Тбилиси, 1975; Guram Tewsadse. Aristoteles in Ioane Petrizis kommenturen, H I, Wissenschoft, Ztschr., Iena, 1977.

19 Hursef Radzic. Islamic Art. Beograd, 1967; Charles Delvoye, L'art Byzantin, Arthaud, France, 1967, S. 263; Pretzl O. Die frühislamische Atomenlehre, Der Islam, 1931, P. 117—130.

20 Ш. Нуцубидзе. Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита, Тб., 1942; Э. Хонигман. Петр Ивер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита, Тб., 1955, т. 59; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I—II, თბ., 1956, Ш. В. Хидашели. Основные мировоззренческие направления в феодальной Грузии, Тб., 1962, ელგუჯა ხინთიბიძე. მსოფლმხედველობითი პრობლემები, „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1975.

21 F. I. Rosenthal. Averroes, Gommentaryon Platos Republic, Gambridge, 1956, S. 18.

„მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1977, № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

**А. Ф. АСЛАНИКАШВИЛИ**

# ТЕОРЕТИЧЕСКИЙ СМЫСЛ ЛИДЕРСТВА ГЕОГРАФИИ В ИССЛЕДОВАНИЯХ НАИВАЖНЕЙШЕЙ ПРОБЛЕМЫ СОВРЕМЕННОСТИ — «ЧЕЛОВЕК И ПРИРОДА»

**I. ПОСТАНОВКА ВОПРОСА.** Перед современным человечеством поставлена жизненно важная проблема: самым решающим образом ликвидировать конфликт между обществом и природой, который, экспоненциально усиливаясь, приводит его к экологическому кризису.

Сейчас, как никогда прежде, приобретают особую силу предупреждения основателя марксистской философской мысли о том, что «культура, если она развивается стихийно, а не направляется сознательно.... оставляет после себя пустыню» (К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. 32, стр. 45). По мнению многих советских и зарубежных исследователей этот кризис уже настал. Природа восстала против невежественного к ней отношения человечества на самом ответственном участке его практической деятельности — в сфере природопользования.

Именно об этом предупреждал человечество Ф. Энгельс более полутора века тому назад, когда писал: «Не будем, однако, слишком обольщаться нашими победами над природой. За каждую такую победу она нам мстит. Каждая из этих побед имеет, правда, в первую очередь, те последствия, на которые мы рассчитывали, но во вторую и третью очередь совсем другие, непредвиденные последствия, которые очень часто уничтожают значение первых» (К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 20, стр. 495—496). В связи с этим, природопользование превратилось в наше время в главный фокус сосредоточения всех основных противоречий, имеющих место в жизни и деятельности людей.

В самых общих чертах можно констатировать, что главной причиной создавшейся угрожающей ситуации является неравенство мощностей технологических средств воздействия общества на природу и на самое себя.

Технологические средства воздействия общества на природу в современном мире оказались вообще гораздо более мощными, чем технологические средства воздействия общества на самое себя. Оба вида воздействия основываются не только на успехах развития соответствующих естествоведческих и социальных наук, но и на целеустремлениях господствующих классов в странах с различным общественно-экономическим строем. И тут, именно в этих социальных различиях между странами, кроются принципиальные различия и в технологических средствах воздействия общества на природу и на самое себя.

Если в самом высшем, принципиальном смысле, мы имеем основание допустить равенство мощностей технологических средств воздействия общества на природу, мы лишены основания допустить такое же равенство в мощностях технологического воздействия общества на себя в странах социализма и в странах империализма. В силу наличия принципиальных различий между ними в организованности общества, степень мощности социально-технологических средств воздействия общества на себя, по своей эффективности гораздо выше в странах социализма, чем в странах остального мира.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Следовательно, ведущей силой предотвращения развития экологического кризиса на нашей планете могут выступить, и уже выступают, страны социалистического содружества во главе с Советским Союзом, в котором уже давно функционирует научно обоснованная высшая форма социальной организации современного общества. Так решается в наше время вопрос лидерства при исследовании всеобщей проблемы «Общество и Природа» в социально-политическом смысле.

Однако вопрос «лидерства» по той же проблеме ставится не менее решительно и в научном смысле. Здесь имеется в виду «лидерство» по линии научной сущности и организации проведения таких форм природопользования, которые должны гарантировать ослабление, а затем и полное затухание экологического кризиса на Земле. Научное обоснование таких эффективных форм природопользования и способов их осуществления — дело всей науки и всех без исключения социально-правовых институтов общества. Это вопрос весьма и весьма принципиальной важности, т. к. он относится к универсальному процессу человеческой деятельности — общественной практике. Дело касается по существу самых жизненных проблем — энергетики, ресурсов сырья и продовольствия; ресурсов океана, защиты среды, борьбы с эпидемиями и др. Этими проблемами заняты сейчас все науки — от философии до технических. Правильное распределение труда между ними приобретает уже принципиальную важность как в смысле материальных затрат на науку, так и в смысле эффективности научно-поисковых исследований и целенаправленного развития самих наук по фундаментальным и прикладным направлениям.

В этих условиях, к сожалению, все еще приходится констатировать, что географическая наука, признавая необходимость своего самого непосредственного участия в исследованиях по проблеме «Общество и Природа», весьма медленно приближается к научно обоснованному определению тех сторон действительности, исследования которых с принципиальной необходимостью предусматривают привлечение географии вообще и каждой отдельной географической науки в частности. Многовековая история географической деятельности людей различных профессий и интеллектуальных стремлений показала, что общественная практика вынуждала их выполнять на каждом этапе экономического развития определенный социальный заказ. Но определение этого заказа шло, как правило, путем «проб и ошибок» как со стороны общественной практики, так и со стороны самой географии.

Однако сейчас, когда общество своим техническим вооружением превратилось в мощную геологическую силу, этот путь определения наукой предмета своего познания дорог для человечества и унизителен своей примитивностью для самой науки. Сейчас уже не те времена; хотя еще совсем недавно, увлекаясь торжеством победы над природой, немалая часть ведущих географов утверждала, что надо заниматься конкретными географическими исследованиями, а не тратить время на бесплодные споры о ее сущности (Грейвз, Мор, 1975, стр. 25).

Теперь сама общественная практика предъявляет счеты науке, требуя от нее познать саму себя и определить смысл своего существования; оценочно отнестись не только к предметам своего познания, но и к самой себе; прогнозировать не только исследуемые явления, но и саму себя. Эти требования нацелены в нашей стране XXV съездом КПСС на достижение высокого качества фундаментальных и прикладных исследований, их высокой эффективности.

Прав был академик И. П. Герасимов, утверждая с трибуны XXIII Международного географического конгресса (Москва, лето 1976 г.), что

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სხვა ცდებში მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებიდან 10 ან 15 წუთის გასვლის მერე მიმართავდა ბავშვებს კითხვით: „ბავშვებო ახლა ჩვენ შეგვიძლია შევისვენოთ ან გაკვეთილი განვაგრძოთ. აირჩიეთ რა გავაკეთოთ?“ — ბავშვების რეაქცია ყოველთვის ერთნაირი იყო: ისინი ერთხმად მოითხოვდნენ შესვენების დაწყებას, მასწავლებლის დაუკითხავად ხტებოდნენ მერხებიდან და იწყებდნენ თამაშს. მაშინაც კი, როდესაც მასწავლებელმა დისციპლინის დარღვევისათვის გაკიცხა ყველაზე მოუსვენარი ბავშვები და გამოაცხადა, რომ ახლა შესვენების დრო არ არის და ფეხზე მხოლოდ ის ბავშვები ადგნენ, რომლებსაც გაკვეთილები არ უყვართ და მარტო თამაშზე ფიქრობენ, კლასში მყოფი 28 ბავშვიდან ფეხზე წამოდგა 18 და კვლავინდებურად შესვენების მოწყობის სურვილი განაცხადა. გაკვეთილების მიმდინარეობაზე უშუალო დაკვირვებებით დასტურდება, რომ 6 წლის ბავშვებთან დომინირებს სათამაშო განწყობა. სასწავლო წლის პირველ ნახევარში მაინც ძალიან ძნელია გაკვეთილისათვის ნამდვილი გაკვეთილის სახის მიცემა. ბავშვები სულ თამაშისკენ არიან მიმართულნი და ვერ ექვემდებარებიან იმ დისციპლინარულ წესებს, რომელთა გარეშე სრულყოფილი გაკვეთილის ჩატარება შეუძლებელია. ამის გამო, ზოგიერთი მასწავლებელი იძულებული ხდება, გადაუხვიოს გაკვეთილის ტრადიციულ ფორმას და მას დიდაქტიკური თამაშის ან გართობის სახე მისცეს. ასეთ ვითარებაში სკოლა საბავშვო ბაღს ემსგავსება, ხოლო ბავშვები ისეთივე განწყობით დადიან სკოლაში, როგორითაც ისინი საბავშვო ბაღში დადიოდნენ. ერთ-ერთი ბავშვის პასუხში სკოლისადმი ასეთი დამოკიდებულება ცხადად გამოვლინდა. მას შევეკითხეთ: „რა უფრო გიყვარს სკოლა თუ საბავშვო ბაღი?“ „ისიც მიყვარს და ისიც“, — გვიპასუხა მან, — იქაც ვთამაშობდი და აქაც ვთამაშობ, ორივე კარგია“.

აღსანიშნავია, რომ დასახელებულ კითხვაზე პასუხის გამცემი ბავშვების 40% საბავშვო ბაღს აძლევს უპირატესობას. ამ კატეგორიის ბავშვების პასუხებში ისევ და ისევ თამაშის ძლიერი მოთხოვნილება და სკოლაში თამაშის შესაძლებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებული პროტესტი იჩენს თავს. აი ტიპიური პასუხები „ახლაც მინდა საბავშვო ბაღში ვიყო. იქ სულ ვთამაშობდი“, „საბავშვო ბაღში კარგია, იქ კუბიკები იყო. აქაც არის კუბიკები, მაგრამ მასწავლებლის მაგიდასთან მისვლა არ შეიძლება“, „ბაღში მინდა, იქ გვიკითხავდნენ, ვთამაშობდით, აქ სულ ვზივართ და გაკვეთილებს ვშვებით. მთელი დღე ვზივართ!“

ნამდვილი გაკვეთილი სერიოზულ სასწავლო მუშაობას და გარკვეული დისციპლინარული წესებისადმი დაქვემდებარებას გულისხმობს. ბავშვებმა ეს იციან, მაგრამ, ვინაიდან მათში თამაშის საერთო განწყობილება მეტად ძლიერია, მათ უჭირთ მთელი გაკვეთილის განმავლობაში სერიოზული სასწავლო საქმიანობის განხორციელება. ჩვენი დაკვირვებები და მასწავლებელთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ გაკვეთილი თუ მკაცრ ტრადიციულ ფორმაში მიმდინარეობს, მისი დაწყებიდან 15—20 წუთის შემდეგ ბავშვების უმრავლესობას დაღლილობისა და გაკვეთილისადმი ინტერესის დაცემის აშკარა ნიშნები უჩნდება: იწყება მთქნარება, სპონტანური წამოხტომები, ლაპარაკი, სიცილი, სასწავლო ნივთებით თამაში და სხვ. ამის გამო გაკვეთილის მეორე ნახევრის ნაყოფიერება საგრძნობლად დაბალია, ხოლო II—III გაკვეთილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზება, საერთოდ, ძალზე ჭირს. ამ გარემოების მიზეზით, ბავშვების 35% გაკვეთილის ხანგრძლივობის შემცირების სურვილს გამოთქვამენ იმ მოტივით, რომ თამაში უნდათ, გაკვეთილი წყინდებათ, იღლებიან და ა. შ. ამასვე მეტყველებს პასუხები კითხვაზე — „გეზარება თუ არა ზოგჯერ სწავლა და რატომ?“. ბავშვების 50%-მა აღიარა, რომ ეზარება სწავლა, ვინაიდან უნდა სირბილი, თამაში, გართობა და სხვ. განსაკუთრებულ ნეგატიურ დამოკიდებულებას ბავშვები სახლში მეცადინეობის მიმართ იჩენენ. ამასთან დაკავშირებით, შემდეგი უნდა ითქვას: მოსამზადებელი კლასების სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებს მოსწავლეთათვის საშინაო დავალებების მიცემას, მაგრამ იმის გამო, რომ საკლასო დროის ბიუჯეტი არ იძლევა გაკვეთილებზე პროგრამით გათვალისწინებული მასალის სრულყოფილად ათვისების საშუალებას (რომლის მოცულობა და სირთულე თუ არ გაიზარდა, ყოველ შემთხვევაში, არც შემცირებულა), ფაქტიურად, აუცილებელი ხდება ბავშვების მეცადინეობა სახლში; ამასთან, საშინაო მუშაობის ფორმების, შინაარსისა და ხანგრძლივობის დადგენა ყოველგვარი მეთოდიკური რეკომენდაციის გაუთვალისწინებლად, სტიქიურად, ხდება მშობლების მიერ. ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლებს უხდებათ საკმაოდ მკაცრი, პედაგოგიური თვალსაზრისით, სრულიად გაუმართლებელი ზომების მიღება, რათა აიძულონ ბავშვები ისწავლონ მაშინ, როდესაც მათ ამის სურვილი არა აქვთ. ამიტომ გასაგებია, რომ ბავშვების ერთ ნაწილს უარყოფითი დამოკიდებულება უჩნდება სახლში მეცადინეობის მიმართ: „სკოლაში მასწავლებელი ბევრს არ გვაწერინებს, აქ დასვენებებია; სახლში ბევრს მაწერინებენ და ვიღლები“; „სახლში სწავლა არ მიყვარს. სულ თავზე მადგანან — ისწავლე, ისწავლე“; „მინდა ყველაფერი სკოლაში ვისწავლო და სახლში არაფერს არ გავაკეთებ“ — ასეთ პასუხებში თვალნათლივ ვლინდება ბავშვების უმართებულო დამოკიდებულება სახლში სწავლის მიმართ. პირდაპირ ტრაგიკულად ჟღერს ერთი გოგონას პასუხი: „სკოლაში სიარული მირჩევნია, — სახლში მიყვირიან ისწავლე, ისწავლეო... მასწავლებელი კი არ მიყვირის; სახლში მცემენ და მჩქმეტავენ და რაღად მინდა ასეთი ცხოვრება“.

აღსანიშნავია, რომ, სახლში მუშაობისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ბავშვებს შორის დიდი ინდივიდუალური განსხვავებულობა არსებობს. გარდა გამოკითხვის მასალებისა, ამას ადასტურებს, აგრეთვე, ექსპერიმენტის შედეგები, რაც ამ საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად იქნა ჩატარებული. ჩვენი თხოვნით, ერთ-ერთ კლასში მასწავლებელი 4 დღის განმავლობაში აძლევდა ბავშვებს საკმაოდ ვრცელ დავალებებს — როგორც საწერად, ისე წასაკითხად. წინასწარ მოლაპარაკებული ვიყავით ამ კლასის მოწაფეების მშობლებთან, რომელთაც არ უნდა შეეხსენებინათ ბავშვებისათვის დავალება, არ უნდა დახმარებოდნენ მის შესრულებაში და დაწვრილებით ჩაეწერათ ყველაფერი, რასაც გააკეთებდნენ ბავშვები სახლში ამ 4 დღის განმავლობაში. იმის გამო, რომ ბავშვების ნაწილი გახანგრძლივებული სკოლის კლასებში მეცადინეობდა, ხოლო ზოგიერთ მშობელს დაკავებულობის გამო არ შეეძლო ბავშვებისათვის თვალყური ედევნებინა, სულ 16 ბავშვის შესახებ მივიღეთ მონაცემები, — ეს ბავშვები 2 თანატოლ ჯგუფად გაიყვნენ: პირველი ჯგუფის ბავშვებს საგრძნობლად არ დატყობიათ მშობლების მხრიდან კონტროლის შესუსტება და, მიუხედავად იმისა, რომ საშინაო დავალების შესრულებას შედარებით ნაკლებ დროს უთმობდნენ, ვიდრე — ჩვეულებრივად, ისინი მაინც მომზადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულნი მოდიოდნენ სკოლაში; მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ი ს ბავშვებზე შექმნილმა სიტუაციამ არსებითი გავლენა მოახდინა, — მათ თითქმის სულ არ ახსენდებოდათ დავალების შესრულება, ხოლო თუ იგი მაინც გაახსენდებოდათ, იმდენად მცირე დროს უთმობდნენ მეცადინეობას, რომ ფაქტიურად მოუმზადებლები მოდიოდნენ სკოლაში. საგულისხმოა, რომ ჩვენი ვარაუდი ამ ბავშვების მიმართ თითქმის მთლიანად გამართლდა. ამ ჯგუფს სწორედ ის მოწაფეები შეადგენდნენ, რომლებიც სკოლაში, გაკვეთილებზე მეცადინეობის დროს ძირითადად სათამაშო განწყობილებას ამჟღავნებდნენ.

6 წლის ბავშვთა მიმართ სკოლაში მიმდინარე სწავლის მოტივების დადგენისათვის მეტად მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა, თუ კონკრეტულად რა საგნები, რა გაკვეთილები აინტერესებთ მოსამზადებელი კლასის მოწაფეებს ყველაზე უფრო. ჩვენ სპეციალურად ვეკითხებოდით ბავშვებს ამის შესახებ და მიღებული პასუხების ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ მოსამზადებელი კლასების ბავშვების დიდი უმრავლესობა, უპირატესობას აძლევს ისეთი სახის გაკვეთილებს, როგორებიცაა: ხატვისა, და ძერწვის, ფიზკულტურისა და სიმღერის გაკვეთილები. ბავშვებს განსაკუთრებით ხატვის გაკვეთილები უყვართ. ეს რომ ასეა, შემდეგი ცდებითაც დასტურდება: მასწავლებელი შედის კლასში და აცხადებს — „ბავშვებო, დღეს თქვენ თვითონ შეგიძლიათ აირჩიოთ პირველი გაკვეთილი. რომელი გაკვეთილის ჩატარებასაც თქვენც ისურვებთ, მეც იმას ჩავატარებ“. ეს ცდა რამდენიმეჯერ გამეორდა სხვადასხვა კლასში. შედეგი ყველგან ერთნაირი იყო: ბავშვების თითქმის 100% ირჩევდა ხატვის გაკვეთილს.

აღსანიშნავია, რომ ხატვისა და ძერწვის, ფიზკულტურისა და სიმღერის გაკვეთილები ბავშვების მიერ გაკვეთილად არც განიცდება. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ, — როდესაც ბავშვებს ყოველგვარი წინასწარი განმარტების გარეშე ვეკითხებოდით, თუ რომელი გაკვეთილი უყვართ ყველაზე უფრო, — ისინი ასახელებდნენ ან ქართულს ან მათემატიკას. მაგრამ საკმარისი იყო გაგვეცნობიერებინა მათთვის, რომ, ვთქვათ, ხატვაც გაკვეთილია, მათი სიმპატიები მაშინვე ხატვაზე გადაინაცვლებდნენ. და მაინც ამ შემთხვევაშიც, ბავშვები არ განიცდიან ხატვას ნამდვილ გაკვეთილად, რაც აშკარად ჩანს პასუხიდან: „ყველაზე უფრო ხატვა მიყვარს, მერე ფიზკულტურა, მერე კი სწავლა“, — ამბობენ ბავშვები და ამ უკანასკნელში ან ქართულს ან მათემატიკას გულისხმობენ. მაშასადამე, ნამდვილ სწავლად მხოლოდ ქართულის და მათემატიკის გაკვეთილები განიცდება, ხოლო მათ ყველაზე საყვარელ გაკვეთილებად მოსწავლეების 15%-ზე ნაკლები ასახელებს: თუმცა, მაშინაც, როდესაც სხვა გაკვეთილებთან შედარებით უპირატესობა ქართულს ან მათემატიკას ეძლევა, ჩვენ ვერ დავამტკიცებთ, თითქოს ამ გაკვეთილებზე ბავშვებს სწორედ სწავლის, ცოდნის შეძენის შესაძლებლობა იზიდავს. ასეთ დასკვნამდე ბავშვების შემდეგ პასუხებს მივყავართ: „მიყვარს კითხვის გაკვეთილი იმიტომ, რომ მე ლამაზი დედა-ენა მაქვს“, „მათემატიკის გაკვეთილებზე მაგნიტურ დაფაზე ვთამაშობთ ხოლმე“, „მათემატიკის გაკვეთილებზე მასწავლებელი რიგებს აჯიბრებს ხოლმე და ჩვენი რიგი ყოველთვის იმარჯვებს“ და სხვ. ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბების საქმეში არც უკანასკნელ როლს თამაშობს, აგრეთვე, ის ცოდნის მარაგი, რომლითაც ბავშვები სკოლაში მიდიან: „მათემატიკა მიყვარს“, — ამბობს ერთ-ერთი ბავშვი; „მე 80-მდე ვიცი თვლა, ჩვენ კი 5-ის ფარგლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვმეცადინეობთ“; „ასოები ბებიამ მასწავლა, აქ კარგად ვწერ და მასწავლებელი შემაქებს ხოლმე“. ამგვარი პასუხებიდან ირკვევა, რომ, რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევენ ბავშვები ამა თუ იმ საგანში და რაც უფრო დიდად ფასდება ეს წარმატება, მით უფრო უყვართ იგი ბავშვებს.

შევადაროთ ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემები იმ შედეგებს, რომლებიც მიღებულ იქნა ლ. ბოჟოვიჩის, ნ. მოროზოვას და ლ. სლავინას მიერ 7 წლის მოსწავლეთა სასწავლო მოტივების შესწავლით. ექსპერიმენტული საუბრის მასალების მიხედვით, 6 წლის ბავშვები ისევე პასუხობენ პირდაპირ კითხვებზე, როგორც — 7 წლის ბავშვები. ირკვევა, რომ ბავშვებს მართლაც აქვთ ახლის გაგების, ცოდნის შეძენის მოთხოვნილება; ისინი ბუნდოვნად, მაგრამ მაინც განიცდიან სკოლაში სიარულის აუცილებლობას და ცოდნის გარკვეულ ობიექტურ ღირებულებას. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, თითქოს მოსამზადებელი კლასების ბავშვები მხოლოდ ამ მოტივების გამო მიდიან სკოლაში, თითქოს ეს მოტივები დომინირებს მათში და თითქოს ეს მოტივები განვითარების ისეთ საფეხურზე დგანან, რომ შეუძლიათ ბავშვების მთელი სასწავლო აქტივობის ზიდვა. ბოჟოვიჩის, მოროზოვას და სლავინას გამოკვლევაში მდგომარეობა სწორედ ასეთია, რის გამოც ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ 7 წლის ბავშვებს სკოლაში სწორედ სწავლა — როგორც სერიოზული, სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა — აინტერესებთ და ეს მოტივი იმდენად ძლიერია, რომ განაპირობებს სწავლისადმი ბავშვების სერიოზულ და ბეჯით დამოკიდებულებას. არაპირდაპირ კითხვებზე პასუხებიც ამაზე მეტყველებენ: თითქმის ყველა ბავშვს სურს გაკვეთილების ხანგრძლივობის გაზრდა და შესვენებებისა და არდადეგების შემცირება; არავინ ამბობს, რომ მას სწავლა ეზარება და რომ სწავლას თამაში ურჩევნია; უპირატესობა სერიოზული სასწავლო საქმიანობით დატვირთულ გაკვეთილებს ენიჭება და ასეთი დამოკიდებულება სწავლისადმი საშინაო მეცადინეობაზეც ვრცელდება. სწავლის გარეგნული მომენტები (მაგ., მერხი, დაფა, ლამაზი ნიშნები და სხვ.) ბავშვების ინტერესების უკანა პლანზეა გადაწეული. ასეთ ბავშვებს დასახელებული ავტორები, სრულიად სამართლიანად, სკოლაში სწავლისათვის მომზადებულად თვლიან და აღნიშნავენ, რომ სწავლისათვის სოციალურად მოუმზადებელი ბავშვების შესწავლა შებრუნებულ სურათს იძლევა. მოსამზადებელი კლასების ბავშვთა შესწავლის შედეგად, უმრავლეს შემთხვევაში, ჩვენ სწორედ ასეთი სურათი მივიღეთ.

პირველი და ძირითადი, რაც ირკვევა, არის ის, რომ 6 წლის ბავშვები ძირითადად თამაშის სუბიექტებს წარმოადგენენ. მათ, შ. ჩხარტიშვილის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, თამაშის პერმანენტული განწყობა ახასიათებთ და ყველაფერთან ამ განწყობით მოდიან ურთიერთობაში. ეს განწყობა სკოლაშიაც იჩენს თავს და, ხშირ შემთხვევაში, ბავშვების სკოლისადმი დამოკიდებულებას განსაზღვრავს. ამის გამო სკოლაში ბავშვები ისეთი სახის აქტივობას აძლევენ უპირატესობას, რომელიც თამაშისა და გართობის ხასიათს ატარებს და მათი ფუნქციონალური ტენდენციების თავისუფალი ამოქმედების საშუალებას იძლევა. ამიტომაა, რომ გაკვეთილს შესვენებებს ამჯობინებენ, ხოლო თავად გაკვეთილზე განსაკუთრებული ხალისით მაშინ მოქმედებენ, როდესაც იგი თამაშის, გართობის სახეს ღებულობს. ბავშვებმა იციან, რომ გაკვეთილებზე სერიოზული მუშაობაა საჭირო მაშინაც, როდესაც ისინი სამეცადინოდ არ არიან განწყობილნი და თამაშის დაუოკებელ სურვილს განიცდიან. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისათვის აუცილებელი თავშეკავების უნარი, ნებისყოფა ჯერჯერობით არა აქვთ სათანადოდ განვითარებული. ამ გარემოების გამო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუკი მასწავლებელი მკაცრი იძულების საშუალებებს არ მიმართავს, მოსამზადებელ კლასებში გაკვეთილი თავის სახეს კარგავს და გართობისა და თამაშის არენად იქცევა. მაგრამ გაკვეთილი არც მაშინ მიმდინარეობს ნაყოფიერად, თუკი მასწავლებელი განუწყვეტლივ აიძულებს ბავშვებს სერიოზულად და პასუხისმგებლობით მოეკიდონ მეცადინეობას. ასეთ შემთხვევაში ბავშვები მალე იღლებიან, ძილი ერევათ და ითიშებიან გაკვეთილიდან. ერთ-ერთ ასეთ გაკვეთილზე ჩვენს მიერ მთქნარების 30 რეციდივია ფიქსირებული. გარდა ამისა, როგორც სრულიად მართებულად აღნიშნავს შ. ჩხარტიშვილი, „ამ ნიადაგზე მოსალოდნელია მოსწავლეს გამოუმუშავდეს სწავლისადმი უარყოფითი ემოციური დამოკიდებულება, რამაც შემდეგ ზედაკლასებში შეიძლება დაუძლეველი სიზარმაცის სახით იჩინოს თავი"[1].

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, მთლიანად ვრცელდება 6-წლიანი ბავშვების საშინაო მეცადინეობაზეც: აქაც, როგორც სკოლაში, ბავშვთა შორის თამაშის მოთხოვნილება დომინირებს და მშობლებს, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ მკაცრი ზომების მიღება უხდებათ, რათა აიძულონ ისინი, რომ იმეცადინონ. მოყვანილი მასალიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ მძიმედ განიცდიან ამას ბავშვები. ჩანს, აგრეთვე, ისიც, რომ სკოლაში მეცადინეობა ბავშვებს უფრო ეხალისებათ, ვიდრე — სახლში. ამის მიზეზია ის ინტერესი, რომელსაც ისინი ავლენენ სასკოლო ცხოვრების გარეგანი მომენტების მიმართ. ასეთი მომენტებისადმი ინტერესში მკაფიოდ ვლინდება სწავლის ჰეტეროგენული, სწავლის ქცევისათვის არაარსებითი მოტივები. საკლასო ოთახი, მერხები, დაფა, ზარი თუ სხვა სასკოლო ატრიბუტები, თანაკლასელებთან ურთიერთობის შესაძლებლობა, მასწავლებლის შექება თუ გაკიცხვა, მშობლების გახარების სურვილი — აი იმ მომენტების არასრული სია, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოსამზადებელი კლასის მოსწავლეთა სასწავლო აქტივობის მოტივირებაში.

სასწავლო მოტივების გამორკვევისათვის საჭიროა, აგრეთვე, სასწავლო ინტერესების შესწავლა. ეჭვს არ იწვევს ის, რომ 6 წლის ბავშვების სასწავლო ქცევის მოტივირებაში ინტელექტუალური აქტივობისა და ცოდნის შეძენის მოთხოვნილებანი გარკვეულ როლს თამაშობენ, უფრო მეტიც, როდესაც ბავშვები მართლა ხალისით მეცადინეობენ, — ეს სწორედ ამ მოთხოვნილებების მოქმედების შედეგია. მიუხედავად ამისა, ნამდვილი სასწავლო ინტერესები ჯერჯერობით არაა სათანადოდ განვითარებული, რაზედაც თუნდაც ის გარემოება მეტყველებს, რომ ნამდვილი სასწავლო შინაარსის მქონე გაკვეთილები ყველაზე საყვარელი გაკვეთილების რიცხვს სრულიადაც არ განეკუთვნებიან.

ყველაფერი, რაც ითქვა, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 6 წლის ბავშვების სასწავლო მოტივების სფერო არ არის იმდენად განვითარებული, რომ უზრუნველყოს სრულფასოვანი სასწავლო ქცევის განხორციელება ტრადიციული სასკოლო სწავლების პირობებში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ, ამ თვალსაზრისით, ბავშვები დიდ ინდივიდუალურ სხვაობას ავლენენ. ზოგიერთ მოსწავლეზე ეს დასკვნა არ ვრცელდება, მაგრამ ბავშვების უმრავლესობისთვის იგი უეჭველად ძალაში რჩება.

[1] შ. ჩხარტიშვილი. პედაგოგიური ფსიქოლოგია, ტ. I, ექვსწლიანთა სწავლების პრობლემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. Р. КОЧИАШВИЛИ

# ОБ ОДНОМ ИЗ ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНЫХ МЕТОДОВ ИССЛЕДОВАНИЯ СМЕНЫ УСТАНОВКИ (В МЫШЕЧНОМ ВОСПРИЯТИИ ТЯЖЕСТЕЙ)

После ознакомления с экспериментальными исследованиями психологов Йельского университета, перед нами возникла следующая проблема: определить, идентичны ли понятия: «Attitude» (которое в американской психологии обозначает детерминирующие оценочные суждения, мышление и социальное поведение человека) и понятие установки в психологической концепции Д. Узнадзе.

С целью разъяснения сущности этой проблемы мы повторили опыты П. Роджерса, основанные на суждениях оценочных восприятий количественно различных оптических величин. Выяснилось, что образовавшиеся контрастные и ассимилятивные иллюзии, которые Роджерс считает эффектом действия «Attitude»-ов, по существу не отличаются от контрастных и ассимилятивных иллюзий фиксированной установки в психологической концепции Д. Узнадзе.

Ту же закономерность действия «Attitude»-ов мы исследовали и в области мышечного восприятия — повторили те эксперименты П. Роджерса, которые он использовал в своей работе «Weight Lifting» (поднимание тяжестей).

**Метод исследования.** Материалом для опытов служили тяжести различного веса: 1. тяжести-раздражители — незначительно отличающиеся друг от друга в весе — 40г, 65г, 90г, 115г, 140г, 165г. 2. «анкорные» тяжести-раздражители: 165г, 215г, 265г, 315г, 365г, 415г, 465г, 515г.

Мы знакомили испытуемого с правилом проведения опыта, по которому тяжесть следовало поднимать тремя пальцами правой руки с одинаковой интенсивностью, скоростью и на одинаковую высоту. Испытуемого просили оценить каждую последующую тяжесть, которая весила меньше предыдущей. Самая легкая тяжесть оценивалась 1 баллом, последующие 2, 3, 4, 5, самая тяжелая — 6 баллами. Словом, мы пытались фиксировать аттитюд, позицию испытуемого; т. е. создавали ему готовность для совершения определенного действия, а именно: произвести сравнение и оцеку тяжестей, незначительно отличающихся друг от друга по весу.

В критическом опыте с каждым «анкорным» раздражителем пятнадцатикратно спаривалась каждая сравниваемая величина (например: 165 — 40; 215 — 90 и т. д.). Испытуемому объясняли, что ему последовательно будут давать две тяжести, которые нужно поднимать, внимательно сравнивая их веса и оценивая каждую в отдельности по отношению друг к другу, чтобы наметить предусмотренный шкалой балл. Опыт должен был определить взаимодействие субъекта с фиксированным аттитюдом (с определенной позицией) в этой критической ситуации.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

**Результаты.** Анализ фактического материала подтвердил существование различных иллюзорных оценок. Бесспорно, каждая из них является проявлением фиксированного аттитюда субъекта, его готовности к определенному действию.

1. Когда в критическом опыте различие в весе сравниваемых тяжестей значительно велико (215 — 40), их оценочное восприятие контрастно иллюзорно и проявляется в виде одновременного контраста. Под воздействием «анкорного» раздражителя испытуемый оценивает сравниваемую тяжесть иллюзорно и, считая ее гораздо более четкой, ставит наименьший балл (0,5); а «анкорный» раздражитель он воспринимает как более тяжелый и оценивает очень высоким баллом (17). Следовательно, объективный вес одной тяжести под воздействием другой иллюзорно уменьшается или растет, и весовое различие между ними становится все более четким.

2. Совершенно иначе выглядит оценочное восприятие субъекта, когда различие в весе между критическими сравниваемыми тяжестями настолько мало, что приближается к разнице между тяжестями, при которых мы фиксировали установку. В таком случае оценочное восприятие критических пар тяжестей, как правило, ассимилятивно-иллюзорно, потому что разница между их объективными весами иллюзорно все более уменьшается: испытуемому кажется вес сравниваемой тяжести гораздо тяжелее, чем он есть на самом деле и, соответственно, он стремится приблизить оценочные суждения к весу «анкорной» тяжести, к ее оценочному баллу или же оценить их одним баллом.

Естественно, возникает вопрос: каким будет оценочное восприятие тяжестей у субъекта с определенным аттитюдом тогда, когда в критическом опыте растет разница в весе между сравниваемыми тяжестями? В квантитативном анализе результатов симптоматичным считаем два следующих факта: а) когда в критическом опыте количественная разница между парными раздражителями в весе мала, например, 25 г. (и она приближается к той разнице, при которой мы фиксировали аттитюд), фиксированный аттитюд с самого начала действует только ассимилятивно, т. е. доминируют ассимилятивные иллюзии оценочных суждений;

б) на почве роста разницы в объективном весе между парными раздражителями (125, 175, 250) ассимилятивное действие фиксированного аттитюда проявляется все реже. Хотя поначалу аттитюд действует преимущественно контрастно, в последующих экспозициях то и дело встречаются и ассимилятивные иллюзии. Когда разница в весе между парными раздражителями еще больше растет и становится четкой (300 — 500), фиксированный аттитюд субъекта, имеющего определенную позицию, действует исключительно контрастно-иллюзорно.

Таким образом, описанные выше факты экспериментально подтверждают то, что нарушение фиксированного аттитюда и его смена в противоположном направлении действующим аттитюдом происходит как раз там, где имеет место четкая разница в весе между критическими парными раздражителями и фиксированным аттитюдом. На языке теории установки это означает, что большая разница между установочной и критической ситуацией является основным условием нарушения и смены установки.

Эти значительные экспериментальные факты мы проверили и другим методом: испытуемому фиксировали аттитюд в оценочном вос-

ეროვნული ბიბლიოთეკა

приятии тяжестей, которые лишь незначительно отличались друг от друга в весе (115, 140, 165 и 40, 65, 90) — каждая предыдущая тяжесть весила немного больше последующей.

В критическом опыте мы десятикратно давали испытуемому равные в весе пары тяжестей (65—65; 80—80). Инструкция и оценочные баллы не менялись. Опыт должен был показать действие субъекта, имеющего определенный фиксированный аттитюд, в критической ситуации. По теории установки это действие должно быть ассимилятивным. Специальный анализ полученных данных показал, что испытуемые в таком случае иллюзорно оценивают тяжести в разных направлениях. В ответах доминируют случаи ассимилятивно-иллюзорного восприятия (46,7%), а 33,3% ответов показывают действие фиксированных аттитюдов в контрастно-иллюзорном направлении. Но в последних экспозициях критического опыта испытуемые то и дело замечают, что им дают не разновесные, а равные тяжести и, соответственно, адекватно оценивают их веса. Это и есть показатель регрессии фиксированного аттитюда, которая по существу завершает этот процесс.

Таким образом, вышеописанные экспериментальные факты бесспорно подтверждают, что регулирующий механизм действия фиксированного аттитюда субъекта по существу носит такой же характер, как и фиксированная установка в психологической концепции Д. Узнадзе.

ნ. კოჩიაშვილი

## განწყობის შეცვლის კვლევის ერთ-ერთი ექსპერიმენტული მეთოდის შესახებ (სიმძიმეების კუნთურ აღქმაში)


### რეზიუმე

წონით მეტ-ნაკლები რაოდენობით განსხვავებული სიმძიმეების შეფასებითს აღქმაში ფიქსირებული ატიტუდის მოქმედების შესახებ მიღებულმა შედეგებმა ცხადჰყო ფიქსირებული ატიტუდის ორი მიმართულებით მოქმედება: ა) ასიმილაციურის მიმართულებით, როდესაც წყვილ შესადარებელ სიმძიმეებს შორის წონის მხრივ განსხვავება მცირეა და ბ) კონტრასტულის მიმართულებით, როცა ეს განსხვავება მკვეთრად ტლანქია.

ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ სუბიექტის ფიქსირებული ატიტუდის მოქმედების მარეგულირებელი მექანიზმი არსებითად იგივეა, რასაც დ. უზნაძემ თავის ფსიქოლოგიურ კონცეფციაში ფიქსირებული განწყობა უწოდა.


N. R. KOCHASHVILI

## AN EXPERIMENTAL METHOD OF INVESTIGATION OF ATTITUDE CHANGE (IN THE MUSCULAR PERCEPTION OF WEIGHTS.


### Summary

The results of the action of the fixed attitude in the evaluative perception of different weights reveal that the fixed attitude acts in two directions: a) in the assimilative—when the difference in weights within the compared pair of weights is slight; b) in the contrasting direction, when this difference is considerable.

The results are presented to support by experiment the conviction that the regulative mechanism of attitude (according to American psychologixsts) is essentially the same as that of the fixed attitude in the psychological concept of D. N. Uznadze.


Представлена Институтом психологии им. Д. Н. Узнадзе Академии наук Грузинской ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ეკონომიკა

ნ. იაშვილი, ე. კაკულია, რ. სარჩიმელია

## უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ დასახულია ამოცანა, გაუმჯობესდეს მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად კადრების მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცვლისათვის. სკკპ XXV ყრილობაზე ა. ნ. კოსიგინის მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეათე და მომდევნო ხუთწლედებში საბჭოთა ეკონომიკის პროპორციული განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება.

ნაშრომში მოცემულია საინფორმაციო-საბაზისო მასალა სოფლის მეურნეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების ანალიზი. დასმულია სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრის ამოცანა და წარმოებს ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შედგენა, პირველ რიგში შრომის მწარმოებლურობის მაქსიმიზაციისა და შემდგომ სპეციალისტთა მომზადება-გადამზადებაზე მინიმიზაციის მიხედვით. წარმოდგენილია გამოთვლების შედეგები (მაგალითის სახით) უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებზე მოთხოვნილების ტენდენციის დასადგენად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

**1. მეთოდიკური წანამძღვრები.** თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა აერთიანებს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებს. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: წარმოების მოცულობით, წარმოებრივი და ორგანიზაციული სტრუქტურის თავისებურებებით, სპეციალიზაციითა და ინტენსივობით. სოფლის მეურნეობა დიდად არის დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებსა და ფაქტორებზე (ბუნების სხვადასხვა მოვლენებზე), აგრეთვე შრომით რესურსებზე, რომლებზეც გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ა. შ. აღნიშნული გარემოებანი განსაზღვრული ზომით აისახება სპეციალისტებზე მოთხოვნილებაში. იმ ღონისძიებათა სისტემიდან, რომელსაც კომუნისტური პარტია ახორციელებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს სოფლის მეურნეობის გადამწყვეტი უბნების გაძლიერება კვალიფიციური კადრებით.

გამსხვილების შედეგად კოლმეურნეობები გარდაიქმნებიან მრავალდარგოვან და რთულ საწარმოებად. ამასთან დაკავშირებით, წარმოიშვა გარდაუვალი საჭიროება იმისა, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სოფლისმეურნეობრივ საწარმოთა სათავეში იდგნენ უმაღლესი განათლების მქონე ეკონომისტები, აგრონომები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ინჟინერ-მექანიზატორები, ზოოტექნიკოსები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები. ამ უმნიშვნელოვანესი პირობის გარეშე მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი წინსვლა შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობა ამჟამად განვითარების ისეთ სტადიაშია, როდესაც წარმოების მრავალი ცალკეული პროცესი ერთიანდება მთლიან საზოგადოებრივ-საწარმოო პროცესში. მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი, ამ შემთხვევაში, მიიღწევა წარმოება-დაწესებულებების ზომების გადიდებით. მეცნიერების და ტექნიკის მნიშვნელოვანი მიღწევები აჩქარებენ თანამედროვე სოფლის მეურნეობრივი მარტივი შრომის გადაქცევას მაღალკვალიფიციურ შრომად, რომელიც თავის მხრივ, ხდება ინტელექტუალური და შემოქმედებითი[1].

ტექნიკური პროგრესი ანვითარებს და აღრმავებს შრომის პროფესიონალიზაციას და სპეციალიზაციას. პროფესია, როგორც თანამშრომლის განსაკუთრებული უნარი იცვლის მხოლოდ გარეგან სახეს: თანდათან ქრება „ხელით შრომის პროფესია“. მანქანური შრომა უფრო შინაარსიანი და მრავალმხრივი ხდება, წარმოიშობიან ახალი პროფესიები. თანამშრომელთა ვიწრო სპეციალიზაცია მოითხოვს მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარებას და, პირიქით; ამიტომ აუცილებელი ხდება სპეციალობებსა და მანქანურ ტექნიკას შორის შესაბამისობის დამყარება.

სპეციალისტებზე მოთხოვნილება ძირითადად ემყარება შემდეგ ფაქტორებს: მეურნეობის ზომა-ოდენობა, წარმოებული პროდუქციის მოცულობა, სპეციალიზაციისა და ინტენსივობის დონე, წარმოების ტექნიკური ბაზა, უახლესი სამეცნიერო აღმოჩენების გამოყენების ხარისხი და წარმოების მეცნიერული მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. ამ მიმართულებით სოფლის მეურნეობაში გამოიყოფა: მთლიანი პროდუქცია (მემცენარეობისა და მეცხოველეობის), თანამშრომელთა რიცხვი, სათესი ფართობი, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა, ენერგეტიკული სიმძლავრე და ა. შ.

2. კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა ნ ი. საგეგმო პერიოდში სპეციალისტებზე საშტატო განრიგის[2] თანახმად მოთხოვნილების განსაზღვრისათვის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში შემდეგი თანამდებობები: კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, მათი მოადგილეები; მთავარი სპეციალისტები: აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი, ვეტფელდშერი, ინჟინერ-ტექნიკოსი, ეკონომისტი, ბრიგადირი მემცენარეობაში, ფერმის გამგე მეცხოველეობაში და სხვა. აქედან გამომდინარე, 1973 წელს, საშტატო ნომენკლატურისა და შტატების განაკვეთის მიხედვით იქნებოდა შემდეგი რაოდენობით (ცხრილი 2 ბ): უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისა (უსსგ) კოლმეურნეობაში ყოველი 100 მომუშავეზე —4,17, ხოლო საბჭოთა მეურნეობაში —4,73. ფაქტიურად 1973 წელს 100 მომუშავეზე იყო 2,59 უსსგ-ის სპეციალისტი კოლმეურნეობაში და სპეციალისტებით უზრუნველყოფა შეადგენდა 62%-ს. საშტატო განრიგის მიხედვით კი ერთ კოლმეურნეობას საშუალოდ ესაჭიროება უსსგ-ის 14 სპეციალისტი, მაგრამ იყო კი 9.

1973 წელს საბჭოთა მეურნეობაში, 100 თანამშრომელზე გაანგარიშებით, მოდიოდა უსსგ-ით 5 სპეციალისტი (ერთ საბჭოთა მეურნეობაზე 33 სპეციალისტი უსსგ-ით) და შესაბამის თანამდებობათა სპეციალისტებით უზრუნველყოფა აღწევდა 107%-ს (ცხრილი 2 ბ.).

[1] Л. А. Булочникова. Технический прогресс и использование рабочей силы в сельском хозяйстве, М., 1973 г. стр. 19.

[2] Сб. Планирование потребности н/х в специалистах, М., 1959 г. стр. 136—172.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტების პროფესიული განაწილება პროცენტობით შემდეგია: აგრონომი 41,8%, ზოოტექნიკოსი 10,5%, ვეტექიმი და ვეტფელდშერი 12,4%, ეკონომისტი 19,0%, ინჟინერი და ტექნიკოსი 11,7% (ცხრილი 3).

სპეციალისტებზე პერსპექტიული მოთხოვნილების განსაზღვრისათვის სოფლის მეურნეობაში საჭიროა გაანგარიშებულ იქნეს (საგეგმო პერიოდის საწყისსა ან ბოლოსათვის) როგორც საერთო, ისე დამატებითი მოთხოვნილება სპეციალისტებზე; ეს აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ნორმალური მუშაობისათვის საგეგმო პერიოდში ამ საწარმოს განვითარების გათვალისწინებით.

სპეციალისტებზე პერსპექტიული მოთხოვნილების გაანგარიშებისათვის სოფლის მეურნეობაში ამოსავალ წყაროდ მიიღება თანამდებობრივი ნომენკლატურა (უსსგ-ის მქონე სპეციალისტებით თანამდებობის უზრუნველყოფისათვის), სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში (საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, სარემონტო-ტექნიკური სადგურები და სხვა), სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სოფლის მეურნეობისათვის მომსახურე ორგანიზაციებში და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების სამმართველოებში.

თანამდებობრივი ნომენკლატურის შემუშავება და სპეციალისტებზე მოთხოვნილების პირდაპირი მეთოდით განსაზღვრა, საშუალებას გვაძლევს დადგინდეს თითოეული თანამდებობა, რომელიც უნდა დაიკავოს სპეციალისტმა[3].

სოფლისმეურნეობრივ საწარმოთა ჯგუფისათვის (მაგ.: კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, გაერთიანებები და სხვა) საშტატო ნომენკლატურის ძირითადი ტიპიური შტატების შემუშავების შემდეგ (რომელიც დაქვემდებარებულია სპეციალისტების მონაცვლეობასთან) ანგარიშგებით უნდა განისაზღვროს წლის ბოლოს თანამშრომელთა რაოდენობა სპეციალისტების მონაცვლეობის მიხედვით სპეციალობებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, — ეს მონაცემები წარმოადგენენ გამოსავალ ბაზას.

ნაანგარიშევია, რომ საშუალოდ ერთი კოლმეურნეობა 1973 წელს მოითხოვდა უსსგ-ის სპეციალისტებს ამა თუ იმ თანამდებობაზე შემდეგი რაოდენობით: კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მოადგილე — 1,04; მთავარი (უფროსი) სპეციალისტი 0,73 (აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი, ინჟინერი, ეკონომისტი), მთავარი ბუხჰალტერი —1, ეკონომისტი —0,64; ბრიგადირი მემცენარეობაში 5,88; ფერმის გამგე მეცხოველეობაში —1,73; კოლმეურნეობაში მომუშავე კოლმეურნეების საშუალო წლიური რიცხვი 330 კაცი.

ერთი საბჭოთა მეურნეობისათვის კი მიღებულია შემდეგი: საბჭოთა მეურნეობის დირექტორი და მოადგილე —1,08; მთავარი სპეციალისტი —3,28; ზოოტექნიკოსი — 0,66; ვეტექიმი —1,94; ინჟინერ-ტექნიკოსი —1,80; ეკონომისტი —1,46; ბრიგადირი მემცენარეობაში —13,1; ფერმის გამგე მეცხოველეობაში —3,32; განყოფილების გამგე —3,53; თანამშრომელთა საშუალო წლიური რიცხვი —700 კაცი.

სოფლის მეურნეობაში უსსგ-ის კადრებზე მოთხოვნილების განსაზღვრის ერთ-ერთი კარდინალური საკითხია შესაბამისი თანამდებობებისა და დასაკომპლექტებელ თანამდებობათა ნომენკლატურის დადგენა, რომლის საშუალე-

[3] იქვე, გვ. 151—152. ცხრ. 16, 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით არსებითად განისაზღვრება სპეციალისტების საჭირო რაოდენობა; გარდა ამისა, მნიშვნელობა ენიჭება თანაფარდობათა დადგენას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს შორის როგორც საერთოდ, ისე ცალკეული სპეციალობების მიხედვით, მაგალითად პროპორცია ინჟინრებსა და ტექნიკოსებს შორის პირობითად მიღებული იყო 1:3 ან 1:4 რაც თავის მხრივ, სადაოა, რადგან დასაზუსტებელია ინჟინრებსა და ტექნიკოსებს შორის ოპტიმალური რაოდენობრივი თანაფარდობის საკითხი[4].

1973 წლის მონაცემებით, კოლმეურნეობათა რაიონულ სამმართველოებში აგრონომებს, მთავარ სპეციალისტებსა და სპეციალისტთა შორის საშუალო თანაფარდობად შეიძლება ჩავთვალოთ 1:2, თუ ამას თანამედროვე სამეცნიერო პროგრესის გათვალისწინებით გავავრცელებთ აგრონომ სპეციალისტებზეც, ამჟერად შეიძლება მივიღოთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების აგრონომ სპეციალისტებისათვის თანაფარდობა უნდა იყოს 1:2. 1973 წელს პროპორცია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს შორის საქართველოს სოფლის მეურნეობაში (ცხრილი 2 ა) ფაქტიურად შეადგენდა სულ — 1:1,1; მათ შორის კოლმეურნეობებში — 1.1,4 და საბჭოთა მეურნეობებში — 1:1,2; დამხმარე მეურნეობაში — 1,8:1, ხოლო ვეტერინარულ დაწესებულებებში — 1,4:1; აგრონომებისათვის ეს პროპორცია გამოიხატება, როგორც — 1,4:1.

შრომის მწარმოებლურობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1960, 1965, 1970, 1973 წლების მასალების მიხედვით (ცხრილი 3) შეიძლება დავასკვნათ, რომ 1 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისას 1970 წელს დაკავებული იყო 500-მდე თანამშრომელი და 19 სპეციალისტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით, ხოლო ეს რაოდენობა 1960 წელს შეადგენდა 750 თანამშრომელს და უსსგ-ის მქონე 15 სპეციალისტს. ანალოგიური მონაცემებია 1965 და 1973 წლებშიც, სახელდობრ ცხრილიდან (3) ჩანს, რომ შრომის მწარმოებლურობის ამაღლებამ ერთეული პროდუქციის საწარმოებლად უსსგ-ის სპეციალისტთა რიცხვის ზრდა გამოიწვია; ამასთან, 1970—73 წლებში საშუალოდ 4 უსსგ-ის მქონე სპეციალისტი მოდიოდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ყოველ 100 დასაქმებულზე და, ამ მხრივ, დამახასიათებელია ზრდის ტენდენცია; 1960 და 1965 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის ყოველ 100 დასაქმებულზე მოდიოდა 2 სპეციალისტი უსსგ-ით (ცხრილი 3).

3. კორელაციური ანალიზი და რეგრესიის განტოლებები პროგნოზირებისათვის. სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირების მთავარი ამოცანაა საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონზომიერებების დადგენა და სახალხო მეურნეობის პერსპექტივების განჭვრეტა ეკონომიკური პროცესების ტენდენციათა მიხედვით. ამასთან იგი გულისხმობს ეკონომიკური ზრდის მრავალმხრივ დასაბუთებას, მეცნიერების მიღწევების პრაქტიკასთან დაახლოების აუცილებლობას, სახალხო მეურნეობაში შრომითი რესურსებისა და წარმოებრივი ძალების (პროგნოზირების გამოყენებით) განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენას[5].

[4] ლ. ლორთქიფანიძე. ინჟინერთა კადრებზე პერსპექტიული მოთხოვნილების განსაზღვრისათვის, ჟ. საქართველოს სახალხო მეურნეობა. 1969, № 11, გვ. 41.

[5] ПГ. В. угушвили. Теоретические аспекты планирования и прогнозирования, Тбилиси, 1972 г. стр. 51—52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგნოზების დასაბუთებულობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მეთოდების შერჩევასა და დასახულ მიზანთან შესატყვისობაზე. პროგნოზირების მეთოდებიდან ძირითადია ექსტრაპოლაციის, მათემატიკური მოდელირების, ექსპერტული შეფასებისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები.

ამჟამად ხსენებული ამოცანისათვის ფართოდ გამოიყენება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები. ისინი ემყარებიან: შესასწავლ ობიექტებს შორის კორელაციური კავშირების შეფასებებს (კორელაციური ანალიზი) და რეგრესიის განტოლებების შედგენას, რომლებსაც აწარმოებენ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. იმ ფაქტორების შერჩევა, რომელიც გავლენას ახდენენ საპროგნოზო სიდიდეზე,

2. კავშირის ფორმის დადგენა, საპროგნოზო სიდიდესა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის,

3. რეგრესიის განტოლების შედგენა,

4. კავშირის ფორმის სისწორის განსაზღვრა და ნდობის ინტერვალის დადგენა.

კორელაციური ანალიზის დროს ყველაზე მთავარია ფაქტორთა შერჩევა. ამისათვის ხელმძღვანელობენ შემდეგი მოთხოვნებით:[6]

1. ფაქტორებმა უნდა ასახონ შესასწავლი მოვლენის ძირითადი შინაარსი;

2. მიზანშეწონილია ცვლადების სახით გამოვიყენოთ ცნობილი და გავრცელებული მაჩვენებლები, რომელთა შესახებ ინფორმაცია გვაქვს სტატისტიკურ ანგარიშებში;

3. შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად ფაქტორთა მნიშვნელობის დადგენა სწარმოებს საკმაოდ ხანგრძლივი დროის მასალებზე დაყრდნობით;

4. გასათვალისწინებელია ფაქტორების გაზომვის შესაძლებლობა;

5. განტოლებაში არ უნდა იქნეს ჩართული ერთმანეთთან მჭიდრო კორელაციურ კავშირში მყოფი ფაქტორები;

6. პროგნოზირებისათვის რეკომენდებულია ფაქტორების მინიმალური რიცხვის ჩართვა.

ვთქვათ, ძირითადი ფაქტორია y (ფუნქცია), ხოლო დანარჩენი $x=(x_1, x_2,\ldots, x_p)$, მაშინ წრფივ მრავალფაქტორულ რეგრესიის განტოლებას აქვს ასეთი სახე:

$$y=\sum_{k=1}^{p} \alpha_k \ x_k+a_o \qquad (1)$$

საიდანაც $\bar{y}$ და $\bar{x}_k$ საშუალო მნიშვნელობები მოგვცემენ

$$\left.\begin{aligned} y-\bar{y}&=\sum_{k=1}^{p} \alpha_k \ (x_k-\bar{x}_k) \\ a_o&=\bar{y}-\sum_{k=1}^{p} \alpha_k \ \bar{x}_k \end{aligned}\right\} \qquad (2)$$

[6] Применение регрессионных моделей, для прогнозирования экономических показателей (методика рекомендации под ред. А. С. Довби), М., 1970. стр. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლობენ ელასტიურობის კოეფიციენტებით ($\text{ე}_k$), რომელიც უჩვენებს, თუ საშუალოდ რა პროცენტით იცვლება $y$ ფაქტორი k — ური ($x_k$) ფაქტორის ერთი პროცენტით შეცვლის პირობებში (როდესაც სხვა ფაქტორები უცვლელია)[7], $\text{ე}_k = \alpha_k \frac{\bar{x}_k}{\bar{y}}$, $k=\overline{1,p}$.

განტოლების (1) სიზუსტის შესაფასებლად იყენებენ აპროქსიმაციის საშუალო ცდომილებას, ხოლო რეგრესიის განტოლების არსებობა მოწმდება სტიუდენტის (t) კრიტერიუმის საშუალებით რეგრესიის კოეფიციენტების სტანდარტული ცდომილების ფორმულით. რეგრესიის კოეფიციენტი $\alpha_k$ გამოითვლება წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემიდან:

$$\sum_{k=1}^{p} r_{ik}\,\sigma_k\,\alpha_k = r_{io},\ \sigma_o,\ i=\overline{1,p},$$

სადაც $r_{ik}$ — კორელაციის კოეფიციენტია:

$$r_{ik} = \frac{\sum_{j=1}^{n}(x_{ij}-\bar{x}_i)\,(x_{kj}-\bar{x})}{n\sigma_i\,\sigma_k}$$

$x_{kj}$ — არის $k$-ური მაჩვენებლის $j$-ური ანათვლის მნიშვნელობა, $x_{oj}=y_j$, $j=\overline{1,n}$, ხოლო $\sigma_k^2$ შესაბამისი დისპერსია

$$\sigma_k = \sqrt{\frac{\sum_{j=1}^{n}(x_{kj}-\bar{x}_k)^2}{n}}, \quad k=\overline{0,p},$$

$n$ — ანათვალთა რიცხვია.

კორელაციური ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ფაქტორები, რომლებსაც აქვთ მჭიდრო კავშირი გამოსაკვლევ მაჩვენებლებთან.

კორელაციის კოეფიციენტს r-ს შეუძლია მიიღოს მნიშვნელობა —1-დან +1-მდე; თუ იგი ნულთან მიახლოებულ მნიშვნელობას იღებს, მაშინ ამბობენ, რომ გამოსაკვლევ მაჩვენებელთა შორის კორელაციური კავშირი არ არსებობს და რაც უფრო ახლოსაა კორელაციის აბსოლუტური მნიშვნელობა ერთთან, მით უფრო მჭიდროა მოვლენებს შორის კავშირი; ხოლო როდესაც $r>0$ პირდაპირი კავშირია, ამასთან, თუ $0{,}3<r<0{,}7$, მაშინ გვაქვს საშუალო კავშირი[8].

იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ $y$ ფაქტორის გავლენის ხარისხი ჩვენთვის საინტერესო ფაქტორებთან, ითვლიან ნაწილობრივი და მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტებს, ისინი კორელაციის კოეფიციენტების საშუალებით გამოითვლებიან[9].

[7] Г. В. Розанов, Л. А. Френкель. Корелационный и регресионный анализ в экономических иследованиях. Ж. «Экономика и математические методы», 1967, том 3, выпуск 3.

[8] В. В. Рыжова, Л. А. Кузнецова. Метематическиэ методы в анализе хозяйственной деятельности предприятий. М., 1970, стр. 12—13.

[9] გ. მ ა ნ ი ა. მათემატიკური სტატისტიკა ტექნიკაში, თბ., 1958, გვ. 231—322.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევით სიდიდეთა განსაზღვრისათვის განაწილებებს შორის ფართოდ გამოიყენება, ნორმალური განაწილება, რომელიც განისაზღვრება ორი პარამეტრის საშუალო არითმეტიკულითა და სტანდარტული გადახრით.

ეკონომიკაში ნორმალური განაწილება იშვიათად გვხვდება. თუ ნატურალურ მაჩვენებლებს მათი ლოგარითმით შევცვლით, მაშინ რიგ შემთხვევაში განაწილება ნორმალურს უახლოვდება; ამიტომ ძირითადი მახასიათებელი გახდება არა საშუალო, არამედ საშუალო გეომეტრიული.

4. კორელაციური ანალიზი სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის. სახალხო მეურნეობის დარგებში სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის საჭიროა შევისწავლოთ სპეციალისტთა რაოდენობისა და მისი ცვლილების გამომწვევ მაჩვენებლებს შორის კავშირი, რაც გარკვეული ზომით დაახასიათებდა დარგს. ვინაიდან დარგი ხასიათდება მაჩვენებელთა სიმრავლით, საჭიროა მათგან შეირჩეს რამდენიმე — ძირითადი და უფრო დამახასიათებელი მოცემული დარგის აღებული მიმართულებისათვის. მაგალითად, სოფლის მეურნეობის (~) მემცენარეობის დარგში გამოვყოფთ მაჩვენებლებს: მიწის სავარგულები, სათესი ფართობი, მემცენარეობის მთლიანი პროდუქცია და ა. შ.

ვინაიდან დარგი შეიცავს სხვადასხვა დანიშნულების, სტრუქტურისა და ზომის საწარმოებს, ამიტომ საჭიროა დაჯგუფდეს საწარმოები თავისებურებებისა და მომსახურების მიხედვით; ამ ჯგუფების მიმართ განისაზღვრება სპეციალისტებზე მოთხოვნილება.

სოფლის მეურნეობაში გამოყოფილია საწარმოები: კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სარემონტო-ტექნიკური და სპეციალიზებული სადგურები და ა. შ. თანამდებობრივ ჭრილში კოლმეურნეობებში სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის მაჩვენებლები დავაჯგუფეთ შემდეგნაირად*.

ცხრილი 1′. აგრონომების რიცხვის (უსსგ), კოლმეურნეობათა რიცხვი, მიწის სავარგულები, სათესი ფართობები, მრავალწლიანი ნარგავები, თუთის ნარგავები, კოლმეურნეების რიცხვი (მ. შ. შრომის უნარიანი), მთავარი სპეციალისტები, მთლიანი პროდუქცია, წმინდა შემოსავალი, სრული დანახარჯები, რენტაბელობა;

ცხრილი 2′. სპეციალისტების რაოდენობა მეცხოველეობის დარგში (უსსგ) კოლმეურნეობების და კოლმეურნეთა რიცხვი (მ. შ. შრომის უნარიანი), მთავარი სპეციალისტები, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მეცხოველეობის მთლიანი პროდუქცია, სათიბ-საძოვარი ფართობები, მეცხოველეობის მთლიანი პროდუქცია ფაქტიურ სარეალიზაციო ფასებში.

ცხრილი 3′. ინჟინერ-ტექნიკოსები (უსსგ), კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა რიცხვი, მთავარი სპეციალისტები, ენერგო სიმძლავრეები (ცხ. ძალებში და პირობით ერთეულებში).

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლებისათვის (ცხრ. 1′—3′) საინფორმაციო მასალა მომზადდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კოლმეურნე-

---

* იხილეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური პროგრამირების განყოფილების 1975 წ. ანგარიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის ანალიზის განყოფილებაში, საკოლმეურნეო ჯუმლებიდან. მასალა დაჯგუფებულია ოთხ ცხრილში, აქედან მე-4′ შემაჯამებელია. ცხრილი 1′ და 4′ ხასიათდება 19 მაჩვენებლით, ცხრილი 2′ თერთმეტი და ცხრილი 3′ შვიდი მაჩვენებლით. ყველა ცხრილი მოიცავს 65 ობიექტს (კოლმეურნეობათა რაიონული სამმართველოები).

აღებულია 1973 წლის მასალები, ხოლო ზოგიერთი მაჩვენებელი (მთლიანი პროდუქცია, წმინდა შემოსავალი, სრული დანახარჯები, რენტაბელობა) სოფლის მეურნეობის თავისებურების გამო — სამი წლის (1971—73) მონაცემების გასაშუალოებით.

ცხრილები დამუშავებულია მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით (კერძოდ, დისპერსიული და კორელაციური ანალიზი) ეგმ-„მ-220“-ზე** გამოთვლილია მახასიათებლები: საშუალო, საშუალო კვადრატული გადახრა, კვადრატული შეცდომა, ვარიაციისა და კორელაციის კოეფიციენტები, მიღებულია რეგრესიის განტოლებები.

კორელაციის კოეფიციენტის საშუალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მაჩვენებელთა ურთიერთგავლენის შესახებ, მათ შორის კავშირის ხასიათზე[10].

მრუდწირული პირდაპირი კავშირი არსებობს კოლმეურნეობების (1)*** სოფლისმეურნეობრივ სავარგულებსა (2), აგრონომების (9) და საშუალო განათლების სპეციალისტების (11) რიცხვებს შორის $r_{1,2}=0,63$; $r_{1,9}=0,64$; $r_{1,11}=0,61$;

არ არსებობს კორელაციური კავშირი კოლმეურნეობათა რიცხვსა (1), თუთის ნარგავებსა (5) და რენტაბელობას (15) შორის: $r_{1,5}=0,02$; $r_{1,15}=0,21$;

პირდაპირი კავშირია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა (2) და სათეს ფართობსა (3), კოლმეურნეთა რიცხვსა (6), აგრონომების რიცხვსა (9), მთლიან პროდუქციასა (12), სრულ დანახარჯებს (13) შორის. $r_{2,3}=0,94$; $r_{2,6}=0,73$, $r_{2,12}=0,71$;

საწარმოს სრული დანახარჯები (14) პირდაპირ კავშირშია: სათეს ფართობთან (3), კოლმეურნეთა რიცხვთან (6), მთავარ სპეციალისტებთან (8), აგრონომების რიცხვთან (9), მთლიან პროდუქციასთან (12), წმინდა შემოსავალთან (13) $r_{14,3}=0,71$; $r_{14,6}=0,76$; $r_{14,12}=0,97$; $r_{14,13}=0,87$;

არ არსებობს კავშირი სრულ დანახარჯებსა (14) და მრავალწლიან ნარგავებსა (4), შრომისუნარიან მოსახლეობასა (7) და რენტაბელობას (15) შორის: $r_{14,4}=0,02$; $r_{14,7}=0,29$; $r_{14,15}=0,03$;

მეცხოველეობის მთლიან პროდუქციაზე (9) გავლენას ახდენს (პირდაპირ კავშირშია) უმაღლესი განათლების სპეციალისტები (6) და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი (8); $r_{9,6}=0,67$; $r_{9,8}=0,71$;

მთლიან პროდუქციაზე (9) არ ახდენს გავლენას კოლმეურნეთა რიცხვი (2). მთავარი სპეციალისტები (4); $r_{9,2}=0,14$; $r_{9,4}=0,36$;

საშუალო კავშირია (ე. ი. ურთიერთგავლენა მაჩვენებლებს შორის ისეთია, რომლის უგულებელყოფა შეუძლებელია) მსხვილფეხა რქიან პირუტყვსა

---

** შესაბამისი პროგრამა შედგენილია ვ. ფელკერის მიერ.

[10] ნ. ლაჭყებიანი, შ. ბენია. ვარიაციის მაჩვენებლები, კორელაციური და დისპერსიული ანალიზის საფუძვლები, თბილისი, 1972.

***ფრჩხილებში ჩასმული რიცხვი მიუთითებს მაჩვენებელთა ნომერს (რიგს) შესაბამის ცხრილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(8) და მეცხოველეობის მთავარ სპეციალისტებსა (4), სპეციალისტებსა (5), საკვებ კულტურებს (10) შორის: $r_{8,4}=0{,}31$; $r_{8,10}=0{,}32$;

საკვებ კულტურაზე (10) არ ახდენს გავლენას: კოლმეურნეთა რიცხვი (2): მთავარი სპეციალისტები (4), სპეციალისტები (5): $r_{10,2}=0{,}24$; $r_{10,4}=0{,}15$; $r_{10,5}=0{,}02$.

საშუალო კავშირია: საკვებ კულტურასა (10), მსხვილფეხა რქიან პირუტყვსა (8) და მთლიან პროდუქციას (9) შორის: $r_{10,8}=0{,}32$; $r_{10,9}=0{,}46$.

პირდაპირი კავშირია მთავარ სპეციალისტებს (8), ინჟინერ-მექანიზატორებს (4) და ენერგო სიმძლავრეს (7) შორის: $r_{3,4}=0{,}77$; $r_{3,7}=0{,}76$;

საშუალო კავშირია: მთავარ სპეციალისტებსა (3) და კოლმეურნეთა რიცხვს (2) შორის $r_{3,2}=0{,}50$;

საშუალო კავშირია: ენერგო სიმძლავრესა (7), კოლმეურნეთა რიცხვსა (2) და ინჟინერ-მექანიზატორთა (4) შორის: $r_{7,2}=0{,}49$; $r_{7,4}=0{,}66$.

5. **გაჯერების კოეფიციენტის ექსტრაპოლაცია.** დასმულია გაჯერების კოეფიციენტსა და შრომის მწარმოებლურობას შორის. ფუნქციონალური კავშირის დადგენის ამოცანა, შემუშავებულია საექსტრაპოლაციო ფორმულების რამდენიმე ვარიანტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაჯერების მეთოდით[11] სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის.

განვიხილოთ წრფივი დამოკიდებულება:

$$\lambda_t\ N_t+\mu_t\ (a_t-N_t)=V_t\ d_t, \qquad (1)$$

სადაც, $t$-ურ საბაზისო წელს $N_t$ სპეციალისტთა და $a_t$ დასაქმებულთა რიცხვია, $V_t$-მთლიანი პროდუქციის მოცულობა, $d_t$—ერთეული პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო შრომის რაოდენობა (კაცდღე) $\lambda_t$ და $\mu_t$ კოეფიციენტები — ერთ სპეციალისტსა და დასაქმებულზე შრომის წილს, ხოლო $\lambda_t/d_t$ და $\mu_t/d_t$ შესაბამისად პროდუქციის წილს გამოსახავენ, რაც საწყისი მიახლოებისას $t$-საგან დამოუკიდებლად ჩაითვლება, ამიტომ (I)-დან მიიღება:

$$\alpha_{t+1}=\frac{d_{t+1}}{\lambda_{t+1}-\mu_{t+1}}\ \theta_{t+1}-\frac{\mu_{t+1}}{\lambda_{t+1}-\mu_{t+1}}=x_o\theta_{t+1}+x_1, \qquad (2)$$

სადაც $\alpha_{t+1}=\dfrac{N_{t+1}}{a_{t+1}}$ გაჯერების კოეფიციენტია $t+1$ საპროგნოზო წელს, ხოლო $Q_{t+1}=\dfrac{V_{t+1}}{a_{t+1}}$ — შრომის მწარმოებლურობა.

ნაცვლად (1)-სა შეიძლება, აგრეთვე, სხვა კავშირების წარმოდგენა:

$$\alpha_{t+1}=\sum_{k=0}^{p} x_k\ Q^k_{t+1}\ \text{ან}\ \alpha_{t+1}=x_o\ Q^{x1}_{t+1}\ a^{x2}_{t+1}\ V^{x3}_{t+1}, \qquad (2')$$

სადაც $x_o$, $x_1,\ldots, x_p$ კოეფიციენტები გამოითვლება უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით.

ი. ტინბერგენის ფორმულიდან[12] გამომდინარე, ფორმულა (2′) მიიღებს შემდეგ სახეს:

---

11 Методические указания к разработке государственных планов развития н/х СССР, М., 1974, стр. 545.

12 И. П. Иванов. Научно-техническая революция и вопросы подготовки кадров в развитых странах капитализма, М., 1971, стр. 254.

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$\alpha_{t+1}=x_o\ Q_{t+1}^{\gamma+1}V_{t+1}^{\beta+1},$$

სადაც $x_o$, $\gamma$, $\beta$ კოეფიციენტებია.

დავუშვათ, რომ თანამშრომლებზე (მათ შორის სპეციალისტებზე) მოთხოვნილება იზრდება ლოგისტიკური წირით: წარმოების განვითარების დაწყებით პერიოდში საკმაოდ სწრაფად მიაღწევს განსაზღვრულ ჯერადობას, შემდეგ კი სპეციალისტებზე მოთხოვნილების ზრდის ტემპი მცირდება. აქვე შევნიშნოთ — მთლიანი პროდუქციის ერთეულზე სპეციალისტების რიცხვის შემცირება შრომის მწარმოებლურობის ზრდის დროს გამოწვეული იქნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით. შრომის მწარმოებლურობის გაზრდასთან ერთად, წარმოების განვითარების დაწყებითი პერიოდში გაჯერების კოეფიციენტი იზრდება საკმაოდ სწრაფად, მიაღწევს განსაზღვრულ ჯერადობას, ხოლო შემდგომ იგი მცირდება, რაც გამოწვეულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით; აქ კი შრომის მწარმოებლურობის განსაზღვრულ დონემდე გაზრდის შემდეგ გაჯერების კოეფიციენტი მიაღწევს მინიმალურ მნიშვნელობას. შემდეგ იგი ისევ იწყებს ზრდას და ა. შ. რასაც პერიოდულად განმეორებადი და ამასთან თანდათანობით კლებადი ხასიათი უნდა ქონდეს.

შრომის მწარმოებლურობასა და გაჯერების კოეფიციენტს შორის ფუნქციონალური კავშირი ჯერჯერობით არაა გამოკვლეული; ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ ამ კავშირებისათვის ექსტრაპოლაციის უმარტივეს ფორმულებს სხვადასხვა შემთხვევისათვის, სადაც მაგალითის სახით განხილული გვაქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითად მაჩვენებელთა დინამიკა საჭირო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის (ცხრილი 3).

1. შემთხვევა, როდესაც გაჯერების კოეფიციენტსა და შრომის მწარმოებლურობას შორის დაშვებულია წრფივი კავშირი, მაშინ სპეციალისტებით დასაქმებულთა გაჯერება გამორიცხულია. გამოვიყენებთ რა (2) ფორმულას ცხრილის (3) მონაცემების საფუძველზე მივიღებთ:

$$\alpha_{t+1}=2.10^{-5}\ Q_{t+1}-6{,}2.10^{-3} \qquad (3)$$

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთეული პროდუქციის საწარმოებლად საჭირო სპეციალისტთა რიცხვი უცვლელია, ე. ი. $\frac{N_t}{V_t}=\frac{N_{t+1}}{V_{t+1}}$ გვაქვს:

$$\alpha_{t+1}=\alpha_t\ \frac{Q_{t+1}}{Q_t} \qquad (4)$$

3. სპეციალისტებით დასაქმებულთა გაჯერების გათვალისწინება და (2) ფორმულის გამოყენება მოგვცემს:

$$10^2\ \alpha_{t+1}=0{,}1\ \sqrt{Q_{t+1}}\ . \qquad (5)$$

ვინაიდან არ არსებობს სრული თეორიული ბაზა სპეციალისტებსა და დასაქმებულთა შორის გასაზომად და შესადარებლად, დაკავშირებული შრომითი რესურსების პროფესიონალურ-კვალიფიციური ცვლილებისა და განათლების დონის გაზომვის პრობლემასთან, ამიტომ დავუშვათ (2) კავშირის არსებობა (რაც პირობითია), უფრო გაუმჯობესებული მიახლოებით კი (1)-ში $V_t$ შევცვალოთ $V_t$ და $Q_t$-ს საშუალო გეომეტრიულით, მაშინ მივიღებთ:

$$\alpha_{t+1}=x_o\ \sqrt{Q_{t+1}}+x_1. \qquad (6)$$

$\alpha_{t+1}$-ისა და $\sqrt{Q_{t+1}}$-ს შორის წრფივი კავშირების დასამყარებლად ცხრილის (3) მონაცემებისა და (6)-დან უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით გვექნება:

$$10^2\ \alpha_{t+1}=0{,}23\ \sqrt{Q_{t+1}}-6{,}48,$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო $a_t$ და $\sqrt{Q_t}$ შესაბამ რიცხვით მნიშვნელობებზე (ცხრ. 3) გამოთვლილი კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობაა 0,94.

ც. მოსამზადებელი სამუშაოები ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებისათვის. სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შესადგენად მოსამზადებელი სამუშაოები წარმოვადგინოთ შემდეგი თანმიმდევრობით:

პირველი — საინფორმაციო მასალის მოპოვება-შერჩევა, მისი დალაგება-დახვეწა, შესაბამისი ცხრილების შედგენა, რიცხვითი მასალის დაჯგუფება და გადმოწერა, გარკვეული ნიშნის მიხედვით ერთნაირი რიცხვითი მაჩვენებლების რაოდენობათა დათვლა-დაჯამება, პროცენტების ანგარიში და გზადაგზა ისევ ინფორმაციის მოპოვება-დაზუსტება.

მეორე — პირველადი ანალიზი: არსებული საინფორმაციო მასალებზე დაყრდნობით სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის ანგარიშობენ გაჯერების კოეფიციენტებს და აზუსტებენ მონაცემებს ექსტრაპოლაციის უმარტივესი მეთოდებით, ამასთან ეყრდნობიან რა საშტატო ნომენკლატურასა და ნორმატივებს ცალკეული საწარმოებიდან სპეციალისტებზე მოთხოვნილების შესახებ მიღებული მასალების საფუძველზე აწარმოებენ სპეციალისტებზე მოთხოვნილების პროგნოზირებას. აღნიშნული თანმიმდევრობის მეორე ნაწილში სირთულე დაკავშირებულია როგორც გამოთვლითი სამუშაოების გამოვლენის სიძნელეებთან ასევე საკითხის დასმასთან, ამიტომ აუცილებელი ხდება დაისახოს ამოცანა და მომზადდეს პირობები ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მიზნით, რაც სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. **არსებული მეთოდების სრულყოფა და მათ საფუძველზე ეკონომიკურ მათემატიკური მოდელების შედგენა.** სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრის ამჟამად მოქმედ მეთოდებს განეკუთვნებიან: ნორმატიული, საშტატო ნომენკლატურის, ექსტრაპოლაციის და გაჯერების მეთოდები[13].

2. **მაჩვენებლებს შორის კავშირების დადგენა მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით.** მიმართავენ კორელაციურ ანალიზსა და რეგრესიის განტოლებების შედგენას. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისათვის პირველ რიგში ადგენენ და იხილავენ წრფივ და მაჩვენებლიან ფუნქციონალურ კავშირებს[13].

3. **მოდელირება ოპტიმალური პროგრამირების მეთოდების გამოყენებით.** მაგალითად, წრფივი პროგრამირების სატრანსპორტო ამოცანა გამოყენებულია სპეციალისტების ოპტიმალური განაწილებისათვის[14].

4. **სისტემური მიდგომა. საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებულ სისტემებში სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრის, მომზადებისა და განაწილების ბლოკების შედგენა.** მაგალითად, ბლოკი „შრომითი რესურსები და კადრები“[15].

სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის მათემატიკური მეთოდების შემუშავება საჭიროებს თეორიულ ბაზას — დაკავშირებულს შრომი-

[13] Сб. Проблемы определения потребности н/х в кадрах специалистов, Всесоюзный симпозиум (матер. докладов 17—19 марта 1975 г.), М., 1975.

[14] М. А. Бермант, Л. К. Семенов, В. Н. Судицкий. Математические модели планирования образования, М., 1972, стр. 19—20.

[15] В. Б. Безруков. Применение экономико-математических методов в расчетах баланса трудовых ресурсов, М., 1971, стр. 139—140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი რესურსების პროფესიულ კვალიფიციურ ცვლილებისა და განათლების დაგეგმვის პრობლემასთან. ვინაიდან შრომითი რესურსების აღწარმოება ხორციელდება სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ეკონომიკური კანონის შესაბამისად, რთულდება და მაღლდება მშრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის დონე, ამიტომ აუცილებელია შემუშავდეს ახალი მიდგომა შრომითი რესურსების სტრუქტურული ცვლილების გამოსავლენად.

მშრომელთა განათლების დონისა და პროფესიულ-კვალიფიციური შედგენილობის გაზომვა მხოლოდ ეკონომიკური პრობლემა არ არის; მის მიღმა სოციალური მოვლენებია: დემოგრაფიული პროცესები, ადამიანის როგორც პიროვნების განვითარება და ა. შ., ამიტომ ამ მიმართულებით ამოცანას შეადგენს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პერიოდში დასახული გეგმების მისაღწევად განჭვრეტილ და გადაწყვეტილ იქნეს თანამდებობათა შესაბამისი მაღალხარისხოვანი სპეციალისტებით უზრუნველყოფის პრობლემა.

ახალგაზრდობის დიდ ნაწილში ძლიერია ტენდენცია, რომ მიიღოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება (განსაკუთრებით უმაღლესი, თანახმად პროგნოზისა 2000 წელს სსრკ-ის ახალგაზრდობის 50%-ს მაინც ექნება უმაღლესი განათლება[16]), ამასთან სახალხო მეურნეობას სჭირდება სხვადასხვა სპეციალობის კადრები, ამიტომ აუცილებელი ხდება განათლების დაგეგმვის პრობლემის გადაჭრა, — ეს კი პირველ რიგში მოითხოვს სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრას (თითოეული სპეციალობისათვის). საჭირო ხდება განათლების საკვალიფიკაციო დონის შესაფასებელი ერთეულის შემოყვანა; ამასთან უნდა დაიხვეწოს განათლების დონის გაზომვის არსებული მაჩვენებლები როგორც თეორიული ბაზა მათემატიკური მეთოდების შესამუშავებლად[17].

მათემატიკური მოდელირება საშუალებას იძლევა, რომ მთელი სისრულით განვახორციელოთ ამოცანის აღწერა, — როდესაც დამუშავებულია პრობლემის მეთოდოლოგია, შესწავლილია პარამეტრები და საინფორმაციო ბაზა, გვაქვს პერსპექტიული გეგმები ან გარკვეული სახით წარმოდგენილი მათი ტენდენციები.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენება, მათი ოპტიმალური ამონახსნის ძიება სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის არ უარყოფს დაგეგმის არსებულ მეთოდებს. დაგეგმვის ახალი მეთოდების გამოყენებით მაქსიმალური ეფექტი შეიძლება მივიღოთ, სახელდობრ, მათი მოხერხებული შეთანხმებით არსებულ ტრადიციულ მეთოდებთან და დაგეგმვის ხერხებთან[18].

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და თანამედროვე საინფორმაციო ბაზა განათლების დაგეგმვაში აუცილებელს ხდის სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრის ისეთი მეთოდის შემუშავებას, რომელიც გაითვალისწინებს სახალხო მეურნეობის დარგებში მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებს შორის არსებული კავშირების ბუნებას, საბაზისო წლის მასალებზე დაყრდნობით

[16] М. Я. Сонин. Социально-экономический прогноз трудовых ресурсов, сб. «Методология прогнозирования экономического развития СССР», М., 1971, стр. 305—306.

[17] А. И. Анчишкин. Прогнозирование роста социалистической экономики, М., 1973, стр. 165—172.

[18] Л. В. Черкашин. Планирование культурного строительства, М., 1975, стр. 142.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდისათვის დასახული გეგმების შესაბამისად, მაღალი ალბათობით განსაზღვრავს სპეციალისტებზე მოთხოვნილებას, რაც საფუძველია ამ მიმართულებით პროგნოზირებისათვის.

7. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი. შემოტანილია ცნება — პირობითი საწარმო, რომელიც შესაბამისობას ამყარებს გარკვეული სპეციფიკით გაერთიანებულ საწარმოებთან. სახალხო მეურნეობის დარგი დახასიათებულია გარკვეული რაოდენობის მაჩვენებლებით წარმოდგენილი პირობით საწარმოთა სიმრავლით. რომელთა საფუძველზე შედგენილია სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრის ოპტიმალური პროგრამირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, მიზნის ფუნქციებით: შრომის მწარმოებლურობა (მაქსიმუმი) და სპეციალისტების მომზადება-გადამზადებაზე დანახარჯები (მინიმუმი).

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი განხილულია, პირველ რიგში, შრომის მწარმოებლურობის მაქსიმიზაციის მიხედვით და ეყრდნობა წრფივი პარამეტრული პროგრამირების ცალკეულ ამოცანებს.

მოდელი მოითხოვს მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარებას: საწარმოთა ტიპებად დაჯგუფებას (პირობითი საწარმოები), შესაბამ მაჩვენებელთა შერჩევასა და რიცხვითი მნიშვნელობათა დადგენას (მათემატიკური ლოდინი და დისპერსია), სპეციალისტთა მომზადება — გადამზადების დანახარჯთა მატრიცის განსაზღვრას.

1973 წლის მასალების მიხედვით საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობისათვის დადგენილია შესაბამის თანამდებობებზე მომუშავე სპეციალისტების ოპტიმალური მოთხოვნილების სხვადასხვა ვარიანტი — ერთი პარამეტრის წრფივი ფუნქციის სახით. აქ სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია ორი ტიპის საწარმოთი და მიღებული შედეგები სპეციალისტებზე მოთხოვნილების ცვლილებათა (ზრდის ან კლების) საორიენტაციოდ გამოდგება.

დაისმის ამოცანა: განვსაზღვროთ სპეციალისტთა რაოდენობა ისე, რომ მოცემული დარგის განვითარებისათვის დასახული გეგმების შესასრულებლად უზრუნველვყოთ თანამდებობები სპეციალისტებით, მივაღწიოთ შრომის მწარმოებლურობის მაქსიმიზაციას, ამასთან დანახარჯები სპეციალისტების მომზადებაზე იყოს მინიმალური.

გავამახვილოთ ყურადღება შემდეგ ფაქტებზე:

1. სახალხო მეურნეობაში განათლების სისტემის, მეცნიერებისა და ტექნიკის მეოხებით წარმოებს სპეციალისტებით უზრუნველყოფის რეგულირება; თუ ეს პროცესი დროული და მიზანშეწონილი არ არის, მაშინ სპეციალისტების მომზადებაზე დანახარჯები[19] გაიზრდება.

2. დასაშვებია პირობითი საწარმოთა ცნების შემოტანა, მაგალითად, ვაკის ზონის მოწინავე კოლმეურნეობების დასახასიათებლად შემოგვაქვს ყველა ამ კოლმეურნეობის გასაშუალებული მაჩვენებელთა სისტემა[20]. ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ ცალკეულ წარმოებრივი მიმართულებით: საბჭოთა მეურნეობაზე, კოლმეურნეობაზე, აგრარულ კომპლქსებზე და ა. შ.

---

[19] В. А. Комаров. Экономические проблемы подготовки и использования кадров специалистов, М., 1972, стр. 123.

[20] ნ. ლაჭყებიანი. შ. ბენია, ვარიაციის მაჩვენებლები, კორელაციური და დისპერსიული ანალიზის საფუძვლები, თბილისი, 1972, გვ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დარგი და მისი საწარმოები დახასიათდება ერთი და იმავე დასახელების მაჩვენებელთა სისტემით. მათთვის საინფორმაციო მასალის შეგროვება-დამუშავება ემყარება იმას, რაც პრაქტიკულად ხელმისაწვდომია.

4. სპეციალისტებზე მოთხოვნილების ზუსტი განსაზღვრა და შესაბამისი უზრუნველყოფა აამაღლებს შრომის მწარმოებლურობას. ვთქვათ საბაზისო წელს $g_k$ რაოდენობის k-ური ტიპის საწარმოში, სადაც დასაქმებულთა რიცხვია $W_k = \sum_{l=1}^{g_k} W_{lk}$ გამოშვებული იქნა $V_k = \sum_{l=1}^{g_k} V_{kl}$ მოცულობის პროდუქცია.

$k$-ური ტიპის $l$-ურ საწარმოში დასაქმებულთა რიცხვია $W_{lk}$, ხოლო $V_{kl}$ არის გამოშვებული პროდუქცია.

დავუშვათ, რომ სულ $p$ ტიპის საწარმოებით შეიძლება განისაზღვროს სახალხო მეურნეობის დარგი, რომლისათვის დამახასიათებელია ძირითადად R+2 რაოდენობის მაჩვენებელი.

აღვნიშნოთ $d_{rkl}$-თი $k$-ური ტიპის $l$-ური საწარმოს $r$-ური მაჩვენებელი, მაშინ $r$-ური მაჩვენებელი $k$-ური ტიპის საწარმოსათვის იქნება:

$$d_{rk} = \sum_{l=1}^{g_k} d_{rlk}; \quad r = \overline{1, p}; \quad k = \overline{1, p}.$$

აღვნიშნოთ: $a_{ik} = \sum_{l=1}^{g_k} a_{ikl}$; $i = 1, m$; $k$-ური ტიპის საწარმოებში $i$-ური თანამდებობის სპეციალისტებზე**** მოთხოვნილება. $c_{ij}$-ერთი $j$-ური სპეციალისტის $i$-ურ თანამდებობაზე გადამზადების, ხოლო $c_j$-ერთი $j$-ური სპეციალისტის მომზადების ხარჯები. $m$ თანამდებობათა, ხოლო $n$-სპეციალობათა საერთო რიცხვია, ამიტომ $i = \overline{1, m}$; $j = \overline{1, n}$.

$k$-ური ტიპის პირობითი საწარმო ვუწოდოთ $g_k$—რაოდენობის $k$-ური ტიპის საწარმოდან ერთ-ერთს ან მათი ანალიზის შედეგად ახალ საწარმოს, რომლის მაჩვენებლები გვაძლევენ წარმოდგენას $k$-ური ტიპის საწარმოებზე.

თუ დავუშვებთ, რომ k-ური ტიპის საწარმოთა მაჩვენებლების რიცხვითი მნიშვნელობები ყოველი მაჩვენებლისთვის გაუსის განაწილების კანონს ემორჩილებიან, მაშინ პირობით საწარმოდ შეიძლება ავირჩიოთ ისეთი საწარმო, რომლის მაჩვენებლები მიღებულია მათემატიკური ლოდინით k-ური ტიპის $g_k$ - რაოდენობის საწარმოთა მაჩვენებლებიდან, ხოლო მათი შეფასებისათვის ვისარგებლოთ დისპერსიით.

k-ური ტიპის პირობითი საწარმო დავახასიათოთ შემდეგი მაჩვენებლების საშუალებით:

$$W_k(\mu) = \sum_{l=1}^{g_k} W_{lk}\,\mu_{lk}; \qquad d_{rk}(\mu) = \sum_{l=1}^{g_k} d_{rlk}\,\mu_{lk}; \tag{1}$$

**** სპეციალობასა და თანამდებობას შორის საზოგადოდ ა რ არსებობს ურთიერთცალსახა თანამდებობა. ამ აზრით გვაქვს გაგება სპეციალისტები (დიპლომირებული) და სპეციალისტები თანამდებობაზე მომუშავე (სპეციალისტებზე მოთხოვნილება თანამდებობრივ ჭრილში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$V_k\ (\mu)=\sum_{l=1}^{g_k} V_{kl}\ \mu_{lk};\quad a_{ik}^{(\mu)}=\sum_{e=1}^{g_k} a_{ikl}\ \mu_{lk},$$

სადაც $\mu_{lk}$ განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\sum_{l=1}^{gk} \mu_{lk}=1;\quad \mu_{lk}\geqslant 0,\quad l=\overline{1,g_k} \tag{2}$$

და მისი შერჩევით მივიღებთ პირობით საწარმოთა მაჩვენებლებისათვის კონკრეტულ რიცხვით მნიშვნელობებს. მაგალითად, თუ $\mu_{lk}=\frac{1}{g_k}$; $l=\overline{1,g_k}$, მაშინ შეიძლება ვიანგარიშოთ საშუალო მაჩვენებლები და შესაბამისი დისპერსიები.

ვიგულისხმებთ რა $\mu_{lk}$-ს ცვლადად, $k$-ური ტიპის პირობით საწარმოთა რიცხვი $\alpha_k$ და მაჩვენებლები: $W_k\ (\mu)$, $V_k\ (\mu)$, $d_{rk}(\mu)$, $a_{ik}\ (\mu)$ ისე შევარჩიოთ, რომ დასახულ გეგმებს მივაღწიოთ შრომის მწარმოებლურობის მაქსიმიზაციით. ამ შემთხვევაში საჭირო სპეციალისტთა რიცხვს ვუწოდოთ სპეციალისტებზე ოპტიმალური მოთხოვნილება.

$x_{ij}$-თი ალვნიშნოთ $x_j$ რაოდენობის $j$-ური სპეციალისტთა ის რაოდენობა, რომლითაც უზრუნველყოფილნი იქმნებიან $y_i$ რაოდენობის $i$-ური თანამდებობები.

საბაზისო წელს სპეციალისტებზე ოპტიმალური მოთხოვნილების და შემდგომ წლებში მისი მოსალოდნელი ცვლილების (ტენდენციის) გამოსავლენად განვიხილოთ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი:

$$\max\left(\sum_{k=1}^{p} W_k(\mu)\ \alpha_k/\sum_{k=1}^{p} W_k\ (\mu)\ \alpha_k\right)=Q\ (\delta), \tag{3}$$

$$\alpha_k\geqslant 0,\quad k=\overline{1,p} \tag{4}$$

$$\left|\sum_{k=1}^{p} d_{rk}\ (\mu)\ \alpha_k-\sum_{k=1}^{p} d_{rk}\right|\leqslant\lambda_r\delta,\quad r=\overline{1,R}, \tag{5}$$

$$x_{ij}\geqslant 0,\qquad i=\overline{1,m};\qquad j=\overline{1,n}, \tag{6}$$

$$\sum_{j=1}^{n} x_{ij}=\sum_{k=1}^{p} a_{ik}\ (\mu)\ \alpha_k=y_i,\quad i=\overline{1,m}, \tag{7}$$

$$\sum_{i=1}^{m} x_{ij}=x_j,\quad j=\overline{1,n}, \tag{8}$$

$$\min\left(\sum_{i=1}^{m}\ \sum_{j=1}^{n} c_{ij}\ x_{ij}+\sum_{j=1}^{n} c_j\ x_j\right)=C\ (\delta), \tag{9}$$

სადაც $\alpha=(\alpha_1,\ \alpha_2,\ldots,\ \alpha_p)$, $y=(y_1,\ y_2,\ldots,\ y_m)$, $x=(x_1,\ x_2,\ldots,\ x_n)$, $\mu=\{\mu_{lk}\}$ და $\{x_{ij}\}$ უცნობებია, ხოლო $\delta$ პარამეტრისათვის $\lambda_r$ შესაბამისი წონის შერჩევა უნდა მოხდეს მაჩვენებელთა განზომილების საფუძველზე. როდესაც $\delta=0$, მაშინ (5)-დან მიიღება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$\sum_{k=1}^{p} d_{rk}(\mu)\alpha_k = \sum_{k=1}^{p} d_{rk}, \quad r=\overline{1,R}$$

$\delta$-ს გაზრდით კი შესაბამისად ცვლილებას განიცდიან უცნობები, ამიტომ (1)—(9)-დან გამომდინარე, $\alpha$, $y$, $x$ ვექტორებია $\delta$-ს ფუნქცია.

(1)—(9) წარმოადგენს ოპტიმალური პროგრამირების ერთპარამეტრიან ეკონომიურ-მათემატიკურ მოდელს ორი მიზნის ფუნქციით და თუ მას განვიხილავთ მიმდევრობით[21] (3) მიზნის ფუნქციას (9)-თან შედარებით მივანიჭებთ უპირატესობას, მაშინ მივიღებთ (3)—(5) და (6)—(9) ამოცანებს.

ვთქვათ, დასაქმებულთა რიცხვი მუდმივია:

$$\sum_{k=1}^{p} W_k(\mu)\ \alpha_k = W \tag{10}$$

და $\mu_{1k}=1/g_k$, $l=\overline{1,g_k}$, მაშინ (3)—(5)-დან $\delta=0$-სათვის მივიღებთ წრფივი პროგრამირების ამოცანას. სიმარტივისათვის დაუშვათ, რომ ოპტიმალური ამონახსენია $\alpha_k=g_k$, ხოლო $\delta$-ს ცვლილებისას (3)—(9)-ში $\alpha_k$ არის $\delta$-ს ფუნქცია. წარმოვადგინოთ $\alpha_k=\alpha_k(\delta)$ შემდეგი სახით:

$$\alpha_k(\delta)=g_k(1+\delta z_k), \quad k=\overline{1,p}, \tag{11}$$

რომლის (3)—(5) და (10)-ში ჩასმისა და გარდაქმნის შედეგად მივიღებთ ამოცანას: ვიპოვოთ $z_k, k=\overline{1,p}$ შემდეგ პირობებში:

$$\max \sum_{k=1}^{p} v_k z_k; \quad \sum_{k=1}^{p} W_k z_k = 0;$$
$$-\lambda_r \leqslant \sum_{k=1}^{p} d_{rk} z_k \leqslant \lambda_r, \quad r=\overline{1,R} \tag{12}$$

(12)-ის ოპტიმალური ამონახსენი აღვნიშნოთ $z_k^0$ და (6)—(11)-დან გამომდინარე, განვიხილოთ არაუარყოფითი $x_{ij}$-ს ძიების ამოცანა, შემდეგ პირობებში:

$$C(\delta)=\min \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}(c_{ij}+c_j)\ x_{ij}, \tag{13}$$

$$\sum_{j=1}^{n} x_{ji} = \sum_{k=1}^{p} a_{ik} + \delta \sum_{k=1}^{p} a_{ik} z_k^0, \quad i=\overline{1,m},$$

რომლის ოპტიმალური ამონახსენი თუ იქნება $x_{ij}^0$, მაშინ (8) და (13)-ის თანახმად სპეციალისტებზე ოპტიმალური მოთხოვნილებაა:

$$x_j(\delta)=\sum_{i=1}^{m} x_{ij}^0 + \delta \sum_{i=1}^{m} z_{ij}^0, \quad j=\overline{1,n}, \tag{14}$$

ხოლო, სპეციალისტებზე მოთხოვნილება თანამდებობრივ ჭრილში გამოისახება ფორმულით:

---

[21] В. И. Борисов, Проблемы векторной оптимизации, сб. Исследование операций, 1972, стр. 72—91.

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$y_i(\delta) = \sum_{k=1}^{p} a_{ik} + \delta \sum_{k=1}^{p} a_{ik} z_k^0, \quad i = \overline{1,m}. \qquad (15)$$

განვიხილოთ მაგალითი: კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნილების ცვლილების ტენდენციის (ზრდის ან კლების) დადგენა. აღნიშნულ საწარმოთათვის მოდელის შესადგენად გამოვყოთ მაჩვენებელთა შემდეგი სისტემა: დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხვი, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია, სოფლის მეურნეობის სახმარი მიწები, ძირითადი წარმოებრივი ფონდები, ენერგეტიკული სიმძლავრე, შრომის მწარმოებლურობა (წელიწადში ერთ დასაქმებულზე პროდუქციის წარმოება-მანეთობით).

საშტატო ნომენკლატურის მიხედვით[22] კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტები უნდა მუშაობდნენ შემდეგ თანამდებობებზე: საწარმოს ხელმძღვანელი და მოადგილე (კოლმეურნეობის თავმჯდომარე და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, მოადგილეები), მთავარი სპეციალისტები (აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი, ვეტფელდშერი, ეკონომისტი, ინჟინერ-მექანიზატორი), მთავარი ბუღალტერი, აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი, ვეტფელდშერი, ინჟინერ-მექანიზატორი და ტექნიკოსი, ეკონომისტი, ბრიგადირი მემცენარეობაში, ფერმის გამგე მეცხოველეობაში, განყოფილების გამგე.

(1—9)-ს შესაბამისი რიცხვითი მოდელის სრული სახით შედგენა აღნიშნული მაგალითისათვის ჯერჯერობით შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა $c_{il}$ და $c_l$ რიცხვითი მნიშვნელობები არ არის დადგენილი; გარდა ამისა, გამოთვლითი სამუშაოს შეკვეცის მიზნით (რაც, თავის მხრივ, საინფორმაციო მასალის არსებულ მდგომარეობასთანაც არის დაკავშირებული) შემოვიზღუდეთ სოფლის მეურნეობრივ საწარმოთა ორი ტიპით და აღვნიშნეთ კოლმეურნეობათა რაოდენობა $\alpha_1$-ით საბჭოთა მეურნეობისა კი $\alpha_2$-ით. უმჯობესი იქნებოდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაგვეყო ზონებად გეოგრაფიული ნიშნით (ვაკის, მთაბორცვიანი, მაღალმთიანი) ან სპეციალიზაციის მიხედვით; მაშინ, ბუნებრივია, მივიღებდით სპეციალისტებზე მოთხოვნილების უფრო ნათელ სურათს.

საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ზემოთ შერჩეულ მაჩვენებლების (3)—(5) ამოცანისა და (11), (15) — ფორმულების გამოყენებით, მივიღეთ (მაჩვენებელთა მცირედი შეცვლის პირობებში) — უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნილებები (ცხრილი 4). შედეგი სპეციალისტებზე მოთხოვნილების ცვლილების საორიენტაციოდ გამოდგება; სახელდობრ, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებასთან ერთად, საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, 1973 წელს არსებულ სპეციალისტების რიცხვთან შედარებით (როგორც აბსოლუტურ, ისე პროცენტულ მაჩვენებლებში) იზრდება მოთხოვნილება მხოლოდ მთავარ სპეციალისტებზე და განყოფილების გამ-

[22] Сб. планирование потребности н/х в специалистах, НИИ Экономики Госплана СССР, М., 1959, стр. 136—172.

გეებზე; სპეციალისტებზე მოთხოვნილება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით და წარმოების ხელმძღვანელებზე მნიშვნელოვნად მცირდება; ცვლილება უმნიშვნელოა დანარჩენი სპეციალისტების მიმართ. ამასთან შევნიშნავთ, რომ საწარმოთა (კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის) რიცხვი მცირდება უფრო მეტად, ვიდრე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებზე მოთხოვნილება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა განაწილება (%-ში, 1973 წ.)

ცხრილი 1

| №№ რიგით | სპეციალობები | საწარმოთა ტიპები: სპეციალობის მიხედვით | | | | საწარმოთა ტიპები: საწარმოთა მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | კოლმეურნეობებში | საბჭოთა მეურნეობებში | დამხმარე მეურნეობებში | ვეტერინარულ დაწესებულებებში | კოლმეურნეობებში | საბჭოთა მეურნეობებში | დამხმარე მეურნეობებში | ვეტერინარულ დაწესებულებებში |
| 1 | ინჟინერი და ტექნიკოსი | 6,8 | 13,0 | 10,8 | 22,5 | 24,4 | 40,8 | 7,9 | 26,9 |
| 2 | აგრონომი | 44,5 | 42,0 | 55,6 | 24,4 | 43,9 | 36,7 | 11,3 | 8,1 |
| 3 | ზოოტექნიკოსი | 12,5 | 10,0 | 8,7 | 6,7 | 49,3 | 34,8 | 7,1 | 8,8 |
| 4 | ვეტექიმი, ვეტფელდშერი | 8,5 | 8,2 | 5,6 | 39,2 | 28,4 | 24,2 | 3,8 | 43,6 |
| 5 | ეკონომისტი | 24,2 | 20,2 | 13,2 | 3,3 | 52,8 | 38,8 | 5,9 | 2,5 |
| 6 | სულ სპეციალისტები | 100 | 100 | 100 | 100 | 41,3 | 36,4 | 8,5 | 13,8 |

პროპორცია, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა შორის, საქართველოს სოფლის მეურნეობაში (1973 წ.)

ცხრილი 2ა

| №№ რიგით | სპეციალობები | საწარმოთა ტიპები: სოფლის მეურნეობაში | კოლმეურნეობებში | საბჭოთა მეურნეობებში | დამხმარე მეურნეობებში | ვეტერინარულ დაწესებულებებში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპეციალისტებს შორის მათ შორის | 1:1,1 | 1:1,4 | 1:1,2 | 1,8:1 | 1,4:1 |
| 2 | ინჟინერი და ტექნიკოსი | 1:1,6 | 1:1,5 | 1:1,1 | 1,5:1 | 1:2 |
| 3 | აგრონომი | 1,4:1 | 1,1:1 | 1,3:1 | 3,7:1 | 3,4:1 |
| 4 | ზოოტექნიკოსი | 1:1 | 1:1,5 | 1,5:1 | 2:1 | 1,2:1 |
| 5 | ვეტექიმი, ვეტფელდშერი | 1:1,1 | 1:2,5 | 1:1,5 | 1:1 | 1,9:1 |
| 6 | ეკონომისტი | 1:2,7 | 1:2,7 | 1:2,7 | 1:2,5 | 1:3 |

ცხრილები 1 და 2ა შედგენილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცსს მასალებიდ ან (ფორმა 10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი საწარმოს სპეციალისტთა რაოდენობა და მათი განაწილება თანამდებობებზე, საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (1973 წ.).

ცხრილი 2ვ

| №№ რიგით | სპეციალობები პროფესიების და თანამდებობების მიხედვით | კოლმეურნეობებში | საბჭოთა მეურნეობებში | განაწილება თანამდებობების მიხედვით (%-ით) კოლმეურნეობებში | საბჭოთა მეურნეობებში | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წარმოების ხელმძღვანელი, მოადგილე | 1,04 | 1,08 | 7 | 3 | 6 |
| 2 | მთავარი სპეციალისტი | 0,73 | 3,28 | 5 | 9 | 7 |
| 3 | მთავარი ბუხჰალტერი | 1 | 1 | 7 | 3 | 5 |
| 4 | აგრონომი | 1,10 | 1,97 | 8 | 6 | 7 |
| 5 | ზოოტექნიკოსი | 0,50 | 0,66 | 4 | 2 | 3 |
| 6 | ვეტექიმი, ვეტფელდშერი | 0,58 | 1,94 | 4 | 6 | 5 |
| 7 | ინჟინერი, მექანიზატორი, ტექნიკოსი | 0,70 | 1,80 | 5 | 6 | 6 |
| 8 | ეკონომისტი | 0,64 | 1,46 | 5 | 4 | 4 |
| 9 | ბრიგადირი მემცენარეობაში | 5,88 | 13,10 | 42 | 40 | 41 |
| 10 | ფერმის გამგე და ბრიგადირი მეცხოველეობაში | 1,73 | 3,32 | 13 | 10 | 12 |
| 11 | განყოფილების გამგე | — | 3,53 | — | 11 | 4 |
| 12 | სულ სპეციალისტები თანამდებობებზე | 13,93 | 13,14 | 100 | 100 | 100 |
| 13 | სპეციალისტები (უსსგ) | 8,59 | 35,67 | | | |
| 14 | მათ შორის: უმაღლესი განათლებით | 3,69 | 16,38 | | | |
| 15 | საშუალო სპეციალური განათლებით | 4,90 | 19,29 | | | |
| 16 | 100 თანამშრომელზე სპეციალისტი (თანამდებობრივ ჭრილში) | 4,17 | 4,73 | | | |
| 17 | 100 თანამშრომელზე სპეციალისტი (უსსგ) | 2,59 | 5,08 | | | |
| 18 | თანამდებობათა უზრუნველყოფა სპეციალისტებით (უსსგ) | 62% | 107% | | | |

ცხრილი 2ვ შედგენილია საქართველოს კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების 1973 წლის წლიური ანგარიშგებათა საფუძველზე.

მაჩვენებლები (ზოგიერთი) სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მასალების მიხედვით*

ცხრილი 3

| №№ რიგით | მაჩვენებლები | | განზომილება | წლები 1968 | 1970 | 1973 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 100 თანამშრომელზე—სპეციალისტი | | % | 3,4 | 3,8 | 4,0 |
| 2 | სოფლის მეურნეობის ერთეული პროდუქციის საწარმოებლად | დასაქმებული | კაცი მლ. მან | 605 | 491 | 512 |
| 3 | | უსსგ სპეციალისტი | " | 21 | 19 | 20 |
| 4 | ერთეული მემცენარეობის დარგის პროდუქციის საწარმოებლად—აგრონომი | | " | 8 | 7 | 7 |
| 5 | ერთეული მეცხოველეობის დარგის პროდუქციის საწარმოებლად მეცხოველეობის დარგის სპეციალისტი უსსგ | | " | 7 | 6 | 6 |
| 6 | პროპორცია უსსგ შორის | | რიცხვი | 1:2 | 1:1,4 | 1:1,1 |
| | სპეციალისტები უსსგ | | | | | |
| 7 | ინჟინერი, ტექნიკოსი | | % | 8,9 | 9,7 | 11,7 |
| 8 | აგრონომი | | " | 43,6 | 44,0 | 41,8 |
| 9 | ზოოტექნიკოსი | | " | 11,4 | 11,0 | 10,5 |
| 10 | ვეტექიმი, ვეტფელდშერი | | " | 14,1 | 12,7 | 12,4 |
| 11 | ეკონომისტი | | " | 17,2 | 18,6 | 19,0 |

| №№ რიგით | მაჩვენებლები | განზომილება | წლები 1968 | 1970 | 1973 |
|---|---|---|---|---|---|
| | სპეციალისტები უმაღლესი განათლებით | | | | |
| 12 | ინჟინერი | % | 7,2 | 8,6 | 9,5 |
| 13 | აგრონომი | " | 56,2 | 53,9 | 51,1 |
| 14 | ზოოტექნიკოსი | " | 11,2 | 10,7 | 10,8 |
| 15 | ვეტექიმი | " | 13,2 | 11,7 | 12,6 |
| 16 | ეკონომისტი | " | 9,3 | 10,1 | 10,6 |
| | სპეციალისტები საშუალო სპეციალური განათლებით | | | | |
| 17 | ტექნიკოსი | % | 10,5 | 10,8 | 13,5 |
| 18 | აგრონომი | " | 34,5 | 34,5 | 33,3 |
| 19 | ზოოტექნიკოსი | " | 11,5 | 11,2 | 10,2 |
| 20 | ვეტფელდშერი | " | 14,8 | 13,6 | 12,2 |
| 21 | ეკონომისტი | " | 23,9 | 25,9 | 26,6 |

* გამოყენებულია საქართველოს ცსს მასალები და სტატისტიკური კრებულები ЦСУ СССР статистический сборник с/х СССР, М. 1971; Н/х ГССР в 1973 году, статистический ежегодни, Тбилиси 1974.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტებზე მოთხოვნილების ცხრილი (ნ) პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

ცხრილი 4

| №№ რიგით | მაჩვენებლები | აღნიშვნა | განზომილება | ბ-ს მნიშვნელობები | | | | | | ფორმულები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1973 წ. | აბსოლუტური | | | %-ში | | |
| | | | | ბ=0 | 0,05 | 0,1 | 0,2 | ბ=0 | ბ=0,2 | |
| 1 | კოლმეურნეობა | $\alpha_1$ | რიცხვი | 1154 | 1015 | 877 | 600 | — | — | $\alpha_1=1154-27705$ ბ |
| 2 | საბჭოთა მეურნეობა | $\alpha_2$ | რიცხვი | 245 | 300 | 356 | 468 | — | — | $\alpha_2=245+1122$ ბ |
| 3 | მთლიანი პროდუქცია | V | მილიონი მანეთი | 578,6 | 583,8 | 588,0 | 596,4 | — | — | $V=578{,}6+83{,}8$ ბ |
| 4 | დასაქმებულთა რიცხვი | W | ათასი კაცი | 554,1 | 548,1 | 542,1 | 530,1 | — | — | $W=554{,}1-120{,}4$ ბ |
| 5 | წარმოების ხელმძღვანელი და მოადგილე | $y_1$ | საშტატო ერთეული | 1470 | 1382 | 1233 | 1116 | 6 | 4,7 | $y_1=1470-1766$ ბ |
| 6 | მთავარი სპეციალისტი | $y_2$ | „ | 1652 | 1736 | 1820 | 1988 | 7 | 8,4 | $y_2=1652+1670$ ბ |
| 7 | მთავარი ბუხჰალტერი | $y_3$ | „ | 1399 | 1317 | 1235 | 1071 | 5 | 4,5 | $y_3=1399-1644$ ბ |
| 8 | აგრონომი | $y_4$ | „ | 1752 | 1706 | 1659 | 1566 | 7 | 6,6 | $y_4=1752-927$ ბ |
| 9 | ზოოტექნიკოსი | $y_5$ | „ | 740 | 708 | 676 | 612 | 3 | 2,7 | $y_5=740-635$ ბ |
| 10 | ვეტექიმი, ვეტფელდშერი | $y_6$ | „ | 1145 | 1120 | 1091 | 1037 | 5 | 4,5 | $y_6=1149-574$ ბ |
| 11 | ინჟინერ-მექანიზატორი და ტექნიკოსი | $y_7$ | „ | 1291 | 1278 | 1265 | 1239 | 6 | 5,3 | $y_7=1291-251$ ბ |
| 12 | ეკონომისტი | $y_8$ | „ | 1104 | 1091 | 1078 | 1052 | 5 | 4,4 | $y_8=1104-252$ ბ |
| 13 | ბრიგადირი მეცნიერებაში | $y_9$ | „ | 9992 | 9917 | 9842 | 9692 | 41 | 40,4 | $y_9=9992-1504$ ბ |
| 14 | ფერმის გამგე | $y_{10}$ | „ | 2877 | 2817 | 2757 | 2637 | 12 | 11,1 | $y_{10}=2877-1200$ ბ |
| 15 | განყოფილების გამგე | $y_{11}$ | „ | 879 | 1081 | 1283 | 1687 | 3 | 7,4 | $y_{11}=879+4043$ ბ |
| 16 | სულ სპეციალისტები | $y_{12}$ | „ | 24301 | 24153 | 24000 | 23696 | 100 | 100 | $y_{12}=24301-3040$ ბ |

ცხრილი 4 შედგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მონაცემების საფუძველზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ბრეგვაძე, ლ. მინდორაშვილი

# საქართველოს ნავთობის მრეწველობა მეცხრე ხუთწლედში (1971—1975 წწ.)

სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული მეცხრე ხუთწლიანი გეგმით, მთავარ ამოცანად დაისახა ხალხის ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონის შემდგომი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება — სოციალისტური წარმოების განუხრელი ალმავლობის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, შეუნელებელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე. საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი გაფართოება შეუძლებელია, თუ მას არ შეესაბამება სათანადო სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი; ამიტომაც კვლავ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ნავთობისა და გაზის მრეწველობის დაჩქარებული ტემპით განვითარებას. გათვალისწინებული იყო ნავთობის მოპოვების გადიდება 480—500 მლნ. ტონამდე, ხოლო გაზისა —300-320 მლრდ კუბურ მეტრამდე. სახალხო მეურნეობის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის ხვედრიწონა სათბობის საერთო ბალანსში 67%-მდე უნდა გადიდებულიყო[1]. ამ მიზნით დაჩქარდა ახალ ნავთობსაბადოთა ექსპლოატაციაში გაცემა და უფრო ინტენსიური გახდა ამ ძვირფასი წიაღისეულის მოპოვება ძველ დამუშავებულ რაიონებში. ინერგებოდა და კვლავაც ინერგება უახლესი ტექნიკა, კომპლექსური ავტომატიზაცია-მექანიზაცია და სხვა მოწინავე მეთოდები ჭაბურღილების ფონდის ეფექტური გამოყენებისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მრავალი წლის გეოლოგიური დაზვერვა-ძიების მიუხედავად, ვერ იქნა მიკვლეული სამრეწველო მნიშვნელობის საბადო ნავთობის დიდი მარაგით. მოქმედი ჭაბურღილების ფონდზე დაყრდნობით, მეცხრე ხუთწლედში ნავარაუდევი იყო 139,5 ათასი ტონა ნავთობის ამოღება; ამასთან გაგრძელდებოდა კომპლექსური ძიება ნავთობსაბადოთა ახალი რაიონების გამოვლენისა და ძველის სამრეწველო ათვისების მიმართულებით. დასახულ ამოცანათა უზრუნველსაყოფად „საქნავთობის“ ტრესტს დაევალა 11400 მ ღრმა ბურღვის გაყვანა, გეგმა არ ითვალისწინებდა საექსპლოატაციო ბურღვის გაგრძელებას, მაგრამ მოქმედი ჭაბურღილების ფონდის ექსპლოატაციის დონის გასაუმჯობესებლად და ნავთობის მოპოვების გადიდების მიზნით, განხორციელებული იყო რიგი კომპლექსური გეოლოგიურ-ტექნიკური ღონისძიება.

ნ ა ვ თ ო ბ ი ს  მ ო პ ო ვ ე ბ ა. როგორც წინა პერიოდში, ასევე მეცხრე ხუთწლედშიც ამ წიაღისეულის საქართველოში მოპოვება ძირითადად ხდებოდა მირზაანის, პატარა შირაქის, საცხენისის, ნორიოს და სუფსის ნავთობსაბადოებში.

წიაღიდან ნავთობის ამოღება ხდებოდა როგორც ძველი, ისე ახალი ჭაბურღილებიდანაც, როდესაც დაზვერვა-ძიების შედეგად დადგინდა მათი პროდუქტიულობა. 1971 წლისათვის საბადოთა ფართობებზე იყო შემდეგი რაოდენობის ჭაბურღილი: მირზაანის — 150, პატარა შირაქის — 40, საცხენისის — 12, სუფსის — 12. დასახელებულ საბადოებზე ჭაბურღილები გაყვანილია, უმთავრესად, 1939-1940 წლებში და მათი ექსპლოატაციის ხანგრძლივობა აღწევდა 25—30 წელს, ამიტომ გეგმური დავალების შესრულების უზრუნველყოფისათვის სისტემატურად ტარდებოდა მთელი რიგი გეოლოგიურ-ტექნიკური ღონისძიებანი ჭაბურღილების საექსპლოატაციო ფონდის გამოყენების კოეფი-

[1] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 310.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციენტის გასადიდებლად; მაგრამ ეს საკმარისი არ იყო: გამოფიტული საბადოებიდან ნავთოჩის მოპოვების გადიდება დიდ იმედებს არ იძლეოდა, ახალი ჭაბურღილები კი არ იყვნენ მაღალპროდუქტიულები.— ეს ფაქტორები ყოველთვის საფრთხეში აყენებდნენ ნავთობის მოპოვების გეგმური დავალების შესრულებას.

ჭაბურღილების საექსპლოატაციო ფონდი შეადგენდა 1971 წ. — 238-ს, 1972 წ. — 215-ს (მათ შორის 4 უმოქმედო), 1973 წ. — 221-ს (მათ შორის 2 უმოქმედო).

1972 წელს ჭაბურღილების ფონდი მკვეთრად შემცირდა 19 უმოქმედო ჭაბურღილის ლიკვიდაციის შედეგად. საერთოდ კი ჭაბურღილების საექსპლოატაციო ფონდის ზრდა წარმოებდა უმოქმედო ჭაბურღილების მომქმედ ფონდში გადაყვანისა და ახალდამთავრებული ჭაბურღილების ხარჯზე.

ჭაბურღილების დაბალი დებიტიანობა ეჭვის ქვეშ აყენებდა ნავთობის მოპოვების მეცხრე ხუთწლედის გეგმური დავალების შესრულებას და, მასთან ერთად, რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის არსებობის მიზანშეწონილობასაც; ამიტომ მეტად დროული აღმოჩნდა 1973 წლის (აპრილი) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ დასახული ღონისძიებები „საქნავთობის" ტრესტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. მოკლე დროში გამოვლინდა ნავთობის მაღალდებიტიანი საბადოები სამგორისა და შრომისუბან-წყალწმინდის ფართობებზე, და ტრესტმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება. თუ 1974 წლამდე წიაღიდან ნავთობის ამოღება წარმოებდა უმთავრესად ღრმა საქაჩავების საშუალებით და მცირე რაოდენობით — შადრევნული წესით, ახლა ახალი მაღალეფექტური ჭაბურღილების გაყვანის შედეგად იზრდება ნავთობის მოპოვება შადრევნული წესით, ხოლო ღრმა ამოქაჩვამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა 1972 წ. ღრმა ამოქაჩვით უფრო მეტია მოპოვებული ნავთობი (17253 ტ.), ვიდრე 1974 წელს (16012 ტ.); მაგრამ იმავე წლებში მნიშვნელოვნად იზრდება ნავთობის მოპოვება შადრევნული წესით (1972 წ. — 4859 ტ., 1974 წ. — 23146 ტ.). როგორც ითქვა, ეს ცვლილება გამოწვეული იყო ახალი ჭაბურღილებიდან შადრევნული წესით ნავთობის ამოღების გადიდებასთან დაკავშირებით. თუ 1973 წელს ახალი ჭაბურღილები იძლეოდნენ ფაქტიურად 362 ტ., 1974 წელს მან მიაღწია 20978 ტ. ნავთობს; გეგმური დავალება შესრულდა 419,6%-ით. თუმცა 1974 წ. ძველი ჭაბურღილებიდან ნავთობის მოპოვების გეგმური დავალება შესრულდა 113,6%-ით, მაგრამ წინა წელთან შედარებით ნაკლებია 1606 ტონით (19786 ტ.),— ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ, მიუხედავად მთელი რიგი გეოლოგიურ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებისა, გაძნელდა (საბადოს გამოფიტვის გამო) ძველი ჭაბურღილებიდან ნავთობის ამოღება და ეს ღონისძიებები აღარ იძლეოდნენ ისეთ ეფექტს, როგორც წინა წლებში.

1974 წელს პროდუქტიული ჭაბურღილების გაყვანა-ათვისებასთან დაკავშირებით, მკვეთრად გაიზარდა ახალი ჭაბურღილებიდან ნავთობის ამოღების მოცულობა. სამგორის ფართობზე ექსპლოატაციაში გადაცემული 4 ჭაბურღილიდან მიიღეს 15916 ტ., ტირიბანიდან — 1823 ტ., სუფსიდან — 637,4 ტ. და პატარა შირაქიდან — 23 ტ. ნავთობი. ახალი ჭაბურღილებიდან სულ მიღებული იქნა 2483,4 ტ. ნავთობი; ამრიგად 1974 წლის ნავთობის მოპოვების გეგმური დავალება ძირითადად შესრულდა ახალი ჭაბურღილებიდან ამოღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავთობით. — 1971 წ. ნავთობის მოპოვების გეგმა შესრულდა 112,8%-ით, 1972 წ. — 104%-ით 1973 წ. -- 101%-ით, ხოლო 1974 წ. — 209,3%-ით. მიუხედავად ამისა, 1973 წ. ნავთობის მოპოვება 1971 წელთან შედარებით მცირდება 83,3%-ით, ხოლო 1974 წელს მოპოვებული ნავთობი თითქმის ორჯერ მეტი იყო 1973 წელთან შედარებით. ამ წლის გეგმური დავალება შესრულდა 209.3%-ით. ნავთობის მოპოვების ასეთი მკვეთრი ზრდა არ აღინიშნულა წინა ხუთწლედებში. 1971 წელთან შედარებით, 1975 წელს ნავთობის მოპოვება გადიდდა 10,8-ჯერ. საგულისხმოა, რომ ნავთობმოპოვების ამგვარი ზრდა მეცხრე ხუთწლედის ბოლო ორი წლისათვის არის განსაკუთრებით დამახასიათებელი, კერძოდ, იმავე 1975 წელს, 1973 წელთან შედარებით, 12-ჯერ მეტი ნავთობია მოპოვებული.

მიღებული ნავთობის საერთო მოცულობაში დიდი ხვედრიწონა ჰქონდა სამგორის ნავთობს. ნავთობმოპოვება ფართობებისა და უბნების მიხედვით შემდეგი სახით წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი 1).

ნავთობის მოპოება ფართობებისა და უბნების მიხედვით 1971—1975 წწ.[2]

ცხრილი 1

| | 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. | 1974 წ. | 1975 წ. |
|---|---|---|---|---|---|
| მირზაანი | 14983 | 12402 | 12622 | 11276 | — |
| პ. შირაქი | 348 | 355 | 674 | 608 | — |
| ტირიბანი | 1293 | 1234 | 996 | 2937 | — |
| ჯამი | 16624 | 13991 | 14292 | 14821 | 13231 |
| ნორიო | 4332 | 3627 | 3881 | 3285 | 2619 |
| საცხენისი | 1744 | 1073 | 823 | 757 | 666 |
| სამგორი | — | — | — | 15916 | 238968 |
| ჯამი | 5976 | 4700 | 4704 | 19958 | 242258 |
| სუფსა | 855 | 1189 | 1176 | 7369 | 4252 |
| ქალადიდი | 677 | 3934 | 2050 | 1807 | 1043 |
| ჯამი | 1532 | 5123 | 3226 | 9176 | 5295 |
| ახმეტა | 35 | 109 | — | — | — |
| სულ | 24167 | 23924 | 22222 | 43955 | 260779 |

ცხრილის (I) მონაცემების მიხედვით, 1973 წლამდე ნავთობმოპოვების ძირითადი ფართობები იყო: მირზაანი, პატარა შირაქი, ტირიბანი; 1974 წლიდან კი შეიცვალა მდგომარეობა და ყველაზე მეტ ნავთობს იღებენ ნორიო-საცხენისი-სამგორის ფართობებზე. ნავთობის მოპოვების ეს ტერიტორიული გაადგილება დაკავშირებული იყო სამგორ-პატარძეულის დიდი სამრეწველო მარაგის არსებობასთან.

იმის შედეგად, რომ 1974 წელს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ნავთობის მოპოვების გეგმური დავალება, შესაბამისად შესრულდა გეგმის სხვა მაჩვენებლებიც, კერძოდ, საგრძნობლად დაიკლო ერთი ტონა მოპოვებული ნავთობის ღირებულებამ.

ნ ა ვ თ ო ბ ი ს გ ა დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა. სარეწავებზე არ არსებობდა ნავთობის გადასამუშავებელი საწარმოები. მირზაანისა და ნორიოს ფართობებზე

2 ცხრილი შედგენილია „საქნავთობის" ტრესტის შესაბამისი წლების ანგარიშგებათა საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოპოვებული ნავთობი ცივად ილექებოდა რეზერვუარებში, ხოლო ემილსიური ნავთობის გაუწყლოება ხდებოდა დემულსატორებში — გაზით შეთბობით. ჭალადიდის საბადოში მოპოვებული ნავთობი გაპარაფინების შემდეგ (ზამთრის პირობებში) წარმოებდა მისი შეთბობა ППУ 3-ის საშუალებით. ეს მეთოდი უზრუნველყოფდა ნავთობის სრულ გაწმენდას წყლისა და მექანიკური მინარევებისაგან. მირზაანის, ტირიბანისა და პატარა შირაქის ნავთობი გადაიტუმბებოდა წითელწყაროს ნავთობსაქაჩავ სადგურში, აქედან კი რკინიგზის ცისტერნებით იგზავნებოდა თბილისის ნავთობგადასამუშავებელ საწარმოში. ნავთობგადამმუშავებელი დანადგარი ნორიოდან ნავთობს იღებდა მილსადენით, ხოლო საცხენისიდან — ავტოცისტერნებით; სუფსისა და ჭალადიდის ნავთობი კი იგზავნებოდა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში.

საყურადღებოა ის, რომ მეცხრე ხუთწლედის განმავლობაში ყოველი წლის გეგმა მიღებული ნავთობპროდუქტების მიხედვით სრულდებოდა დიდი გადაჭარბებით; ასე მაგალითად, 1971 წელს ბენზინის გამომუშავება შესრულდა 122,1%-ით, დიზელის საწვავის — 129,3%-ით; 1972 წელს: ბენზინისა — 133,1%-ით, დიზელის საწვავისა — 124,6%-ით; 1973 წელს: ბენზინისა — 121,7%-ით, დიზელის საწვავისა — 120,9%-ით; 1974 წელს: ბენზინისა — 124,0%-ით, დიზელის საწვავისა — 117,5%-ით.

თბილისის ნავთობგადამმუშავებელი დანადგარის წარმოებრივი სიმძლავრის სრული დატვირთვის მიზნით, რესპუბლიკაში მთლიანად მოპოვებული ნავთობის გარდა, დამატებითი ნედლეული შემოდიოდა დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან. ასე, მაგალითად, 1972 წელს დაღესტნიდან შემოვიდა ამ დანადგარზე გადამუშავებული ნავთობის 53,5%, 1973 წელს — 59,0%, ხოლო 1974 წელს ამ მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად იკლო და შეადგინა 38,3%. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 1974 წლიდან ჩვენს რესპუბლიკაში, საკუთარი ნავთობის მოპოვების გადიდების გამო, ჯერ შემცირდა, შემდეგ კი შეწყდა დაღესტნის ასსრ-დან ნავთობის რკინიგზით (ცისტერნებით) შემოტანა. მიუხედავად ამისა, 1974 წელს ნავთობის გადამუშავება, 1971 წელთან შედარებით, გაიზარდა 103,6%-ით. აღნიშნული წლების მიხედვით თუ გავაანალიზებთ მონაცემებს, ნავთობის გადამუშავების გეგმა შესრულდა. 1971 წ.—104,9%-ით, 1972 წ.—105%-ით, 1973 წ.—108,5%-ით, 1971 წ.—104,9%-ით, 1972 წ.—105%-ით, 1973 წ.—108,5%-ით და 1974 წ. — 108,9%-ით. ამრიგად, ნავთობის გადამუშავების გეგმური დავალება ყოველწლიურად სრულდებოდა გადაჭარბებით. ასევე მაღალი მაჩვენებლებია მოპოვებული ბენზინის და დიზელის საწვავის პროდუქციის წარმოებაში. 1974 წ. ბენზინის წარმოება, 1971 წელთან შედარებით, გაიზარდა 103,8%-ით, დიზელის საწვავისა — 102,5%-ით; რაც შეეხება ნავთის პროდუქციის დამზადებას, იგი 1971 წელს მკვეთრად შემცირდა ნავთსახდელი დანადგარის რემონტის გამო, ხოლო 1972 წლიდან მისი წარმოება სრულიად შეწყდა მასზე მოთხოვნილების შემცირებასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამუშავებული ნედლეულიდან თეთრი ნავთობპროდუქტების გამოსავალი შეადგენდა: 1972 წ. — 50,2%-ს (გეგმა 44,9%); 1973 წ. — 50,7%-ს (გეგმა 45,4%); 1974 წელს — 48,8%-ს (გეგმა 45,4%). ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი ეკონომია იქნა მიღებული წარმოებრივი ნავთობის დანაკარგისა და ტექნოლოგიურ პროცესებზე მაზუთ-საწვავის შემცირების მხრივაც, მაგალითად, 1973 წელს წარმოებრივი ნავთობის დანაკარგი შეადგენდა 247 ტონას (გეგმით 312 ტ.), მაზუთის 1680 ტონას (გეგმით 2160 ტონა).

ყოველწლიურად მცირდება თეთრი ნავთობპროდუქტების თვითღირებულება, მაგალითად, 1971 წელს ერთი ტონა ბენზინის თვითღირებულებამ, გეგმასთან შედარებით, დაიკლო 3 მან. 80 კაპ., ნავთისა — 2 მან. 68 კაპ., დიზელის საწვავისა — 2 მან. 65 კაპ. 1973 წელს ბენზინის — 5 მან. 84 კაპ. ნავთის — 1 მან. 83 კაპ., დიზელის საწვავისა — 4 მან. 20 კაპ. 1973 წელს მრეწველური პროდუქციის თვითღირებულება ფაქტიურად შეადგენდა 1257 ათას მანეთს (გეგმით 1347 ათასი მან.), ამრიგად, თვითღირებულება შემცირდა 90 ათასი მანეთით. 1974 წელს მრეწველური პროდუქციის თვითღირებულება ფაქტიურად შეადგენდა 1369 ათას მანეთს (გეგმით 1747 ათასი მან.), მაშასადამე, მთლიანი პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 378 ათასი მანეთით.

აღნიშნული დანადგარით 1972 წელს გადამუშავებული ნავთობპროდუქტიდან რეალიზებულია: ბენზინი 17,3%, დიზელის საწვავი 36,0%, მაზუთი 46,7%. 1973 წელს მხოლოდ დიზელის საწვავია რეალიზებული მეტი რაოდენობით — 38,4%, ბენზინი და მაზუთი კი, შესაბამისად, 38,4% და 45,9%. 1974 წელს ნავთობპროდუქტების რეალიზაცია კვლავ მერყევი ტემპით ხასიათდებოდა: ბენზინი — 16,4%, დიზელის საწვავი — 37,6% და მაზუთი — 47,1).

ბ უ რ ღ ვ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა. ღრმა ბურღვის სამუშაო სრულდებოდა წითელწყაროს, კოლხეთისა და თბილისის საგარეუბნო ბურღვის კანტორების საშუალებით. გეოლოგიური საძიებო მუშაობა 1971 წელს წარმოებდა 11 ფართობზე (ტირიბანი, შუაგორა, პატარა შირაქი, აღმ. ჭალადიდი, სუფსა, ოჩამჩირე, ქვალონი, გუნთა, სამგორი, ლისი); 1972 წელს — 13 ფართობზე (დაემატა — ყულევი, რუსთავი, გომბორი; მოაკლდა — ქვალონი); 1973 წელს — 12 ფართობზე (დაემატა — სახარება, დას. ჭალდიდი, მოაკლდა — გუნთა); 1974 — წელს II ფართობზე (დაემატა — ლესა, შრომისუბანი-წყალწმინდა; მოაკლდა-რუსთავი, აღმ. ჭალდიდი, ცაიში): 1975 წელს — 10 ფართობზე (დაემატა — ვარკეთილი, ზემო ნატანები; მოაკლდა — პატარა შირაქი, სუფსა, სახარება).

როგორც დავინახეთ, ღრმა ბურღვა წარმოებდა, როგორც ძველ ნავთობსაბადოთა ფართობებზე, ისე გეოლოგიურად ნაკლებად შესწავლილ ზონებში. წითელწყაროს, კოლხეთისა და თბილისისპირეთის ბურღვის მოცულობის გეგმური დავალების შესრულება მეცხრე ხუთწლედში შემდეგ სურათს იძლევა: 1971 წ. — 22514 მ., 1972 წ. — 21604 მ., 1973 წ. — 16983 მ., 1974 წ. — 22139 მ. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, ღრმა ბურღვის გაყვანის მოცულობა 1971—1973 წლების განმავლობაში საგრძნობლად კლებულობს. 1973 წელს ბურღვა-გაყვანილობა შემცირდა 16983 მეტრამდე. ღრმა ბურღვის გაყვანის გეგმური დავალება არ სრულდებოდა 1972 წელს (98,2%)) და, განსაკუთრებით, 1973 წელს (67,9%). მაღალი მაჩვენებელია მოპოვებული 1974 წელს, კერძოდ, გეგმური დავალება შესრულდა 110,7%-ით, ბურღვის მოცულობამ მიაღწია თითქმის 1971 წლის დონეს. 1975 წელს ბურღვის გაყვანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა შეადგენდა, ფაქტიურად, 25167 მეტრს; ე. ი. 2653 მეტრით მეტს, ვიდრე — 1971 წელს და 3028 მეტრით მეტს, ვიდრე — 1974 წელს. 1975 წლის გეგმური დავალება შესრულდა 100,7%-ით. 1972—1973 წწ. ღრმა ბურღვის გეგმის შეუსრულებლობა, გამოწვეული იყო მთელი რიგი ნაკლოვანებების შედეგად, რომლებმაც მწვავედ იჩინეს თავი უკანასკნელი წლების მანძილზე. ბურღვის კანტორებს აკლდათ კვალიფიციური მუშები, საბურღავი გაწყობილობები, საამშენებლო მასალა; ხშირად ირღვეოდა ბურღვის ტექნიკური წესები, სწორედ ვერ იყენებდნენ მანქანა-დანადგარებს, რის შედეგად იზრდებოდა ავარიების რაოდენობა და, მასთან ერთად, გაიზარდა ავარიების ლიკვიდაციისათვის დახარჯული დროც.

1971 წელს ბურღვის წარმოებისას მოხდა 27 ავარია, 1972 წ. —14 ავარია, 1973 წელს კი ავარიების ლიკვიდაციაზე სამუშაო დროის დანაკარგი შეადგენდა 27212 საათს, ხოლო მათგან მიღებული ზარალი —418 ათას მანეთს. ავარიების შედეგად ღრმა ბურღვის გაყვანის საერთო მოცულობას დააკლდა 4977 მეტრი. მწარმოებლური დროის გამოყენების დაბალი დონე უარყოფითად მოქმედებდა ღრმა ბურღვის წარმოების ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით, ჭაბურღილის მშენებლობის ხანგრძლივობაზე. ერთი ჭაბურღილის მშენებლობას საშუალოდ სჭირდებოდა: 1971 წელს 74 დღემდე, 1973 წელს — 69 დღემდე, — რაც საგრძნობლად დიდია დაწესებულ ნორმასთან შედარებით.

1971—1975 წლების მანძილზე არ სრულდებოდა ბურღვის სიჩქარის გეგმა და ეს, როგორც ითქვა, გამოწვეული იყო ბურღვის წარმოებაში ორგანიზაციული და ტექნიკური ნაკლოვანებებით. ბურღვის სიჩქარის დაბალი დონის შედეგად 1972—1973 წწ. არ შესრულდა ბურღვის გადაყვანის საერთო მოცულობის გეგმა. 1971 წლიდან ბურღვის წარმოებაში იკლებს მანქანა-დანადგართა რაოდენობა, მაგრამ იგი ხარისხობრივად უმჯობესდებოდა ახალი მაღალმწარმოებლური მანქანა-დანადგარების ხარჯზე.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებდა სტრუქტურული ბურღვა. სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული ძებნა-ძიებითი სამუშაოთა განლაგების საქმეშიც. გეოლოგიური სადაზვერვო მუშაობა 1972—1973 წწ. წარმოებდა 6 ფართობზე (ნადარბაზები, ილდოყანა, ხევსურეთი, ჭოლოკი, ვანათ-ავლევი და ოქუმი); 1974 წელს 5 ფართობზე (ნადარბაზები, ოქუმ-სატანჯიო, ვანათ-ავლევი, წიწმატიანი და სხვ.). ისე როგორც ღრმა ბურღვის წარმოებაში, სტრუქტურულ ბურღვასაც ახასიათებდა ანალოგიური ნაკლოვანებები, რომელთა შედეგად 1971—1973 წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა ბურღვის მოცულობის გეგმური დავალების შესრულება. 1971—1973 წწ. გეგმა ითვალისწინებდა სტრუქტურულ ბურღვას 62000 მეტრზე, ფაქტიურად კი გაიბურღა 48298 მეტრი. სტრუქტურული ბურღვის გეგმა დიდი გადაჭარბებით — 120%-ით — შესრულდა 1974 წელს: ნაცვლად 16000 მეტრისა, ფაქტიურად გაიბურღა 19287 მეტრი, ამასთან, შესრულდა სტრუქტურული ბურღვის სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში, რომლის შესახებ ზემოთ ითქვა, აღნიშნული იყო, რომ „ტრესტის ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ნავთობისა და გაზის გეოლოგიურ სადაზვერვო სამუშაოებს, ბურღვის ტექნიკასა და ტექნოლოგიას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები ყოველწლი-

ურად იზრდება, გეოლოგიურ სადაზვერვო სამუშაოთა ეფექტიანობა დაბალ დონეზეა. დღემდე გამოვლენილი არ არის ნავთობისა და გაზის დიდი საბადოები, ხოლო ღია საბადოებს დღემდე არ მისცეს სამრეწველო შეფასება“[3]. დადგენილება მიუთითებდა იმის შესახებაც, რომ ტრესტის ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ბურღვის ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, უგულებელყოფდნენ მეცნიერთა რეკომენდაციებს; ყოველივე ამის შედეგად მხოლოდ ბურღვის წარმოებაში 1969—1973 წწ. მიღებულია ზარალი თითქმის ორ მილიონამდე. „საქნავთობის“ ტრესტის მუშაობის ძირეული გარდაქმნის შედეგად, უკვე 1974 სამეურნეო წლის ბურღვის წარმოებაში მოპოვებული იქნა კარგი მაჩვენებელი. 1973 წელთან შედარებით გაუმჯობესდა გამოყენებული დროის ბალანსი: მწარმოებლური დრო შეადგენდა 43153 საათს ანუ გამოყენებული დროის 54,6%-ს (1973 წ. 51,4%-ს); აქედან, გაყვანის დრო შეადგენდა 2063 საათს ანუ გამოყენებული დროის 26,1%-ს (1973 წ. 20%-ს). ჭაბურღილების გაყვანის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას უზრუნველყოფდა კომერციული და მექანიკური სიჩქარის ზრდა: გაყვანა ბურღსატეხებით, ტურბინული საშუალებით ბურღვის მოცულობის გადიდება და სხვ. 1974 წელს ღრმა ბურღვის სიჩქარის გეგმა შეადგენდა 150 მეტრს, ფაქტიურად შესრულდა 201,6 მეტრი (1973 წელს 131,7 მეტრი). ჭაბურღილების საშუალო სიღრმე აღწევდა 2395 მეტრს (1973 წელს —2325 მეტრს).

შემცირდა ავარიების ლიკვიდაციის სამუშაო დრო: თუ ავარიების გამო მიღებული ზარალი 1973 წელს შეადგენდა 418,6 ათას მანეთს, 1974 წ. მან დაიკლო 190,6 ათას მანეთამდე.

იმის შედეგად, რომ გადაჭარბებით შესრულდა ღრმა ბურღვის გაყვანილობის მოცულობა და ბურღვის სიჩქარე, 1974 წელს, პირველად უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, განხორციელდა ბურღვის სამუშაოთა გაიაფება. ღრმა საძიებო ბურღვის ფაქტიური თვითღირებულება შეადგენდა 6983 ათას მანეთს (გეგმით 7409 ათასი მანეთი), მიღებული იქნა 426 ათასი მანეთის ეკონომია ანუ გეგმური ღირებულების 5,7%. ერთი მეტრი საძიებო ბურღვის ღირებულება ფაქტიურად შეადგენდა 315 მან. და 42 კაპ. (გეგმით 334 მან. და 66 კაპ.), ამრიგად ერთი მეტრი ბურღვა გეგმურთან შედარებით გაიაფდა 19 მან. 24 კაპ. ე. ი. 5,7%-ით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სტრუქტურული ბურღვის წარმოებაც, მიღებული იქნა ეკონომია 68 ათასი მანეთი (გეგმით — 65 ათასი მანეთი).

1971—1974 წწ. მანძილზე რესპუბლიკაში ღრმა ბურღვის გაყვანის მოცულობა სულ შეადგენდა 9939 მეტრს, მათ შორის „საქნავთობის“ ტრესტის ხაზით —83240 მეტრს, თბილისის გაზის ექსპედიციის — 16151 მეტრს.

*წარმოებრივი პერსონალი, სოციალისტური შეჯიბრება.* როგორც აღვნიშნეთ 1971—1973 წლების განმავლობაში „საქნავთობის“ ტრესტის სამეურნეო საქმიანობაში მწვავედ იჩინა თავი მთელმა რიგმა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა. ეს შეიმჩნეოდა აგრეთვე კადრების შერჩევის, მომზადებისა და განაწილების საკითხისადმი ნაკლებ მზრუნველობაშიც (იხ. ცხრილი 3).

---

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1973, 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქნავთობის „ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობა წარმოების სახეების მიხედვით (1973 წ.)[5]

ცხრილი 2

| სამუშაო | მუშა | ინჟ.-ტექნ. | მოსა-მსახ. | დამხ. მუშა | დაცვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნავთობის მოპოვება | 131 | 21 | 9 | — | 9 | 170 |
| ბურღვა | 523 | 107 | 29 | 5 | 4 | 668 |
| გეოლოგ. ძიება | 229 | 79 | 10 | — | — | 318 |
| ჭაბურღ. გამოცდა | 121 | 63 | 10 | 1 | — | 195 |
| მშენებლ. | 134 | 13 | 5 | — | 4 | 156 |
| ავტო-ტრანსპ. | 202 | 19 | 13 | 6 | 12 | 252 |
| ტრესტის აპარატი | — | 40 | 11 | 2 | — | 53 |
| კომუნ. მეურნ. | 35 | 6 | 12 | 17 | 5 | 75 |
| მომარაგ.-გასაღ. | 12 | 1 | 9 | — | — | 22 |
| სულ | 1953 | 1415 | 356 | 113 | 31 | 38 |

ცხრილის (2) მონაცემებით მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემადგენლობიდან ყველაზე მეტი მუშაკი დასაქმებული იყო ბურღვის დარგში, შემდეგ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოზე, ჭაბურღილის გამოცდაზე, მშენებლობასა და ა. შ. ნავთობის მოპოვებასთან შედარებით მეტი მუშაობა წარმოებდა აღნიშნულ დარგებში, განსაკუთრებით, ბურღვასა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებზე — ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სამრეწველო ნავთობ-საბადოს მიკვლევის გარეშე, ჩვენს პირობებში, შეუძლებელი იქნებოდა ნავთობის მოპოვების შემდგომი გადიდება. მაგრამ სათანადო კადრებით ამ წარმოების უზრუნველყოფა — აუცილებელი პირობაა წარმატებათა მოსაპოვებლად. მეცხრე ხუთწლედის პირველ წლებში შეიმჩნევა კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუარესება, რაც იყო გამოწვეული სხვადასხვა გარემოებათა გამო, (კადრების დენადობის გადიდებით). ამ უარყოფითი მოვლენის მიზეზით, უმთავრეს საწარმოებს ყოველწლიურად აკლდა წამყვანი პროფესიებიდან საშუალოდ 100 კაცზე მეტი; ასევე არ ყავდათ საკმარისი რაოდენობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები. ახლადმოსულ კადრებს არ გააჩნდათ წარმოებრივი გამოცდილება, ყოველივე ეს დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა განსაკუთრებით ბურღვის წარმოებას და გეოლოგიურ ძიებას.

1973 წელს „საქნავთობის“ ტრესტის საწარმოებში დასაქმებული 1953 კაციდან უმაღლესი განათლება ჰქონდა 188 კაცს, საშუალო განათლება — 96 კაცს; 122 კაცი მუშაობდა როგორც პრაქტიკული გამოცდილების მქონე. იმავე წელს საწარმოებიდან წავიდა 1316 კაცი; მათ შორის: მუშები —1164, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი — 75, მოსამსახურე — 49 კაცი. საწარმოებში მოვიდა 1122 კაცი; მათ შორის: მუშები — 982, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი —69, მოსამსახურე — 44 კაცი.

მრეწველურ-წარმოებრივ მუშაკთა ასაკობრივი შემადგენლობიდან, რომლებიც გათავისუფლდნენ სამუშაოდან, 20 წლამდე იყო 197 კაცი, 30 წლამდე — 423, 40 წლამდე — 360, ხოლო 50 წლამდე — 261 კაცი.

როგორც დავინახეთ, განთავისუფლებულთა ასაკობრივ შემადგენლობიდან ყველაზე მეტია 20-დან 40 წლამდე: მათ შორის მუშაობის სტაჟი 1-დან 5 წლამდე ჰქონდათ 1 000 კაცზე მეტს. საწარმოებში ახლადმოსულ მუშებს მრეწველობის ამ დარგში თითქმის არ გააჩნდათ წარმოებრივი გამოცდილება. ამრიგად, კადრების დენადობა იწვევდა ნავთობის მრეწველობის მუშაკთა შემადგენლობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ გაუარესებას. ყველაზე მეტად კად-

[5] ცრილი შედგენილია „საქნავთობის“ ტრესტის 1970 წლის ანგარიშგებათა მასალების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების დენადობა შეიმჩნევა წითელწყაროს, კოლხეთისა და თბილისის გარეუბნის ბურღვის კანტორებსა და სარემონტო-სამშენებლო უბნებზე. კადრების ასეთი დენადობა შედეგი იყო არა მარტო რაიონებში ყოფაცხოვრებითი პირობების დაბალი დონისა, არამედ განაპირობა ტრესტის ხელმძღვანელობის ორგანიზაციულ-მეურნეობრივი მუშაობის მოდუნებამაც.

„საქნავთობის“ ტრესტის ახალი ხელმძღვანელობა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები იმთავითვე ფართო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებას შეუდგნენ, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კადრების სწორი შერჩევისა და განაწილების, შრომისა და ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესების საკითხებს. დაჩქარდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა თბილისსა და ლილოში, საწარმოებში გაიგზავნა ახალი კადრები. 1975 წლის 1 იანვრისათვის ტრესტის სისტემაში მუშაობდა 203 უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი, საშუალო განათლებით — 81 კაცი, ხოლო პრაქტიკოსები — 125 კაცი. მიუხედავად ქმედითი ზომების მიღებისა, მაინც შეიმჩნეოდა კადრების დიდი დენადობა; მაგალითად, 1974 წელს წარმოებიდან წავიდა 1299 კაცი, — მათ შორის: ნავთობის მოპოვების საწარმოებიდან — 53, ბურღვის საწარმოებიდან — 451, დამხმარე, მეურნეობებიდან — 795; საწარმოებში მოვიდა 1484 კაცი, მათ შორის: მოპოვების საწარმოებში — 77, ბურღვის საწარმოებში — 475, დამხმარე მეურნეობებში — 932. მბურღავ ორგანიზაციებს მაინც აკლდათ კვალიფიციური მუშები, განსაკუთრებით, მბურღავები, მბურღავთა თანაშემწეები, ელექტრომონტიორები, მაღლივი მემონტაჟეები, ზეინკლები და სხვ. „საქნავთობის“ ტრესტის საწარმოებისათვის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ამზადებდა მბურღავების თანაშემწეებს 30 კაცის რაოდენობით, მაგრამ ამით სარეწავების კადრებით დაკომპლექტების საკითხი ვერ გადაწყდებოდა, ამიტომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ადგილებზე კადრების მომზადების გაძლიერებას. 1974 წელს წარმოებაში ახლადჩაბმული მუშებიდან მომზადდა 62 კაცი (გეგმით 60), ბრიგადული და ინდივიდუალური წესით კვალიფიკაცია აიმაღლა 162 კაცმა (გეგმით 160). 1975 წელს არასპეციალისტ მუშათაგან მომზადდა და სხვადასხვა პროფესიას დაეუფლა 64 კაცი, მათ შორის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მომზადდა 30 მბურღავის თანაშემწე. სწავლების სხვადასხვა ფორმებით კვალიფიკაცია აიმაღლა 164 მუშამ და 71 კაცმა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიდან. საწარმოებში გაუმჯობესდა ტექნიკური სწავლება და ახალგაზრდა კადრებთან აღმზრდელობითი მუშაობა.

კადრების მომზადება წარმოებდა, აგრეთვე, სწავლების სხვა ფორმებითაც. 1972 წლის მონაცემებით, უმაღლეს სასწავლებელში ფაკულტატური მომზადება გაიარა 22 კაცმა, მოძრავ სემინარებზე — 9 კაცმა, ტექნიკურ თათბირებზე — 10 კაცმა. წარმოებიდან მოუწყვეტლად უმაღლესი განათლება მიიღო 11 კაცმა, დაამთავრა ტექნიკუმი 4 კაცმა. ასპირანტურა დაამთავრა 1 კაცმა, დაიცვა დისერტაცია მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად 2 კაცმა. ტრესტის სისტემაში მოქმედებდა 15 ჯგუფი წარმოების მართვისა და ეკონომიკის საკითხების შესასწავლად.

მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნიკური უშიშროების დაცვას, შრომისა და წარმოებრივი დისციპლინის დარღვევის შედეგად მაინც ხდება ავარიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრესტის აქტივის სხდომაზე დამუშავებული იქნა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება საწარმოებში ავარიების მკვეთრად შემცირების შესახებ, დაისახა მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფდა ავარიებისა და ტრავმატიზმის შემცირებას, თითოეულ სამუშაო ადგილზე უშიშარი და ჯანმრთელი პირობების შექმნას.

წარმოებრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით, მოწინავე მუშები იგზავნებიან როგორც ტრესტის სისტემის საწარმოებში, ისე რესპუბლიკის გარეთ; აგრეთვე, საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

„საქნავთობის" ტრესტის სისტემის ყველა საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი ჩაბმული იყო სხვადასხვა ფორმის სოციალისტურ შეჯიბრებაში. სოციალისტურმა შეჯიბრებამ მიიღო კიდევ ახალი ფორმა: დამტკიცებული დებულების შესაბამისად, გაჩაღდა ბრძოლა „კანტორის საუკეთესო მბურღავის", „ტრესტის საუკეთესო მბურღავთა ბრიგადის", „ტრესტის მოწინავე საწარმოს", „მრეწველური საწარმოს საუკეთესო უბნის", „თავისი პროფესიის საუკეთესო მუშის", „შრომის ვეტერანის" — საპატიო წოდებათა მოპოვებისათვის. ტრესტის საწარმოთა დიდი ნაწილი მონაწილეობას იღებდა საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებებში; მაგალითად: წარმოების რეზერვების, მექანიზაციისა და სამუშაო დროის გამოყენების, წარმოების კულტურის, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვისა და სხვ. მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის უმრავლესობა მონაწილეობდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში. ამ მიმართულებით მიღწევები კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, რომ „საქნავთობის" ტრესტის ხელმძღვანელობას, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს არ შეესუსტებინათ ორგანიზაციული მუშაობა. წარმოების ზოგიერთ უბანზე სოციალისტური შეჯიბრება ატარებდა ფორმალურ ხასიათს, სისტემატურად არ ხდებოდა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება და სათანადო შეჯამება, დაბალ დონეზე იდგა მიღწეულ წარმატებათა განზოგადების პროპაგანდა და სხვ.

აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებისა და სოციალისტური შეჯიბრების ეფექტურობის ამაღლების მიზნით 1973 წ. „საქნავთობის" ტრესტში შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის შტაბი. მეცხრე ხუთწლედის ამ გადამწყვეტ წელს ტრესტის ყველა საწარმო ჩაება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მნიშვნელოვნად მაღალი სოციალისტური ვალდებულებების შესრულება იკისრეს, ვიდრე — წინა წლებში; საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება წამყვანი პროფესიების ბრიგადებიც. მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით, გაერთიანებული სარეწავების ჭაბურღილის ამწესარემონტო ბრიგადამ და ჭაბურღილების გამოცდის კანტორამ მოიპოვეს პირველი ადგილი, მათ გადაეცათ გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია; მეორე პრემია მიენიჭა კახეთის ბურღვის კანტორას. მეორე ჯგუფის საწარმოებს შორის პირველი პრემია და გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ცენტრალური მექანიკური სახელოსნოს კოლექტივს. 14 ბრიგადიდან 8 ბრიგადამ შეასრულა სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულება, 4 ბრიგადის შედეგები აღნიშნული იყო სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს მიერ გამოცემულ „ბიულეტინში", როგორც მბურღავთა ისეთი ბრიგადები, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს სამინისტროს სისტემის საწარმოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის, 213 მოწინავე მუშა წარდგენილი იქნა „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ ნიშნის მისაღებად.

1974 წელს სოციალისტურმა შეჯიბრებამ მიაღწია კიდევ უფრო მაღალ საფეხურს: პირველი, მეორე და მეოთხე კვარტლების შედეგების მიხედვით, „საქნავთობის“ ტრესტს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიენიჭა მეორე პრემია. გაერთიანებულმა სარეწავებმა, ყველა კვარტალის მიხედვით, მოიპოვეს პირველი ადგილი, მათ გადაეცათ გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. მეორე ადგილზე გამოვიდნენ თბილისის გარეუბნისა და გეოლოგიურ-საძიებო კანტორები. მეორე ჯგუფის საწარმოებს შორის პირველი პრემია მიიღო ცენტრალური სახელოსნოს კოლექტივმა, მეორე პრემია ერგოთ საცხოვრებელ-კომუნალური კანტორის მუშაკებს.

სულ უფრო მასიური ხდება შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა. ამ საქმეში, საწარმოთა ვეტერანებთან ერთად, შრომითი მამაცობით თავი გამოიჩინა ბევრმა ახალგაზრდა მუშამ. 1973—1975 წწ. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში ყოველწლიურად მონაწილეობას იღებდა 1000-მდე კაცი. 1971 წელს თბილისის გარეუბნის კანტორიდან ნავთობმაძიებელთა ორ ბრიგადას მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება. 1973 წელს კომუნისტური შრომის საწარმოს წოდება მიენიჭა საამქროს, სადაც მუშაობდა 22 კაცი, და კიდევ 5 ბრიგადას 84 კაცის შემადგენლობით, კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება 108 კაცს. 1974 წელს კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება მიენიჭა 5 ბრიგადას, სადაც მუშაობდა 72 კაცი, კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მოიპოვა 111 კაცმა. 1975 წლისათვის კომუნისტური შრომის დამკვრელთა რაოდენობა გაიზარდა 40 კაცით. კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება მინიჭებული ჰქონდა ბურღვის 3 ბრიგადას და ნავთობმოპოვების 2 ბრიგადას; ამასთან, „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის“ წოდების მიღებისათვის წარდგენილი იყო 75 კაცი, ხოლო „სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის“ ნიშანზე — 100 კაცი. ტრესტის საწარმოები ჩაბმული იყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში „ტაჯიკნავთობთან“.

მენავთობეთა შრომის შემოქმედებით შრომად გადაქცევაში კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რაციონალიზატორ-გამომგონებლები. მიუხედავად კვალიფიციური კადრების დენადობის გადიდებისა (1971—1973 წწ.) და საწარმოების ახალი კადრებით შევსებისა, მაღლდება მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონე, უმჯობესდება შემოტანილ წინადადებათა წარმოებრივი ეფექტურობა, — ეს ჩანს თუნდაც იმით, რომ წარმოებაში დანერგილი ზოგიერთი რაციონალიზატორული წინადადება ადრინდელი გამოგონების ტოლფასი იყო. დიდი ყურადღება ექცევა რაციონალიზატორულ წინადადებათა ხარისხს (იხ. ცხრილი 3).

როგორც ცხრილი (3) გვიჩვენებს, 1971—1973 წწ. შემოსული და დანერგილი სიახლე წარმოებაში უფრო მეტია, ვიდრე 1974—1975 წწ. ეს იმით აიხსნება, რომ მეცხრე ხუთწლედის ბოლო ორი წლის განმავლობაში „საქნავთობის“ ტრესტის საწარმოებში მოვიდა მუშაკთა ბევრი ახალი კადრი, რომელთაც არა ჰქონდათ სათანადო წარმოებრივი გამოცდილება; თუმცა სწორედ ამ პერიოდში დანერგილ რაციონალიზატორულ წინადადებათა ეკონომიკური ეფექტურობა უფრო მაღალია, ვიდრე — წინა წლებისა. მაგალითად: 1971— წ. დანერგილი წინადადებებისაგან მიღებული წლიური ეკონომია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგენდა 71.86 ათას მანეთს, 1972 წ. — 56,74 ათას მანეთს, 1973 წ. — 55,2 ათას მანეთს; ე. ი. პირველი სამი წლის განმავლობაში დანერგილი 93 რაციონალიზატორული წინადადებებიდან წარმოებამ მიიღო 183,8 ათასი მანეთი ეკონომია (წელიწადში საშუალოდ — 61,26 მან.) 1974 წ. მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 33,8 ათასი მანეთი და 1975 წ. — 103 ათასი მანეთი; ე. ი. ბოლო ორი წლის განმავლობაში დანერგილი 33 რაციონალიზატორული წინადადებებიდან მიღებულია 136,8 მანეთი (წელიწადში საშუალოდ 68,4 ათასი მანეთი). აღნიშნულ წლებში რაციონალიზაცია-გამოგონებათა ავტორებს პრემიის სახით მიეცათ; 1971 — 3,9 ათასი მანეთი, 1972 წ. — 3,6 ათასი მანეთი, 1973 წ. — 4,5 ათასი მანეთი, 1974 — 3,4 ათასი მანეთი, 1975 წ. — 3,1 ათასი მანეთი.

რაციონალიზატორულ-გამომგონებლური საქმიანობა „საქნავთობის“ ტრესტში (1971—1975 წწ.)[6]

ცხრილი 3

| წინადად. რაოდენობა | წლები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1971 | 1972 | 1973 | 1974 | 1975 |
| შემოსულია წინადად. | 47 | 66 | 20 | 43 | 48 |
| მიღებულია | 36 | 56 | 20 | 28 | 45 |
| უარყოფილია | 7 | 10 | 7 | 15 | 3 |
| მომზადდა დასანერგად | 8 | 8 | 4 | 5 | 5 |
| დაინერგა | 29 | 48 | 16 | 23 | 10 |

როგორც აღვნიშნეთ, ნავთობმოპოვების გეგმური დავალების წარმატებით შესრულებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გადაჭარბებას. უწინარეს ეს ითქმის მთლიანი და საქონლური პროდუქციის, აგრეთვე რეალიზაციის გეგმის შესრულებაზე (იხ. ცხრილი 4).

მთლიანი და საქონლური პროდუქციის რეალიზაციის გეგმურ დავალებათა შესრულება 1974 წ. (ათას მან.)[7]

ცხრილი 4

| პროდუქციის სახეობა | გეგმით | ფაქტ. | % |
|---|---|---|---|
| მთლიანი პროდუქცია | 750 | 1045 | 139,3 |
| საქონლური პროდუქცია | 1250 | 1860 | 149,4 |
| პროდუქციის რეალიზაცია | 1250 | 1607 | 128,6 |

ცხრილის (4) მონაცემების მიხედვით, მაჩვენებლები — საქონლური პროდუქციისა და ამ პროდუქციის რეალიზაციისა ერთმანეთს უნდა უტოლდებოდნენ (იხ. გეგმის გრაფა), მაგრამ ფაქტიური შესრულება მნიშვნელოვან სხვაობას გვიჩვენებს (261 ათასი მან.) ამიტომაც, თუმცა მთლიანი პროდუქციის გეგმა 139,3-ით შესრულდა და საქონლური პროდუქციის შესრულებამაც ამ უკანასკნელს 10%-ით გადააჭარბა, მაგრამ რეალიზაციის გეგმა მხოლოდ 128,6% შესრულდა ფაქტიურად — ეს კი 10,7%-ით ნაკლებია მთლიანი პროდუქციის გეგმის ფაქტიურ შესრულებაზე და 20,8%-ი ნაკლები — საქონლურ პროდუქციაზე.

იმასთან დაკავშირებით, რომ საგრძნობლად დაიკლო ერთი ტონა ნავთობის თვითღირებულებამ, ფაქტიურად გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების გეგმური დავალებაც გადაჭარბებით შესრულდა. პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულია მნიშვნელოვანი მოგება. წინა წლების განმავლო-

[6] ცხრილი შედგენილია „საქნავთობის“ ტრესტის შესაბამისი წლების ანგარიშგებათა საფუძველზე.

[7] ცხრილი შედგენილია „საქნავთობის“ ტრესტის' წლიურ (1974) ანგარიშგებათა საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში მრეწველობის დარგში რენტაბელობას აღწევდნენ ნავთობპროდუქტების რეალიზაციის ხარჯზე, ახლა რენტაბელური შეიქმნა თვით ნავთობმოპოვება.

კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1974 წლისათვის შეადგენდა 10029 ათას მანეთს, ხოლო 1975 წ. — 11861 ათას მანეთს. მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყო საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე, საძიებო ბურღვაზე და გაწყობილობაზე. ძირითადი ფონდები შევიდა მოქმედებაში 1974 წელს 3199 ათასი მანეთის, 1975 წ. —5405 ათასი მანეთის რაოდენობით. საწარმოთა ტექნიკური შეიარაღების გაუმჯობესების შედეგად 1975 წლისათვის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მოიცავდა ყველა წარმოებრივი პროცესის თითქმის 60%-ს. ორი მეტად პერსპექტიული საბადოს — სამგორ-პატარძეულისა და შრომისუბან-წყალწმინდის — სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყებასთან დაკავშირებით, „საქნავთობის“ ტრესტის მუშაობაში დაისახა დიდი ამოცანები. ნავთობის და გაზის გეოლოგიურ-საძიებო მუშაობის გაძლიერების, მათი ეფექტურობისა, და ნავთობის დაჩქარებული მოპოვების უზრუნველყოფის მიზნით, 1975 წლის 1 ივნისს „საქნავთობის“ ტრესტის ბაზაზე შეიქმნა „საქნავთობის“ საწარმოო გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შევიდა: ნავთობ-გაზმომპოვებელი სამმართველო, საძიებო ბურღვის ორი სამმართველო, სხვა საწარმოო სამსახურები და ქვეგანაყოფები.

ნავთობის მოპოვების გადიდებამ დღის წესრიგში დააყენა ლილოს ნავთობგადამმუშავებელი საწარმოს ლიკვიდაციის საკითხი, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფდა დიდი მოცულობის ნავთობის გადამუშავებას და ნავთობპროდუქტების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას, ამიტომ 1975 წლის 1 იანვრიდან ლილოს ნავთობგადამმუშავებელმა დანადგარმა შეწყვიტა მოქმედება. აღმოსავლეთ საქართველოში მოპოვებული ნავთობი რკინიგზის ცისტერნებით იგზავნებოდა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში, რაც იწვევდა ნავთობპროდუქტების თვითღირებულების გადიდებას, საქართველოს მენავთობეების წინაშე დაისვა ახალი ამოცანა: 22 კილომეტრის ტრასაზე (სამგორი-გაჩიანი) ნავთობსადენის გაყვანა და მისი დაკავშირება მაგისტრალურ ბაქო-ბათუმის ნავთობსადენთან. ამ რთული საინჟინრო ნაგებობის მშენებლობა დაევალა „ინჟმშენის“ ტრესტის კოლექტივს, ხოლო მეთაური ნაგებობების მშენებლობა — „საქნავთობის“ საამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს. ტრასის გაყვანა და ნავთსადენის მშენებლობა დამთავრდა რეკორდულ ვადებში — 1975 წ. 12 ივლისს, ნაცვლად 9 თვისა ორ თვეში. ნაგებობების პროექტი შეიმუშავა ჩრდილოეთ კავკასიის ნავთობის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტისა და საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივებმა. სატუმბავი დანადგარი, მართვის პულტები და სხვა გაწყობილობა დამზადდა ბაშკირეთის ასსრ ქარხანა „ნავთობავტომატიკაში და ჩვენი ქვეყნის სხვა საწარმოებში. ქართველ მენავთობეებს ნავთობსადენების მშენებლობაში დიდი დახმარება გაუწიეს „გროზნონავთობის“ და „თათრეთნავთობის“ გაერთიანებათა წარმომადგენლებმა; აგრეთვე — ბაქოელმა და კუიბიშეველმა სპეციალისტებმა. ექსპლოატაციის მუშაკთა კადრი მომზადდა „თათრეთნავთობის“ გაერთიანებაში[8]. ახლა სამგორ-გაჩიანის ნავთობსადენით ნავთობი მიედინება ბათუმამდე. ამით ქართველმა მენავთობეებმა დიდი წვლილი შეიტანეს სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრის საქმეში.

---

[8] გაზ. „კომუნისტი“, 1975, 13 ივლისი.

9. „მაცნე“, ფილოსოფიის,... სერია, 1977, № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მენავთობეთა თავდადებული შრომის შედეგად, 1975 წელს ნავთობის სადღეღამისო მოპოვებამ 2000 ტ. მიაღწია. 1975 წ. ნავთობმოპოვების გეგმა, დამატებითი ვალდებულებების გათვალისწინებით, 153,4%-ით შესრულდა: 17000 ტ. ნაცვლად მიწის წიაღიდან ამოიღეს 260774 ტ. ნავთობი, ე. ი. 1975 წ. მოპოვებულია 10,8-ჯერ მეტი ნავთობი ვიდრე 1970 წელს და 12,5-ჯერ მეტი, ვიდრე — 1973 წელს. აღნიშნულ წარმატებათა გამო საქართველოს მენავთობეებს მიეცათ საშუალება მოეხსენებინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის, რომ ნავთობის მოპოვებისა და მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შესრულდა ვადამდე — 26 ოქტომბერს. ნავთობის მოპოვებისას შრომის ნაყოფიერებამ მიაღწია 115%-ს, ერთი ტონა ნავთობის თვითღირებულების, შემცირებით მიღებული იქნა ზეგეგმითი მოგება — 500 ათასი მანეთის *რაოდენობით. 1975 წ. ნავთობის საშუალო სადღეღამისო* მოპოვებამ, ნაცვლად 55 ტონისა 1973 წელს, მიაღწია 1200 ტონას, შესაბამისად გაიზარდა მთლიანი პროდუქცია. საქართველოს მენავთეებმა ეს მიღწევები მიუძღვნეს სკკპ XXV ყრილობას. ამასთან ერთად, ყრილობის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით იკისრეს ორი ჭაბურღილის ექსპლოატაციაში გადაცემა, დამატებით 50 ათასი ტონა ნავთობის ამოღება და სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღისათვის ნავთობის საშუალო სადღეღამისო მოპოვების გადიდება 2000 ტონამდე. ქართველმა მენავთობეებმა ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით გაანაღდეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს დახმარებით, საბჭოთა საქართველო — განვითარებული მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, ელექტროტექნიკური მრეწველობის რესპუბლიკა — ნავთობის მრეწველობის რესპუბლიკაც ხდება[9].

სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედი ითვალისწინებს საქართველოში ნავთობმოპოვების დაჩქარებით განვითარებას. 1980 წლისათვის ნავთობის მოპოვება გაიზრდება მნიშვნელოვნად და აღემატება 1975 წლის დონეს. ასეთი დიდი მოცულობის ნავთობის მოპოვება საფუძველს იძლევა ადგილობრივი ნავთობის ბაზაზე შეიქმნას მრეწველობის ისეთი რენტაბელური დარგი, როგორიცაა ნავთობქიმიური მრეწველობა, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რესპუბლიკის მრეწველობის სტრუქტურას და საგრძნობლად გაზრდის ეროვნულ შემოსავალს.

---

[9] გაზ. „კომუნისტი“, 1975, 6 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯავახიშვილი

# საქართველოს სსრ საზოგადოებრივი კვების განვითარება დიდ სამამულო ომამდე

კვება წარმოადგენს პირადი მოხმარების ერთ-ერთ ძირითად ფორმას, რომლის გარეშე შეუძლებელია ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარება და, საერთოდ, შრომის პროცესის განხორციელება. იგი საფუძველთა საფუძველია მთავარი მწარმოებლური ძალის — მუშახალის აღწარმოებისათვის[1]. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ისტორიულ პროცესში აღმოცენდა და განვითარდა მატერიალური წარმოების სხვადასხვა დარგი, ხოლო შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებას შედეგად მოჰყვა მომსახურების სფეროს ცალკეულ დარგთა ჩამოყალიბება, მათ შორის — საჭმლის განსაზოგადოებული მომზადება, რაც სოციალიზმამდელ ფორმაციებში მასობრივი კვების სახით წარმოგვიდგებოდა. ამრიგად, საოჯახო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია — საჭმლის მომზადება — საზოგადოების ხელში გადადის. და ეს განპირობებულია შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონის მოთხოვნით, რომლის მიხედვითაც წარმოების ხარჯები მუდმივად მცირდება, ხოლო ცოცხალი შრომა სულ უფრო მწარმოებლური ხდება.

კაპიტალიზმის პირობებში საჭმლის მრეწველური წარმოების განვითარებას თან სდევს არა მხოლოდ მეურნეობის ამ დარგში დასაქმებულ მუშაკთა, არამედ მასობრივი კვებით მოსარგებლე მომხმარებელთა ექსპლოატაციის გაძლიერება. ამ დარგში კაპიტალის სწრაფმა ბრუნვამ, დაბალკვალიფიციური შრომის ექსპლოატაციის დიდმა შესაძლებლობამ საჭმლის მასობრივი წარმოება აქცია მოგების მიღების განსაკუთრებულად ხელსაყრელ დარგად. ვ. ი. ლენინმა ასე დაახასიათა მასობრივი კვების კაპიტალისტური საწარმოები „ეს საშუალებები ახალი არ არის... მაგრამ კაპიტალიზმის დროს ეს საშუალებები, ჯერ-ერთი, იშვიათობას წარმოადგენდა, მეორე, — რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, — ეს იყო ან ჩარჩული წამოწყება სპეკულაციის, მოგების, მოტყუების, სიყალბის ყველა უცუდესი მხრით, ან «ბურჟუაზიული ქველმოქმედების ჯამბაზობა». რაც სრულიად სამართლიანად სძულდათ და ეზიზღებოდათ საუკეთესო მუშებს“[2].

მხოლოდ სოციალიზმმა შეჰქმნა პირობები მოსახლეობის ფართო მასების ნორმალური კვების უზრუნველყოფისათვის. საზოგადოებრივი კვება როგორც სახალხო მეურნეობის დარგი არსებითად საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღმოცენდა და განვითარდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში, მეურნეობრივი ნგრევისა და მწვავე სასურსათო კრიზისის პირობებში, პარტიამ და მთავრობამ შეძლეს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სფეროში რიგ რადიკალურ ღონისძიებათა გატარება, — უპირველეს ყოვლისა: კერძო საკუთრებაში მყოფ მაღაზიებზე, რესტორნებსა და ტრაქტირებზე მუშათა კონტროლის განხორციელება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და მომარაგების აპარატის შექმნა და განმტკიცება, მოსახლეობის კვების პროდუქტების მომარაგების რაციონალური სისტემის ორგანიზება, სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა და ა. შ.

ჩვენს ქვეყანაში სახალხო კვების განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 9 ნოემბრის დეკრეტმა — „სასურსათო საქმეში ქალაქის თვითმმართველობათა უფლებების გაფართოების შესახებ“[3], რომლის საფუძველზე, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების კონტ-

---

[1] კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 202

[2] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 29, გვ. 502—503.

[3] Собрание указаний и распоряжений Рабочего и Крестьянского Правительства (су), отдел первый, 1917, №1, стр. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლის პირობებში, ქალაქის მოსახლეობის ნორმალური სასურსათო მომარაგების ორგანიზებისა და სპეკულაციასთან ბრძოლის მიზნით, განხორციელდა კერძო სავაჭრო საწარმოების, რესტორნების, საჩაიეებისა და სასადილოების კონფისკაცია და რეკვიზიცია. ამავე დეკრეტით, ქალაქის თვითმმართველობებს უფლება ეძლეოდათ მოეწყოთ საზოგადოებრივი სასადილოები, განეხორციელებინათ კვების საწარმოთა საქმიანობაზე კონტროლი, გაენაწილებინათ სურსათის ფონდები; საზოგადოებრივი სასადილოების მოქმედების სფეროს გაფართოების მიზნით, შეეზღუდათ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კერძო საწარმოთა საქმიანობა. ყოველივე ამან საშუალება შექმნა კერძო კაპიტალისტურ საწარმოებში სურსათის მარაგის აღრიცხვის, მოსახლეობის მომარაგებისა და გარკვეული ზომით ამ საქმეში წესრიგის, დისციპლინის დამყარებისა და ქონების დაცვისათვის, რამაც ისინი იხსნა არა მხოლოდ ძარცვისა და განადგურებისაგან, არამედ მოამზადა სათანადო პირობები მიმოქცევის სფეროს საწარმოთა ნაციონალიზაციისათვის.

საბჭოთა სახელმწიფომ 1918 წლის 21 ნოემბრის დეკრეტით მოახდინა საშუალო ბითუმი კაპიტალისტური ვაჭრობის ნაციონალიზაცია და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სასაქონლო მატერიალური ფასეულობა მთლიანად გადასცა მომარაგების სახალხო კომისარიატს[4]. ცალობრივი ვაჭრობის საწარმოები, რესტორნები და საჩაიეები ადგილობრივ საბჭოთა ორგანიზაციებს გადაეცათ, კერძო ვაჭრობა და წარმოებრივი საქმიანობა მთლიანად აიკრძალა[5]. სამხედრო კომუნიზმის პერიოდში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საზოგადოებრივი სასადილოები, რომლებიც მუშათა ინიციატივით ეწყობოდა. მათი საშუალებით ხორციელდებოდა მოსახლეობის ცხელი საჭმელებით უზრუნველყოფა, რისთვისაც გამოიყენებოდა როგორც სურსათის ფონდები, აგრეთვე დამატებით მობილიზებული რესურსებიც.

საზოგადოებრივი კვება საბჭოთა ხელისუფლების აქტიური დახმარებით დღითი დღე კითარდებოდა და ძლიერდებოდა. პარტია და მთავრობა საზოგადოებრივ სასადილოებს იყენებდნენ კლასობრივი და სოციალური პრინციპების მიხედვით სურსათის განაწილებისათვის, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მრეწველობის მუშათა კვების პროდუქტებით უზრუნველყოფასა და მათი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე — მენშევიკების ბატონობის პერიოდში — ქვეყნის ეკონომიკა სრულ გაჩანაგებამდე მივიდა. საქართველოში სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და მათ შორის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ნამდვილი განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ბოლშევიკური მთავრობა პირველი დღეებიდანვე შეუდგა ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას, რაც, უწინარეს ყოვლისა, მიზნად წარმოების ძირითად საშუალებათა განსაზოგადოებას ისახავდა. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოცემული დეკრეტების საფუძველზე გატარდა მიწის, ბანკების, რკინიგზებისა და სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია; ამასთან, საშინაო ვაჭრობის სფეროში განხორციელდა რიგი ღონისძიებანი, კერძოდ, დალუქულ იქნა მრავალი სავაჭრო საწყობი, მაღაზია,

---

[4] Собрание указаний и Распоряжений... 1918, №83, стр. 879.

[5] Вестник Народного комиссариата торговли и промишленности, М., 1919, №34, стр. 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესტორანი, ჩატარდა მათი აღრიცხვა და სხვ. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1921 წლის 28 მარტის დადგენილებით, მთელი სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოები ნაციონალიზაციას დაექვემდებარა[6].

ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ ამ პერიოდის მეურნეობრივი მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ ბერკეტს სწორედ მიმოქცევის სფეროს რეგულირება წარმოადგენდა. ქვეყანაში მწარმოებლური ძალების განვითარება გარდუვლად მოითხოვდა ცალობრივი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შემდგომ ზრდასა და სრულყოფას. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ცხოვრებაში წარმატებით გატარებამ შექმნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოცოცხლების, ქალაქსა და სოფელს შორის, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის მტკიცე კავშირურთიერთობის დამყარების პირობები. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობასთან ერთად განუხრელად ვითარდებოდა ვაჭრობაც. ჩვენს რესპუბლიკაში ცალობრივი საქონელბრუნვა (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლით) 1924/25 მეურნეობრივ წელს, 1923/24 წელთან შედარებით 1,5-ჯერ და მეტად გაიზარდა, ხოლო 1925/26 წელს ორჯერ გადააჭარბა 1924/25 წლის დონეს[7].

პარტიისა და მთავრობის მიერ საქონელბრუნვის გაშლის სფეროში დასახული ამოცანები წარმატებით ხორციელდებოდა. აღნიშნულ გარემოებას ხელი შეუწყო 1922—24 წწ. გატარებულმა ფულის რეფორმამ როგორც ვალუტის განმტკიცებისა და ქვეყანაში საქონელბრუნვის გაფართოების აუცილებელმა პირობამ.

კვების დარგში განსაზოგადოების პროცესი ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით ნელი ტემპით ხორციელდებოდა, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირის მასშტაბით. 1930 წლის დასაწყისისათვის ქვეყნის საზოგადოებრივი კვების (საზკვების) მთლიან ბრუნვაში სახელმწიფოებრივ და კოოპერაციულ საწარმოთა წილად მოდიოდა 79,3, ხოლო კერძო კაპიტალის — 20,7 პროცენტი. 1929 წლის ბოლოსათვის განსაზოგადოებული სექტორის საზკვების საწარმოთა რაოდენობამ 16,2 ათასი შეადგინა, ხოლო კერძო კაპიტალის წილად მოდიოდა მხოლოდ 7,1 ათასი საწარმო. ამრიგად, ამ დროისათვის ქვეყნის საზკვების საწარმოთა თითქმის 70 პროცენტი განსაზოგადოებულ სექტორზე მოდიოდა[8]. ამ მხრივ, შედარებით განსხვავებული სურათი იყო ჩვენს რესპუბლიკაში (იხ. ცხრილი 1).

მონაცემებით დასტურდება, რომ 1929—30 წწ. ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი კვების მთლიან რაოდენობასა და საქონელბრუნვაში ჯერ კიდევ გადამწყვეტი მნიშვნელობა კერძო კაპიტალს ჰქონდა. საზოგადოებრივი კვების სფეროში განსაზოგადოების პროცესი ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით მოგვიანებით დამთავრდა.

როგორც მთლიანად ვაჭრობის, ისე საზოგადოებრივი კვების სფეროში განსაზოგადოების შედარებით დაბალი ტემპი რესპუბლიკაში ობიექტური მიზეზებით უნდა აიხსნას. აღსანიშნავია, რომ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე

---

[6] В. И. Абуладзе. Внутреняя торговля Грузинской ССР 1921—1932 гг., Тб., 1962, стр. 75.

[7] Народное хозяйство Закавказья в цифрах, Тиф. 1927, стр. 407

[8] С. С. Васильев. Экономика общественного питания, М. 1963, стр. 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა და საქონელბრუნვა 1929/1930 წწ. ვაჭრობის კატეგორიების მიხედვით[9]

ცხრილი 1

| მაჩვენებლები | სახ. ვაჭრობა | კოოპ. ვაჭრობა | განსაზ. სექტორი მთლიან. | განსაზ. სექტ. % %-ით ჯამთან | კერძო ვაჭრობა | კერძო ვაჭრობა % %-ით ჯამთან | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საზკვების საწარმოთა რაოდენობა | 2 | 228 | 230 | 42,7 | 309 | 57,3 | 539 |
| რესპ-ის ქალაქ. | 2 | 136 | 130 | 36,2 | 243 | 63,8 | 381 |
| ქ. თბილისში | — | 65 | 65 | 59,1 | 45 | 40,9 | 110 |
| 2. საწარმოთა ფულადი ბრუნვა (ათას მან.) | 66,1 | 8658,3 | 9732,4 | 43,2 | 12792,1 | 56,8 | 22524,5 |
| ქალაქად | 28,1 | 6750,1 | 6778,2 | 40,0 | 10160,5 | 60,0 | 16938,7 |
| სოფლად | 38,0 | 1908,2 | 1946,2 | 42,5 | 2631,6 | 57,5 | 4577,8 |
| ქ. თბილისში | — | 2136,6 | 2136,6 | 30,0 | 4977,5 | 70,0 | 7114,1 |

გადასვლამდე საბჭოთა რუსეთში მიმოქცევის სფეროს მოწესრიგებისათვის გატარდა რიგი ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებანი, რითაც ხელსაყრელი პირობები შეექმნა მიმოქცევის სფეროს სწრაფი ტემპით განსაზოგადოებას. საქართველოში კი მსგავსი ღონისძიებები არ გატარებულა, რადგან მას სამხედრო კომუნიზმი არ გაუვლია და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პირდაპირ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადავიდა. საჭირო იყო რესპუბლიკაში ყოველმხრივ გათვალისწინებულიყო კონკრეტული სპეციფიკური თავისებურებანი, სადაც დიდი ხვედრითი წონით იყო წარმოდგენილი ცალობრივი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების წვრილ საწარმოთა რაოდენობა.

სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინი, რომელიც კარგად იცნობდა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებს 1921 წ. 2 მარტს გ. კ. ორჯონიკიძეს წერდა: „აუცილებელია ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა. უნდა შევიგნოთ, რომ არა თუ აზრი არა აქვს ამ წვრილი ვაჭრების ნაციონალიზებას, არამედ საჭიროა ერთგვარი მსხვერპლიც კი გავიღოთ, ოღონდ გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა და დავუტოვოთ მათ წვრილი ვაჭრობის წარმოების შესაძლებლობა.

გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული“[10].

ვ. ი. ლენინის ეს სახელმძღვანელო მითითებები საფუძვლად დაედო ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას. საქართველოს რევოლუციური მთავრობის 1921 წლის გა-

[9] საბჭოთა საქართველოს 10 წელი, სტატისტიკური კრებული, ტფ. 1931, გვ. 472—488.
[10] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ. 189—190.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყვეტილებით, ნებადართული იქნა წვრილი კერძო ვაჭრობა. ყოველივე ამან გარკვეული ზეგავლენა მოახდინა რესპუბლიკაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა განსაზოგადოების ტემპებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში საზოგადოებრივი კვების განვითარების სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის მიერ სურსათის რაციონალური მოხმარების ორგანიზების საქმეში. 1927/28 წწ. რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების საწარმოები მომსახურებას უწევდნენ ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 1,6 და მუშამოსამსახურეთა 9 პროცენტს[11]. მაინც, ამ პერიოდში, საზოგადოებრივი კვების განვითარებაში წამყვან როლს თამაშობდა სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელსაც ჰქონდა საზოგადოებრივი კვების საკმაოდ ფართო ქსელი. გარდა კოოპერაციისა, ასეთი ქსელი ჰქონდათ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (სახალხო კვების საპაიო ამხანაგობა — „სახალხო კვება", გლეხთა სახლები, საზოგადოება — „ბავშვთა მეგობარი" „ყრუ-მუნჯთა" საზოგადოება და სხვა); ამასთან, საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის 90 პროცენტზე მეტი კოოპერაციაზე მოდიოდა, რომელსაც ამ დროისათვის ჰქონდა შედარებით მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰყავდა უფრო გამოცდილი კადრები და გაცილებით უკეთესი იყო კოოპერაციული ორგანიზაციების სასაქონლო უზრუნველყოფა, რის გამოც სამომხმარებლო კოოპერაციას რესპუბლიკის მოსახლეობის საზოგადოებრივი კვებით უზრუნველყოფაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

აღსანიშნავია, რომ 1929—1930 წწ. რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების მთლიანი საქონელბრუნვა რამდენადმე შემცირდა, თუმცა განსაზოგადოებული სექტორის საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა სისტემატური ზრდით ხასიათდებოდა. ასეთი ტენდენცია შეიმჩნეოდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიხედვითაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ხვედრითი წონა რესპუბლიკის მთლიან ცალობრივ საქონელბრუნვაში 1927/28 წწ. შეადგენდა 7,6 პროცენტს, 1928/29 და 1929/30 წლებში შესაბამისად შემცირდა 6,2 და 4,8 პროცენტამდე. ამის შემდეგ საზკვების ბრუნვის ხვედრითი წონა მთლიან ცალობრივ საქონელბრუნვაში კვლავ ზრდის ტენდენციებით ხასიათდებოდა: 1931 წელს მან შეადგინა 9,4, ხოლო 1932 წელს — 11,4 პროცენტი[12]. კლების ტენდენცია აიხსნება ამ პერიოდში (1928/29 და 1930 წწ.) მასობრივი კვების კერძო საწარმოთა ჯერ შემცირებით, შემდეგ კი მათი ლიკვიდაციით.

1930 წლიდან შეიმჩნეოდა გარკვეული ძვრები განსაზოგადოებული სექტორის საზკვების განვითარების საქმეში და მაინც სახალხო მეურნეობის ეს დარგი კვლავ ჩამორჩებოდა, ვერ უზრუნველყოფდა რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. 30-იან წლებში ჯერაც სათანადოდ არ განვითარებულა საზკვების ქსელი, რისი შემოწმება შეიძლება იმდროინდელი მონაცემების მიხედვით (იხ. ცხრ. 2).

---

[11] Основные элементы пятилетнего плана народного хозяйства ГССР (1928—1932/33 гг.), стр. 76.

[12] Советская торговля Грузинской ССР, стат. сборник, Тб., 1967, стр. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზკვების ქსელი ცეკავშირისა და საქვაჭრობის სისტემებში 1931—1932 წწ. (წლის ბოლოსათვის)[13]

ცხრილი 2

| საზკვების საწარმოები | წლები | | 1932 წ. %-ად 1931 წელთან |
|---|---|---|---|
| | 1931 | 1932 | |
| საწარმოთა რაოდენობა | 347 | 406 | 117,0 |
| დახურული სასადილო | 143 | 156 | 107,0 |
| ღია სასადილო | 50 | 52 | 104,0 |
| კაფე-საკონდიტრო | 10 | 19 | 190,0 |
| დაწესებულებათა ბუფეტები | 34 | 45 | 126,5 |
| სასკოლო ბუფეტები | 80 | 19 | 113,7 |
| ღია ბუფეტი და სახაიე | 15 | 27 | 180,0 |

როგორც ჩანს, 1931—1932 წლებში რესპუბლიკის საზკვების ქსელი ჯერ კიდევ სუსტი იყო; ამასთან საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონა ჰქონდათ დახურულ საწარმოებს, რომელნიც, რა თქმა უნდა, ფართო მოსახლეობისათვის არ იყო ხელმისაწვდომი. ამ პერიოდისათვის რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების განვითარების ერთ-ერთი მთავარი ნაკლოვანება ის იყო, რომ უაღრესად სუსტი ჰქონდა მას მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ამასთან, ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა საზოგადოებრივი კვების ახალ საწარმოთა მშენებლობა და ძველის რეკონსტრუქცია. გარდა ამისა, საზოგადოებრივი კვების განვითარების ძირითად მიმართულებად ითვლებოდა უმთავრესად ქალაქის მოსახლეობისა და მუშა-მოსამსახურეთა კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივი კვებით მომსახურება უაღრესად დაბალ დონეზე იდგა: თუ 1930 წელს სოფლად მოქმედი საზკვების საწარმოს საშუალო დღიური გამტარუნარიანობა იყო 50-დან — 100-მდე კერძი, იმავე ტიპის საწარმო ქალაქად მომხმარებელს აწვდიდა 100-დან — 1000-მდე კერძს[14].

სასოფლო საზკვების ქსელი მეტად ნელი ტემპით ვითარდებოდა. საწარმოები არ იყო სათანადო მოწყობილობით აღჭურვილი, თითქმის არ ხორციელდებოდა მსხვილ საწარმოთა მშენებლობა, რაც მთავარია, მათთვის გამოიყოფოდა ძველი, არადანიშნულებისამებრ განკუთვნილი შენობები, რომელთა უმრავლესობა საზოგადოებრივი კვების საწარმოებისადმი წაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებდა. ეს იმ დროს, როდესაც ქალაქის საზოგადოებრივი კვების ქსელი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში (თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში და ა. შ.) ამოქმედდა შედარებით დიდი სიმძლავრის საწარმოები, რომელნიც უკეთ აღიჭურვა მოწყობილობით, უკეთ მარაგდებოდა საქონლითა და ნედლეულით; აგრეთვე, აქ უკეთესად იყო ორგანიზებული მომხმარებელთა მომსახურება.

სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლედი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის, ისე ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების განვითარების საქმეში. თუ 1928 წელს საბჭოთა კავშირში იყო საზკვების 14,6 ათასი საწარმო, 1932 წლის ბოლოსათვის მათმა რაოდენობამ 55,8 ათასს მიაღწია, ამავე პერიოდში მათი საქონელბრუნვა 42 მლნ მანეთიდან გაიზარდა 485 მლნ მანეთამდე[15]. ამ ხუთწლედის განმავლობაში

[13] Архив Госплана Совета министров ГССР, 9—7, 1.101

[14] ЦГАОРСС ГССР, Ф. 295, д. 1201, л. 1.

[15] Советская торговля. Статистический сборник, М., 1964, стр. 43, 173.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის საზკვების საწარმოთა რაოდენობა 105-დან გადიდდა 1113-მდე, ხოლო მათმა საქონელბრუნვამ შესაბამისად შეადგინა 0,3 მლნ და 9,5 მლნ. მან.[16].

მოსახლეობის ნორმირებული მომარაგების პირობებში საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა უაღრესად დიდი როლი შეასრულეს მუშა-მოსამსახურეთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებაში და მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფ განვითარებასა და ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას. უკვე 1933 წლისათვის საზოგადოებრივი კვების ქსელი მომსახურებას უწევდა სსრ კავშირის მრეწველობის წამყვანი დარგების მუშა-მოსამსახურეთა 70 პროცენტზე მეტს, რაც 6-ჯერ და უფრო მეტი იყო ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებაზე[17].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად საზოგადოებრივი კვების მნიშვნელოვანი ზრდისა, ამ პერიოდში იგი მაინც სრულად ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას: საზოგადოებრივი კვების საწარმონი ხასიათდებოდნენ დაბალი გამტარუნარიანობით, სათანადოდ არ ხერხდებოდა მათი უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, საჭირო მექანიზმებითა და მოწყობილობებით, სამუშაოთა დიდი ნაწილი პრიმიტიული წესით — ხელით სრულდებოდა, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა როგორც საზოგადოებრივი კვების მუშაკთა შრომის მწარმოებლურობისა და გამოშვებული პროდუქციის ზრდაზე, ისე პროდუქციის ხარისხზეც. სწორედ ამ საკითხზე იყო გამახვილებული ყურადღება საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 30 ოქტომბრის პლენუმის დადგენილებაში, რომელმაც განიხილა საკითხი — „საბჭოთა ვაჭრობის გაშლისა და მუშათა მომარაგების გაუმჯობესების შესახებ“.

დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული სასურსათო მაღაზიები და საზოგადოებრივი კვების საწარმოები ვერ უზრუნველყოფდნენ სამრეწველო რაიონების საწარმოებში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. დადგენილებაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ კოოპერაციული და სახელმწიფოებრივი ვაჭრობის მუშაკთა მნიშვნელოვან ნაწილს სათანადოდ არა ჰქონდათ შეგნებული საქონლის მექანიკური განაწილებიდან გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლის აუცილებლობა. ამ მდგომარეობას ისიც უშლიდა ხელს, რომ კოოპერაციული ვაჭრობის იმდროინდელ აპარატში ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო აღმოფხვრილი ნეპმანური სულისკვეთება, საქმისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულება. სავაჭრო აპარატში მოკალათებული ასეთი ტიპის მუშაკები უფრო მეტად გატაცებულნი იყვნენ კომერციული ვაჭრობით და ნაკლებად ზრუნავდნენ შრომელთა ფართო მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. პლენუმის დადგენილებაში მითითებულია: მუშათა ახალი კადრები, რომლებიც პარტიამ სავაჭრო-კოოპერაციულ აპარატში გაგზავნა, ჯერ კიდევ ვერ დაეუფლნენ სავაჭრო საქმის ტექნიკას და ვერ ახორციელებენ კოოპერაციული მუშაობისადმი კონკრეტულ ხელმძღვანელობას, რის გამოც სავაჭრო-კოოპერაციული აპარატის მუშაობას ხშირად წარმართავენ ის ბიუროკრატიული, მუშათა

---

[16] საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკა, თბ., 1969, გვ. 88, 335.

[17] Т. Рубинштейн. Развитие внутренней торговли в СССР, стр. 304—306.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასისათვის უცხო ელემენტები, რომლებიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ფენას შეადგენენ ამ აპარატში“[18].

მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა პირველ ხუთწლედში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული საზოგადოებრივი კვების განვითარებაში. სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, კერძოდ, კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი ზრდა, წვრილგლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია, მიმოქცევის სფეროში კერძო სექტორის ლიკვიდაცია, სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული სავაჭრო სისტემების განმტკიცება — ყოველივე ეს მთავარ წანამძღვრად შეექმნა საზოგადოებრივი კვების შემდგომ განვითარებას. პირველი და მეორე ხუთწლედების განმავლობაში ლენინური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებული ეპოქალური მნიშვნელობის ღონისძიებებით საძირკველი ჩაეყარა სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის, მათ შორის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სწრაფ განვითარებას, მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას. ამ პერიოდისათვის უაღრესად პასუხსაგები ამოცანები იდგა საზოგადოებრივი კვების წინაშე. მატერიალური წარმოების სწრაფი ზრდის საფუძველზე საჭირო იყო საქონლის საბაზრო ფონდების გადიდება და მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლება, მოსახლეობის ნორმირებული მომარაგებიდან კვების პროდუქტებით თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლისათვის სათანადო პირობების მომზადება. ეს კი თავისთავად გულისხმობდა საზოგადოებრივი კვების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, კერძების ასორტიმენტის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, მომხმარებელთა მომსახურების კულტურის შემდგომ ამაღლებას.

ქვეყანაში საზოგადოებრივი კვების განვითარებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 19 აგვისტოს მიიღო დადგენილება — „საზოგადოებრივი კვების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, სადაც აღინიშნა საზოგადოებრივი კვების დიდი ეკონომიკური პოტენციალი და მითითებულია მისი გაუმჯობესების აუცილებლობაზე მრეწველობის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით. საჭირო შეიქნა რეალური პირობები, რათა მშრომელ მასებს, მათი ოჯახის წევრებს მისცემოდათ შესაძლებლობა საზოგადოებრივი კვების მომსახურებით სარგებლობისათვის. დადგენილების საფუძველზე სსრ კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეიქმნა საზოგადოებრივი კვების საკავშირო გაერთიანება („სოიუზნარპიტი“), რომელსაც დაევალა საზკვების სახელმწიფოებრივ საწარმოთა ხელმძღვანელობა, მიზნად დაესახა ქვეყანაში მშრომელთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა. გარდა ამისა, საზკვების სისტემის ორგანიზაციებს უფლება მიეცათ, რომ ეწარმოებინათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება და მოეწყოთ დამხმარე მეურნეობა, ამასთან, საზკვების საწარმოთა ხელმძღვანელებს დაეკისრათ პერსონალური პასუხისმგებლობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და საწარმოში სანიტარული წესრიგის დაცვისათვის.

როგორც ცნობილია, ქვეყანაში სასურსათო რესურსების ნაკლებობისა და მშრომელთა შორის მათი რაციონალური განაწილების მიზნით, 1928 წელს

---

[18] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, თბ., 1956, გვ. 181.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოღებული იყო მოსახლეობის ნორმირებული მომარაგების საბარათო სისტემა. როგორც უკვე აღინიშნა, პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მრეწველობის წამყვან დარგებში დასაქმებულ მუშაკთა კვების პროდუქტებით მომარაგების რაციონალურ ორგანიზაციას. ქვეყანაში საბარათო სისტემის მოწესრიგებისა და სასაქონლო რესურსების განაწილების გაუმჯობესების მიზნით სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1932 წლის 4 დეკემბერს მიღებულია დადგენილება „მუშათა მომარაგებისა და საბარათო სისტემის გაუმჯობესების საქმეში საქარხნო სამმართველოების უფლებათა გაფართოების შესახებ“[19]. ეს დადგენილება ითვალისწინებდა მუშათა დახურული კოოპერატივების ბაზაზე მუშათა მომარაგების განყოფილებების („ორს“-ების) — ორგანიზაციას, რომელთა ხელმძღვანელობა ევალებოდა საწარმოთა დირექტორების მოადგილეებს მუშათა მომარაგების დარგში. ქვეყნის მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან მუშათა მომარაგების განყოფილებების შექმნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებათაგანი იყო, რომელიც ქმნიდა პირობებს მუშათა კვების პროდუქტებით მომარაგების საკითხის საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვების გეგმებთან დაკავშირებისათვის. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა აღნიშნულ საწარმოებში შრომის მწარმოებლურობის ზრდასა და მუშათა კადრების დენადობის წინააღმდეგ ბრძოლას.

მეორე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის არნახული ტემპებით ზრდამ და ამის საფუძველზე როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანმა გადიდებამ; ქვეყანაში საბარათო სისტემის გაუქმებამ, სასურსათო პროდუქტებზე ცალობრივი ფასების შემცირებამ; ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში სტახანოვური მოძრაობის გაფართოებამ ასახვა ჰპოვა საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის მნიშვნელოვან გადიდებაში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილის მონაცემებით, როგორც საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ისე ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა იმ დროს; ამასთან, 1935—1936 წლებში სოფლად საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის მოცულობის გარკვეული შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საზკვების არარენტაბელურ საწარმოთა ლიკვიდაციით, რაც 1935 წლის მეორე ნახევრიდან განხორციელდა[21].

სსრკ და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა 1932—1937 წწ. (მლნ. მან.)[20]

ცხრილი 3

| წლები | სსრკ | საქ. სსრ | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|
| | | | ქალაქად | სოფლად |
| 1932 | 485 | 9,4 | 7,3 | 2,1 |
| 1933 | 639 | 14,2 | 10,7 | 3,5 |
| 1934 | 704 | 12,7 | 9,3 | 3,4 |
| 1935 | 720 | 13,7 | 11,6 | 2,1 |
| 1936 | 802 | 17,1 | 14,3 | 2,8 |
| 1937 | 1016 | 22,9 | 17,8 | 5,1 |
| 1937 წ. % %-ით 1932 წელთან | 209,5 | 243,6 | 243,8 | 242,8 |

---

[19] С. С. Васильев. Экономика общественного питания, стр. 61.

[20] Советская торговля, стат, сб., М., 1964 стр. 43, ЦГАОРС ГССР. ф. 2006, оп. 1, Д. 106 л. 3.

[21] ЦГАОРС ГССР, ф. 2006. оп. 1, д. 103, л. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ქვეყანაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა მყარი სასაქონლო რესურსების შექმნა და კვების პროდუქტებით მოსახლეობის რეგულარული მომარაგება. ამასთან დაკავშირებით, სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა (1934 წ) მიიღო გადაწყვეტილება ნორმირებული მომარაგების გაუქმების შესახებ[22]. ეს ღონისძიება რამდენიმე ეტაპად ხორციელდებოდა. შესაბამისად დაისვა ახალი ამოცანები საზკვების საწარმოთა გეგმაზომიერი, რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად, რათა ყოველმხრივ დაკმაყოფილებულიყო კვების საჭიროებაზე მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებანი.

აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიება იყო 1935 წელს სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ვაჭრობის საქმიანობის სფეროთა გამიჯვნა. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 29 სექტემბრის დადგენილების — „სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შესახებ“ — საფუძველზე ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვებით მომსახურება დაევალა სახელმწიფოებრივ ვაჭრობას, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციას სოფლად უნდა ეწარმოებინა დამზადებითი და სავაჭრო საქმიანობა. ამან უაღრესად დადებითი ზეგავლენა იქონია საზკვების საწარმოთა მუშაობაზე, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, ერთი მხრივ, ქალაქისა და, მეორე მხრივ, სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივი კვებით მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

პირველ და მეორე ხუთწლედებში საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის ზრდას (როგორც კავშირის მასშტაბით, ისე ჩვენს რესპუბლიკაში) თან სდევდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. 1930—37 წწ. ქვეყნის საზკვების საწარმოთა რიცხვი 23 ათასიდან გადიდდა 50,9 ათასამდე; 1930 წ. ქვეყანაში იყო სულ 23 ფაბრიკა-სამზარეულო, 1937 წლისათვის მათმა რიცხვმა 128 მიაღწია; სასადილოების, საჩაიეებისა და რესტორნების რაოდენობა, შესაბამისად, 16,2 ათასიდან 28,8 ათასამდე, ხოლო სასაუზმეებისა და ბუფეტების რაოდენობა 6.8 ათასიდან 22,0 ათასამდე გაიზარდა[23].

ჩვენს რესპუბლიკაში 1930—1937 წლებში სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა 230-დან 1136-მდე გაიზარდა. მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის ჩვენს რესპუბლიკაში ცალკეული სავაჭრო სისტემებისა და ორგანიზაციების საზკვების ქსელი მნიშვნელოვნად გადიდდა (იხ. ცხრილი 4).

ცხრილის (4) მიხედვით, ამ პერიოდისათვის რესპუბლიკის მოსახლეობის საზოგადოებრივი კვებით მომსახურებაში მთავარი ადგილი სამომხმარებლო კოოპერაციას ეჭირა. იგი აერთიანებდა რესპუბლიკაში არსებულ საზკვების საწარმოთა 52,0%-ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის საზკვების მთლიან ქსელში წამყვანი იყო გაერთიანება საქვაჭრობა, ამიერკავკასიის რკინიგზის ბუფეტების ტრესტი და თბილისის საზკვების ტრესტი, რომელთა წილად მოდიოდა სისტემის საწარმოთა მთლიანი რაოდენობის 68%-ზე მეტი; ამასთან საზკვების საწარმოთა დიდი ნაწილი (65,4%) ქალაქად იყო თავმოყრილი. ქალაქის მოსახლეობის საზოგადოებრივი კვებით მომსახურება-

[22] ЦГАОРС ГССР, ф. 2006, оп . I, д. 7, л. 10.

[23] Советская торговля, стр. 172.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ საზკვების ქსელი 1937 წლის ბოლოსათვის[24]

ცხრილი 4

| ორგანიზაციები | ქალაქად. | | | სოფლად | | | ს უ ლ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სასად., რესტორ. | ბუფეტ., კაფე, სასაუზმ. | ს უ ლ | სასად., რესტორ-ანი | ბუფეტ., კაფე, სასაუზმ. | ს უ ლ | სასად., რესტორ-ანი | ბუფეტ., კაფე, სასაუზმ. | ს უ ლ |
| 1. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემა | 170 | 162 | 332 | 1 | — | 1 | 171 | 162 | 333 |
| საზკვების ტრესტი (თბ.) | 23 | 22 | 45 | — | — | — | 23 | 22 | 45 |
| საქვაჭრობა | 56 | 17 | 73 | — | — | — | 56 | 17 | 73 |
| აჭარვაჭრობა | 6 | 22 | 28 | — | — | — | 6 | 22 | 28 |
| აფხაზეთვაჭრობა | 16 | 15 | 31 | 1 | — | 1 | 17 | 15 | 32 |
| საქკუროორტვაჭრობა | 7 | 7 | 14 | — | — | — | 7 | 7 | 14 |
| აფხაზკუროორტვაჭრობა | 6 | 5 | 11 | — | — | — | 6 | 5 | 11 |
| სამხედრ. ვაჭრობა | 9 | 18 | 27 | — | — | — | 9 | 18 | 27 |
| ბუფეტების ტრესტი (რკინიგზ.) | 38 | 42 | 80 | — | — | — | 38 | 42 | 80 |
| 2. კოოპერაცია | 180 | 110 | 290 | 274 | 27 | 301 | 454 | 137 | 491 |
| ცეკავშირი | 25 | 14 | 39 | 241 | 25 | 266 | 266 | 39 | 305 |
| სარეწაო კავშირი | 89 | 40 | 129 | 13 | — | 13 | 102 | 40 | 142 |
| ინვალიდთა კავშირი | 66 | 56 | 122 | 20 | 2 | 22 | 86 | 58 | 144 |
| 3. სხვა ორგანიზაციები | 82 | 139 | 121 | 88 | 3 | 91 | 170 | 52 | 212 |
| ს უ ლ | 432 | 311 | 743 | 363 | 30 | 393 | 795 | 341 | 1136 |

ში მნიშვნელოვან როლს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის ორგანიზაციები ასრულებდნენ (44,7 პროც.); თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის ქალაქად საზოგადოებრივი კვების ჯერ კიდევ საკმაოდ მძლავრი ქსელი გააჩნდა კოოპერაციასაც, — ეს, პირველ რიგში, ითქმის სარეწაო კავშირსა და ინვალიდთა კოოპერაციულ გაერთიანებაზე, რომელთაც ქალაქად ამ დროისათვის ჰქონდათ საზკვების საწარმოთა 38,8 პროცენტი. ისიც უნდა ითქვას, რომ ამავე პერიოდისათვის როგორც თბილისის სასადილოების, რესტორნებისა და კაფეების ტრესტის, ისე სხვა ორგანიზაციების საზოგადოებრივი კვების ქსელი ძალზე სუსტად იყო განვითარებული: მუშათა რაიონებში, სკოლებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული ქსელის უთანაბრო განადგილება მნიშვნელოვნად აფერხებდა მშრომელთა მომსახურების ორგანიზებას.

ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი კვების განვითარების საქმეში უაღრესად დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 13 მაისის დადგენილებამ — „სსრ კავშირის საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ“[25]. საშინაო ვაჭრობის ადგილობრივი და რესპუბლიკური ორგანოების განმტკიცებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მართვაში ზედმეტი ცენტრალიზაციის თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული დადგენილების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების გამგებლობაში გადაცემულ იქნა საზოგადოებრივი კვების საქალაქო ქსელი, რომელიც ეკუთვნოდათ

[24] ЦГАОРСС ГССР, ст. 2006, оп. 1, д. 139, л. 4.
[25] ЦРАОРСС ГССР, ф. 2006, оп I, д. 107, л. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასადილოების, რესტორნებისა და კაფეების მთავარ სამმართველოს, პირველ და მეორე მთავარვაჭრობებს, რკინიგზის ბუფეტებისა და ვაგონ-რესტორნების მთავარ სამმართველოს, აგრეთვე, სამრეწველო სახალხო კომისარიატების მუშათა მომარაგების განყოფილებებს, გარდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სვერდლოვსკის, გორკის ,მაგნიტოგორსკის, დონეცკის ოლქის, ბახტინსკის რაიონისა და აზოვ-შავი ზღვისპირა მხარის საზოგადოებრივი კვების ქსელისა. ამავე დადგენილებით, მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცათ, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ხელმძღვანელობის მიზნით, შეექმნათ სასადილოების ადგილობრივი მნიშვნელობის საქალაქო ტრესტები. აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე, ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა რესპუბლიკური მნიშვნელობის თბილისის, ბათუმისა და ჭიათურის სასადილოების ტრესტები, რომლებიც უშუალოდ დაექვემდებარნენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.

ყველა სავაჭრო სისტემის საზკვების საწარმოთა საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის მიზნით, სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ აპარატში შეიქმნა საზოგადოებრივი კვების განყოფილება. აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა საზკვების საწარმოთა ნედლეულითა და პროდუქტებით მომარაგების წესიც. დადგინდა, რომ რესტორნების, სასადილოებისა და კაფეების სასურსათო საქონლით მომარაგება განხორციელდებოდა როგორც ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების წვრილ-ბითუმი კანტორების და საბითუმო ვაჭრობის საკავშირო კანტორების — აგრეთვე სახელმწიფოებრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციისა და სხვ. საბითუმო ბაზების მეშვეობით. ამასთან, სსრკ საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სასადილოების, რესტორნებისა და კაფეების მთავარ სამმართველოს, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის სასადილოების ტრესტებს უფლება მიეცათ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დეცენტრალიზებული დამზადებისა და კვების საწარმოთა საქონლით მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, თავიანთ სისტემაში შეექმნათ მომარაგებისა და ავტოსაჭაპანო ტრანსპორტის ბაზები. ეს ღონისძიება უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო ამ პერიოდისათვის საზოგადოებრივი კვების საწარმოთათვის მტკიცე სასაქონლო ბაზის შექმნისა და მათი სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებით.

ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის დავალებები გადაჭარბებით იქნა შესრულებული. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, უმოკლეს ვადაში მთელ ქვეყანაში განხორციელდა ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, ქვეყანაში გატარდა კულტურული რევოლუცია, რამაც საბჭოთა კავშირის ეკონომიკა და კულტურა ახალ, თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. ყოველივე ამის შედეგად ჩვენს ქვეყანაში წარმატებით დასრულდა სოციალიზმის ეკონომიკის საძირკვლების მშენებლობა. ყოველივე ეს სრულ შესაძლებლობას იძლეოდა საბჭოთა ხალხს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კურსი აეღო სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისაკენ, დაესახა ღონისძიებები ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა ახალი განვითარებისათვის, მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისაგან საბჭოთა კავშირის ეკონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიან გეგმაში.

მესამე ხუთწლიანი გეგმის მშვიდობიან პირველ სამ წელს მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარებაში (იხ. ცხრილი 5).

ცხრილის (5) მონაცემებით დასტურდება, რომ აღნიშნულ პერიოდში რესპუბლიკის ცალობრივი ვაჭრობისა და საზკვების ქსელი, მათი საქონელბრუნვა სისტემატურად ფართოვდებოდა. ამასთან, უფრო სწრაფად იზრდებოდა საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა, რომლის ხვედრითმა წონამ 1940 წ. რესპუბლიკის მთლიანი ცალობრივი საქონელბრუნვის 10%-ი შეადგინა.

საქართველოს სსრ ცალობრივი ვაჭრობისა და საზკვებ‍ბის ქსელი და საქონელბრუნვა 1937—1940 წწ.[26]

ცხრილი 5

| | 1937 წ. | 1940 წ. | 1940—1937 წ. %%-ით |
|---|---|---|---|
| 1. საწარმოთა რაოდენობა | | | |
| ა). ცალობრივი ვაჭრობა | 7034 | 7642 | 108,6 |
| ბ). საზკვება | 1166 | 1812 | 155,5 |
| 2). ბრუნვა (მლნ. მ) | | | |
| ა). ცალობრივი ვაჭრობა | 232,1 | 279,5 | 120,4 |
| ბ). საზკვება | 24,7 | 53,0 | 214,6 |
| სულ საქონელბრუნვა | 256,8 | 332,5 | 129,5 |

ამრიგად, საზოგადოებრივი კვების განვითარებისათვის ომამდელ პერიოდში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა საზკვების საწარმოთა ქსელი და გადიდდა მისი საქონელბრუნვა: თუ 1928 წელს საქართველოში იყო საზკვების სულ 105 საწარმო 1940 წლისათვის ირიცხებოდა 1812 ასეთი ობიექტი; შესაბამისად თუ მათი საქონელბრუნვა 1928 წელს არ აღემატებოდა 0,3 მლნ მანეთს, დიდი სამამულო ომის დაწყების წინა წელს ბრუნვამ 53,0 მლნ მანეთი შეადგინა.

საგულისხმოა, რომ მთლიანად ცალობრივი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა აღნიშნულ დროს საქართველოში გადიდდა 21-ჯერ და მეტად, აზერბაიჯანში — 17-ჯერ და სომხეთში — 28-ჯერ. ომის წინა პერიოდში რესპუბლიკაში საზკვების საწარმოთა სიმჭიდროვისა და გაადგილების მაჩვენებლები შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდნენ: 1940 წელს მოსახლეობის 10 ათას სულზე მთლიანად საბჭოთა კავშირში მოდიოდა საზკვების 4 საწარმო; რესპუბლიკების მიხედვით კი შემდეგი სურათი მივიღეთ: აზერბაიჯანში —7, რსფსრ-ში და საქართველოში —5-5, უკრაინასა და სომხეთში — 4-4, ბელორუსიაში და მოლდავეთში —3-3, ლიტვაში —2 და ა. შ. მომსახურების დონის დახასიათებისათვის საინტერესოა, აგრეთვე, მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც მოდიოდა საზკვების ერთ საწარმოზე: ეს საშუალო მაჩვენებელი საბჭოთა კავშირში 1940 წელს შეადგენდა 2188-ს: აზერბაიჯანში — 1380-ს, საქართველოში — 1970-ს, რსფსრ-ში — 2099-ს, უკრაინაში — 2191-ს, ლატვიაში — 2214-ს, მოლდავეთში — 2924-ს, ლიტვაში — 4077-ს. ცალკეული რესპუბლიკების მიხედვით, ფრიად განსხვავებული იყო საზკვების საწარმოთა რაოდენობაც, ყოველ 1000 კვ. კმ ტერიტორიაზე. მთლიანად საბჭოთა კავშირში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 4-ს, უკ-

[26]Народное хозяйство Грузинской ССР, Статистический сборник, Тб., 1957, стр. 168, 176.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაინაში — 31-ს, აზერბაიჯანში — 27-ს, საქართველოში და მოლდავეთში — 25-25-ს, სომხეთში — 19-ს, ლატვიაში — 14-ს, ლიტვაში 11-ს[27].

როგორც აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, საზკვების საწარმოთა დატვირთვის, სიმჭიდროვისა და გაადგილების მაჩვენებლები რესპუბლიკების მიხედვით დიდად განსხვავებულია, რაც მრავალი სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებული, რომელთაგან მთავარია ცალკეული რესპუბლიკების ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონე, აგრეთვე, ბუნებრივ-რელიეფური თუ კლიმატური პირობები და სხვ. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ როგორც ჩვენს რესპუბლიკაშიც და მთლიანად საბჭოთა კავშირშიც ომამდელი პერიოდის საზოგადოებრივი კვება სწრაფი აღმავლობით ვითარდებოდა, რაც შედეგი იყო სოციალისტური ეკონომიკის გაძლიერებისა, ხოლო ეს, თავის მხრივ, საფუძვლად ედებოდა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას.

---

[27] Советская торговля, стр. 441.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г. Б. БУКИЯ

# О РЕНТАБЕЛЬНОСТИ ОБЩЕГОСУДАРСТВЕННОЙ АВТОМАТИЗИРОВАННОЙ СИСТЕМЫ БЕЗНАЛИЧНОГО РАСЧЕТА В СЕТИ РОЗНИЧНОЙ ТОРГОВЛИ

Рассматривается механизм функционирования, в котором товары ценою выше $x=Ц_\mu$ ($\eta$ — определяет уровень автоматизации зачисления и перечисления сумм) продаются только по безналичному расчету. При этом чек выписывается оператором сберегательной кассы, объединенной с соответствующим магазином, а зачисление доходов потребителей на специальную сберегательную книжку осуществляется только бухгалтерией соответствующей организации [1].

Построение интересующей нас макроэкономической модели будем осуществлять на плоскости $(x, t)$, где $x$ — значения цен — рассмотрим, как некоторую дискретную последовательность с шагом $\Delta x$:

$$x_i=i\cdot\Delta x, \qquad i=1,2, \ldots \qquad i_{\max}.$$

Время $t$ также рассмотрим как некоторую дискретную последовательность с шагом $\Delta t$:

$$t_j=t_0+j\cdot\Delta t, \qquad i=0,1,2, \ldots,$$

где $t_0$—некоторое начало отсчета.

Последователность $t_j$ разобьем на некоторые плановые периоды длительностью $T_\alpha$:

$$T_\alpha=b_\alpha\cdot\Delta t$$

($T_0$—пятилетие, $T_1$—год, $T_2$—квартал, $T_3$—месяц).

Конкретный плановый период обозначим параметром $\Gamma_\alpha$, который численно представляет собою конец последнего временного шага предыдущего планового периода того же типа.

Конкретный шаг некоторого периода $\Gamma_\alpha$, обозначим его через $g_{\alpha j}$, будет находиться в диапазоне:

$$\Gamma_\alpha < g_{\alpha j} \leqslant \Gamma_\alpha + T_\alpha.$$

Введем параметр $\tau_{\alpha k}$, соответствующий временному интервалу, измеренному от начала планового периода:

$$\tau_{\alpha k}=g_{\alpha j}-\Gamma_\alpha, \quad O<\tau_{\alpha k}\leqslant T_\alpha, \qquad k=1,2,\ldots\ldots k_{\max}(\Gamma_\alpha),$$
$$T_\alpha=k_{\max}(\Gamma_\alpha)\cdot\Delta t,\ \tau_{\alpha k}=k\cdot\Delta t,\ \Delta\tau_\alpha=\Delta t.$$

Введем функцию $V(x_i, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)$, описывающую общее количество товаров ценою не выше $x_i$ реализуемых (в соответствии с плановым заданием) торговой сетью за время $\tau_{\alpha k}$ некоторого планового периода $\Gamma_\alpha$. Используем конечные разности в следующих обозначениях [2]:

$$\Delta_x V(x_i, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)=V(x_i, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)-V(x_{i-1}, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha);$$
$$\Delta_\tau V(x_i, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)=V(x_i, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)-V(x_i, \tau_{\alpha\, k-1}, \Gamma_\alpha);$$
$$\Delta_x\Delta_\tau V(x_i, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)=\Delta_\tau\Delta_x V(x_i, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)=$$
$$=V(x_i, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)-V(x_{i-1}, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)-V(x_i, \tau_{\alpha k-1}, \Gamma_\alpha)+V(x_{i-1}, \tau_{\alpha k-1}\, \Gamma_\alpha).$$

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Введем $x_{i\ \text{ср}}$ — среднюю цену товара внутри шага $\Delta x$:

$$x_{i\ \text{ср}} = \frac{x_i + x_i + \Delta x}{2} = x_i + \Delta x/2$$

и если шаг дискретности мал, то для точек, лежащих далее некоторой окрестности, расположенной у начала координат, можно принять, что

$$x_{i\ \text{ср}} \approx x_i.$$

Общая стоимость товаров, в диапазоне цен и времен $[x_{i-1}\ x_i)$, $[\tau_{\alpha k-1}, \tau_{\alpha k})$ будет равна

$$H_{x\tau}(x_i, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha) = x_i \cdot \Delta_x \Delta_\tau V(x_i, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha).$$

Общая стоимость товаров ценою выше $x_i$, реализованных за время $[\tau_{\alpha k-1}, \tau_{\alpha k})$ планового периода $\Gamma_\alpha$, будет равна

$$H_\tau(x_{i\max}, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha) = \sum_{l=i+1}^{i_{\max}} x_l \cdot \Delta_x \Delta_\tau V(x_l, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha).$$

Назовем эту функцию функцией Безналичных расходов потребителей. За время $\tau_{\alpha k}$ на счета торгующих организаций будет зачислена следующая сумма:

$$H(x_i, x_{i\max}, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha) = \sum_{m=1}^{k} H_\tau(x_i, x_{i\max}, \tau_{\alpha m}, \Gamma_\alpha).$$

Назовем эту функцию Интегральной функцией безналичных расходов потребителей.

Введем Интегральную функцию безналичных доходов потребителей $U(\tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)$, которая описывает общее количество денежных сумм, зачисленных на специальные сберегательные книжки за время $\tau_{\alpha k}$ планового периода $\Gamma_\alpha$, тогда

$$\Delta_\tau U(_{\alpha k}, \Gamma_\alpha) = U(\tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha) - U(\tau_{\alpha k-1}, \Gamma_\alpha)$$

представляет сумму денег, зачисленную на специальные сберегательные книжки за промежуток времени $[\tau_{\alpha k-1}, \tau_{\alpha k})$:

$$U(\tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha) = \sum_{m=1}^{k} \Delta_\tau U(\tau_{\alpha m}, \Gamma_\alpha).$$

Назовем $\Delta_\tau U(\tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)$ Функцией безналичных доходов потребителей.

Введем Функцию накопления $d(x_i, x_{i\max}, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha)$, которая описывает сумму денег, хранящуюся на счетах специальных сберегательных книжек, точнее, записанную на счетах к концу временного шага $[\tau_{\alpha k-1}, \tau_{\alpha k})$

$$d(x_i, x_{i\max}, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha) = U(\tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha) - H(x_i, x_{i\max}, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha) + d(x_i, \tau_{\alpha 0}, \Gamma_\alpha),$$

где $d(x_i, \tau_{\alpha 0}, \Gamma_\alpha)$ — суммарный остаток на счетах от предыдущего планового периода $\Gamma_\alpha' = \Gamma_\alpha - T_\alpha$, т. е. уровень безналичных вкладов на начало планового периода $\Gamma_\alpha$.

Среднее значение суммы, находящейся на счетах специальных сберегательных книжек в течение планового периода, т. е. среднее значение уровня безналичных вкладов потребителей, равно среднему значению функции накопления за плановый период.

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$d_{ср}(x_i, x_{i\,max}, T_\alpha, \Gamma_\alpha) = \frac{1}{k_{max}} \sum_{k=1}^{k_{max}} d(x_i, x_{i\,max}, \tau_{\alpha k}, \Gamma_\alpha).$$

Остаток на следующий плановый период

$$d(x_i, \tau_{\alpha 0}, \Gamma_\alpha + T_\alpha) = d(x_i, x_{i\,max}, T_\alpha, \Gamma_\alpha) =$$
$$= U(T_\alpha, \Gamma_\alpha) - H(x_i, x_{i\,max}, T_\alpha, \Gamma_\alpha) + d(x_i, \tau_{\alpha 0}, \Gamma_\alpha).$$

Необходимо определить зависимость значения $d_{ср}(x_i, x_{i\,max}, T_\alpha, \Gamma_\alpha)$ от вида функций $\Delta_\tau U(\tau_\alpha, \Gamma_\alpha)$ и $H_\tau(x_i, x_{i\,max}, \tau_\alpha, \Gamma_\alpha)$ при фиксированных общих суммах безналичных доходов и безналичных расходов за плановый период:

$$\sum_{m=1}^{k_{max}} \Delta_\tau U(\tau_{\alpha m}, \Gamma_\alpha) = U(T_\alpha, \Gamma_\alpha) = C_u(\Gamma_\alpha),$$

$$\sum_{m=1}^{k_{max}} H_\tau(x_i, x_{i\,max}, \tau_{\alpha m}, \Gamma_\alpha) = H(x_i, x_{i\,max}, T_\alpha, \Gamma_\alpha) = C_н(x_i, \Gamma_\alpha).$$

Используем доказанное нами „соотношение сумм"

$$\frac{1}{n} \sum_{k=1}^{n} \sum_{m=1}^{k} p_m = \sum_{m=1}^{n} p_m - \frac{1}{n} \sum_{m=1}^{n} (m-1) \cdot p_m.$$

Введем обозначения:

$$R = \frac{1}{n} \sum_{k=1}^{n} \sum_{m=1}^{k} p_m, \quad r = \left( \sum_{m=1}^{n} m p_m \right) \Big/ \left( \sum_{m=1}^{n} p_m \right),$$

$r$ — можно интерпретировать, как „центр тяжести денежных масс" [3]. Исходя из „соотношения сумм", будем иметь

$$R(r) = \left( \sum_{m=1}^{n} p_m \right) \cdot \left[ 1 - \frac{1}{n}(r-1) \right].$$

Из полученного выражения видно, что чем меньше $r$, т. е. чем ближе центр тяжести денежных масс к началу отрезка, тем больше величина $R(r)$, и чем больше величина $r$, т. е. чем ближе центр тяжести денежных масс к концу отрезка, тем величина $R(r)$ меньше.

Величина $d_{ср}(x_i, x_{i\,max}, T_\alpha, \Gamma_\alpha)$ состоит из разности величин типа $R$ и некоторого добавочного члена

$$d_{ср}(x_i, x_{i\,max}, T_\alpha, \Gamma_\alpha) = R_u - R_н + d(x_i, \tau_{\alpha 0}, \Gamma_\alpha).$$

В одном случае

$$p_m = \Delta_\tau U(\tau_{\alpha m}, \Gamma_\alpha), \qquad n = k_{max},$$

$$r_u = \frac{1}{C_u(\Gamma_\alpha)} \sum_{m=1}^{k_{max}} m \cdot \Delta_\tau U(\tau_{\alpha m}, \Gamma_\alpha), \qquad \text{где } C_u(\Gamma_\alpha) = \sum_{m=1}^{k_{max}} \Delta_\tau U(\tau_{\alpha m}, \Gamma_\alpha),$$

в другом

$$p_m = H_\tau(x_i, x_{i\,max}, \tau_{\alpha m}, \Gamma_\alpha), \qquad n = k_{max},$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$r_{н}=\frac{1}{C_{н}(x_i,\Gamma_\alpha)}\sum_{m=1}^{k_{max}} m\cdot H_\tau(x_i, x_{i\,max}, \tau_{\alpha m}, \Gamma_\alpha), \text{ где } C_{н}(x_i, \Gamma_\alpha) = \sum_{m=1}^{k_{max}} H_\tau(x_i, x_{i\,max}, \tau_{\alpha m}, \Gamma_\alpha).$$

Окончательно получим следующее выражение:

$$d_{ср}(x_i, x_{i\,max}, T_\alpha, \Gamma_\alpha) = C_u(\Gamma_\alpha) - \left[1-\frac{1}{k_{max}}(r_u-1)\right] - C_{н}(x_i, \Gamma_\alpha)\cdot\left[1-\frac{1}{k_{max}}(r_{н}-1)\right] + d(x_i, \tau_{\alpha 0}, \Gamma_\alpha).$$

Следовательно, при данном общем количестве безналичных доходов и расходов за рассматриваемый плановый период средний уровень вкладов будет тем выше, чем ближе будет расположен центр тяжести денежной массы доходов к началу планового периода, и чем ближе будет расположен центр тяжести денежной массы расходов к концу планового периода. При этом, изменение распределения по плановому периоду расходов и доходов без изменения расположения центров тяжести не влияет на средний уровень вкладов.

Обозначим через $P_{0\eta}$ капитальные затраты, которые необходимо произвести для того, чтобы перейти от уровня автоматизации $(\eta=0)$ к уровню автоматизации $\eta$. через $P_{1\eta}(x_i)$ обозначим расходы, связанные с выписыванием чека при покупке товара через расположенную в магазине сберегательную кассу. Очевидно, что указанные расходы пропорциональны количеству товара, реализованного безналичным способом. Количество нештучных товаров определяется отношением общего объема реализованного товара в соответствующих единицах измерения к среднему количеству, реализуемому при одной торговой операции. Коэффициент пропорциональности $q_\eta$ —определяет затраты на одну операцию [5, 6] выписывания чека и зависит от уровня автоматизации.

$$P_{1\eta}(x_i) = q_\eta\cdot\sum_{l=i+1}^{i_{max}} \Delta_x V(x_e, T_\alpha, \Gamma_\alpha)$$

Обозначим через $P_{2\eta}$ дополнительные текущие затраты, связанные с зачислением сумм на специальные сберегательные книжки. Эта величина зависит от общей численности трудящихся, получающих доходы через соответствующие бухгалтерии.

Так как в $P_{0\eta}$ мы включаем и капитальные затраты, необходимые для автоматизации существующих безналичных расчетов между организациями, то обозначим через $P_{3\eta}$ соответствующие текущие эксплуатационные затраты (по существу это экономия текущих затрат [4] со знаком минус).

Считая, что доход сберегательной кассы пропорционален среднему уровню вкладов [5, 6] с коэффициентом пропорциональности s и взяв за исследуемый плановый период год, для функции доходов системы при данном уровне автоматизации $\eta$, будем иметь следующее выражение:

$$D_{\eta}\ (x_i,\ x_{i\,\max},\ \Gamma_{\alpha}) = Sd \cdot d_{\text{ср}}\ (x_i,\ x_{i\,\max},\ T_{\alpha},\ \Gamma_{\alpha}) - \sum_{\beta=1}^{3} P_{\beta 4}.$$

Для срока окупаемости [4] будем иметь:

$$O_{\eta}\ (x_i,\ x_{i\,\max},\ \Gamma_{\alpha}) = \frac{P_{0\eta}}{D_{\eta}(x_i,\ x_{i\,\max}, \Gamma_{\alpha})}\ .$$

ЛИТЕРАТУРА

1. Г. Б. Букия, Х. В. Лекиашвили, Д. Ш. Сичинава, Б. А. Шарашидзе, Л. В. Шенгелия, Сообщения АН ГССР, том 83, №3, 1976, стр. 749—752.
2. В. С. Пугачев, Теория случайных функций и ее применение к задачам автоматического управления, М., 1962.
3. Б. М. Яворский, А. А. Детлаф, Справочник по физике, М., 1963.
4. Методика оценки экономической эффективности отраслевых автоматизированных систем управления (ОАСУ) в промышленных министерствах, всесоюзных и республиканских промышленных объединениях, М., 1974.
5. Ю. М. Белугин, Экономика сберегательного дела, М., 1975.
6. Г. Ф. Еремеева, Г. С. Ткаченко, Основы сберегательного дела, М., 1976.

G. B. BUKIA

## ON PROFITABILITY OF THE STATE ACCOUNTS CLEARING DATA PROCESSING SYSTEM IN THE NETWORK OF RETAIL TRADE

The paper describes a discreet model of the state accounts clearing data— processing system in the network of retall trade, on the basis of which a method of optimization and defining the economic efficiency of functioning of the said system has been worked out.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამართალი

ი. დოლიძე

## ექვთიმე თაყაიშვილი ძველი საქართველოს სამოხელეო წესწყობილების შესახებ

არაჩვეულებრივი გულთბილი მეგობრული ურთიერთობა სუფევდა მეოცე საუკუნის ორ დიდ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს — ექვთიმე თაყაიშვილსა და ივანე ჯავახიშვილს შორის. ისინი დიდად აფასებდნენ ერთმანეთს. ივ. ჯავახიშვილი იყო „ბუმბერაზი მეცნიერი, ფუძემდებელი ქართული სიბრძნისმეტყველებისა და, კერძოდ, ისტორიის ყველა დარგისა“[1].

ბატონ ივანეს სიტყვებით, ექვთ. თაყაიშვილმა „მეცნიერებას მრავალი ნაშთი სამუდამო და უთუო დაღუპვისაგან გადაურჩინა და ქართულ სიძველეთა და ხელოვნების მეცნიერების მომავალს განვითარების საუკეთესო პირობები შეუქმნა“[2].

„მამულიშვილობისა და მეცნიერების“ ახალგაზრდა ავტორსა და „საქართველოს სიძველენის“ დამაშვრალ მკვლევარს შორის, როგორც ეს მათი მიმოწერიდან ჩანს, განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა მას შემდეგ, რაც ექ. თაყაიშვილმა ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი კულტურის დიდებული ძეგლი — „ხელმწიფის კარის გარიგება“ აღმოაჩინა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ამ ორი დიდი მეცნიერის მიმოწერა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. 1908 წლის 4 ნოემბერს ექ. თაყაიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ივანე ჯავახიშვილს სწერდა: „ბ-ნო ივანე, ... ამასთან ერთ ამბავს გახარებ, ვიცი გეამება, გიორგი ბრწყინვალის კარის გარიგება ანუ დასტურლამალი ვიპოვე, მაგრამ სამწუხაროთ სრული არ არის, სულ 35 პარაგრაფია დაცული, შესანიშნავ ცნობებს იძლევა“[3].

ერთი კვირაც არ გასულა, რომ ბატონი ივანე აღფრთოვანებულ პასუხს სწერს პეტერბურგიდან: „ბატონო ექვთიმე,... გიორგი ბრწყინვალის „კარის გარიგების“ პოვნამ ძალიან გამახარა, გულწრფელად მომილოცავს და გთხოვთ რაც შეიძლება მალე გამოაქვეყნოთ, მოუთმენლად ველი მის დაბეჭდვას“[4]. ბატონ ივანეს დიდი სიხარული კარის გარიგების აღმოჩენის გამო სრულიად ბუნებრივია, თუ გავიხსენებთ, რომ ამ დროისათვის მან უკვე დაამთავრა „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნის წერა და შეუდგა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების საფუძვლიან შესწავლას. იმავე წლის 23 ნოემბერს ექვთიმე თაყაიშვილი აუწყებს ივანე ჯავახიშვილს: „ბატონო ივანე,... გიორგი ბრწყინვალის კარის განგების გამოცე-

---

[1] ექ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, I, 1968, გვ. 414.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის პირადი ფონდი, № 416.

[3] იქვე, № 1820.

[4] ექ. თაყაიშვილის პირადი ფონდი, №1334.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას მეც ვეშურები. იმედი მაქვს ჩვენი საზოგადოების პირველ კრებულში მოვათავსო. უკვე გადავსწერე“[5].

როგორც ჩანს, ექ. თაყაიშვილის ეს წადილი ვერ განხორციელდა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების (თავმჯდომარე ბ-ნი ექვთიმე იყო), პირველ კრებულში და არც „ძველი საქართველოს“ შემდგომ ტომებში „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტი არ დაბეჭდილა. ეს გარემოება ექვთიმე თაყაიშვილის განსაკუთრებული მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და მომთხოვნელობით უნდა აიხსნას. მას სხვებზე უკეთ ესმოდა, თუ რა დიდებული ძეგლია კარის გარიგება და რა მნიშვნელობა აქვს მას ქართული სამართლებრივი კულტურის ისტორიისათვის. 12 წელი იმუშავა ბ-ნმა ექვთიმემ ამ ძეგლის ტექსტზე, ვიდრე მას 1920 წელს გამოაქვეყნებდა. წიგნის წინასიტყვაობაში იგი ამბობს: „ამ ოცდაათი წლის განმავლობაში აუარებელი ძეგლები და ისტორიული საბუთები აღმოჩნდა და გამოქვეყნდა, რომელთა მეოხებით ქვაკუთხედი ჩაეყარა ჩვენი ისტორიის შესწავლას, მაგრამ ჯერ არ აღმოჩენილა ძეგლი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების, სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორიც ხელმწიფის კარის გარიგებას აქვს... ასეთი ძეგლი იშვიათია თვით უაღრეს კულტუროსან დიდ ხალხების და სახელმწიფოთა ისტორიაშიც“[6].

მართლაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ხელმწიფის კარის გარიგებას ისეთივე დიდი და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის, როგორიც აქვს XII საუკუნის „ხელმწიფის კარის კონსტიტუციას“ (Constitutio Domus Regis) ინგლისის ისტორიისა და 1356 წლის „ოქროს ბულას“ (Die Goldene Bulle) გერმანიის ისტორიისათვის. დიახ, ხელმწიფის კარის გარიგება საქართველოს „ოქროს ბულას“ წარმოადგენს.

კარის გარიგების ტექსტის შესახებ, რომელიც გადაწერილია მე-17 საუკუნის ნუსხა-ხუცური ხელით, ექვთიმე წერს: „ხელნაწერი, რომელშიაც დაცულია გარიგება ხელმწიფის კარისა, ჩვენ ვიპოვნეთ რამოდენიმე წლის წინათ ქართლში მოგზაურობის დროს ერთს გაპარტახებულს სახლში და ამოვიღეთ ნაგავიდან, რომელიც ჩვენს თვალის წინ გამოგავეს ოთახიდან“. კარის გარიგების აღმოჩენის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ძეგლი ნაპოვნია არა უადრეს 1908 წლისა; რადგან, როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილი ყოველწლიურად და ზოგჯერ წელიწადში ორჯერ ჩამოდიოდა პეტერბურგიდან თბილისში და კითხულობდა საჯარო ლექციებს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. რა თქმა უნდა, ექვთიმეს რომ ძეგლი უფრო ადრე ეპოვნა, დაუყოვნებლივ აცნობებდა ბ-ნ ივანეს. 1908 წლის 4 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილისადმი მიწერილ ექვთიმეს წერილიდან სწორედ ის ჩანს, რომ კარის გარიგება ახალი ნაპოვნია და ამიტომ ექვთიმე ჩქარობს, ეს სასიხარულო ამბავი რაც შეიძლება მალე აცნობოს თავის უმცროს მეგობარს. საფიქრებელია, რომ კარის გარიგება ექვთიმემ სწორედ 1908 წლის ზაფხულის არქეოლოგიური ექსპედიციის დროს იპოვნა.

კარის გარიგების წინასიტყვაობაში ექ. თაყაიშვილი წერს: „როდესაც ეს

---

[5] ივ. ჯავახიშვილის პირადი ფონდი, №1821.

[6] ექ. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, 1920, გვ. XXXIV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლი ვიპოვნეთ, ჩვენ ორი მოხსენება წავიკითხეთ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზედ და იქ აღვნუსხეთ დაწვრილებით უფლებამოვალეობანი და ფუნქციები თითოეულის მოხელისა, როგორც კარის გარიგების ისე სხვა წყაროების მიხედვით. კარის გარიგება უნდა დაბეჭდილიყო პეტროგრადის აკადემიის გამოცემათა სერიაში რუსულის თარგმანითურთ. ტექსტი უკვე აწყობილი იყო. ამ დროს ჩვენი ისტორიკოსი პროფესორი ივ. ჯავახიშვილი შეუდგა ქართული სამართლის ისტორიის გამოცემას და მისი თხოვნით ნება დავრთე ესარგებლა აკადემიის მიერ აწყობლი ტექსტით კ. გარიგებისა“[7].

მართლაც, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წლიურ კრებაზე, 1910 წლის 21 ნოემბერს ექ. თაყაიშვილს წაუკითხავს მოხსენება ხელმწიფის კარის გარიგების შესახებ. დღის წესრიგის III პუნქტში (ოქმი № 39) ნათქვამია: „შემდგომ კრებამ მოისმინა ექვთ. სვ. თაყაიშვილის რეფერატი: „სამეფო კარის გარიგება ძველ საქართველოში“, რომელსაც კამათი არ გამოუწვევია. რეფერატი საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა.[8].

ექ. თაყაიშვილის მეორე მოხსენება კარის გარიგების შესახებ შედგა ამავე საზოგადოების „ჩვეულებრივ საერთო კრებაზე“ 1911 წლის 26 თებერვალს. დღის წესრიგის II პუნქტში (ოქმი № 46) სწერია: „ამის შემდეგ ექვთ. თაყაიშვილმა წაიკითხა თავისი მოხსენება «დარბაზობა მეფისა და სიგელის გაცემის წესი საქართველოში». თავის მოხსენებას რეფერანტმა საფუძლად დაუდო მის მიერ აღმოჩენილი ტექსტი «კარის გარიგება», რომელიც მისის აზრით, უნდა ეკუთვნოდეს მე-13 საუკუნის დასასრულს ან მე-14 საუკუნის ნახევარს. მომხსენებელი ვრცლად შეეხო სიგელის მიცემის და ბეჭდის დასმის წესს მე-14 საუკუნეში და შეუდარა ეს წესი მე-17 საუკუნეში არსებულ წესს. შემდეგ რეფერანტმა მოიყვანა ვრცელი ცნობები მეფის დარბაზობის შესახებ იმავე «კარის გარიგებიდან»[9].

ჩვენი წერილი სწორედ ამ ორ მოხსენებას ეხება, რომელთა ტექსტი დღემდე არ გამოქვეყნებულა და დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ექ. თაყაიშვილის პირად ფონდში. ვფიქრობთ, განმარტებას არ საჭიროებს, თუ რა დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ყოველ, თუნდაც მცირე წერილსა და შტუდიას კარის გარიგების შესახებ. მით უმეტეს, როცა ასეთი წერილის ავტორია ძეგლის პირველი მესიტყვე, სახელოვანი მეცნიერი, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართველოლოგიას ამ ძეგლის გამოკვლევითა და გამოცემით. მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ გამოკვლევა დაწერილია თითქმის 70 წლის წინათ, როცა ძველი საქართველოს სამეფო კარის ცერემონიალისადმი მიძღვნილი არავითარი გამოკვლევა არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ამ ხნის მანძილზე კარის გარიგების მეცნიერული შესწავლა, რაშიაც დიდი დამსახურება ისევ ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის, წარმატებით გრძელდებოდა. მაგრამ პირველობის კვერთხს ბატონ ექვთიმეს მაინც ვერავინ შეეცილება. მხოლოდ ექვთიმეს წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ ბ-ნ ივანეს ჯერ კიდევ ძეგლის გამოქვეყნებამდე ღრმად და ყოველმხრივ შეესწავლა კარის გარიგების ტექსტი, რომელიც ასე თავაზიანად და დიდსულოვნად დაუთმო მას

[7] იქვე, გვ. XXXVI.

[8] ძველი საქართველო ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1913—1914, განყოფილება მესამე, გვ. 68.

[9] იქვე, გვ. 99.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ-მა ექვთიმემ. ეს ფაქტი მეტად იშვიათი და ჭეშმარიტი მეცნიერისათვის მისაბაძი მაგალითია.

ექ. თაყაიშვილის ავტოგრაფები და კარის გარიგების სხვა მასალები დაცულია მისი პირადი ფონდის 81—96 ნომრებში. ძეგლის ქართული ტექსტის ანაწყობის ერთი, არასრული ეგზემპლარი (აკლია 2—15 გვერდები) დაცულია №87-ში, რომელიც აკადემიის სტამბას გადმოუგზავნია ავტორისათვის პეტერბურგიდან 1913 წლის 31 დეკემბერს. მეორე თაბახის მე-17 გვერდზე რედაქტორის — ექვთიმეს სიყრმის მეგობრისა და ივანე ჯავახიშვილის მეცნიერ ხელმძღვანელის — აკად. ნ. მარის ხელით მიწერილია: «исправить и для подписи отправить Е. С. Такайшвили».

რაც შეეხება კარის გარიგების რუსულ ტექსტს, მისი სრული თარგმანი დაცულია ამავე ფონდის № 95-ში. ტექსტი აწყობილია გაზეთის ფორმატის სამ გვერდზე, თითოეული გვერდის ბოლოს უზის სტამბის ბეჭედი, რომელშიც ხელით ჩაწერილია: „17. VI. 1914“. ამრიგად, კარის გარიგების ქართული და რუსული ტექსტი მზად ყოფილა 1914 წელს. სწორედ ამ დროს მიუმართავს ბ-ნ ივანეს თხოვნით ექვთიმესათვის აწყობილი ტექსტით სარგებლობის ნებართვის შესახებ. როგორც ცნობილია, კარის გარიგების გამოკვლევის მთავარი შედეგები ივ. ჯავახიშვილმა 1919 წელს გამოაქვეყნა „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში.

ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ექ. თაყაიშვილის ნაშრომი „ხელმწიფის კარის გარიგება“; ტექსტს დართული აქვს ვრცელი გამოკვლევა და საძიებელ-ლექსიკონი. დასახელებულ გამოცემაში ექვთიმეს არ შეუტანია თავისი გამოკვლევა სამოხელეო წესწყობილების შესახებ. ღვაწლმოსილი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილისადმი ულრმესი პატივისცემითა და მეცნიერისათვის შესაშური თავმდაბლობით წერდა: „ეხლა ივ. ჯავახიშვილის შრომა უკვე გამოსულია და ამ გამოკვლევაში საკითხი საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფალთა უფლება-მოვალეობისა უფრო დაწვრილებით და კარგათ არის გაშუქებული, ვიდრე ჩვენს მოხსენებაში იყო“[10].

გამოჩენილი მეცნიერის ეს განცხადება მხოლოდ მისი დიდბუნებოვნებითა და უჩვეულო მოკრძალებით აიხსნება. ექ. თაყაიშვილის გამოკვლევას ძველი საქართველოს სამოხელეო წესწყობილების შესახებ დღემდე არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა, ხოლო კარის გარიგების აღმოჩენისა და მისი მეცნიერული შესწავლის ისტორიისათვის იგი მარად საჭირო მასალა იქნება.

ექ. თაყაიშვილის მოხსენების ხელნაწერი სულ 29 ფურცელს შეიცავს, აქედან პირველი 26 ფურცელი დიდი ფორმატისაა, დაწერილია შავი მელნით. ნაწილი ფურცლებისა დაწერილია ორივე გვერდზე (1—7, 9, 11—14, 20, 24), ხოლო ნაწილი ცალ გვერდზე (8, 10, 15—19, 21—23). 26—28 ფურცლები დაწერილია ფანქრით, ხოლო უკანასკნელი 29-ე გვერდი—იმავე მელნით ნახევარ ფურცელზე. მე-12 ფურცლის შავად ნაწერი ტექსტი შემდეგ სუფთად გადაწერილია მე-17 და მე-19 ფურცლებზე. 25—28 ფურცლებზე ცალკეული ტერმინებისა თუ ფრაზების შავი ჩანაწერებია, რომელთაც მოხსენების ტექსტთან უშუალო კავშირი არა აქვთ.

გვერდების პაგინაცია გაკეთებულია ექვთიმეს მიერ, მაგრამ თავისებურად; ციფრები არ ემთხვევა ფურცლების რაოდენობას: პირველ ორ შეერთე-

---

[10] ექ. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. XXXVI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ ფურცელზე აწერია ციფრი 1, ხოლო მეორეზე —2; შემდეგი ფურცლები (3—11) დანომრილია თანმიმდევრობით, მომდევნო ორ შეერთებულ ფურცელზე კი დასმულია ციფრი 12, ხოლო შემდეგ ფურცელზე 13. დანარჩენი ფურცლები ექვთიმეს მიერ დანომრილი არ არის.

შემდეგ, ხელნაწერის აღწერილობის დროს, ფურცლების პაგინაცია ფანქრით გაუკეთებიათ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ ტექსტის თანამიმდევრობისათვის და ზოგიერთი ფურცელი (16,17, 23, 24 და 29) არასწორად დაუნომრავთ. ჩვენ მოხსენების შინაარსის მიხედვით აღვადგინეთ ტექსტის თანამიმდევრობა.

მოხსენების ტექსტი თავდაპირველ ვარიანტს წარმოადგენს, ავტორის მიერ იგი საბოლოოდ რედაქტირებული და დასაბეჭდად მომზადებული არ ყოფილა. აქა-იქ ტექსტი გადახაზულია. აშიებზე მიწერილ ტექსტს ზოგჯერ თავისი ადგილი მინიშნებული არა აქვს, გვხვდება განმეორებებიც. კარს გარიგებისა და სხვა ტექსტების დამოწმების ნაცვლად ავტორი არაიშვიათად მხოლოდ პარაგრაფებსა და გამოყენებული ლიტერატურის გვერდებს უთითებს. ექვთიმეს ნაწერში ალაგ-ალაგ გვხვდება ძველი ორთოგრაფიით დაწერილი სიტყვები: „საჴელო“, „ჴელი“, „ჴელისუფალნი“, „ჴმალი“, „თჳთ“ და სხვა, რაც თანამედროვე მართლწერის მიხედვით გავმართეთ. ხელნაწერში დამოწმებული კარის გარიგების ტექსტები და პარაგრაფები გამოცემულ ტექსტს შევაჯერეთ და ამის მიხედვით გავასწორეთ ზოგიერთი ადგილი. სხვა მხრივ მოხსენების ტექსტი უცვლელად იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამართალი

ექვთიმე თაყაიშვილი

## სამეფო კარის გარიგება ძველ საქართველოში*

[ფ. 29][1] რას წარმოგვიდგენს შინაარსის მიხედვით კარის გარიგება? კარის გარიგება ეხება ყველა სახელმწიფო მოხელეს, ანუ ხელისუფალთ, და მოგვითხრობს, თუ რა მოვალეობა აწევს თვითეულს მათგანს და რა უფლება აქვთ მათ, შემდეგ მოგვითხრობს მეფის კარის ცხოვრებას, ყოველგვარ ცერემონიებს, ჩვეულებას, მიღებას სტუმართა, დარბაზობას, პურობას ანუ მეჯლიშს და სხვა. ერთი სიტყვით ასე თუ ისე ეხება ყოველგვარ მართვა-გამგეობას სახელმწიფოსას. ჯერ ჩამოვთვალოთ ყველა მოხელენი, რომელნიც მოხსენებულნი არიან ჩვენს კარის გარიგებაში და შემდეგ გადავიდეთ მათ უფლებაზე და მოვალეობაზედ. რასაკვირველია, რაკი ჩვენი დედანი სანახევროთ არ არის დაცული, სია მოხელეთა და მათი უფლება-მოვალეობანი სრულათ არ იქნება წარმოდგენილი. მაგრამ რაც გვაქვს, იმითაც უნდა ვიკმაროთ. არხეოლოგის გული გაუმაძღარია, ამდეხანს სულ არაფერი გვქონდა და ეხლა იმას ვნაღვლობთ, რომ მთელათ არა გვაქვს ხელში.

### [ფ. 23] ვეზირები ანუ პირველნი ხელისუფალნი საქართველოში

კარის გარიგების მიხედვით ყველა სახელმწიფო საქმეებს განაგებენ მათის მრავალრიცხოვანის ხელქვეითის მოხელეების საშვალებით ოთხი ვეზირი ჭყოინდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთ-უხუცესი. მეჭურჭლეთ-უხუცესი[2]. ესენი ახლანდელის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, შეადგენენ სამინისტროს და მათ შორის პირველი მინისტრია, პრემიერია, ჭყოინდელი, ანუ ჭყონდიდელი. მოგეხსენებათ, რომ ჭყონდიდელი სამღვდელო პირია, ჭყონდიდის ანუ ეხლანდელი მარტვილის ეპისკოპოსია, მაგრამ ის მარტვილში კი არ ზის, არამედ სატახტო ქალაქში და პირველი ვეზირი არის მეფისა ანუ „ვაზირთა ყოველთა უპირველესია“, მასთან „მწიგნობართ უხუცესია“ ანუ განათლების მინისტრია და აგრეთვე „საღმთოჲთა მსჯავრითა მართლმსაჯველი და ხელისმპყრობელი უღონოთა და ქვრივთა“, მას აქვს პატივი „პროტო-უპერტიმოსისაჲ“. ამას ვტყობილობთ თამარ მეფის დროს არაბულიდან ანუ სპარსულიდან ქართულად ნათარგმნს კარაბადინის წარწერაში, რომელიც თვით ჭყონდიდლის ბრძანებით არის ნათარგმნი.

---

* მოხსენება წაკითხულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წლიურ კრებაზე 1910 წლის 21 ნოემბერს.

[1] ხელნაწერის ფურცლები შინაარსის მიხედვით დავალაგეთ.

[2] დაყოფით აწყობილი ტექსტი ავტოგრაფში ყველგან ხაზგასმულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## [ფ. 24] ვეზირობა

ბჭობას სახელმწიფო საქმეთა შესახებ ვეზირობა ჰქვია. სავაზიროს წევრი არიან ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთ-უხუცესი, მსახურთ-უხუცესი, ამილახორი და მანდატურთ-უხუცესი, მაგრამ ვინაითგან მანდატურთ-უხუცესის ხარისხი და ამირსპასალარისა ზოგჯერ ერთ და იმავე პირს აქვს, უფრო შანშეთ სახლის ჩამომავლობას, ამიტომ მანდატურთ-უხუცესი სავაზიროს წევრად პირდაპირ მოხსენებული არ არის. კარის გარიგებაში სწერია: ამირ-სპასალარი საბატიო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა და უმისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების, და პატივი მისი და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის, და ესეც იქნების, რომე ორივე ერთსა ქონდეს. და უფრო შანშეთ სახლისა არის. ესევე ორი ჴელი ერთსა აქვს, და თუ ორთა (§ 36, სტრ. 441—446).

აქედგან ჩვენ ის აზრი გამოგვყავს, რომ თუ მანდატურთ უხუცესობის ხარისხს ცალკე პირი ატარებდა და არა ამირსპასალარი, ის სავაზიროს წევრი უნდა ყოფილიყო, ვინაითგან პატივი მისი და მანდატურთ-უხუცესისა სწორი იყო. ამილახორი სრულუფლებიანი წევრი არ ყოფილა სავაზიროსი. მას მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდა და, თუ რამეს ჰკითხვიდენ, პასუხს იძლეოდა. ამის შესახებ კარის გარიგებაში ვკითხულობთ: აწე მსახურთ-უხუცესი მეჭურჭლეთ-უხუცისა გვერდით ზის ვეზირობასა ზედან. ამილახორსა მათ უკანით ვითა ზესკამი უთქს და ვეზირობა ესმის, და იგი არას იტყჳს, რასაც არა ჰკითხვენ. და რაჲ [ჰ]კითხონ, მაშინღა პასუხს იტყვის (§ 37, სტრ. 449—452). მეჭურჭლეთ-უხუცესი პირველად არ ყოფილა სავაზიროს წევრი. მისთვის ეს უფლება რუსუდან მეფეს მიუნიჭებია. ამის შესახებ სწერია: მეჭურჭლეთა უხუცესი ძველი ვეზირი არის საბატიო და, ვინ ამ[ა]ს იტყჳს მსახურთ-უხ[უ]ცესი მანაველი, რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროსა და ვაჩნაძე შეუყვანია.

აქედგან აშკარაა, პირველი სავაზიროს წევრი მეჭურჭლეთ-უხუცესთაგან ყოფილა ვაჩნაძე და ეს განწესება მსახურთ-უხუცესის მანაველის სიტყვით ეკუთვნის რუსუდან მეფეს, ასე გვესმის ჩვენ ზემომოყვანილი ბუნდოვანი ადგილი ტექსტისა. ვეზირობა, რასაკვირველია, მეფის თანადასწრებით ხდება ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისი თავმჯდომარეობით. მეფისათვის ფარეშთ-უხუცესი მომცრო ორხოვას დააფენს, ზედ სასთაულს, ბალიშს, დადებს და მეფე მას ზედა დაბრძანდება. შემდეგ სუფრის ნოხს მომრგვალებით დაფენენ პირისპირ და მის თავსა სელებს დადგმენ. ვეზირები დასხდებიან რიგზედ და სხვები, მათი ხელქვეითნი, დგანან თავ თავის ადგილზე. კარის გარიგებაში ყველა ამაების შესახებ ასე სწერია (§§ 36, 37, 38; გვ. 18—20).

## [ფ. 1] ჭყონდიდელი

ყველა ხელისუფალთა შორის ძველ დროს ჭყონდიდელს პირველი ადგილი ეჭირა. ის იყო ვაზირთა ყოველთა უპირველესი, „მწიგნობართ-უხუცესი“, სალმრთოჲთა მსჯავრითა მართლ-მსაჯველი და ჴელის-მპყრობელი ულონოთა და

ქვრივთა“, მას ჰქონდა პატივი „პროტო-უპერტიმოსისა“. ამას მოგვითხრობს თამარ მეფის დროს არაბულიდან თუ სპარსულიდან ნათარგმნის კარაბადინის წარწერა, რომელიც თვით ჭყონდიდლის ბრძანებით არის ნათარგმნი. ამასვე მოწმობს თამარ მეფის სიგელი 1202 წლისა, რომელშიაც სწერია: მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მწიგნობართ-[უხუცესი] და პროტო-ოპერტიმოსი (ჟორდანია, ისტორ. საბ. შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 46). ჩვენს კარის გარიგებაშიც სწერია და ქართლის ცხორებაც ეთანხმება, რომ თამარ მეფემ განაწესა ჭყონდიდლად, მწიგნობართ-უხუცესად და ვეზირად ანტონი გლონისთავისძე.

ჩვენი კარის გარიგებითაც ჭყონდიდელს დიდი საპატიო ადგილი უჭირავს, ის პირველი ვეზირია, მაგრამ პატივი მისი ცოტა არ იყოს ირყევა და სხვა ვეზირები ასე თუ ისე უთანასწორდებიან მას. ჩვენი კარის გარიგების ავტორიც ყოყმანშია, და დარბაზობის და მეფის წინაშე წადგომის და ჩამოსხდომის დროს ყველაზე პირველ ადგილს ჭყონდიდელს ვეღარ აძლევს და მასთან ერთ ხარისხზე აყენებს ახალ ვეზირს ათაბაგს და ძველ ვეზირს ამირსპასალარს. და სამღვდელო პირთა შორის მოძღვართ-მოძღვარს. „ჭყონდელი მამა არს მეფისა, ამბობს ჩვენი ავტორი, ათაბაგი ახალია, (ესე იგი ახალი თანამდებობაა, ახალი ხელისუფლებაა), ჭყონდიდელისა მწიგნობრობა შემოსრულა, არ[ს] მწიგნობართ უხუცესობა ჭყონდიდლისა (ესე იგი ჭყონდიდელი დამცირებულა, ის მწიგნობრათ გამხდარა და აღარ არის მწიგნობართ-უხუცესად)[3]; გასულა ათაბაგი დიდი და საბატიო (ესე იგი ათაბაგი გამხდარა დიდი და საბატიო ვეზირი), და ძჳრად ოდესმე იქნების ჭყონდიდელს ქვემოთ, ნოხთა ზედა, ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდენ“.

მიუხედავად ამისა, ჭყონდიდელს დიდი ადგილი უჭირავს კარის გარიგებითაც. „ჭყონდიდელი, — ამბობს ავტორი, — საჭურჭლესაც შევა და ვითა მამა არს მეფისა აგრე ყველა საურავი (ესე იგი ყველა გადასაწყვეტი დიდი სახელმწიფო საქმე) უმისოდ არ იქნების“. ყოველი საეკლესიო საქმე. ყველა ეკლესიები და მონასტრები, გარდა გელათისა, ჭყონდიდელს ებარა და ის განაგებდა. „გელათისაგან კიდე, — ვკითხულობთ გარიგებაში, — საყდარი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიო დასნი არიან, ყველა ჭყოინდლის და საწოლის მწიგნობრის სახელოსანი არიან“. საგულისხმოა, რომ ეკლესია მონასტერთა შორის მარტო გელათი არ ემორჩილება ჭყონდიდელს, ის სტავროპიგია არის. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ასეთი თავისუფლება და თვითგამგეობა ძველად მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე დავით აღმაშენებლის ანდერძით შიომღვიმის მონასტერს. მაგრამ, ეტყობა, ეს თავისუფლება ჩვენი გარიგების დაწერის დროს შიომღვიმეს აღარ ჰქონია. ჭყონდიდელს ბევრი საწერი ჰქონდა და ქაღალდი ეჭირვებოდა. ჩვენს წყაროში ვკითხულობთ: „ხუთი ფურცელი ქაღალდი ყოველთა დღეთა ჭყოინდელსა [მიეცეს] სამი ფურცელი საწოლის

[3] კარის გარიგების გამოცემაში ტექსტის ასეთ გაგებას ექვთიმე უკვე აღარ იზიარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიგნობარსა, ორი ფურცელი ზარდახნის მწიგნობარსა და თვთო ფურცელი სხვათა მწიგნობართა“[4]. თუ მივიღებთ მხედველობაში, რა ძვირი იყო ამ დროს ქაღალდი და როგორ ხელმომჭირნეთ ხარჯავდნენ ქაღალდს, ეს რიცხვი მცირედი არ იქნება.

ჭყონდიდელი მსაჯული, გამკითხავი და მფარველი იყო ობოლთა, ქვრივთა და მიმძლავრებულთა, ესე იგი უსამართლო დასჯილთა. ამათ საქმის გასარჩევათ მას ერთი დღე ჰქონდა კვირაში დანიშნული, სახელდობრ ორშაბათი. მას ამ საქმეში ეხმარებოდენ საწოლის მწიგნობრები, ხოლო მომხსენებელათ [3] იყო ზარდახნის მწიგნობარი, მაგრამ, რომ ზარდახნის მწიგნობარს არ დარჩენოდა არაფერი მოუხსენებელი, ჭყონდიდელი დანიშნულ დროს თვით ჩამოიარდა და ინახულებდა ყველა მომჩივანს და გაურიგებდა საქმეს. აი რა სწერია ამის შესახებ ჩვენს გარიგებაში: „ჭყონდიდელი ორშაბათ დღეს საჯო კარსა შიგან დაჯდების. ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს. და ყოველი საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის. და ზარდახნის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოახსენებს, რაც ვის რა სჭირს. და რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს, ადგების და რა ჟამსცა ჟამი იყოს, თჳთ მივა და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს, არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს“. ამას შემდეგ ყოვლად მართალია ბატონიშვილი ვახუშტი, რომელიც სწერს ჭყონდიდლის შესახებ“ „დაიყო ამისი (ჭყონდიდლისა) ჴელისანი: ქვრივ-ობოლნი, დავრდომილნი, უსამართლო-ქმნილი, შეწუხებულნი და შეჭირვებულნი ესე აუწყებდა ამათთა ყოველსავე მეფესა. ესევე იყო მწიგნობართ-უხუცესი ყოველთა სამეფო მწერალთა ზეით თქმულთა. ესე მისცემდა მეფისაგან ბრძანებასა ეკლესია მონასტერთა და ლაშკართა მოწევად და მათთა სამჭირნოთა მოხსენებად მეფისა. ესევე იყო ლაშკრობისა ჟამსა პატიოსნისა ჯვარისა მძღვანებელი წინაშე სპათა და ბრძოლისა ჟამსა უკან მსვლელი ანუ ჩახთაული და ახალ წელს მაკულევი მეფისა“.

ჯვარის მტვირთველობის შესახებ ჭყონდიდელის მიერ და ლაშქრობის შესახებ ჩვენი წყარო არას გვეუბნება, შეიძლება მიტომ, რომ ბევრი აკლია. ახალი წლის კვლევის შესახებ ვახუშტი სხვა ადგილს ასე სწერს: „ახალ-წელს, 1 იანვარს, უწინარეს ცისკრის ლოცვისა, უკლევდა მეფეს ჭყონდიდელი ჯვარსა და ხატსა, და სამკაულსა მეფესა და დედოფალსა და სანუკარსა შაქრისასა“ (გვ. 32). როდესაც ჭყონდიდელს მეფის მეჯლისში ანუ პურობაში შემოაღამდებოდა, მას წინ ორი მემაშხალე წაუძღვებოდა ორი მაშხალით, ხოლო სხვა სამთა საბატიო ვეზირთა — ათაბაგსა, ამირსპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა თითო მაშხალით წაუძღვებოდენ. წიგნის კითხვა მეფისათვის აღდგომა დღეს ჭყონდიდლის მოვალეობა იყო. აღვსებისა საკითხავი, სწერია გარიგებაში, ჯვარის მტჳრთველისა და ხუცესთ-უხუ-

[4] მარცხენა აშიაზე მინაწერია ექვთიმეს ხელით: „აქ ყოფილა კიდევ რაღაც ნათქვამი ქაღალდის დახარჯვაზე, მაგრამ ამას იქით დედანს აკლია ხუთი ფურცელი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცესისა (წესია და) მწიგნობართა—ვინცა კარგი მკითხველი იყოს სხვანი, ჭყონდიდელი—მეფესა და საწოლის მწიგნობარი ზარდახნის მწიგნობარსა (უკითხავს).

ზედამდგომელად, ადიუდანტებათ, ჭყონდიდლისა არიან მეჭურჭლე და ეჯიბი: ჭყოინდელსა ზედამდგომელი მეჭურჭლე მართებს და ეჯიბი. სხვა დარბაზით მართებს, სწერია გარიგებაში. ჭყონდიდლისთვის დადებული იყო გადასახადი ანუ, როგორც მაშინ ეძახოდნენ, „ქრთამი“. ყოველი დაწერილი სიგლისაგან ქრთამს აძლევდა, რასაკვირველია ის, ვინც სიგლის მიმღები იყო მეფისაგან. დარბაზს მიწვევა ჭყონდდლისა საწოლის მწიგნობრის საქმე იყო. მეფე ისეთი პატივით მიიღებდა ჭყონდიდელს, როგორც კათალიკოზებს და სამ წარჩინებულ ვეზირებს[5].

## [ფ. 4] ამირსპასალარი

ვახუშტი ბატონიშვილი ამირსპასალარს არ იხსენიებს და მის მოვალეობას აკისრებს სპასალარს ანუ სპასპეტს, ხოლო სპასპეტსა, ვახუშტის სიტყვით, როსტომ მეფემ უწოდა სარდარი (38). ვახუშტის ცნობით, სპასალარის ხელისანი იყუნენ „ყოველთა სავაზიროთა თათბირთა პირველობა და ყოველთა ერისთავთა უხუცესობა“, „ესევე შეკრებდა ლაშქართა და ხარკსა სამეფოსა და ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა“. ჩვენი წყარო ამ ცნობებს ავსებს და უმატებს: „ამირსპასალარი საბატიო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა და უმისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების, და პატივი მისი და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის, და ესეც იქნების, რომე ორივე ერთსა ქონდეს და უვრო შანშეთ სახლისა არს“.

ფრიად ძვირფასია ჩვენთვის ცნობა, რომ მეფეს არ ჰქონია უფლება „ქვეყანის“ ესე იგი ადგილების გაცემისა ამირსპასალარის დაუთანხმებლათ და ვერცა ვის მამულს მისცემდა სიგელით, თუ ამირსპასალარიც თანახმა არ იყო. ეს ლოგიკურათ ასეც უნდა ყოფილიყო. საქართველოში ფეოდალური წესწყობილება იყო და „ქვეყანის და მამულის“ გაცემა და გაჩუქება ასუსტებდა სახელმწიფო ძალას. მამული სოფლებით და მასზე მსახლობარ ხალხით იცემოდა და ომის დროს მეფე, თავის მამულებიდან ვეღარ შეკრებდა საკმაო ჯარს. რაკი ჯარის საქმე, შეკრება და წესრიგი ამირსპასალარის საქმე იყო, მას იმაზეც უნდა ჰქონებოდა ზრუნვა, რომ სახელმწიფო მამული არ შემცირებულიყო და ამიტომ მისი მონაწილეობის მიღება მამულის გაცემაში თუ გაუცემლობაში საჭირო იყო და კანონიერიც.

„ლაშქრობაი და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ჴელთ არის, მას წინათ არავინ იტყვის“, ვკითხულობთ ჩვენ ჩვენს ახალ წყაროში. პატივი ამირსპასალარისა და ჭყონდიდელისა ჩვენი წყაროთი სწორია. ავტორი, როგორც მოვიხსენიეთ, ამბობს: „ძჳრად ოდესმე იქმნების. ჭყონდიდელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდენ“.

---

[5] შემდეგ ექვთიმეს ხელით მიწერილია „მწიგნობარი — შემდეგ დროის მდივანნი (დასტურლამალი, გვ. 176).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირსპასალარი მაღლა იდგა ამილახორზედ, ეს იქიდგან სჩანს, რომ აღდგომა დღეს ამილახორს უნდა მიელოცა პირველათ ამირსპასალარისათვის. „რაჲ ვეზირობა იყოს, ვკითხულობთ ჩვენ წყაროში, ამილახორი ვეზირი არის ამირსპასალარისა“. ამილახორის ხელქვეითნი იყვნენ მეაბჯრეთ-უხუცესი და მეაბჯრენი და მესარტყლენი. ჩვენს წყაროში ვკითხულობთ: რასაც ამირსპასალარი იურვოდეს, მასვე გვერდით სალაშქროს საქმეს და იგიცა და მეაბჯრეთ-უხუცესი და მათნი მუახლენი.

ვახუშტიმ არ იცის ამირსპასალარი. ამის მაგიერ ხმარობს სიტყვას სპასალარი ანუ სპასპეტი: ამისი ჴელისანი იყუნენ ყოველთა სავაზიროთა თათბირთა პირველობა და ყოველთა ერისთავთა უხუცესობა: ესევე შეჰკრებდა ლაშკართა და ხარკსა სამეფოსა, და ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა (ბროსეს გამოცემა, გვ. 18)[6].

### [ფ. 5] ათაბაგისათვის

ათაბაგი ნიშნავს ვამზდელ[ს] მეფის ანუ მთავრის შვილისას. ეს შემოიღეს სალჩუკებმა (იხ. ვახუშტის ისტორია, გვ. 191, სხოლიო). საქართველოში ათაბაგობა ნიშნავდა ხელისუფლებას, მეფის ვეზირს, და ეს პირველად შემოიღო თამარ მეფემ, პირველ ათაბაგად მოხსენებულია ივანე ახალციხელი: „და დაუტევა (თამარმა) კარის მცველად ახალციხელი იოანე და აჩინა მონაპირედ, და უბოძა ათაბაგობა და ამირათა ამირაობა“ (ქ. ცხ. ბროსეს გამოცემა, გვ. 38- მარ. დედ. ვარიანტი 496). მაგრამ მეორე ადგილს თამარისავე მეფობაში პირველ ათაბაგად მოხსენებულია ძმა ზაქარია ამირსპასალარისა, მხარგრძელისა, ივანე: „მაშინ მეფემან...“ და სხვა გვ. 332, მარ. ვარ. გვ. 526—527.

ათაბაგობა ჩვენი წყაროსათვის ახლად შემოღებული თანამდებობა და მოხელეობა არის და მისი უფლებანი და მოვალეობანი ჯერ გამორკვეული არ არის. სრულებით არ არის ჩამოთვლილი მისი სახელო და არ იხსენებიან მისნი ხელქვეითნი. ავტორი ამბობს: „ჭყონდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახალია. გასულა ათაბაგი დიდი და საბატიო და ძჳრად ოდესმე იქმნების. ჭყონდელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდენ“. პატივი ათაბაგისა სწორია ჭყონდიდელისა და ამირსპასალარისა. შემდეგ დროში ათაბაგმა ამირსპასალარის ადგილი დაიჭირა და ამირსპასალარობა სრულებით მოისპო. ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: „შემდგომად შესძინეს (ესე იგი შემოიღეს) ათაბაგობა, რამეთუ არღარა იწოდებოდა სპასალარი სპასალარად, არამედ ათაბაგად“ (გვ. 28).

მწდე, როგორც ერთ სამთა ვეზირს, ათაბაგს „დარბაზით ათქდა“, (§ 22, გვ. 12). ნადიმობის დროს ათაბაგს ისეთივე პატივი აქვს, როგორც ჭ[ყ]ონდიდელს, ამირსპასალარს და მოძღუართ-მოძღუართს (§ 33, გვ. 17). ტაბაკს ნადიმობის დროს ათაბაგს ეჯიბი დაუდგამს (იქვე). ვეზირობის დროს ის თავი ვეზირთა (§ 36, გვ. 18), (36, გვ. 19).

---

[6] შემდეგ ექვთიმეს ხელით: „მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი ჭიაბერი თამარის მეფობაში. იხ. მისი გუჯარ. (ჟ [ორდანია ], I, 277).

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ამილახორისათვის

კარის გარიგებაში მეჯინიბეთ-უხუცესი არ იხსენიება, ხოლო მის მაგიერათ მოხსენებულია ამილახორი. ვახუშტის ცნობით კი წინათ იყო მეჯინიბეთ-უხუცესი და შემდგომად მას უწოდეს ამილახორი, მაგრამ ეს აზრი არ მართლდება. ვახუშტის სიტყვით ამილახორის ჴელისა იყო: ყოველნი მეჯინიბენი, შიკრიკნი პაიჭნი*, ჯინიბნი**, ჰუნენი***, ჯოგნი****, რემანი***** მეფისანი[7].

ჩვენი კარის გარიგებით ამილახორის ხელისა არის: მეაბჯრეთ-უხუცესი, მეაბჯრენი, მესარტყლენი, საჯინიბოს შემავალნი. აჩუხჩი, ამირჩქარი, მერემეთ-უხუცესნი, მისრატულთ-უხუცესი. „საჯინიბოს შემავალნი ყოველნივე ამილახორის ჴელისანი არიან. ამილახორი თანაშემწეა ამირ-სპასალარისა. რაც გინდა რა სამხედრო საქმე ჰქონებოდა ამირსპასალარს, ამილახორი მასთან უნდა ყოფილიყო. წელიწადში ერთხელ ზარდახნის აღწერა უნდა მომხდარიყო და ამ აღწერაში უსათუოთ ერია ამილახორიც[8]. დარბაზობის დროს ხმალი მარტო ამილახორს ერტყა. ამილახორი იქ იდგა, სადაც ძელი ცხოვრებისა ესვენა, ხოლო ერთი ტერფით ანუ ნაბიჯით უკან ძელი ცხოვრებისა. როდესაც მისი დაჯდომის ჟამი მოვიდოდა, ხმალი კარგი მეაბჯრესთვის უნდა მიეცა, რომელიც თვით ჩამოიკიდებდა ხმალს. ამილახორს და სხვა დიდებულებს უკან ედგენ სეფეები (კამერ იუნკრები) და მათ ეცვათ ვერცხლის ჯაჭვები ანუ პერანგები, რომელიც შემოღებულნი იყვნენ გიორგი მეფის მიერ, თამარ მეფის მამისა.

ამილახორი იჯდა თავის ადგილზე და როდესაც ჯვარის მტვირთეული ჯვარს წაასვენებდა, ის ადგებოდა და შემდეგ ბრძანებას გასცემდა, რომ სეფე ტაბაკი დაედგათ. ამის შესახებ ჩვენს გარიგებაში ასე სწერია (4 და 5 §§, გვ. 2).

### [ფ. 6] მანდატურთუხუცესი[9]

მანდატურთ-უხუცესის სახელო ჩვენს კარის გარიგებაში სრულად წარმოდგენილი არ არის, რადგანაც დედანს აკლია. მანდატურთ-უხუცესს როსტომ მეფის შემდეგ ერქვა ეშიყაღასი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ამის ხელისანი იყვნენ მანდატურნი, ბოქაულთ-ხუცესნი, ბოქაულნი, მებჭენი[10], მეკრენი**, ქონდაქარნი***, სარანგანი**** და ნადიმობისა წესი და წინ ძღოლა მეფისა, მოხსენება ნადიმსა და ამხედრებულისა (გვ. 18) კარის გარიგების მიხედვით მანდატურთ-უხუცესის ხელქვეითნი იყვნენ: ხაბაზნი, მანდატურნი, მეღვინეთ-უხუცესის ღვინის მკრეფელნი, მესტუმრე, მუქიფი (ძღვნის მნე), მერიგე, განმგეთ-უხუცესი, მეჯამეთ-უხუცესი, პირისმწდე (§§ 11, 12, 13).

ჩვენი კარის გარიგებით სხვათა შორის მანდატურთ-ხუცესის გამგეობაში იყო სამეფო ზვარი. ეს აძლევდა ბრძანებას მანდატურებს სამეფო ზვრების დამუშავების შესახებ, საიდან რამდენი კაცი მოესხან სამუშაოთ. მანდატურს თან გაჰყვებოდა ერთი მეღვინეთ-უხუცესისაგან ჩენილი მეღვინე და

[7] მარცხენა აშიაზე ექვთიმეს ხელით: *Курьеры. **Конюшни. ***Кони. ****Табуны. *****Стада.

[8] მარცხენა აშიაზე ექვთიმეს ხელით: „აქ უნდა წაკითხვა § 18 მე-10 გვერდს“.

[9] გვერდზე ფანქრით მიწერილია: „პროტომანდატორი“.

[10] მარჯვენა აშიაზე ექვთიმეს ხელით: *привратник, **швеицары, ***телохранители, ****есаулы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუქიფი და ისინი ამუშავებდენ ზვარს. როდესაც ყურძნის მკრეფელ[illegible] ხამდენ, მათ ზედამხედველათ ერთი მანდატური იყო (§ 11, გვ. 9).

ერთი დიდი ჭური ღვინო ზვართაგან მეღვინეთ-ხუცესისა იყო და ერთი უმცროსი ჭური მუქიფისა. საღვინის მოლარე მეზვრეთაგან (Содовники) აიღებდა ღვინოსა ზვარის მიხედვით, მეღვინენი სოფლისაგან მიიღებდენ (§ 20).

ქრთამი სიგლისა მანდატურთ უხუცესსა და ამირსპასალარსა სწორი მართებდა და აგრეთვე ის ზედმეტი, რაც გადარჩებოდა მესტუმრეს და მერიგეს, მანდატურთ-უხუცესი მიიღებდა მესტუმრისაგან ამ ქრთამს (§ 13, გვ. 5).

აღვსების დღეს (აღდგომას) მანდატურთ-უხუცესი მიიღებდა მოლოცვას ამირეჯიბისაგან (§ 7, გვ. 6); მწდე, როგორც ერთ სამთაგან დიდ ვეზირს, მანდატურთ-უხუცესს „დარბაზით ათქდა“ (§ 22, გვ. 12).

ნადიმობის დროს წესის მიმცემი და რიგისა მანდატურთ-უხუცესი არის, მეფე თავდარიგს მას უბრძანებს, იგი არგანს დაავდებს (არგანს ამირეჯიბი აიღებს) ტახტის წინ მიდგება, უბრძანებს პურის მიღებას, მერე მობრუნდება, არგან[ს] აიღებს და „პურის წინაობას იურვებს“. იგივე და ამირეჯიბი დადგმენ სეფე ტაბაკს მეფის წინ. ამას შემდეგ მანდატურთ-უხუცესი მივა და თავის ადგილს ქვე დაჯდების; მას ტაბაკს ეჯიბი დაუდგამს. ამირეჯიბს, როგორც თავ ვეზირს, ამირსპასალარის სწორი პატივ აქვს (გვ. 19).

### მანდატურები

მანდატურთ-უხუცესის ხელქვეითნი იყვნენ მანდატორნი და თავის ბრძანებას მათ გადასცემდა. მანდატურნი განაგებდენ მეფის ზვარს, ღვინის მკრეფელის მოთავეთაც ერთი მანდატორი იყო (§ 11, სტრიქ. 72, 75; § 20, სტრ. 233). მანდატური იყო ზედამდგომელი ამირეჯიბისა საღამოს რეკამდის (§ 12, სტრიქ. 82—83). ქრთამს სიგლის მიცემაში მანდატურიც მიიღებდა მერიგისაგან (§ 13, სტრიქ. 92—93). მანდატურები ბევრი იყვნენ იმიერ და ამიერ, მაგრამ მათ შორის სამი აზნაური იყო — იკუნკელისძე, შერაქისძე და ჯარნასაძე, სხვა ყველა გლეხი იყო (§ 13, სტრიქ. 93—95). მანდატურს არგანის დაჭერის ნება არა ჰქონდა. ეს მანდატურთ-უხუცესის საქმე იყო (§ 28, სტრიქ. 336). მეფის კარზედ დგომის დროს მანდატურნი ამირეჯიბსა და მესტუმრეს უკანით იდგნენ (§ 31, სტრიქ. 373). ვეზირობის დროს სავაზირო დარბაზის გარშემო შორს მანდატურები იდგნენ მცველად და ვისაც არ უბრძანებდენ, არავის მიიყვანდენ სიახლოეს (§ 38, სტრიქ. 464—465). მანდატურს როსტომ მეფის შემდეგ უწოდებდენ სოჰბათ-იასაულს. ეშიკაღასბაში (იხ. დასტურლამალი, გვ. 169) უფროსი ხელ-არგოსანთა, ხელ-ჯოხიანთა, მეფის გარე მდეგთა (საბა, обер церемонмейстер; მანდატური — ხელ-არგოსანი მეფეთა — გარე მდგომი (საბა)[11].

### [ფ. 7] მეჭურჭლეთ-უხუცესისათვის

ჩვენს კარის გარიგებაში სწერია: „დიდი არის მეჭურჭლეთ უხუცესი. ათაბაგობის დაწყებამდის მეოთხე ვაზირი არის“(ესე იგი იყო 1. ჭყონდიდელი, 2. ამირსპასალარი, 3. მანდატურთ-უხუცესი, 4. მეჭურჭლეთ-უხუცესი). ამის ხელისა ანუ გამგეობაში იყვნენ: ძველნი(?) ქალაქნი, ვაჭარნი; სავაჭრო რაც

[11] შემდეგ ექვთიმეს ხელით მიწერილია: „მანდატურთუხუცესი ბექა (1285—1308) და მისი შვილები სარგის და ყვარყვარე (საქ. სიძ. 2, გვ. 7; იქვე, გვ. 14).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისა იყო და რასაც წაიღებდნენ ანუ მოიტანდნენ; ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც სანიადაგოდ სახმარებელი არ იყო, და შეკრული სალაროსა იდვა, სხვაჲ ლარი და ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური, რომელნიც საღვინეთ სახმარნი არ იყვნენ და საჭურჭლეში იდვენ ანუ იდგენ. ამისივე ხელისანი იყვნენ: საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი, ქალაქის ამირანი, მეჭურჭლენი ქალაქისანი და თვით დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი. მეჭურჭლის უხუცესის ზედამდგომელი (ადიუტანტი) იყო მეჭურჭლე. მეჭურჭლეთ-უხუცესს ეკუთვნოდა აგრეთვე „ქრთამი და სასაურვო“, რომელიც ქალაქიდან არ შემოდიოდა, არამედ სოფლებიდან და დაბებიდან.

მეჭურჭლეთ-უხუცესი ღირსებით სწორი იყო მსახურთ-უხუცესისა, ამირსპასალარისა და მანდატურთ-უხუცესისა (§ 18).

ვახუშტით, მეჭურჭლეთ-უხუცესისა ხელისა იყვნენ ყოველნი საჭურჭლე და საუნჯენი მეფისა და მას შინა დაწესებულნი (გვ. 18—19). მისივე ცნობით, მეჭურჭლეთ-უხუცესსა როსტომ მეფემ მოლარეთ-უხუცესი უწოდა, მაგრამ როგორც სჩანს, ამ დროს ერთი და მეორე ხარისხი გაუქმდა და აღარც მეჭურჭლეთ-უხუცესი იყო და არც მოლარეთ-უხუცესი, არამედ მათი ადგილი დაიჭირა სახლთ-უხუცესმა (გვ. 38).

მ უ შ რ ი ბ ი განაგებდა: რაც ქალაქთა საჭურჭლე შევიდოდა, ან რაც ნავაჭრი გამოვიდოდა. მის ხელთ იყო სანელებელი, მასტაკი და სამარხო წამალი, სახმარი თუთუბო[12] და ამათ ანგარიშს უხუცესთა მისცემდა (§ 18)[13].

## მეჭურჭლე

მეჭურჭლეთ-უხუცესის ხელქვეითნი იყვნენ მეჭურჭლენი, როგორც ქალაქისანი ისე დარბაზს მყოფნი (§ 17, სტრ. 174—175). ერთი მეჭურჭლე ზედამდგომი იყო ჭყონდიდლისა (§ 9, სტრ. 60) და აგრეთვე საწოლის მწიგნობრისა და მეჭურჭლეთ-უხუცესისა (იქვე, § 63, სტრ. 176). მეჭურჭლენი და მემაშხალენი მიიღებდენ ქონსა ფარეშთ-უხუცესისაგან სამაშხალეთაც და საპონისათვისაც (§ 17, სტრ. 150).

## [ფ. 8] მსახურთ-უხუცესი

მსახურთ-უხუცესის და ვეზირების ხელისა ანუ მათი გამგეობის ქვეშ იყვნეს: სალარო, საწოლი, მესაწოლეთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუცესი, ფარეშთ-უხუცესი, ციცხვთ-უხუცესი და მეხილეთ-უხუცესი, მეგოდრე(?), ცხოვარნი, მატყლნი, სიკისტროსანი ჯორი, მებარგეთ-უხუცესი, მეტყაუენი, მეჭურჭლენი. საწოლის და სალაროს გამგეობაც მეფის შეკაზმამდის ანუ მორთვამდის ამათი საქმე იყო.

როდესაც მეფე მიიღებდა ძღვენს მსახურთ-უხუცესისაგან, მესაწოლეთ-უხუცესისაგან და მოლარეთ-უხუცესისაგან, მეფეს ბეჭედი უნდა ეჩუქებინა მათთვის „თვალედი“, ესე იგი ძვირფასის თვალით.

მსახურთ-უხუცესს სხვა ამაზე დიდი მოვალეობა ჰქონდა. ჩვენს კარის გარიგებაში ვკითხულობთ (§ 15, გვ. 6). ვეზირობის დროს მოლარეთ-უხუცესი

---

[12] ქვემო აშიაზე ფანქრით: «барбарис».
[13] შემდეგ მოტანილია ვახუშტის ტექსტი სახლთუხუცესის სახელოს შესახებ, რასაც ტექსტთან კავშირი არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოართომდა და მოუფენდა ნოხს მსახურთ-უხუცესს: „მსახურთ-უხუცეს[ს]ა სალაროთ მოლარეთ-უხუცესი მოართომს და მოუფენს. მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების (§ 1, 1—2).

მსახურთ-უხუცესის (ყორჩიბაში) ხელისა იყვნენ სალაშქრო საჭურვლისა და იარაღისა მსახურნი, და ციხე-ქალაქთა მცველნი სპანი მეფისანი (გვ. 18). ვახუშტის სიტყვით როსტომ მეფემ მსახურთ-უხუცესსა სახელსდვა ყორჩობაში (გვ. 38, 56)[14].

მსახურთ-უხუცესი გრიგოლ სურამელი ერისთავთ-ერისთავი მოხსენებული ქართ. ცხ-ში (I, 364—365, 377—378, 390—392) 1257 წლის ახლო ხანებში და აგრეთვე შიომღვიმის სიგელში (ჟორდანიას ქრონიკები, II, გვ. 127).

## [ფ. 9] ამირეჯიბისათვის

ამირეჯიბი ძრიელ შესული და დაახლოვებული კაცი იყო მეფისა. სადაც არ უნდა ყოფილიყო მეფე — სალაროს, საწოლს, საჭურჭლეს, ყოველგან ნება ჰქონდა პირდაპირ შესულიყო, მოეხსენებინა რაც საჭირო იყო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მეფე ჩაცმული იყო. მსახურთ-უხუცესი რასაკვირველია, უფრო დაახლოვებული იყვნენ მეფესთან, მაგრამ ისინი ამირეჯიბს მეფესთან შესვლას ვერას დროს ვერ დაუშლიდენ. როდესაც მეფე მოირთვებოდა და გამოვიდოდა, ყოველგვარ საქმეებს ამირეჯიბი და მსახურთ-უხუცესი მოახსენებდენ. ამირეჯიბს ზედა მდგომელად (ადიუტანტათ) მანდატური ჰყავდა, რომელიც მასთან რჩებოდა საღამოს რეკამდის, ანუ საღამოს ლოცვამდის. ამის შესახებ კარის გარიგებაში სწერია: აღდგომა დღეს ამირეჯიბი მიულოცვიდა მანდატურთ-უხუცესს და თვითონ მიიღებდა მოლოცვას მესტუმრისაგან (§ 7, სტრ. 43). ამ სახით ამირეჯიბი მაღლა იდგა მესტუმრეზე და დაბლა მანდატურთ-უხუცესზე. მისი ხელქვეითნი იყვნენ ეჯიბები, კარის მცველნი. წვევა ოთხთა მონაზონთა — მოძღვართ-მოძღვრისა, ჭყონდიდლისა და აბხაზეთის და ქართლისა კათილიკოზთა მეფის კარისადმი ამირეჯიბისთვის მიუნდვია მეფეს (§ 23, სტრ. 289—290). სასახლეში მერიგი და მანდატურნი ამირეჯიბსა და მესტუმრეს უკანით იდგნენ (§ 31, სტრ. 373). პურობის რიგში, როდესაც მეფე იხმობს მანდატურთ-უხუცესსა, ის არგანს დააგდებს და ამირეჯიბი არგანს აიღებს, როდესაც ამირეჯიბი გავა, მას მანდატურთ-უხუცესი არგანს გამოართმევს. ამირეჯიბი და მანდატურთ-უხუცესი დასდგამენ სეფე ტაბაკს მეფის წინაშე. ამირეჯიბივე დაუდგამს ტაბაკს ტაბლაზედ კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვართა და ჭყონდიდელსა, ესენი ოთხნივე ადგებიან და თავმოდრეკით ჯელთა ტაბაკზედ დასხმენ და ამირეჯიბს ეთაყვანებიან ... შემდეგ იმავე სუფრაზედ ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი დასხდებიან (§ 33). ვეზირობის დროს ამირეჯიბი შუაზე დგას (§ 38, სტრ. 454).

## ეჯიბები

ეჯიბები, კარის მცველნი, ხელქვეითნი იყვნენ ამირეჯიბისა. ეჯიბი იყო ზედამდგომელი ჭყონდიდლისა მეჭურჭლესთან ერთად (§ 9, სტრ. 60). ათაბაგსა,

[14] იქვე, მარჯვენა აშიაზე მიწერილია: „გიორგი ჭყონდიდელი, ib. 62“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირსპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა ტაბაკს ნადიმობის დროს მეფის კარზე ეჯიბი დაუდგამდა (§ 33, სტრ. 403).

ეს ხელისუფლება მოსპო როსტომ მეფემ და შემოიღო მსგავსი ეჯიბისა — მეითარი[15].

ეჯიბი — არაბ. — წინა-მდეგი (მდგომი) მეფეთა, მეფის მაგიერ მოლაპარაკე (საბა).

ამის ხელისა იყვნენ: ყოველნი ტაძრეულნი მეფისანი და ნადიმისა. იგივე მიუგებდა მეფისა წილ, და მას ეტყოდენ დარბაზის ერნი, რაიცა ენებათ მეფისა მოხსენებად და თავის წინაობასა შინა ვერვინ შევიდეს მეფისასა, თვინიერ მისა (ვახუშტი 20) — камергер, chambellan.

## [ფ. 10] მესტუმრე

წინეთ მესტუმრეთ-უხუცესიც იყო, მაგრამ კარის გარიგებაში არ არის მოხსენებული ალბათ ნაკლულოვანების გამო. როსტომ მეფის შემდეგ მას ეწოდა მეჰმანდარი. ამის ხელისა იყვნენ მესტუმრენი.

მესტუმრის დანიშნულება იყო სტუმრების მიღება, მოვლა და მათი გამასპინძლება. რამდენიც საკლავი დაიკლოდა კვირა დღეს, ყოველი საკლავის თითო მხარი მესტუმრისა იყო და ამას გარდა მას აძლევდენ კიდევ მთლიან ერთ საკლავს და ერთ კაბიწს ფქვილს. მაგიერში მას უნდა ეჭმია და გამასპინძლებოდა, რამდენიც ქვეითი მეძლვნე მოვიდოდა და რამდენიც მწიგნობარი. ამის შესახებ გარიგებაში ვკითხულობთ: „რაზომიცა მრავალი დაიკლას, ერთი მჯარი, და თუ ერთი დაიკლას, ერთი მჯარი ზროხისა მესტუმრისა კჳრას დღესა და ერთი კაბიწი[16] ფქვილი და ერთი საკლავი. და რაზომიც ქვეითი მეძლვნე მოვა და მწიგნობარი, იგი აჭმევს“ (§ 12, სტრ. 83—86).

მესტუმრე აღდგომა დღეს ამირეჯიბს მოულოცავდა (§ 7, სტრ. 29). მესტუმრეს ერგებოდა ნაწილი სიგლის გადასახადისა (§ 13, სტრ. 89, 92). მეფის კარზე ნადიმობის წინ „მერიგე და მანდატურნი ამირეჯიბსა და მესტუმრეს უკანით იდგნენ“ (§ 31, სტრ. 373). ვაზირობის დროს მესტუმრე სხვათა შორის სავაზირო კარზე იყო და ვინც სამოციქულოდ უნდოდა ვეზირებს, შეასხმიდა სავაზირო სახლში (§ 38, სტრ. 458). ვახუშტის მოკლე ცნობაც საერთოდ ეთანხმება კარის გარიგებას. მისი სიტყვით: მესტუმრეთ-უხუცესისა ჴელისა იყო მესტუმრენი. ესენი მოაწვევდნენ დარბაზის ერთა, ესენი მოურნეობდენ სტუმართა (გვ. 20).

როსტომ მეფის დროს მესტუმრეს დაერქვა მეჰმანდარი — ესე იყო მიმღები და მწვეველი სტუმართა.

## [ფ. 11] მონადირენი და მონადირეთ-უხუცესი

ნადირობა ძველათ ჩვენ მეფეებს ძლიერ უყვარდათ. და ამიტომ მონადირეთ-უხუცესს და მონადირეებს დიდი პატივი ჰქონდათ. კარის გარიგებაშიაც არის დაცული საყურადღებო ცნობები ამათ შესახებ.

---

15 შემდეგ სწერია: „მეაბჯრეთ-უხუცესი შალვა (?) 1339 წ. გიორგი ბრწყინვალის დროს (სიძვ.—2, გვ. 9).

16 სქოლიოში ფანქრით: „სამი კოდი, გინა სამი გრივი. ვიეთნიმე ათს კოდს ერთს გრივს (უნდა იყოს: „ერთს კაბიწს“—ი. დ.) იტყვიან (საბა) — $22^1/_2$ ფუთი ანუ 400 გამომცხვარი პური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ წელს მეფეს ვერავინ შემოსდა გარდა მონადირეთ-უხუცესისა. მონადირეთ-უხუცესს[17] ამ დღეს უნდა სცმოდა ყვითელი ყაბარჩა სახელო მოკლე, ყაბარჩას მოყვენთუსული ტყავი უნდა ჰქონებოდა შემოვლებული, მაგრამ არა დია ბრტყელათ. მოსასხამი მეფისა საყელოიანი ყოფილა კარგის ყვინდიზისა (соболь). მონადირეთ-უხუცესი დაახურავდა თავზედ მეფეს „მაღლად აშვერილსა და მჭლოდ შეკერილს ქუდსა“. ნადიმზე მონადირეს საღვინეს წინ დასმიდენ „მაღლითა სკამითა“, წინ ტაბლას დაუდგმიდენ და ტაბლაზე მოხარშულს ველური ტახის თავს დაუდებდენ. ამავე სუფრას ჩამოუსხდებოდენ ტყის მცველნი, მკერვალთ-უხუცესნი, მეხელადეთ-უხუცესნი და მონადირენი. ყველა ამაების შესახებ ასე სწერია კარის გარიგებაში (§ 1, სტრ. 2—12).

ახალ წლიდან თევდორობამდის მონადირეთ-უხუცესი ყოველ დღე სადილობის დროს მწვადს მიიღებდა მეფისაგან[18], შემდეგ უკან დაიხევდა და იკითხავდა „ხვალ სით ჰკვლევენ?“ ესე იგი საითკენ ინებებს მეფე სანადიროთ წასვლას. მეფე უბრძანებდა, საითაც ეპრიანებოდა ნადირობა და ჭიქას უბოძებდა. მონადირეთ-უხუცესი მწვადს შესჭამდა, ღვინოს დალევდა, წავიდოდა და დაჯდებოდა თავის ადგილზე. ამის შესახებ კარის გარიგებაში ვკითხულობთ (§ 2, სტრ. 25—29).

მონადირენი კახეთს და იმერეთს ორას სამოცი სახლი ყოფილა. ამათ შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული მეოცე მუხლში ჩვენი კარის გარიგებისა (§ 20, გვ. 11—12).

სხვა წვრი[ლ]მან მოხელეთა შორის უნდა მოვიხსენიოთ: მეჯამეთ-უხუცესი. ამის ხელისა იყო: ნიგოზი, ზეთი, საწებელი, მუზაფარი[19], წველა, მეკირე, ხმელი თევზი, ტყემალი, მუხუდო, ყოველი მეკამბეჩე დიასახლისი, სამზარეულო კარავი და უვერცხლო ჭურჭელი სპილენძისა და შეშისა (ესე იგი ხისა), § 13.

### [ფ. 13] სამღვდელო პირნი

დიდი პატივი აქვს მინიჭებული დარბაზობის დროს იშხნელს და მათზე ნაკლები მაწყვერელს, ანჩელს და მტბევარს. ბედიელს და ქუთათელს შუა ცილობა ყოფილა, მაგრამ უპირატესობა მიუციათ ქუთათელისათვის, რადგანაც მეფის სკიპტრის შემნახველი ქუთათელი ყოფილა. წინათ, როგორც ვიცით, ქუთათელი მეფის გვირგვინის დამდგმელი იყო. კურთხევის დროს გვირგვინი მეფისათვის ქუთათელს უნდა დაედგა თავზე. ვახუშტი სწერს „არამედ გჳრგჳნსა დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთათისის ტახტისათჳს, ხოლო შემდგომად განყოფისა, იმერეთს — კათალიკოზი იმერთა, ქართლს — კათალიკოზი ქართლისა (გვ. 26—28).

ჩვენი კარის გარიგებით ქუთათელს იშხნელის სწორი პატივი აქვს მინიჭებული. ბედიელი, ჩვენის კარის გარიგებით, იგივე აფხაზეთის კათალიკოსია.

სხვა სამღვდელო პირთა და ეპისკოპოსთა პატივი მათ პირად ღირსებაზეა დამოკიდებული, „ვითარი მონაზონი იყოს, ანუ ვითარი კაცი“. ერთი თავის ნაწყ-

---

[17] უდნა იყოს „მეფეს“ — ი. დ.

[18] კარის გარიგების ტექსტში აქ ხარვეზია, რომელიც ჩვენს გამოცემაში აღდგენილია ი. დ. (ქართული სამართლის ძეგლები, II, 1966, გვ. 80).

[19] მარცხენა აშიაზე ექვთიმეს ხელით მიწერილია: „ძმარში ჩადებული თევზი ან ხორცი“ (соления).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტი მოგვითხრობს დავას რაღაცას შესახებ ორ კათალიკოსთა შორის, მაგრამ რა საგანს ეხება ეს დავა, არ ვიცით (§ 33). ამ სამღვდელო პირთა პატივის შესახებ მოგვითხრობენ მე-22, 23, 24, 25, 26 და 27 (стр. 13—26). ვეზირთა და მონასტერთაგან მეფე იღებდა ძღვენს ახალ წელიწადს და ამის შესახებ ცნობები მოთავსებულია მე-27 და 28 მუხლებში (стр. 16).

სხვა თავები ჩვენი კარის გარიგებისა მოგვითხრობენ, თუ ვინ სადა დგება დარბაზობის დროს ან ვინა სადა ჯდება ნადიმობის დროს მეფის სასახლეში, მაგრამ ეს თავები სრულათ არ არიან დაცულნი, რაც დაცულია, ისიც დიდი საინტერესოა ჩვენთვის (§§ 30, 32, გვ. 17—19, §§ 35, 36, 37, გვ. 20—21).

### [ფ. 14] სიგელისათვის[20]

სიგელის დაწერა და გაცემა დიდი საქმე იყო. სიგელზე ბეჭედი უნდა დაესვათ. სასიგლე ბეჭედი დიდი იყო. მას საგახსნითე ბეჭედი ერქვა. ბეჭედი საგახსნითე მეფეს ჰქონდა ყოველთვის ოქროს თასით, თასი დაბეჭდილი იყო ტვირით, ესე იგი ტყვიით. ბეჭედი ამ თასისა მოლარეთ-უხუცესს ეცვა ხელზედ. ბეჭედი უნდა გაეხსნა მოლარეთ-უხუცესს, სალაროს მოლარე მეგოდრეს აისვამდა, ესე იგი მოიწვევდა მოხელეს, რომელიც ზედამხედველი იყო ზანდუკებისა ანუ სკივრებისა, და მოლარეთ-უხუცესი გახსნიდა თასსა და დაასხამდა ზედ წყალსა. მერმე მოიღებდენ ორს უხვრეტელ ჯორის ნალის მსგავს ტყვიას, სიგელს გაუყრიდენ ზონარს, თავებს ზონარისა მოაქცევდნენ იმ ორ ტყვიის ნაჭრებთა შორის და შემდეგ გარბილებულს ტყვიას ბეჭედს დაარტყამდენ და ამგვარი ტყვიის ბეჭედი ჩამოკიდებული ჰქონდა სიგელს.

ამ საქმისთვის სალაროს მოლარეს ორი დუკატი ერგებოდა. მეგოდრეს ერთი. ეს უნდა გადაეხადა მას, ვისაც სიგელს აძლევდენ. მწიგნობარს უნდა დაებეჭდა სიგელი ბეჭედით, მერმე ეს მწიგნობარი გამოიტანდა სიგელს და მისცემდა პატრონს. სიგლის ჩაბარებაც ცერემონიით ყოფილა, მაგრამ ჩვენს დედანში ამ ადგილას აკლია, სწერია მხოლოთ „მიცემა სიგლისა ზემოთ დამიწერია“. ამ დაწერილს ჩვენამდის აღარ მოუღწევია (§ 14). ის, ვისაც სიგელი ეძლეოდა, მოლარეს და მეგოდრისთვის სამი დუკატის მიცემით ვერ მორჩებოდა. მას თავდაპირველათ უნდა მიეცა ქრთამი ანუ საფასე ჯერ ჭყონდიდელისა და საწოლის მწიგნობარისთვის, შემდეგ მისთვის, ვინც სიგელი დასწერა, დაბოლოს მესტუმრისთვის. ქრთამი უნდა მიეცა აგრეთვე მანდატურთ-უხუცესისა და ამირსპასალარისათვის. ამ ორ მოხელესათვის ქრთამი თანასწორი იყო, მესტუმრისა და მერიგესათვის უმცროსი და რაც ზედმეტი იყო, მანდატურისთვის უნდა მიეცათ. ამ ზედმეტს მანდატური მერიგისაგან მიიღებდა (§ 13).

სიგელზე ბეჭედის დამსმელი და მეფის ბეჭედის შემნახავი, ანუ მორდალი, როგორც მე-XVII საუკუნეში უწოდებდნენ, დიდ ფულს იღებდა შემდეგ დროებშიაც. საქართველოს სიძველენის მესამე ტომში ჩვენ დავსტამბეთ ერთი საბუთი, რომლითაც როსტომ მეფე მორდალს მანუჩარ თუმანიშვილს უწესებს, თუ რა უნდა აიღოს მან ბეჭედის დასმაში. ფასი იმის მიხედვით არის დადებული, თუ რა ეძლევა მთხოვნელს სიგლით, მაგრამ საზოგადოთ დიდია (გვ. 544). ასეთივე დიდია ფასი ვახტანგ მეფის დასტურლამა-

[20] მოხსენება წაკითხულია საზოგადოების „ჩვეულებრივ საერთო კრებაზე“ 1911 წლის 26 თებერვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითაც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, როსტომ მეფის სიგელზეა დამყარებული (საქ. სიძ. ტ III, გვ. 545).

**[ფ. 15]** „სიგელი ვისაც უბოძონ, ვისთჳსცა დაუწერია, რა ჭყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის ქრთამი გათავდეს, რომელსაც დაეწეროს, მას უკან მან მისი აიღოს, მაშინლა მესტუმრეს მისცეს...

ქრთამი სიგლისა მანდატურთ უხუცესსა და ამირსპასალარსა სწორი მართებს: მესტუმრეს უმცროსი და მერიგეს, რაც მას დაუვარდეს, მანდატურს მართებს და მიხვდების, მისგან მართებს (§ 13, სტრ. 87—93).

ბეჭედი ესრეთ სხენ: დიდი ბეჭედი სასიგლე, საგახსნითე რომ ბეჭედი არის, მათ დაბეჭდულა, და მისი თასი ოქროსა გვერდსა უთქს და ტუირითა დაბეჭდილი მოლარეთ-უხუცესსა ჴელთ აცვია, რა დაბეჭდვენ, მოლარეთ-უხუცესი გახსნის. მეგოდრეს სალაროს მოლარე აიხვამს, და მოლარეთ-უხუცესი გახსნის თასსა, შიგან წყალს შთაასხამს. ჯორის ნალი უჭვრეტელი ორნი აქ. უნდა რომ ქვე დასხნეს. და სალაროს მოლარეს დუკატი ორი, მეგოდრეს დუკატი ერთი, ეს მისცეს, ვისიც სიგელი იყოს. და დაბეჭდავს მწიგნობარი, თან გამოიტანს და წამოვა. და მიცემა სიგლისა ზემოთ დამიწერია (§14, სტრ. 106—115).

* *

თუ როგორი უფროს-უმცროსობა იყო მოხელეთა შორის და ვინ რა ხარისხის მქონე იყო, ეს სჩანს აღდგომის დღეს მოლოცვისაგან, ვის ვისგან უნდა მიეღო მილოცვა, რომელიც მეშვიდე თავშია მოყვანილი (§ 7, სტრ. 41—49):

ამირსპასალარი მიიღებდა მოლოცვას ამილახორისაგან.

ამილახორი — მეაბჯრეთ-უხუცესისაგან.

მეაბჯრეთ-უხუცესი — მესაწოლეთ-უხუცესისაგან[21].

მანდატურთ-უხუცესი — ამირეჯიბისაგან.

ამირეჯიბი — მესტუმრისაგან და მერიგისაგან.

მეჭურჭლეთ-უხუცესი — საჭურჭლეთ ნაცვლისაგან.

საჭურჭლის ნაცვალი — მუქიფისაგან.

მსახურთ-უხუცესი — მესაწოლეთ-უხუცესისაგან.

მესაწოლეთ-უხუცესი — მოლარეთ-უხუცესისაგან.

მოლარეთ-უხუცესი — სალაროთ მოლარეებისაგან.

პირის მეღვინე და მეღვინეთ-უხუცესი — საღვინის მუქაფისაგან.

განმგეთ-უხუცესი — საგანმგეოს მუქაფისაგან[22].

საგანმგეოს უხუცესი[23] — მეჯამეთ-უხუცესისაგან.

მეჯამეთ-უხუცესი — სარემოს ნაცვლისაგან.

### [ფ. 18] ციცხვანი და ციცხვთ-უხუცესი

არ არის კარგათ გამორკვეული თუ რა მოხელენი იყვნენ ციცხვნი, რომელთაც გამგეთ ყავდათ ციცხვთ-უხუცესი, როგორც სჩანს ციცხვნი მეეზოვებს უდრიდენ. ეს ამიტომ გვგონია, რომ კარის გარიგებით ციცხვთა ზედა ჴელი იყო აბანოსა თბობა, სახლის გვა, შეშის კოდა, ცეცხლის ნთება, წყლის ზიდვა სალაროს საგაზროსა (?). და რა მეფე აბანოს იყოს, ციცხვთა არის სახლისა საჭურჭლე (§ 17, სტრ. 165—167).

[21] უნდა იყოს: „ზარდახნის უხუცესისაგან„ ი. დ.

[22] უნდა იყოს: „მუქიფისაგან“ ი. დ.

[23] უნდა იყოს: „მუქიფი“ ი. დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მუქიფი

მუქიფი ანუ მუქიბი საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს ძღვენთ მნეს, ძღვენთ გამგეს, შემდეგ დროში მეჩვიდმეტე საუკუნიდან ფეშქაშნივისი ერქვა. მუქიფი მეჭურჭლეთ-უხუცესის ხელისა იყო, მის გამგეობაში მსახურებდა (§ 17, სტრ. 173). მისთვის საღამოს ერთი მაშრაპი ღვინო იყო განწესებული, ოქროს მაშრაპით, მეფე რომ სვამდა იმისთანათი (§ 20, სტრ. 231—232). მუქიფი ზვარის საქმესაც იურვოდა მანდატურთან და მეღვინეთ-უხუცესთან ერთად (§ 20, სტრ. 233—234); მას ზვართაგან ერგებოდა ერთი მომცრო ჭური ღვინო (§ 20, სტრ. 235). პურობის ანუ მეჯლისის დროს მუქიფი ითვალავდა უმცროს ვეზირებს ოროლითა ჯამითა (§ 33, სტრ. 405—406). მუქიფებს თავის უხუცესი ყავდათ, მაგრა ჩვენს კარის გარიგებაში არ იხსენიება, ალბათ ნაკლულოვანობის გამო. ხოლო ერთს გელათის გუჯარში 1545 წლისა მოხსენებულნი არიან მუქიფთ-უხუცესნი და მუქიფნი (იხ. ჩემი საქარ. სიძველენი ტ. I, გვ. 24, პირველი გამოცემა).

მუქიფნი იხსენიებიან თულასძეთა სიგლებში, 1336—1395 წ. (სიძ. 2, გვ. 14).

### [ფ. 19] ფარეშთ-უხუცესი

ფარეშთ-უხუცესი მსახურთ-უხუცესის ხელისა იყო, მას ემორჩილებოდა (§ 14, სტრ. 101—102). ამის თანამდებობას შეადგენდა მეფის სამსახური; ნოხის დაფენა მეფის წინ, კარავის (шатер) და ხარგაის (ნაბდის კარავი — царская ставка), დადგმა, ჩადრის (палатка) დადგმა და მათი კაზმვა. ფარეშთ-უხუცეს ხელში ჰქონდა ცხვრის ტყავის ცოცხი ტარიანი და მეფის წინ სუფრას გადმოგავდა, ნადირობის დროს. დილას, როდესაც მეფე საწოლის ოთახიდან გამობრძანდებოდა, ფარეშთ-უხუცესს მზათა ჰქონდა მისთვის ხელის ნოხნი, სანთელი, ფარანი და მაშხალა. აქედან სჩანს, რომ მეფე ღამიანათ დგებოდა, როდესაც ჯერ კიდევ ბნელოდა. ფარეშთ-უხუცესი ყოველთვის მეფეს ახლდა და ისე იქცეოდა, როგორც უბრძანებდენ (§ 16, სტრ. 140—145). ვეზირობის დროს მას უნდა დაეფინა მომცრო ორხოვა და ზედ სასთაული დაედვა, რომელზედაც მეფე უნდა დამჯდარიყო (§ 36, სტრ. 431—433). ფარეშ-უხუცესის ხელთ იყო აგრეთვე განათება მეფის სასახლისა. ის უბრძანებდა მის ხელქვეითს ფარეშებს, ვის რა გაეკეთებია. თუ მეფის პურობას ანუ ნადიმს ღამე შემოესწრებოდა, ფარეშთ-უხუცესს ვაზირების წინ უნდა ჩაედგა სანთლები „სასანთლეებითა და მათითა ნატითა“. სუფრასა ზედა მაშხალის ასანთები ალყა ქონითა ყოფილა ანუ სელის ზეთითა. ქონს მიიღებდენ მეჭურჭლენი და მეტყავენი. ესენი აძლევდენ ქონს როგორც მაშხალებისათვის, ისე საპონის გასაკეთებლადაც. მაშხალა პურობის ანუ ნადიმის დროს ექვსიდან ათამდის უნდა ყოფილიყო ტარი გრძელი, მაშხალა თითო მემაშხალეს ჰქონდა. მათ კალათით ალყა ძირს ედგათ შეშისა, როდესაც ერთი ალყა დაიწოდა, მეოეს ჩაუდებდენ. გაყრის დროს მემაშხალენი ვეზირებს მაშხალით წაუძღვებოდენ წინ და სახლამდის მიაცილებდენ, ამისთვის მათგან შეჭამადსა და ღვინოსა მიიღებდენ (§17, სტრ. 156—157).

ვახუშტის ცნობები ფარეშთ-უხუცესის და ფარეშების შესახებ საზოგადოთ ეთანხმება კარის გარიგების ცნობებს. მისი მოწმობით ფარეშთუხუცესისა ხელისა იყო: ფარეშნი, ნოხნი, კარავნი, ოთახნი, მნათენი (იგივე მემაშხალენი) და ყოველნი საგებელნი, დილიჭნი (ტახტნი), სკამნი, სავარძელნი, სრაფარდაგნი, ფარდანი და მნენი (მსახურნი) მისნი და მერწყულნი (გვ. 22).

ეროვნული ბიბლიოთეკა



## [ფ. 20] მოლარეთ-უხუცესი

ვახუშტის ცნობით მოლარეთ-უხუცესის ხელისა იყო „რაიცა მეფის თეთრი ანუ ლარნი თჳსთა საკუთართა ზედა ანუ ქვეყლის საქმისად უჴმდა, და მის ქვეშე დაწესებულნი მოლარენი“ (გვ. 20).

კარის გარიგებით მოლარეთ-უხუცესი მიართომდა და მოუფენდა მსახურთ-უხუცესსა. მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანებოდა. ეს იქნებოდა ალბათ ან პურობის დროს მეფის კარზე ან ახალს წელს: ასეთი ახირებული ცნობით იწყება კარის გარიგება: მსახურთ-უხუცეს[ს]ა სალაროთ მოლარეთ-უხუცესი მოართომს და მოუფენს. მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების. შემდეგ ახალ წელს მეფის შემოს[ვ]ის ამბავვიამონადირეთ-უხუცესის მიერ (გვ. 1, სტრ. 1—2). აღდგომა დღეს ის მიიღებდა მოლოცვას სალაროთ მოლარეებისაგან (გვ. 3, სტრ. 46—47). მოლარეთ-უხუცესი მსახურთ-უხუცესის ხელისა იყო. როდესაც მეფე მისგან ძღვენს ითაყვანებდა, უბოძებდა მას თვალედ ბეჭედს (გვ. 6, სტრ. 104).

დიდ მონაწილეობას იღებდა მოლარეთ-უხუცესი სიგლის დაბეჭდვაში. უმისოდ სიგელი არ დაიბეჭდებოდა. ბეჭედი დიდი იყო სასიგლე და საგახსნითე, რომელიც ოქროს თასით ინახებოდა. თასი ტყვიით იყო დაბეჭდილი და მოლარეთ-უხუცესსა ხელთ ეცვა. მას უნდა გაეხსნა თასი საჭიროების დროს და შიგ წყალი ჩაესხა. აიღებდენ ორს უხვრეტელს ჯორი ნალის მსგავსს ტყვიას, თუ ბეჭედი ტყვიისა იყო, შეაერთებდენ ალბათ ზონარის დატანებით, დაკრავდენ ტყვიას ბეჭედს და ჩამოკიდებდენ ქვემოთ სიგელს. ბიზანტიაში ბეჭედი ზოგჯერ ოქროსი იყო და როდესაც სიგელს ოქროს ბეჭედი ეკიდა, ასეთ სიგელს ხრისოული ერქვა. სიგლის დაბეჭდვა მწიგნობარის საქმე იყო. ამის შესახებ გარიგებაში ასე სწერია (§ 14, სტრ. 106—115).

სამწუხაროდ ჩვენამდის არც ერთს ასეთს ბეჭედს არ მოუღწევია. პირის დაბანის დროს მოლარეთ-უხუცესი წყალს დაუსხამდა და ქუდს დაახურავდა მეფესა (§ 34, სტრ. 427). ვეზირობის დროს მოლარეთ-უხუცესი სალაროს კართა შიგან იდგა გამოსავალსა (§ 38, სტრ. 456).

### მოლარენი

მოლარეთ-უხუცესის ხელქვეითნი იყვნენ მოლარენი. ესენი მოულოცვიდენ პირველად აღდგომა დღეს მოლარეთ-უხუცესს (§ 7, სტრ. 46—47). მოლარენი და მეხილენი ლეწდენ თხილსა სახილეზე დადებულის სათხილეთი პურობის დროს მეფის კარზედ. ეგ სათხილე ძვირფასი იარაღი ყოფილა. მისი აღწერილობა დაცულია კარის გარიგებაში: „სახილესა სათხილე უნდა იდვას, გზანივითა შექმნილნი თავნი განმგულებით, რომე პირსა მარწუხივით ერთგან შეყრიდეს, ამოგუბვილი და გარე თავთა ზედათჳთო თვალი იჯდეს, და განალამცა ოქროსა. და უკან კერძი არის ტარი მგრგვალი და სახილესა ტაბაკსა ზედა დადვას მეხილეთ-უხუცესმან ხისასა, არა თუ ვერცხლისასა. და რა მსახურთ-უხუცესმან მანდილი საყელე, მერმე იგი დადვას და მეხილე ანუ მოლარე თხილსა მით

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეწდენ, ტაბაკსა დაჰყრის, რომელსა ზედა იგი სათხილე იდვას“ (§ 17, სტრ. 157—164).

ლამპრობის დღეს მონადირენი მოლარეთაც მიართმიდენ ძღვენს და მისგან მიიღებდენ საჩუქარსა (§ 20, სტრ. 251).

### [ფ. 21] მესაწოლეთ-უხუცესი

მესაწოლეთ-უხუცესი დაბლა იდგა მეაბჯრეთ-უხუცესზე და მსახურთ-უხუცესზე. ამიტომ აღდგომა დღეს მას უნდა მიელოცა ამათთვის და მაღლა იდგა მოლარეთ-უხუცესზე, რომლიდგანაც მიიღებდა მოლოცვას (§ 7, სტრ. 42, 45) ის მსახურთ-უხუცესის გამგეობაში იყო, ამას უნდა მიერთმია ძღვენი მეფისათვის და მეფიდგან მიიღებდა ბეჭედს ძვირფასი თვალით — თვალედს (§ 14, სტრ. 101, 106). ის აწვევდა მეფესთან მსახურთ-უხუცესს (§ 25, სტრ. 306), მეფის შემოს[ვ]ის ანუ შეკმაზვის დროს, მას ეჭირა ხელში პირი მანდილი ანუ პირსახოცი მეფისათვის და ღილსაც ის შეუკრავდა მეფესა (§ 35, სტრ. 426, 427). ვეზირობის დროს მესაწოლეთ-უხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა იდგა გარეთ, მეფის ზურგით (§ 38, 455—456).

#### მესაწოლენი

მესაწოლეთ-უხუცესის ხელქვეითნი იყვნენ: მესაწოლენი, ესენი ბევრნი იყვნენ, კარის გარიგებაში ვკითხულობთ: „და შჳდასი სახლი მესაწოლე არის და გლეხი რვა სახლია და სხვა ყოველივე აზნაური. და შჳდასივე შუბოსანი ამა სიკისტრონსა ჯორისასა მისჯევენ. რა მეფე აიყაროს... ბარგის-უხუცესი წინ მიუძღვების და სიკისტრონი და მესაწოლენი წინ იარებიან (§ 15, სტრ. 125—131). ერთი მესაწოლე იყო მცველი საწოლის ღმრთისმშობლისა, რომელიც მეფის საწოლში სვენებია, ეგევე მესაწოლე წინამწოლი იყო მეფისა (§ 39, სტრ. 470). ვახუშტი არ იხსენიებს არც მესაწოლეთ არც მესაწოლეთ უხუცესს.

### [ფ 22] მეაბჯრეთ-უხუცესი

მეაბჯრეთ-უხუცესი გამგე იყო მეაბჯრეებისა. ის მაღლა იდგა მესაწოლეთ-უხუცესზე, რომლისაგან მიიღებდა მოლოცვას აღდგომა დღეს, და ემორჩილებოდა ამილახორს, რომელსაც პირველად მიულოცავდა (§ 7, სტრ. 41—45). როგორც ამილახორის, ისე მისი ხელქვეითის — მეაბჯრეთ-უხუცესის თავი ვეზირი იყო ამირსპასალარი (§ 18, სტრ. 183—185). ამათთან ერთად ის განაგებდა სალაშქრო საქმეს. მეაბჯრეთ-უხუცესს ამილახორთან, ზარდახნის-უხუცესთან და მწიგნობართან ერთად რევიზია უნდა გაეკეთებია წელიწადში ერთხელ ზარდახანისათვის (იქვე, 190—195). ზარდახანის მწიგნობარი და მას ქვემოთ მწიგნობარნი პურობის დროს მეფის კარზე მეაბჯრეთ-უხუცესის პირისპირ დასხდებიან (§ 33, სტრ. 411—412). ვეზირობის დროს მეაბჯრეთ-უხუცესი სხვებთან ერთად ყარაულობს სავეზირო დარბაზს და ვინც სამოციქულოდ უნდათ, მხოლოდ იმათ შეასხამენ დარბაზში (§ 38, სტრ. 457).

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

[ფ. 16][24] ასეთია მეფის კარის გარიგება. წეს-წყობილება, ზნე-ჩვეულება და სხვა და სხვა ცერემონიები ძლიერ რთულია, ესე ყველაფერი შედეგია ხანგრძლივი დიადი კულტურისა და სახელმწიფოს განვითარებისა. ჩვენი საქართველოს შინაური წყობილება, თანდათანი განვითარება და მთელი მისი კულტურული ცხოვრება მხოლოდ მაშვინ იქნება აღდგენილი, როდესაც ამგვარი წყაროები მოინახება და გამოიცემა და ეს მაშვინ ინქება, როდესაც ყველა წევრი საზოგადოებისა დაგვეხმარება და როდესაც იმდენი შეგნება დამყარდება ჩვენს ხალხში, რომ ამისთანა წყარო დააფასონ და ნაგავს არ გაატანონ.

---

[24] თავში სწერია: „მეფის სამსახური. მეფის პირის დაბანა §34, გვ. 19—20; მეფის ცხენზე შეჯდომა §18, გვ. 10, ნიშნიდან —“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტერმინოლოგიური მსჯელობა

ბესარიონ გუგუშვილი

## ზოგიერთი ძირითადი ინგლისური მეცნიერული ეკონომიკური ტერმინის რუსული და ქართული შესატყვისების თაობაზე

სკკპ XXV ყრილობის დადგენილებებში მითითებულია, რომ საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიკური მოძღვრებებისა და კონცეფციების კრიტიკა. ამ მიზნით, უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ხმარებული ტერმინოლოგიის შესწავლა ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

უკანასკნელ პერიოდში საზღვარგარეთ გამოცემული მეცნიერული ეკონომიკური ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ინგლისურენოვანია. ინფორმაციული ხასიათის გამოცემებიდან ჩანს, რომ ბურჟუაზიული ეკონომიკური ლიტერატურის სულ მცირე 75—80%, — გამოცემული როგორც ინგლისურენოვან (აშშ, ინგლისი, კანადა, ავსტრალია), აგრეთვე, განვითარებულ თუ განვითარებად ბევრ ქვეყანაში (გფრ, იაპონია, შვეცია, დანია, ჰოლანდია, ინდოეთი და სხვა) — ინგლისურ ენაზეა. ამასთან, აღიარებულია ინგლისურენოვანი სახელმწიფოების, განსაკუთრებით — აშშ-ს წამყვანი როლი ბურჟუაზიულ ეკონომიკურ მეცნიერებაში. ეს ფაქტი საფუძველს იძლევა ითქვას, რომ ამჟამად ინგლისური ეკონომიკური ტერმინოლოგია, საერთოდ დასავლურ ამ ტიპის მეცნიერულ ტერმინოლოგიებს შორის ყველაზე დიფერენცირებული და განვითარებულია. ამ მოსაზრებას ასაბუთებს ისიც, რომ ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, იაპონურ და სხვა ენებზე გამოცემულ თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში დიდად იგრძნობა ინგლისური ენის გავლენა, როგორც ტერმინების, ასევე „კალკების“ პირდაპირი გადაღება, გამოყენების თვალსაზრისით. საერთოდ ინგლისური ენისა და კერძოდ ინგლისური სავაჭრო-ეკონომიკური ტერმინოლოგიის მოძალებამ საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახადა სპეციალური კანონით შეეზღუდა მათი გამოყენება პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში, რეკლამაში.

ქართული ლიტერატურა ღარიბია სათანადო უცხოური ტერმინოლოგიური გამოკვლევებით. წინამდებარე მიმოხილვა, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ინგლისურენოვანი ეკონომიკური ლიტერატურის ქართველ მკითხველს უკეთ გაერკვიოს ზოგიერთი ტერმინის ხმარების თავისებურებებსა და ნიუანსებში. მიმოხილვაში, უპირველეს ყოვლისა, ვეყრდნობით რუსულ საბჭოთა ეკონომიკურ ტერმინოლოგიას, რადგან იგი როგორც საერთო დახვეწილობით, ისე ცნების აზრის ეკვივალენტურობით ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. ამ წერილში მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს ისეთ ეკონომიკურ ტერმინებს, რომელნიც ინგლისურში იწარმოება ბერძნული წარმოშობის ძირიდან „econom“.

ინგლისური ეკონომიკური ტერმინოლოგიის განვითარების კანონზომიერებათა დასადგენად, ჯერ საჭიროა გავარკვიოთ ეკონომიკური ტერმინოლოგიის განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი, რომელნიც საერთოა ყველა ენისათვის, მათ შორის — ქართულისა და რუსულისათვისაც, და შემდეგ განვიხილოთ ვითარება თანამედროვე ინგლისურში.

მეცნიერული ტერმინოლოგიის, კერძოდ, მეცნიერული თარგმანის პრობლემებისადმი მიძღვნილ თეორიულსა და მეთოდური ხასიათის ნაშრომებში მითითებულია, რომ უცხოურ ენებზე დაწერილი ტექსტების კითხვისა თუ ანალიზისას ერთ-ერთ მთავარ სირთულეს ტერმინთა იდენტიფიკაცია წარმოად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენს. ტერმინი არის სიტყვა (ან სიტყვათა ჯგუფი), რომელსაც მეცნიერების ამა თუ იმ დარგში აქვს ზუსტად განსაზღვრული, მკაცრად შემოფარგლული აზრობრივი მნიშვნელობა. ტერმინი არ უნდა იწვევდეს რაიმე გარეშე ასოციაციებს, რომელთაც შეუძლიათ აზრის გაბნევა, დეფინიციის უმართებულო აღქმა. ტერმინები ყველაზე მოძრავ ლექსიკურ ჯგუფს შეადგენენ: ისინი წარმოიშობიან, იცვლებიან, ზუსტდებიან, უარიყოფიან და საერთო ტიპის ლექსიკონები, როგორც წესი, ვერ ასწრებენ ამ მოვლენების ასახვას[1].

ამავე დროს, მეცნიერული აზროვნების თავისებურებათა გამო, მისი განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, ზოგიერთი ტერმინი გამოიყენება ორი ან მეტი ცნების გამოსახატავად (და რა თქმა უნდა, მანამ, სანამ თითოეულ ცნებას თავისი საკუთარი და მხოლოდ მის გამოსახატავად ხმარებული ახალი ეკვივალენტური ტერმინი დაუმკვიდრდება). ამგვარ მოვლენას ტერმინთა პოლისემანტიკურობა ეწოდება. პოლისემანტიკური ტერმინები გამოიყენება ახლომდგომი, მსგავსი აზრობრივი მნიშვნელობის ცნებების გამოსახატავად. ცნებათა დიფერენციაცია წარმოშობს ტერმინთა დიფერენციაციას. აქვე ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ხშირად, ერთი ენიდან მეორეში გადასვლისას, ზოგიერთი ტერმინი კარგავს თავდაპირველ სემანტიკურ მნიშვნელობას და აღარ წარმოადგენს დედანი ტერმინის სრულ აზრობრივ ეკვივალენტს[2].

რუსულ ეკონომიკურ მეცნიერებაში ტერმინოლოგიზაციის პროცესი დაიწყო XIX ს-ის დამდეგიდან, როდესაც რუსეთის აკადემიაში უცხოელ პროფესორებსაც კი დაევალათ ყველა სასწავლო კურსის რუსულ ენაზე წაკითხვა და 1803 წელი ცნობილია რუსეთში პოლიტიკური ეკონომიის ოფიციალური დაბადების თარიღად. მაგრამ, ამ ღონისძიების გატარების მიუხედავად, XIX ს. 40-იან წლებამდეც რუსულ ლიტერატურაში არ არსებობდა ეკონომიკური ტერმინოლოგიის, კაპიტალისტური სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ღრმა ანალიზისათვის საკმარისი დონის მქონე ტერმინთა სისტემა[3]. ასეთი სისტემის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთში მარქსისტული ეკონომიკური მოძღვრების გავრცელებასა და განვითარებასთან, პირადად ვ. ი. ლენინის მოღვაწეობასთან. რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგიის განვითარებისა და სრულყოფის ახალი ეტაპი კი დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის, მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური მეცნიერების განვითარების უწყვეტ, აღმავალ პროცესთან.

რუსულ ლიტერატურაში ეკონომიკური ტერმინების დიფერენციაციის პროცესში ფრიად საინტერესო მოვლენას ჰქონდა ადგილი: ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ადრეულ ეტაპებზე, არსებითი სახელის ფორმით იმთავითვე გავრცელდა მხოლოდ ერთი პოლისემანტიკური ტერმინი — экономия (უფრო ადრე — икономия)[4], რომელიც აზრობრივად შეესაბამებოდა ამჟამად ხმარებულ როგორც экономия-ს, ასევე — экономика-საც, ამ უკანასკნელის

[1] Носенко И., Горбунова Е. Пособие по переводу научно-технической литературы с английского языка на русский. М., «Высшая школа», 1974, с. 88—93.

[2] Сушков Ю. О специфике термина в процессе научно-технического перевода. В. сб. — «Язык научной литературы», М., «Наука», 1975, с. 245—254.

[3] Максимова М. К вопросу о развитии социально-экономической терминологии I-й половины XIX века. — «Уч. зап. Ленинградского пед. ин-та им. А. И. Герцена», т. 175, с. 38—42.

[4] Фасмер М. Этимологический словарь русского языка, т. т. I—IV, М., «Прогресс», 1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც экономика — (народное) хозяйство-ს, ასევე экономические науки და политическая экономия ნიშნით[5].

მაგალითად, ვ. ი. ლენინის ადრეულ ნაშრომებში ვკითხულობთ: «И здесь Маркс берет не индивидуальное, а массовое явление, не дробную частичку экономии общества, а всю эту экономию в совокупности»[6]. «Кстати отметим, что Бернштейн, реставрируя вообще предрассудки буржуазной экономии, внес путаницу и по данному вопросу, утверждая, что теория кризисов Маркса не очень-то отличается от родбертусовской»[7].

გ. პლეხანოვი წერდა: «Но что такое экономия? Это совокупность фактических отношений людей, составляющих данное общество, в их производительном процессе». ამასვე ადასტურებენ თვით სახელმძღვანელოთა სახელწოდებანი: ШИШКИН А. «Сельскохозяйственная экономия» (1894);КАБЛУКОВ Н. «Лекции по экономии сельского хозяйства“ (1897); ГОРДЕЕВ Г. «Основные проблемы сельскохозяйственной экономии» (1929)[8].

არსებითი სახელის ფორმის ამ ერთ ტერმინს — экономия — შეესაბამებოდა და ფართოდაც იხმარებოდა ზედსართავის სახელის ფორმის სამი ტერმინი: экономический (-ая, -ое), экономный (-ая, -ое) და экономичный (-ая, -ое). ამასთანავე ტერმინი экономический ზოგჯერ იხმარებოდა იმ აზრობრივი მნიშვნელობებითაც, რომლებითაც დღეს იხმარება экономный და экономичный[9].

ამრიგად, ადგილი ჰქონდა ენობრივ ფენომენს, სემანტიკურ წინააღმდეგობას, როდესაც არსებითი სახელის ფორმის ერთ ტერმინს შეესაბამებოდა (უდგებოდა), ზედსართავი სახელის ფორმის და სხვადასხვა აზრობრივი მნიშვნელობის მატარებელი სამი ტერმინი. სქემატურად ეს წინააღმდეგობრივი მიმართებანი შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:

Экономия < экономический<br>экономичный, экономный, (экономический)

წინააღმდეგობა გადაიჭრა მას შემდეგ, რაც XIX ს. მიწურულიდან და განსაკუთრებით XX ს. ოციანი წლებიდან რუსული ეკონომიკური აზრის განვითარებამ განაპირობა არსებითი სახელის ფორმის ახალი დიფერენცირებული ტერმინის — экономика შემოღება და შემდგომ მისი გაბატონება. ამგვარი ტერმინოლოგიური დიფერენციაციის შედეგად ტერმინმა — экономия დაკარგა მთელი რიგი აზრობრივი მნიშვნელობები, რომლებიც экономика-მ მიითვისა[10]; ამით ტერმინის — экономия — პოლისემანტიკურობა თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში მონოსემანტიკურობით შეიცვალა.

---

[5] Малый энциклопедический словарь. С.-П., Брокгауз-Ефрон, 1909.

[6] В. И. Ленин. Полное собрание сочинений, т. 26, с. 67.

[7] В. И. Ленин. Полное собрание сочинений, т. 2, с. 164.

[8] ხაზგასმა ჩვენია — ბ. გ.

[9] Словарь современного русского литературного языка. М.-Л., «Наука», 1965; Даль ВЛ., Толковый словарь. М., 1955; Объяснительный словарь иностранных слов, с. -П.-М., 1885, с. 735.

[10] იხ. БСЭ, I და II გამოცემები. განმარტება ტერმინისა — экономика.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გრანატ“-ის ენციკლოპედიის ბოლო გამოცემაში აღნიშნულია, რომ ტერმინი экономика რუსულ მეცნიერულ ლიტერატურაში ძველად მეცნიერებათა ო. კონტისეული კლასიფიკაციის შესაბამისად გამოიყენებოდა როგორც экономическая политика-ს ეკვივალენტური და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში (ე. ი. 1920-იანი წლებიდან), ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურის მიხედვით, დაიწყეს მისი ხმარება «теоретическая экономия»-ს მნიშვნელობით. ამასვე ადასტურებს 1883 წ. გამოცემული უცხო სიტყვათა განმარტებითი რუსული ლექსიკონიც, სადაც აღნიშნულია: «экономика-тоже что экономия политическая»[11]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1940-იან წლებამდეც экономика-ს, შესაბამისი ნიუანსით გავრცელების მხრივ, ძალიან ხშირად ცვლიდა ტერმინი (народное) хозяйство და ეს უკანასკნელი დღევანდელთან შედარებით მაშინ უფრო ფართოდ იხმარებოდა.

Экономика-ს შეესატყვისა ზედსათავი სახელის ფორმის უკვე არსებული (მზამზარეული) ტერმინი — экономический, ხოლო экономия-ს კი შერჩა ზედსართავი სახელის ფორმის ორი შესატყვისი: экономичный და экономный. სქემატურად, დასრულების სტადიაში, ეს მიმართება შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს:

экономика --------------- экономический

экономия ——————— экономный, экономичный

ამ გზით რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებითი სახელის ფორმის თითოეულ ტერმინს საკუთარი და მხოლოდ მისი შესაბამისი ფორმისა და შინაარსის ზედსართავი სახელის ფორმის ტერმინი შეესატყვისა. აქვე კიდევ ერთხელ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არსებითი სახელის ფორმის ტერმინს экономика-ს ფართო გავრცელებას რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მხოლოდ ნახევარსაუკუნიანი ისტორია აქვს, ხოლო მის შესატყვისად მიღებულ ზედსართავი სახელის ფორმის ტერმინს экономический-ს კი, ბევრად უფრო ხანგრძლივი.

ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის განვითარება იმავე მიმართულებით, მაგრამ სხვა გზით წარიმართა: ქართულში არსებითი სახელის ფორმის ადრინდელი (ძველი) ტერმინი იკონომია,[12] შეიცვალა ტერმინით ეკონომია (და რომელსაც, ისევე როგორც ძველ რუსულში, ხმარობდნენ ეკონომია—ს და ასევე ეკონომიკა-ს აზრით). რუსულისაგან განსხვავებით, ქართულში, არსებითი სახელის ფორმის ტერმინს ეკონომია-ს გააჩნდა ზედსართავი სახელის მხოლოდ ერთი ფორმა—ეკონომიური (რომელიც ფუძეზე „ეკონომი“—„ურ“ სუფიქსის დართვით იწარმოება). ეკონომიური შეესაბამებოდა სამივე რუსულ ზედსართავ სახელს: экономический, экономный და экономичный. სქემატურად ეს მიმართება შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს:

ეკონომია — ეკონომიური

მას შემდეგ, რაც ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, უდაოდ რუსულის ზეგავლენით და შედარებით უფრო გვიან, დამკვიდრდა არსებითი სახელის

---

[11] Объяснительный словарь иностранных слов.

[12] სულხან საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, ტფ., „ქართ. წიგნი“, 1928 ი. ბატონიშვილი. კალმასობა. თბ,. სახელგამი, 1948, გვ. 142, 143, 159. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., „მეცნიერება“, 1973.

ფორმის ახალი ტერმინი — **ეკონომიკა** (რუსული — ЭКОНОМИКА-ს ეკვივალენტად), ქართულში, ისევე როგორც უფრო ადრე რუსულში, წარმოიქმნა სემანტიკური წინააღმდეგობა (თუმცა შებრუნებული სახის): არსებითი სახელის ფორმის სხვადასხვა აზრობრივი მნიშვნელობის ორ ტერმინს (**ეკონომია** და **ეკონომიკა**) შეესატყვისა ერთი, მაგრამ სხვადასხვა აზრის მატარებლად გამოყენებული ზედსართავი სახელის ფორმის ტერმინი (**ეკონომიური**). სქემატურად ეს წინააღმდეგობრივი მიმართება შემდეგნაირად შეიძლება გამოვხატოთ:

**ეკონომია**
**ეკონომიკა** > **ეკონომიური**

წარმოქმნილი სემანტიკური წინააღმდეგობის გადაჭრა ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში გარკვეულად გაძნელდა და გაჭიანურდა იმის გამო, რომ, რუსულისაგან განსხვავებით, ქართულში არ იხმარებოდა (არ იყო) ზედსართავი სახელის ფორმის სხვა მზამზარეული სახე, რომელიც შეესატყვისებოდა არსებითი სახელის ფორმის ახალ ტერმინს.

აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევისაკენ მოძრაობა ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში ამჟამად აქტიურ სტადიაშია და იგი მიმდინარეობს არსებითი სახელის ფორმის ტერმინიდან — **ეკონომიკა** — წარმოებული ზედსართავი სახელის ფორმის ტერმინის **ეკონომიკური**-ს დამკვიდრების გზით (ეს უკანასკნელი იწარმოება **ეკონომიკა**-ს ფუძეზე **„ურ“** სუფიქსის დართვით). რაც ქართული ენისათვის კანონზომიერია[13].

ამგვარი ტერმინოლოგიური გარდაქმნები, როდესაც ერთი ძირიდან ორი ან მეტი განსხვავებული შინაარსის მქონე არსებითი სახელისა და შესაბამისი ზედსართავი სახელის ფორმის ტერმინები იწარმოება, ხშირია. სწორედ მსგავსი გარდაქმნების შედეგად შეიქმნა არსებითი სახელის ფორმის ისეთი ტერმინები, როგორიცაა: **დიპლომატია** და **დიპლომატიკა** და ზედსართავი სახელის ფორმის შესაბამისი ტერმინები: **დიპლომატიური** და **დიპლომატიკური**.

სქემატურად არსებული სემანტიკური წინააღმდეგობის დაძლევისაკენ მოძრაობა შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ.

ეკონომია ═══ ეკონომიური
ეკონომიკა ═══ ეკონომიკური

მას შემდეგ, რაც ქართულში საბოლოოდ დასრულდება ხსენებული არსებითი სახელის ფორმის ტერმინების შესაბამისი და თითოეულის ადეკვატური ზედსართავი სახელის ფორმის ტერმინების დანერგვა, აქაც რუსულის მსგავსი ჰარმონიული სემანტიკური მიმართებანი დამკვიდრდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არ განიხილავს ტერმინების: ეკონომია, ეკონომიკა, ეკონომიური, ეკონომიკური გამოყენების ისტორიული განვითარების თავისებურებებს სხვადასხვა სტადიაზე: — არ განმარტავს ისე დაწვრილებით და ვრცლად, როგორც მაგ., რუსული «Словарь современного русского литературного языка». ჩვენი მიმოხილვისათვის მნიშვნელოვანია და აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართული საბჭოთა ეკონომი-

---

[13] თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. I კრ. თბ., „მეცნიერება“, 1970, გვ. 128.

12. „მაცნე“, ფილოსოფიის,... სერია, 1977, № 3

კური ტერმინოლოგიის განვითარება ისეთ პროგრესულ სოციალურ-ეკონომი-კურ და, აქედან გამომდინარე, ენობრივ ვითარებაში მიმდინარეობს, როდესაც ჩვენს სახელმწიფოში ვითარდება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ერთიანი, ინტერნაციონალური მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური მოძღვრება, რომელსაც, რა თქმა უნდა, აქვს შესაბამისი დონის ტერმინოლოგია და ამ პროცესს სათავეში უდგას რუსული საბჭოთა ეკონომიკური აზრი — დაზუსტებული, უნიფიცირებული და დიფერენცირებული ტერმინოლოგიით.

რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესწავლა და მის საფუძველზე ქართულის სრულყოფა, უდავოდ წინ წასწევს საერთოდ ქართულ საბჭოთა ეკონომიკურ აზრს. როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე საქ. კპ ცკ-ის საანგარიშგებო მოხსენებაში აღინიშნა, „...დღეს პრაქტიკულად ფეხს ვერ შეუწყობ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ვერ ჩასწვდები მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურს, მსოფლიო მეცნიერებას, თუ რუსული ენა არ იცი".

ჩვენთან არსებული ტერმინოლოგიური ვითარება აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ინგლისური ეკონომიკური ტერმინოლოგიის მიმოხილვისას და უნდა გავითვალისწინოთ, რომ იქ არსებობს ბურჟუაზიულ ეკონომიკურ მოძღვრებათა სხვადასხვა მიმართულება და ეკონომიკური სკოლები, რომელთაგან თითოეულს აქვს ცნებების თავისი საკუთარი სისტემა და შესაბამისი ვოლუნტარისტული ტერმინოლოგია, რაც, ცხადია, არ არის ხელშემწყობი გარემოება ეკონომიკური ტერმინოლოგიის უნიფიკაციისა და მეცნიერული აზრის განვითარებისათვის, თუმცა ეკონომიკური აზრის განვითარება მაინც ტერმინთა მეტი დიფერენციაციისა და უნიფიკაციისაკენ მიდის.

